

114  
1947/2



# მნათობი

3

---

თბილისი  
1947



# ენათობი

საზღვარგარეთის საბჭოთა მფარველის  
კავშირის ურველთვიური სალიბერატორ  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლბიტიკო  
ფურცალი

წალიწადი ოცდამეოთხე

# 3

4351  
133301

19 სახელოვნო 47  
მარტი



## გეთნები მინდვრად



გამოიღარა, სოფლის გზა გაშრა,  
მინდვრად ეამა თვალს შეჩერება.  
მიწას მოუნდა მკერდის გადაშლა,  
მზისთვის ნახამთრი გულის ჩვენება.

იგრძნეს სოფელში მიწის სურვილი,  
არ დააყოვნეს, არ იკამათეს  
და მადლიანი შრომის წყურვილით  
რკინის გუთნები მინდვრად გამართეს.

ზენაში ღონიერ ტრაქტორს თან გაჰყვა  
ნიშა უღელში კობტად შებმული.  
ბევრგან წამოდგა ბელტი ამაყად  
მკერდზე ყვავილით დამშვენებული.

მკრელი გუთანი მრუდედ არ მიდის,  
მეხრე იმედით ნახნავს დაცქერის.  
მიწას უღიმის თვალი ამინდის  
და ტრიალებენ მუშაკაცები.

ამაღლებიათ შრომის ხალისი,  
თბილა, არ ეთქმის ცას სამდურაეი.  
თაგვის ბნელ სოროს მოხვდა სახნისი  
და მოაგლიჯა მას სახურაეი.

ტყვილს უყურებს ხნულებს მზის ცქერა,  
ნატერა არ რჩება მიწას უთქმელი,  
მას დიდ მოსაულის ჰიმნად, სიმღერად  
მეხრეთა ხელით სწერენ გუთნები.

ქვეყნის დოვლათის შექმნა იზიდავთ,  
ტანს დაღლილობით არ იმძიმებენ,  
თავს ამოყოფენ ზოგჯერ მიწიდან  
და ხნულს შუჭივით გაუცინებენ.

## მ ე ნ ჯ ი რ ო ბ ე უ

არმაანი განიცადებით \*

განიცადენი

VII

★

ციბედულ!  
 აი ახლა ზამთარია, როდესაც ამ  
 სტრიქონებსა ვწერ.

ჩემს რომანში კი გაზაფხული იწყე-  
 ბა. და მერე როგორი გაზაფხული? —  
 სამეგრელომ რომ იცის ნაზი, მსუბუქი.  
 მზეც რომ თითქოს ალერსით იკბინება,  
 მარტის მცხუნვარება შეუმჩნევლად  
 რომ გიცვლის ფერს. განსაკუთრებით  
 თუ დიდხანს გარეთ იმყოფები, ბუნე-  
 ბის წიაღში: შავად რომ მოგეკიდება —  
 თუ ქერა ხარ, შავგვრემანად რომ  
 გაგჭდის, თუ შავგვრემანი, არაბად  
 რომ გადაგაქცევს.

გაზაფხული!

ყველაზე წინ წითლად აჭკივებული  
 კონივარდა რომ ამოყოფს თავს, უფრო  
 ხშირად, შემოდგომისას დაცვენით,  
 ზამთარში დაღობილ და გაზაფხულის  
 პირას თითქმის დამპალ ფოთლებით შო-  
 რის, ნეშობში. შემდეგ იმას იაც რომ  
 მიჰყვება, მოლურჯო და „მორცხვი“  
 ია, სატრფოს გულთან მისაბნევი და  
 თავის საკვირველი სურნელებით ნე-  
 ლიად მათრობელი ვინმე ტურფა ასუ-  
 ლისა.

მეც შენსავით, ჩემო ჭაბუკო მკითხ-

ველო, თუნდა მოხუცო და დარბაისე-  
 ლო, ჭაბუკობისას სოფლად მიკრეფია  
 იის კონები, თაიგულად შემიკრავს და  
 მოკრძალებით მიმირთმევია იმისათვის,  
 ვინც მაშინ ციბედულად შეჩვენებოდა.

„წარვიდნენ, გაქრნენ ფე, დრონი  
 მარად!

მე იგივე ვარ მარად და მარად!“

რა მართალი ნათქვამია პირველი  
 ფრაზა. მეორე კი როგორი გაბედულია.

პირველი მართალია. იმიტომ, რომ  
 განვლილი დრო გამჭრალი და დაღუბუ-  
 ლია და ამას ხანდაზმულზე კიდევ უფ-  
 რო მწვავედ გრძნობ, განსაკუთრებით,  
 როდესაც ახალგაზრდობას იგონებ.

მეორე კი გაბედულია იმიტომ, რომ  
 იგივეობა „მარად და მარად“ ძნელი შე-  
 სარჩენია. ჰო, თუ სულეერ „მე“-ზე  
 ვილაბარაკებთ შეიძლება მართალი  
 იყოს.

მე კი გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩემი  
 თავი „იგივე“ მგონია. სარკე რომ არ  
 მიმეღვენებდეს ჩემს დაღარულ სახეს  
 და თეთრ თმას, შინაგან ვერ ვგრძნობ  
 ცვლილებას და ისევე გულით და ხა-  
 ლისით ვეძლევი შემოქმედების ალ-  
 მურს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რო-

\* გაგრძელება. იხ. „წათობი“ № 5-6, 1946 წ.

გორც ოდესღაც, ჩემი ახალგაზრდობის გარიერაზე, როდესაც მეგონა, რომ „მთებს შევძრავდი“, მდინარეებს შევაბრუნებდი და ვიქმდი საქმეებს გოლიათურს.

პოი, სიქაბუკევი! რა არის ის ძალთაძალი, რომელიც თავიდან ავაბორგებს და ბოლოს... შეიძლება დონკიხოტო-ბამდე მოვიყვანოს?

ესეც კია, რომ დონკიხოტი კეთილშობილი სულის პატრონი იყო და კეთილშობილური სურვილები ამოძრავებდა

ახლა კი ზამთარია, მე მაინც მინდა ვახუფულში გადავეშვა და ისიც სამეგრელოში. მოსკოვში კი ვარ.

რამდენი ათასეული კილომეტრი მაშორებს სამეგრელოს, რამდენი ათეული წელი — იმ ამბებს, რომელზედაც ასე აღმართ-დაღმართიანად მოვუთხრობ მკითხველს.

და მაინც მინდა ვილაპარაკო სამეგრელოზე. რადგანაც... რა დასამალია!.. სამეგრელო მიყვარს ძალზე. მიყვარს მისი ნიჭიერი და ზრდილი ხალხით, მისი გამჭირაობით, მისი მიდრეკილებით სიბრძნის მეტყველებისადმი. უცნაურს რასმე რომ გეტყვის რომელიმე უსწავლელო, რიგითი „მოჰანდე“ — მშრომელი მეგრელი, რომლის სიტყვებში, აგრეთვე უცნაურად დალაგებულებში, ცხოვრების დაყურადღებულ სიბრძნე რომ გამოსკვივის.

მიყვარს სამეგრელო მისი დიდებული და თან კეკლუცი ბუნებით, რომელსაც არ ახლავს, ილიასი არ იყოს, სისასტიკე და მიუყარებლობა მყინვარ-მთებისა. გულ-გრილობა ამ ახოვან ბუმბერაზებისა.

სამეგრელოს მთები უფრო ადამიანურ, ზღაპრულ ფალანგებს მაგონებს — ზამთარში რომ თეთარ ჯაეშანს იცეპის

და ზაფხულში ხალისიან, ნაირ-ნაირ ჩოხა-ახალუნში რომ გამოეწყობა. თითქოს სტუმრებს ელის, ეხდნენ მათთან და მეგობრება, ნადიმის სურსათს უტყენოს მისი საგამძორი: უსიერი ტყეები, მოცქრიალე, მოჩანჩქარე წყაროები, მარდი, მაგრამ ზვიადი მდინარეები ზოგჯერ კიდევ სამკურნალო წყლები, მდიდარი მთამადნეული, ატეხილი ქალები და სხვა.

სამეგრელო! გურიისა და იმერეთის საზღვრებს მოყვარულ ძმასავით გვერდში რომ ამოდგომია, მაგრამ... ვაიმე! რომელსაც ცოტა სახელი აქვს გატეხილი — ქაობიანიო, გაიძახიან!..

ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში და სხვა ჩამოსულ მწერალთა ნაწარმოებებშიც, ამ ბოლო ხანებში მაინც, სულ ეს სამეგრელოს ქაობიანი მხარეა აღწერილი. თითქოს სხვა, ჯანსაღი სამეგრელო არ არსებობდეს.

ამიტომაც ახლა უფრო ამ ქაობით გვიცნობენ მეგრელებს.

ეს კი სამეგრელოს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შეესძინა რკინიგზამ და ცივილიზაციამ:

დალოცვილმა ისეთ უვალ ტლაპოებში გაიარა, რომ საუკეთესო ჯანმრთელი ადგილები ძველი ოდიშისა სულ განზე მოიტოვა და, თითქოს უფრო პირდაპირ, შავი ზღვის ნავთსადგურს მიაშურა.

ეს მისწრაფება პოლიტიკურისა და ეკონომიკურის მიზეზებით, ცხადია, მართებული იყო, თუმცა...

ციბედულ!...

ესეც უნდა ითქვას — ინიერებს შეეძლოთ სამეგრელოს მდიდარ ბუნების წიაღში მოენახათ ნავთსადგურიდან არც თუ ისე შორი სხვა გზა, მაგრამ...

რაკი ამას აღარა ეშველებოდა-რა, ამიტომაც მოსახლეობა ჩამოვიდა მთებიდან და, ცივილიზაციის დასაწყევმ-

ლად, რკინიგზის გარშემო გააჩაღა ცხოვრება.

ახლა...

კარგი ის არის, რომ ჩვენმა თანამედროვე დიადმა ეპოქამ შორსმჭვრეტ გენიოსის მეოხებით ეს ნაკლიც გამოასწორა.

უკვე შრება უდიდესი ნაწილი კოლხიდის ჭაობისა და ის, რაც აქამდე ადამიანისათვის მაწინარი იყო, სასარგებლო გაჰხადა.

მე კი მიყვარდა და მიყვარს მთიანი სამეგრელო, ახლა კი ამ სიყვარულში შემოვიდა მისი დაბლობიც, ქარვისფერად აყვავებულ ნარინჯოვანი მცენარეებით.

და არ ვიტყვი ილიასებრ:

„მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული!“

სამეგრელო უკვე აყვავების გზას ადგას. სამეგრელოც სხვა მოძმებთან ერთად ჩაბმულია დიდ სოციალისტურ მშენებლობაში და, ცხადია, ამ მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე, კიდევ უფრო გაამშვენიერებს თავის ტურფა ქვეყანას, თავისთავს და შექმნის ღირსეულ საგანძურს თავის მხრივაც.

ასე იქნება ჩემი საყვარელი სოფელიც სამეგრელოში — ბერთემი, სადაც ჯერ-ჯერობით უმთავრესად მიმდინარეობს ჩემი რომანი.

და...

ჯერ-ჯერობით ამ რომანითაც წაიღეთ წინ, ჩემო ციხედულ!

იმისათვის, რომ მოვიდეთ დღევანდელ დღემდე, რადგანაც ჩვენი სანუკვარი ხომ დღეინდღეობაა.

მხოლოდ მაინცდამაინც ნუ ავიჭარბებთ.

შორიდან დაეწყეთ მართალია, მაგრამ გვაძხენებდა ის ხალხური თქმა, რომ

„შორიდან მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო“.

ერთია საშიშარი: ჩემი გულმკერდი! ეუბრძანებ ჩემ ცხელს: „მშენებლობს“ მოთხრობის დამთავრება დამაცალოს.

-იბ-

ყველანი გულდასმით უსმენდნენ ტაიას. მხოლოდ სულ სხვადასხვა იყო მათი უნარი სმენისა.

ვამეხი ტაბლას მოშორებოდა და კედლის მოფარდაგულ გრძელ ტახტზე, ნახევრად წამოწოლილი, მუთაქას დაყრდნობოდა. თვალთა გამომეტყველება კი სადღაც შორს იყო გატყორცნილი. ეტყობოდა, რომ დიდ ფიქრს მისცემოდა.

ფარნა ისევ ცეცხლის პირას იჯდა, ტაბლასთან და თავჩაღუნული დროგამოშვებით ცეცხლს უყვებოდა. ტაიას ზოგჯერ თუ შეაღწევდა თვალს.

ფანთაც მის გვერდით იჯდა დაბალ სამფეხა სკამზე და ტუჩზე ორთითმიდებული, პირდაპირ ტაიაზე იყო მიმტერებული.

ფარნას პატარა ვაგი ეტყობოდა უფროსების ბრძანებით თავის ლოგინში იყო შეწოლილი და მოსაჩვენებლად თავს თითქოს იძინებდა, მაგრამ, თქმა არ უნდა, ძილი ზულ არ ეცარებოდა, რადგანაც ტაიას ნაამბობი მისთვისაც დიდად წარმტაცია და მომხიბლველი იყო და ზშირად, თავზე საბანწახურული, ცალ თვალს აქუცტდა.

მანჩა კი უძრავად იჯდა თავის ამოჩემებულ ალაგას — პირით წინაკარებისაკენ, ზურგით კედლისაკენ — და ეტყობოდა ტაიას ყოველ სიტყვას ხარბად ჰყლაპავდა, თან ზოგჯერ თოფის ჩახმახს აჩხაკუნებდა ვითომდა გულის მოსაოხებლად.

თვითონ ტაია სახეგაბრწყინებელი, თვალეზმოელვარე, ხან მჯდომარე და

ზან ფეხზემდგომი, დიდის აღფრთოვანებით განაგრძობდა 1902 წელს ბათუმის მუშების დარაზმვისა და დემონსტრაციის ამბებს.

უეცრად კერიას ცეცხლს ისეთი ალი ავარდა, რომ ბრიალ — ბრიალით სხვენისაკენ გაემართა. სხვებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, მაგრამ ფანთა კი მეტად მშემფრთხილა და ქმარს მიამაზა:

— რას ჩაღიხარ, კაცო? სახლი არ დაწვა!

ფარნამ თითქო დარცხვენილმა შეშა და ნაკვერცხლები ისე მისწი-მოსწია რომ ცეცხლი შეანელა და შემდეგ დიმილით წარმოსთქვა:

— არა, მე ის მომეწონა — საწყალი მუშა რომ ისეთის დიდის ამბით გაუსვენებია იმ დალოცვილ ახალგაზრდას, აბა როგორ ეგონათ?! საწყალი მუშა კაცი არ არის, ადამიანი?... რა ჰქვიან, ტაია-გენაცვალე, იმ ყმაწვილს?

— ბათუმში ხელმძღვანელს ეძახოდნენ.

— ოო, მისიჭირი შემეყაროს, მისი! კაცი ის ყოფილა, ძმაო...

— ოო, ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავი! — მოულოდნელად წამოიძახა ფარნას ვაემა და ლოგინიდან თავი წამოჰყო.

ფარნამ ერთი სიყვარულით გადახედა ვაეს, თითქოს გულში მოუწონა — ასეთი სურვილი გამბედაობისა და არაფერი კი არ უთხრა, მხოლოდ ფანთამ დატუქსვით მიმართა:

— გური, გური! რატომ არ გძინავს? უკვე საცაა ვათენდება და შენ კი სკოლაში წასასვლელი ხარ... — თან წამოდგა, ჩამოჯდა შვილის ლოგინთან და საბანი გაუსწორა.

— არა დედა, არა, ხვალ ბზობაა, სკოლაში არა ვარ წასასვლელი... შენ ტყუილა დამაწვინე.

— ჰო, კარგი, ახლა გაჩუმდი... თუ გინდა ყური დაუგდე... და ცოტა ხანს ორივე დედაშვილი გაილურსნენ.

ვამეხი ისევ ისე ორმა ტიქრში იყო წასული, — თითქოს ტაიასგან ნაამბობ 1902 წლის ამბებზე, მისიჯავს, კარგად უკვირდებოდა... მისიჭირს უცხო იყო ყოველივე ამ ამბებისა. გაზეთებში ამაზე არაფერი ეწერა გარდა ოფიციალურ ქრონიკისა და ისე კი ბერთეშში მოღწეული, კორებ-შემოსილი ერთგვარი „საზოგადოებრივი აზრი“ უარყოფითად ამუქებდა ბათუმის მუშების საქციელს. აქ კი, ტაიას ნაამბობში, სულ სხვაგვარ მოსჩანდა საქმის ვითარება და ერთგან, ტაიას მოთხრობის დროს, ეს წამოცდა კიდევ მის ბაგეს:

— დიდი გრგვინვა მოისმის, დიდი — და დაჩუმდა. მეტი აღარა უთქვამს-რა.

აი ტაიას მოთხრობამ იქ მიადწია, სადაც ბათუმის მუშები პირდაპირ შეეპრობოდნენ თვითმპყრობელობის ჯარს და პოლიციას, მაშინ კი, აქამდე თითქოს გაქვავებულივით მჯდომარე, მანჩა ზეზე წამოიჭრა და თითქოს გულიდან ამოსცდა:

— ვაი დედასა. სად ვიყავი? ჩემსობას არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა ბათუმში... მე არავის არ ვაცილდი, ჩავუსაფრდებოდი სადმე ცალკე და იმ გენერალ დრიაგინს სულს გაეფრთხობინებდი.

— ჰა, ჰა! შენ ისევ ისე ტერორის მომხრე ხარ! — ჩაიციწა ტაიამ. — მაგრამ ეგრე აღარ არის საქმე. ახლა უკვე ჩვეს ვიცით, რომ ტერორით საქმე არ კეთდება და არაფერი არ სწორდება, რადგან მოკლულის ალაგას მეორე ჩნდება და ხშირად უფრო უარესიც. მთავარი მაინც არ კეთდება — ჩაგვრა არ ისპობა, თანასწორობა არ მყარდება და დიდი უმრავლესობა ისევ ისე უუფლებო, უხმო და თავისთავ-მოუვლელი რჩება...

მანჩა თითქოს ჩაუფიქრდა ტაიას სიტყვებს. უცებ მაინც არ დაეთანხმა:

მე კი მაინც ასე შეგონა, რომ ასე-

თი ბობოლები მოკვლით დავაშინებ-  
ლით მთავრობას, კაპიტალისტებს და  
ერთგვარ შევებას მიიღებდა ხალხი...

კიდეც ბევრი ილაპარაკეს მანჩამ და  
ტიაიმ. ვამეხიცი თითქოს გამოერკეო  
თავის ღრმა ფიჭრიდან და ისიც ცოცხ-  
ლად ჩაურთა სჯაბაასში.

ფარნა კვლავ ცეცხლის გაღვივებასა  
და შენელებაში იყო თითქოს გართუ-  
ლი, თუმცა ეტყობოდა, რომ მოსაუბ-  
რეებს გაფაციცებით ყურს უგდებდა,  
თან ზოგჯერ წამოიძახებდა ბათუმის  
ამბებით გატაცებული:

— არა, რა კაცი ყოფილა, რა კაცი ის  
ბათუმელი ხელმძღვანელი! აი მაგის-  
თანა მეთაური გეჭირდება ჩვენ... —  
შემდეგ ისევ ჩუმდებოდა და მოსაუბ-  
რეების ყურისგდებას განაგრძობდა.

ფანთა კვლავ გუროს უჯდა წინ და  
რაკი ვაჟს მინც არ ეძინებოდა, რაღა-  
ზედაც ორთავენი საამურად ჩურჩუ-  
ლებდნენ. ეტყობოდათ მომავალზე  
ქონდათ საუბარი, რადგან ბოლოს დე-  
და ასე მიმართა:

— ჰო, ჰო, შვილო! კარგი კაცი უნდა  
გამოხვიდე, აბა როგორ?

— მამას უნდა ვაჯობო?

— ჰო, შვილო, მამაშენსაც და ყვე-  
ლას ამ არე-მარეზე... შენისთანა მოწი-  
ნავე, შენისთანა ვაეკაცი არავინ არ უნ-  
და იყოს...

— ვიქნები, დედა, ვიქნები! შენ არ  
მომიკვდე, ნახავ თუ ასეთი არ გავხ-  
დები...

— შე მწამს და შენ კი გახსოვდეს  
შენი დაპირება, ჩემო ქვაჩაჩია! — ღიმი-  
ლით ჩაუჩურჩულა დედამ ხუჭუჭა, შვე  
მზნინვარე თმაზე ხელი გადაუსვა და  
თითქოს ქურდულად შუბლზე აკოცა.

ვამეხი კი მანჩას ასე არიგებდა:

— არა, მანჩა, აბრაგობას თავი უნდა  
დააწებო. გასაკეთებელი კი მანც ბევ-  
რი გექნება, მხოლოდ სულ სხვა მხრით  
და სხვა გვარი...

— მართალია ბიძაჩემი, მანჩა! ჩვენ  
ყველანი ცალ-ცალკე და დავაშინებულად  
კი არ უნდა ვმოქმედებდეთ ერთად უნ-  
და შევეუტიოთ დამსჯელ ძალას ჩვენი,  
ხალხის მაჯალაჯუნა თვითმპყრობელო-  
ბას... აი რა არის ჩვენი მოვალეობა  
და აქ შენ ბევრი რამის გაკეთება შეგიძ-  
ლიან, მანჩა!

ეტყობა მანჩაზე დიდი გავლენა იქო-  
ნია ტაიასა და ვამეხის განმარტებამ,  
რადგან ამჟამად მან სრულიად უყოყმ-  
ნოდ განაცხადა:

— მიმრძანეთ და მზად ვარ. თავს  
გადავდებ საერთო საქმისათვის.

— დიად, დიად, ერთობისათვის. ხალ-  
ხში უნდა ჩატრიანება. შენ ხომ იცნობ  
ხალხს. აი მათ უნდა შემზადება. პირვე-  
ლად პატარა წრე ერთგულ და თავ-  
დაღებულ წევრებისაგან, პირველად  
ბევრს არ უნდა გამოუდგე. ის შემდეგ  
იბარტყებს. ასე მოიქცა ხელმძღვანე-  
ლი ბათუმში. ასე იქცევა საშა წულუ-  
კიძეც ქუთაისში. ჩვენც მათგან უნდა  
ავილოთ მაგალითი.

მანჩა წელში სრულიად გაიმართა.  
თოფის ღვედში მარცხენა ხელი ვაუყა-  
რა, თოფი ზურგზე მოიქცია და გაშლი-  
ლის სახით თითქოს საღდაც შორს გაი-  
ხედა, თითქოს რაღაც სანუკვარ სურათს  
შეჰხედაო. შემდეგ თვალით ნაბადი  
მოსძებნა და თან ვამეხისაგან თავისმი-  
ლებით იკითხა:

— რომელი საათი იქნება ახლა  
ნეტა?

ვამეხმა ჯიბის საათს დახედა და უპა-  
სუხა:

— ოთხია.

— ოჰო. საცაა მალე გათენდება.  
სწორედ ჩემი წასვლის დროა.

ფარნა წამოუდგა, ფანთაც არც ერთმა  
მანჩას დარჩენა არ შეჰპატივია.

მხოლოდ შემფრთხილებელი ფანთა  
ოთახში დატრიალდა. რაღასაც ძებნა  
დაუწყო და ბოლოს ტახტის კუთხეში



მიგდებული პორტფელი მანჩას მიაწოდა.

მანჩა უკვე ნაბადმოხურული ის იყო კარების გაღებას აპირებდა, რომ პორტფელი მიაწოდეს, რაზედაც გულიანად გაეცინა:

— ოო, ეგ კი სრულიად დამავიწყდა!

— რა არის ეგ? — შეეკითხა ვამეხი. — წიგნებიც თან დაგაქვს?

— აჰ, არა! ამ ეამად ეს წიგნები არ არის...

— არა, მე იმიტომ ვთქვი, რომ დაგცინიან: რა აბრაგია მანჩა ჯგერენია, ხურჯინით წიგნები თან დააქვსო...

— ჰა, ჰა! არა, ეს ჩემი ხურჯინი არ არის. ეს სუღებნი პრისტავის პორტფელია.

— სუღებნი პრისტავის, ევტიხის?

— დიად. დღეს, შებინდებისას მენჯი — რომუსთან დავხვდი იმას და ბანძღის. ბანძღის იარაღი და ფულები ჩამოვართვი, პრისტავს კი ეს პორტფელი.

— უჰ, ხელი შევარჩინა ღმერთმა! — გახარებით წამოიძახა ფარნამ, — სწორედ მიამა ბანძღი რომ შეგიხვდებოდა. იმის დამზოგავს რა ეუთხრა მე. მთელი სოფელი, ბატონო ვამეხ, მოგეხსენება შეწუხებული ჰყავს და მარტო განა ჩვენი სოფელი? ფულს აძლევს სესხად და შემდეგ გაჭირვებულ გლეხებს მამასისხლად ახდევინებს.

— ციცი, სოფლის წურბელაა.

— ოჰ, ძალიან მიამა ის რომ შეგიწუხებია — გულით ამბობდა ფარნა. — ვაცხოწე შენი მშობელი! მარა ეს პორტფელი რაღად გინდოდა?

— ოო, ეს არის რაც არის, ჩემო ფარნა!..

— ევტიხი მე ენახე ამ საღამოს ნექტარინასთან. იქ მოვიდა, უთუოდ შენი გაცარცვის შემდეგ, მაგრამ არავისთვის არაფერი არ უთქვამს.

— ეთქვა თუ გინდა, ბატონო ვამეხ! რას დამაჯობდა. რა იცის მე საით წავედი?

— კი, მაგრამ ბეჭდლი მარტოა, ნექტარინას მოურავე?

— ბანძღიმ არ იცის, მე რომ ფარნასთან დავიარები და გუტატი?.. გუტატი ჰო, მაგრამ იმანაც ხომ არ იცის, რომ დღეს აქ ვიმყოფები.. მერმე კიდევ თქვენ ამბობთ, რომ ევტიხის არავისთვის არაფერი არ უთქვამსო?

— ჰო, ჩემსობას ევტიხი სულ ჩვენთან იყო, სტუმრებთან, არსად არ განმარტოებულა... ამიტომ ვამბობ არავისთვის არაფერი უთქვამს-მეთქი, თორემ გაძარცვის ამბავს ჩვენც ვავიგებდით...

— გამიგონია პატიოსანი კაციაო, — წარმოვთქვა ფარნამ, — ააშენა ღმერთმა, რომ არ გაუციხარ, თორემ გუტატი მართლა ეჭვს აიღებდა...

ვამეხი კი საყვედურის ნიშნად თავს იქნევდა:

— მაინცდამაინც ვერა ხართ კარგი კონსპირატორი, მანჩა! ეს თქვენთვის ვაკეთილი უნდა იქნეს. ჩვენი საუბრის შემდეგ თქვენ მოგელით მეტად ფრთხილი და დაკვირვებული მოქმედებდა...

მანჩამ უხუმარი სახე მიიღო:

— მესმის, ბატონო ვამეხ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ზომებს მივიღებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — და საჩქაროდ კარებისაკენ გასწია.

— ეს რომ დაგრჩა?.. რა ქვია, კაცო ამას?... მანჩა, მანჩა! — მიაყოლა ფარნამ, მაგრამ მანჩა არ შემობრუნებულა, მხოლოდ ეს კი მიაძახა:

ამოიღე შიგ რაც ქალაღებია და დახე ნაკუწ-ნაკუწ!

ფარნამ პორტფელი ისევ ტახტზე დააგდო და თვითონ მანჩას გამოედევნა ეზოში. მალაღ ბოძებზე შემდგარ

სასიმიინდეს ქვეშ ჩალაზე მიყენებულ ქესქენჯს ლაგამი ამოდვა, უნაგირმო-უხდელი და სამგზავროდ მუდამ მზად-მყოფი ცხენი მანჩას მიავება. თან მო-ღურებულ კისერზე ქესქენჯს ხელი აღურსით დაჰკრა.

— მართლა კარგი ბედაური გყავს, შეგეფერება.

მანჩას არაფერი აღარ უთქვამს, ისე მოატრიალა მარჯვენით თავის ქესქენ-ჯი და ისე გაქრა ღამის წყვდიადში თითქოს ტარიელი ყოფილიყოს:

„ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა!“

ფარნას სახლში კი ახლა უკვე ტაია მოგდომოდა სასამართლოს ბოქაულის პორტფელს და თანდათანობით იქ მოთავსებულ ქალაღდებს ათვალიე-რებდა.

მართლაც სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლების და ვექსილების მეტი შიგ არა იყო-რა: „Именем его Императорского величества“... და სხვ. შემდეგ მოხსენებული იყო სენაქის სასამართლოს განაჩენი, თარიღი და ის, თუ ვისი ვალი ვის მართებდა, რო-დენობა თანხისა და სხვ.

— ჰმ... ჰმ! რამდენი ცრემლებია ამ თითქოს უმანკო ქალაღდებში ჩამარ-ხული... რამდენი ტანჯვა-უაების, გა-კირვების მაღუწყებელია! — წარმოს-თქვა ტაიამ და მთელი რიგი ფურც-ლებისა განზე გადააწყო, — მართლაც, ბიძია, ხედავ? ამ აღმასრულებელ ფურცლების მეტი ნაწილი სულ ბანძ-ლის სასარგებლოდ არის განკუთ-ვნილი.

— დიად, ბანძლიც სოციალურ სი-ღუბნის წარმონაშობია.. — მოკლედ მოსჭრა ვამეხმა.

ფარნა შემოვიდა. გადაშლილ ქა-ლალდებს რომ დახედა, შეეკითხა:

— რა ყოფილა, ბატონო?

პასუხი ტაიამ ღიმილით მოაგება:

— აი სულ შენი ბანძლიც მოვალეე-ბია აქ ჩამოთვლილ ფურცლებში

— უჰ, ჩემი ბანძლიც კი მანძი-ვინ არის, ბატონო?

— ეინა და... ნამკოლოუში ბოშინა ქვარცხავა...

— უი უბედური! ვიცნობ... ძალიან გაკირვებული გლახია.

— გურამშიაში გუძა ლომია.

— მაგასაც ვიცნობ, არც ეგ არის დიდი დაღბინებული.

— უშაფათში ოტიე წირღვავა...

— უი საწყალი! რა წვრილ-შვილის პატრონია!

— ბერთეშში უთუთია დავითაია.

— უიმე, უიმე! — ეს კი უკვე ფან-თამ შეიცხადა, — საწყალი! აგერ ორი კვირაა, რაც დავმარხეთ... რა უნდა ახ-ლა მაგ უხეირო ბანძლის მისი გაკირ-ვებული ცოლ-შვილისაგან?... რა უნდა აღუწეროს, როდესაც აღარაფერი გააჩ-ნიათ იმ უბედურებს?..

— იცით, ბატონო ვამეხ, რას შერე-ბა თურმე ეს „კვარჩხი“ \* კაცი ემალე-ბა თურმე...

— ვის ემალება? — გაიკვირვა ტა-ია.

— აი იმას, ვისაც მისი ვალი მარ-თებს.

— როგორ?

— ვთქვით ვალის გადახდის ვადა დღეს არის. სწორედ დღეს მოუტანა მოვალემ მისგან ნასესხი და უნდა გა-დაუხადოს, მაგრამ ბანძლი სახლში არ უხვდება არც დღეს, არც ხვალ, არც ერთ კვირეს... ასე რომ ვალს გადააკ-დევენებს მოვალეს და მერმე ახდევინებს, ნუესტოკაათ რაღაც ჯანდაბა,

\* „კვარჩხი“ უდრის უკულმართს, მაგ-რამ შინაარსობრივად უკულმართზე უარესია.

ერთი-ორად, ერთი-ოთხად და ასე ამ-რობს ტყავს ხალხს...

— უი, უი, დაიფაროს ღმერთმა ჩე-მი კაი და ნათესავი, ბანძლის ვალისა-გან... — კვლავ შეიცხადა თანთამ.

— უბრალო ცელქობა კია მანჩასა-გან, მე მგონი, ეს ამბავი, — ჩაილიმა ვაშეხმა.

თარნა და ტაია მიჩერდნენ.

— როგორ?

— როგორ და ამით ბევრი არაფერი გაკეთდება. მევახშეები თავიანთ საქ-მეებს ხელ-ახლა აღადგენენ და ახალ აღმასრულებელ ფურცლებს აილე-ბენ...

— ჰო, მაგრამ ცოტა ხნით ხომ მა-ინც დააბრკოლა ბანძლი და მისთანება მანჩამ... გული რომ მოიფხანა... — მო-ინდომა ტაიამ მანჩას გამართლება.

ვამეხი მაინც იღიმებოდა:

— გულის მოფხანა კი, მაგრამ ესეც შენგან წელან დაწუნებულ ტერორის-ტულ მოქმედებას ჰგავს... ამ გვარი საქციელით გაჭირვება არ მოისპობა, მევახშობა არ შეწყდება.

— ეგ ცხადია, ბიძაჩემო... ეგ ხომ უკვე მეც ვიცი, რომ სოციალური სი-დუხჭირე სულ სხვაგვარ უნდა აღმო-იფხვრას ძირიან-ფესვიანად... მაშინ ესეთი შედარებით წვრილმანი შევიწ-როებაც ხალხისა თავისთავად მოის-პობა.

— კი, ბატონო, კი, — ჩაერია ახლა ფარნაც მოსაუბრეებს, — მთელი ღამე სულ მაგაზე არ გველაპარაკებოდი?... მაგრამ აგერ, ბატონო ვამეხ! აქ ვექსი-ლებიც ყოფილა... ჰო და ვექსილები თუ მოისპო, მევახშე შემდეგ როგორ აღადგენს თავის საქმეს?... რამდენა-დაც ვიცი, ახლანდელის კანონით ფუ-ლის საქმეში მოწმეები არ მიიღებიან...

— მართალი ხარ, ფარნა, მხოლოდ მანდ არა მგონია ყველას ვექსილი იყოს...

— მაინცდამაინც მე შეგასრულებ მანჩას თავის განზრუნვას, მხოლოდ... ნაკუწ-ნაკუწ კი ვუკმეცემო აგერ ცეცხლს შეუწყობებო ვაჩიო სრუ ჰაგო-ბია? — და ქალღვლების მთელ ზროვას ცეცხლში შეუძახა, თან მაიყოლა:

— ეგრე დაიწვას და ნაცარ-ტუტად იქცეს ყოველივე, რაც უსამართლობით და თაღლითობით არის გაჩენილი ხალ-ხის შესაეიწროებლად...

ტაიას და ვამეხს ზარზარი აუტყ-დათ ფარნას ამგვარ პათოსიან ლაღა-ზე და მზიარულ ცეცხლს შეუერთდა ფანთას და გურის მზიარულებაც...

ბ ა ნ ი ც ა ლ ე ნ ი

VIII

ციბედულ!

იმ დროს, რომელზედაც ქვემოთ მინდა ვილაპარაკო, მე არ მახსოვს, რომლის სახით იყავ ჩემთან მოვლე-ნილი, ან — უფრო მართალი იქნება — შეიძლება გავიხსენო, მაგრამ არ არის საჭირო დასახელება.

არავის არაფერს არ მოუტანს.

მთავარი ჩემთვის მაინც ის არის, რომ ეს შენ იყავ მაშინ და განა სულ ერთი არ არის, თუ რა გერქვა იმ დროს?

ეს შენ იყავ და მე მოხიბლული ვი-ყავ, მოჯადოებული, მთვრალი მთე-ლის შენის არსებით.

ის იყო გამოვდიოდი ცხოვრების სარბიელზე.

და შეიძლება ეს იყო პირველი გაც-ნობა ჩემს მიერ მშვენიერი სქესის წარმომადგენლისა.

ეჰ, სიყმაწვილევ, სიჭაბუკევ დაუ-ვიწყარო? მაშინდელი თვით შეცდო-მებიც კი, მონაქცევზე, როგორ სასუკ-ვარად გეჩვენება კაცს!

როგორ თაბრუ გესხმის, არჩევან-ში არ შედიხარ და გგონია, რომ გა-ბედნიერდი!

თან ისიც გვონია, რომ შენისთანა ჩრეული არავინ არ არის, შენისთანა ვაყვაცი, შენისთანა სათნო, ღმობიერი და ადამიანისმოყვარული.

როს შენს შეტს სხვას არ განუცდია ზენაარი რალაც გრძნობები.

მეც ასე მიყვარდა. მეც ასე ვიყავ გატაცებული და გატაცებული კი არა — პირდაპირ ჩაფლული უზომო ნეტარებაში.

მხოლოდ ჩემი კერპი ხელოვნება იყო, თეატრალური გზით გამოვლინებული.

რადგან მეგონა, რომ ხელოვნება იყო ხალხის მხსნელი და მეც მის სამსახურად ვდებდი თავსა.

მამისძელი ციბედული კი ამის გზად-მყვანად, ამის უღლის გამწევედ მინდოდა მყოლოდა.

....

ირგელივ კი სულ სხვა ამბები ზღებოდა.

ხალხი ღელავდა, ხალხი ბობოქრობდა, მართალია, ჯერ კიდევ სუსტად და მხოლოდ აქ-იქ, მაგრამ დაკვირვებულებმა მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ ამ თითქოს ნელ ფრთონას ზვირთთა დიდი, მძვინვარე, უმძაფრესი ტალღათა ღელვა მოჰყვებოდა.

საქართველოშიც უკვე გაისმოდა სტუდენტების მიერ ჩამოტანილი რუსი პოეტის, იაზიკოვის სიმღერა:

Будет буря,  
Мы поспорим  
И поборемся мы сней.

აგრეც მოხდა.

მაგრამ გავყვეთ თბრობას.

-ი გ-

ბზობა გათენდა და დილის თერთმეტ საათზე ნექტარინას სასახლის კარის ეკლესიაზე ზარმა გაიწყვიტა. თედორე მღვდელი თავის მნათეს ხელით იწყებოდა წირვის დაწყებას.

მართალია სოფლის ეკლესიაზე თედორე ძალიან ადრე იწყებდა ეკლესიაზე მღვდელმოქმედებას, არადა, რომ მაინც-და მაინც არავის უცდიდა, რადგან ერთი რომ ეს „შტატის“ ეკლესია ძალზე შორს იყო სოფლიდან, — ერთ განმარტებულ მაღალ ბორცვზე წამოდგმული ხის შენობა-და მეორე ის, რომ მოსახლეობა არცთუ ისე ძლიერ ეტანებოდა წირვა-ლოცვას. აქ ხალხი უფრო დიდ დღესასწაულებზე თუ შეიკრიბებოდა და განსაკუთრებით ეკლესიის მიჩენილ დღეზე. ეს იყო ზაფხულის დასაწყისში, სულიწმინდის მოფენის დღე. ამ დღეს დღესასწაულობდა მთელი სოფელი და წირვაზეც ხალხით მიდიოდა და არამც თუ ადგილობრივ სოფლის მოსახლეობა, არამედ ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ სტუმრები და ნაწირვევს თავის ნათესაების თუ ნაცნობ-მეგობრების სახლებში გადარიგებულნი მთელი დღე ქეიფობდნენ. საღამო ხანს კი კვლავ ბრუნდებოდნენ ეკლესიის გარშემო და იქ მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ბურთაობდნენ, ჯირითობდნენ და სხვ.

უბრალო კვირა-უქმეებზე კი ეკლესიაში თითო-ორთა მლოცველი თუ იყო თედორესთან, ისიც ეკლესიასთან უახლოეს მცხოვრებთაგანი, ამიტომაც აქ მღვდელი ადრე დგებოდა წირვაზე და თერთმეტ საათზე წირვა გამოყვანილი ჰქონდა კიდევ.

კარის ეკლესიაზე კი ასე არ შეიძლებოდა. აქ სოფლის ხალხიც უფრო ბლომად იკრიბებოდა და გვირგვინებიც თავიანთი სტუმრებით აქ მოდიოდნენ. გვირგვინიანებისათვის კი თედორე მღვდელს უნდა დაეცადნა. განსაკუთრებით ცნ. ნექტარინასათვის. ნექტარინა კი გვიან დგებოდა საზოგადოდ, ნელა ირთებოდა და უბრალო

დღესაც კი მხოლოდ დილის თერთმეტი საათისათვის გამოდიოდა დარბაზში ჩაისა და დილის საუზმის მისაღებად. ეს, რასაკვირველია, იცოდა თედორე მღვდელმა და კარის ეკლესიაზე ყოველთვის ამას უფარდებდა წირვის დაწყებას.

ასე რომ არ მოქცეულიყო, მერე სად წაუვიდოდა ენ. ნექტარინას რისხვას. ენინას ხომ შეეძლო, რომ გაეგებინებინა, სადაც ჯერ არსდა ღრმ მღვდელს გადააყენებინებდა კიდევ. საზოგადოდ კი გვირგვინების სიამაყე კარგად იცოდა თედორემ. მას გავიწილი ჰქონდა, რომ ერთხელ ერთერთმა მათმა წინაპართაგანმა, როდესაც წირვას ვერ მიუსწრო, მღვდელს მეორეჯერ აწირვინა თურმე. ეს ხომ ეკლესიის წესით სრულიად შეუწყნარებელი ქმედობა იყო: ერთსავე და იმავე ეკლესიაში, ერთსავე და იმავე დღეს, ერთსავე და იმავე მღვდელს ეკლესიის წესით ორჯერ წირვის უფლება არ ჰქონდა. თუმცა ახლა ესე არ მოხდებოდა, მაგრამ მისთვის მაინც ასე გვიან წირვის დაწყება ვერ იყო სასურველი, რადგანაც ეკლესიური წესით წირვამდე მღვდელი უზმო უნდა იყოს, უნდა მარხულობდეს, მას მხოლოდ წირვის დამთავრების შემდეგ, წმინდა ზიარება-მიღებულს, შეუძლია პურადილოს. აქ კი ხუცესი ნამუდამადღევაიმდე ყუბკამოცალიერებელი უნდა ყოფილიყო. სოფელში, მართალია, დადიოდა ბოროტი ხმები, რომ მათი ხუცესიხსენებულ წესს არც თუ ძალიან ერთგულად იცავდა, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის.

ისე კი „მამაო თედორეს“, როგორც მას უფრო ხშირად ბარამ გვირგვინი იხსენიებდა, უყვარდა კარის ეკლესიაზე მღვდელ მოქმედება რადგანაც ეს საყდარი ბევრად უფრო კარგად მოწყობილი იყო, ვიდრე მისი „შტატის“ ეკლესია. ერთი რომ თვით

შენობა იყო გვირგვინების წინაპარის „დიდი ოტიეს“ აგებული, მაღალგუმბათიანი, ლურჯი ქვებით შენობი, რაიც შესაბამისად ეკლესიის ეშს იძლეოდა. ამბობდნენ, რომ ეს ლურჯი ქვაც ბერეთის სანახებში იზოვებო, შქაშო-თოკესთან, მაგრამ დიდი ხანია ამ ადგილს ბერეთის მოსახლეობა არ აქცევდა ყურადღებას და გამოტოვებული იყო.

უცხოელებმა და ვოლკოვმა კი, როდესაც მირველად წახეს ამ ქვით აგებული კარის ეკლესიის, გარეგან თითქოს მომცრო, მაგრამ კოხტა შენობა, დიდად გაიკვირვეს და მაღალი შეფასება მისცეს ქვის მასალას და სახურავსაც, რომელიც ნაცრისფერ ფიქლისაგან იყო დახურული. უკვირდით ისიც, რომ თუ ასეთი საუცხოო ქვის მასალა მოგვეტევით, რატომ ენ. ნექტარინას სახლიც ამისაგან არ არის აშენებულიო, მაგრამ როდესაც აუხსნეს, რომ საზოგადოდ სამეგრელოში, უთუოდ ნესტიანობის გამო, საცხოვრებელ სახლებს ქვისაგან არ აშენებენ, არამედ უფრო ხის სახლები დგასო, მიიღეს, მაგრამ სექპტიკურად მაინც თავები გაიქიწეს. იქვე მყოფმა ბარამმა კი გადაწყვიტა, რომ მომავალში მას ამ ლურჯი ქვისაგან აეგო თავის სახლი, რადგანაც მას შემდეგ, რაც თავის ძმებს გამოეყო, მხოლოდ ერთ პატარა, ორთვალთან ოდაში ცხოვრობდა და დაჭვრიების შემდეგ მაინც ვერაფრით ვერ დაუდვა გული კარგი და სრული სახლის აშენებას. აქამდე ვერც თანხა შეაგროვა იმდენი. ახლა კი რაკი იმედი მოეცა, რომ უცხოელებისაგან იჯარაში თავის წილადაც კარგ თანხას აიღებდა, გაიფიქრა, ბარემ საუკეთესო მასალისაგან ავიშენებ ქუთაისსაო.

მიგნითაც ეკლესია ეტყობოდა ოდესლაც მოხატული ყოფილა ანგელოზებით და წმიდანებით, მაგრამ ამ ქამად კი

ჩამოფხავებული და გამოხუნებული იყო: ზოგ წმიდანს ცალი ყბა ჰქონდა სრულად კვალგამქრალი ქამთავითარების გამო, ზოგ ანგლოზს ფრთები აღარ შერჩენოდა და ალაგ-ალაგ არ შიებად მოვლებული ყურძნის მტყენები თუ სხვა სამკაული, ზოგან ღამაზ მურღახილებად გამოყვანილი, აგრეთვე წაშლილიყო; მხოლოდ ერთ ადგილას გვირგვინიანების წინაპარის „დიდი ოტიეს“ სურათი იყო უფრო ცოცხლად შერჩენილი და აგრეთვე კანკელი იყო „ვადაბდლიალებული“, მხოლოდ სრულიად არ შეეხამებოდა კედლებზე შერჩენილ ძველ ფრესკებს. ეს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლების, ტრაფარეტული, რუსული კანკელი იყო. ერთ დროს ეს კანკელიც ბარონესამ გამოუგზავნა გვირგვინიანებს მათი საგვარეულო საყდრის შესამკობლად. აქ ქრისტე ქერა იყო, ღვთისმშობელიც თეთრი სახისა და წმიდა გიორგიც და მიქელ-შთავარანგელოზიც ღამაზები იყვნენ, კარვად მოყვანილი ვაჟაკები, მაგრამ რუსულ პაჭუცხვირის მაინც ატარებდნენ. იქვე კუთხეში კი ჰედილი ზღვთისმშობლის ხატი იყო დაკიდებული და აქ ღვთისმშობელი შავგვრემან სახის ქალად იყო დახატული, მტკად მწყაზარი სახისა და უფრო ქართულ ქალს მოგავგონებდათ. ასე, რომ ერთხელ როგორც ბარამმა ჰკითხა ვამებს: ეს როგორ არის, ღვთისმშობელი შავგვრემანიც ყოფილა და ქერაცაო, ქრისტეც აგრე. რატომ ხატავენ ესე სხვადასხვანაირად, ვამებმა მიუგო: ყოველ ხალხს თავის წარმოდგენა აქვს და ყველა ხალხი თავის მსგავსად ხატავს წმიდანებს, ეს არის ნაციონალური იერის გამოვლინება“.

მაგრამ თედორე-მღვდელს უფრო ის მოსწონდა, რომ აქ სამოსელიც თავისი ჰქონდა ეკლესიას: საღვთისაწაულოც და სამგლოვიაროც. განსაკუთრებით

ერთი ფილონი, თავის ღლაკით და სხელებით, ვერცხლიანად ფარჩისა, ზედ ზურგზე ვერცხლეს. ფერისავე ბრტყელი, მუყაოს ვერცხლიანად დაკრული. მშვენიერი იყო და თედორე მღვდლის სახიერ პირისახის მოყვანილობას ღიდად ამკობდა.

მერე ვისი შეკერილი იყო? — თვით კნ. ნექტარინას ხელით.

ახლა „გარდამოხსნა“, მიცვალებულ ქრისტეს გვაში რომ არის ვერცხლისავე სირმით ამოქარგული და მუდამ ტრაპეზს რომ აფარია. მხოლოდ წითელ პარასკევს რომ გამოასვენებენ საკურთხეველიდან და აღდგომის დღემდე შუაგულ ტაძარში რომ ასვენია მლოცველების სამთხვევად. ეს ძველისძველი სამკაულია გვირგვინიანების ეკლესიისა.

მაგრამ ეგერ ბარძიმ-ფეშხუმი, ოქროთი ნაჭედი, ესეც ძველი საგვარეულო, რა ძვირფასია და მშვენიერი. მათი დაფარნები, ესეც საუცხოო ოქრომკერდით ნაქარგი? ახლა თვითონ წიგნები? ჟამნი, დავითნი კურთხევანი, საწინასწარმეტყველოები, ეგეც ძველი დროისა ოდესღაც მოსკოვში დაბეჭდილი, საქართველოს მეფის არჩილის მიერ დათბილისში დასტამბული ვახტანგ VI მიერ XVIII საუკუნეში, ანდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ნაცრისფერ კანიანი, კარვა მოსქო წიგნი, ეს ახალი დროის გამოცემა, მაგრამ როგორ უყვარს ხალხს იქ მოთავსებულ ქადაგებათა, მოსმენა, მხოლოდ მშვენება და ჯავარი მანც ამ ეკლესიისა სახარებაა, ყვითელ, ეტრატის ფართო ფურცლებზე რომ არის მსხვილდათითქმის უქარავმო ხუცურით დაწერილი. ოო, ქარაგმები არ უყვარს თედორე-მღვდელს, განსაკუთრებით საქმეს უპირებს საწინასწარმეტყველოები, იქ თითქმის სულ მოქარავმულია მთელი წიგნი და ხშირად ვერ არკვევს რომელი სიტყვა

მალეა ქარავმაში, ამიტომ ზშირად გადატება და რალსაც ჩაიბუტბუტებს—ვინ გაუგებს კენინა თითო ლეთის მოსაეია, მაგრამ უფრო გარეგნულად, სასულიერო წიგნებისა არ გაუგება—რა. ეს იცის თედორემ, იცის!

შხოლოდ ერთხელ იყო ნექტარინამ შენიშენა მისცა ხუცესს. მაგრამ ეს ხომ თედორე არ იყო. თედორეს მაგიერ ერთხელ კარის ეკლესიაზე სწირა ერთმა ახალგაზრდა, სემინარიადსარულე-ბულმა მღვდელმა სლავიანურად. ნაწირვებს ნექტარინამ თურმე ასე მოუ-რიდებლად მიმართა:

— ხუცესო! ეს დღეს ეკლესიაში რუსულად რომ გვიპარუსკე, რისი მომასწავებელი იყო, ვისთვის გინდოდა? ვის გააგებინე? რად დავგიკარგე დღეს ქრისტეს წმინდა სიტყვები, მანუგაშე-ბელი და სასოების ჩამწერავი?—ესეც ახსოვს თედორეს, მაგრამ ეს სულ სხვა შენიშენაა. ისე კი ნექტარინას ამეების ბეგრი არაფერი გაუგება...

სხვა ვინ? ბარამ და ბეგი? მათ მშვენიერი გალობა იციან, დიდ დღესასწაულებში ეხმარებიან კიდეც აქ თავიანო ეკლესიაში წირვაზე. ზოგი „სმლის პირებიც“ კი იციან და „ღირს არს ქეშმარიტო“ მათგან შეტად კარგი მოსაქმენია, დღეს უთუოდ დაეხმარებიან, მაგრამ სამღვთო წერილისა არც იმით გაეგებათ რამე. ვამეხი? შეიძლება ესმოდეს, მაგრამ ეკლესიაში იშვიათად დაიარება. გლეზობამ კი ამისი სულ არაფერი იცის. ის კი არა, ქართულიც ძლიეს ესმით და შეიძლება ესეც იყოს მიზეზი, რომ მეგრელი გლეხი ეკლესიას არ ეტანება, ამიტომაც მამა თედორე ქარავმიან წიგნებს ყოველთვის ბუტბუტით ჩაიკითხავს ხოლმე. სახარება კი სულ სხვაა და გამსაკუთრებით გვირგვლიანების სახარება. ესენი ამბობენ, რომ ეს სახარება მეცხრე საუკუნის არისო. ვინ იცის? თედორეს უზარია, რომ გასაგე-

ბად დაწერილი სამღვთო წერილი უქარავს ხელში და თამამად შეუბრუნოს საკითხავი ესე განალაგოს კითხვის დროს, რომ როცა საჭიროა ჩემს დედასაგელოს, როცა საჭიროა ხმას აუკიდოს და რაკ რაკით ჩაათავოს... მარტო ერთი მისი ხელში დაკავება ღირს რათმე. როგორი თქროთი მოჭედელი ყდა აქვს და ზედ ამ ნაჭედში როგორის ამობურცულობით არის გამოყვანილი ოთხი მახარებლის სახე? არა! ამისთანა შემკული საყდარი ამ არემარეში არ მოიბოება, თუ არ ეიანგარიშებთ დადიანების კარის ეკლესიას ზუგდიდში და მარტვილის, ზობისა და წალენჯიხის განთქმულ მონასტრებს.

დღესაც ამ ფიქრებით იყო მოცული „მამაო თედორე“, როდესაც საკურთხეველში იმოსებოდა საწირველად, მაგრამ კიდეც უფრო გაიხარა, როდესაც შეატყობინეს, დღესეც ნაწირვეს, ამავე ეკლესიაში ნათლობა უნდა მოხდეს და ნათლიად ლევარსი კვიზინია არის მობატყებულო.

წუხელის თევზობის დროს ლევარსი დაპირებოდა ერთ გლეხს — შეილს მოგინათლო და, რაკი ის დღეს ნასადილევს უნდა გავიდეს ბერთემიდან, უცხოელებს უნდა გაპყვეს ფალავების მამულის სანახავად, სოფელ ნახუნუუს, რადგან იქ მარგანეცის, შავი ქვის ბუდობი ყოფილა, ამიტომ დღესეც მოისურვა, ბავშვის მონათლა და ისიც ეკლესიაში, რადგან არ უნდოდა გლეხი ხარჯში შეეყენა ოჯახში მასპინძლობის გამართვით.

ლევარსი შკვიანი კაცია და კარგად მოქცეულა. თედორესათვისაც გასახარელი ის არის, რომ ამ ნათლობით მასაც მოელის სოფლის მღვდლისათვის საგარძობელი გასამრჯელო.

ხალხი უკვე შეგროვდა.

ავერ მობრძანდნენ მებატონეებიც

კნ. ნექტარინას მეთაურობით და ნექტარინა რიკულებით გადაყოფილ ტაძრის საქალებოში დადგა, გვერდით ბარონესა ამოიყენა და წინ კიდევ ქაღალეები გაამწკრივა: დაგმარა, ბარონესკაია და თოლისქვეში. ვაეები კისაქალებოს წინ დადგნენ, მხოლოდ ახლასტუმრებს მიმატებოდა ბანძიდან ნახუნუს გასაყიდად ჩამოსული ფაღავები და ესენიც მარჯვენა მხრით დადგნენ ქრისტეს ხატის წინ უცხოელებთან და ვოლკოვთან ერთად, რომელთა ცოტა უკან ლევარსი მოათავსდა. ბარამი და ბეგი კი სადავითნესკენ წავიდნენ და თან გვერდში ამოიყენეს გუტატის ძმა, ბათუ, როგორც მათთან შეხრდილი კარგი მგალობელი და მომღერალი. გლეხობა კი დადგა მარცხნით, მაგრამ ყველა მაინც შიგნით ტაძარში არ შესულა და ეკლესიის განის კედლებთან ჩამომწკრივდნენ, თითქოს იმსახათვის, რომ მოვალეობის გამო იყვნენ მოსულნი, თორემ წირვა-ლოცვა და ხუცესის ბუტბუტი მათ სულსა და გულს ბევრს არაფერს ეუბნებოდა.

მაგრამ აგერ გაისმა იმერულ კილოზე აწყობილი საეკლესიო საგალობლები, თითქოს ცოტა ჩქარის ტემპით წაყვანილი, მაგრამ შივ მაინც ადამიანის საზეიმო ხმებით მოქარგული, თითქოს განცვიფრებულა მითწვდომელის სიმალლით და მის საქებრად თხზავს გულში ჩამწვდომ ბგერათა ხვეულს, ხმებიისაგან წნავს ხელთ დაუქერელ გვირგვინს ზენაარის კვარცხლბეკის შესამკობლად; ზოგჯერ კი იყო ამ ხმებში ვედრებითი კილოცაა ჩაყოლებული, თითქოს ვიღაც უმალღესის გულის მოსალობად, მაგრამ საერთო მთელი აღნაგობა ღაღადისისა იყო დამოუციდებელი, ამაყი და ლაღი. ზოგჯერ ძალიან წაემგვანებოდა საერთო სიმღერებს მათი კრიმანჭული, მაგრამ მაინც იგრძნობდით, რომ აქ ამქვეყნიურ საყოფა-

ცხოვრებო საგნებს არ იმსახურებდა საგალობლები, ამისაგან განრიღებული იყო, აქ უფრო ზეამწვენიერად და ცული და მის მსმენელს მსახურად, თუ როგორიღაც ნუგეშისმცემლად ევლინებოდა, მეორეს მხრივ, თითქოს ამხნეებდა, უკეთესი მომავლის იმედს უნერგავდა.

როგორც ყველა ეკლესიას საერთოდ ქართულ ეკლესიასაც ახლდა ეს ბანგი—ოსტატურად შეთხზული საგალობლები, რომ მლოცველს დაეიწყებოდა ამქვეყნიური გაქირვება და ტანჯვა-წვალება და იმედი ჰქონოდა საიქიოს ცხონებისა, ესე-იგი განცხრომითი ცხოვრებისა.

ბარამის, ბეგისა და ბათუს ხმა-შეწყობილი გალობა ასეთ ხელთდაუქერელ სამომავლო ბედნიერებას უქადაღა წირვაზე მყოფთ და რამდენად მშვენიერი იყო მათი მალაზხარისხოვანი შესრულება საგალობლებისა, იმდენად უფრო იზიბლებოდნენ თვით ჯიუტი გლეხებიც და არამცთუ ტაძარში-მყოფნი, არამედ ტაძრის გარეთაც მდგარნი, გულდასმით ისმენდნენ მგალობელთა მწყობრ საგალობლებს.

ამაზე იყო, რომ თედორე-მღვდელი იტყოდა ხოლმე: „გვირგვილიანებისთანა მგალობლები რომ მყაედეს მუდამ, მაშინ მთელს სამეგრელოში ჩემისთანა მლოცველი მრევლი არავის არ ეყოლება“.

უცხოელები განცვიფრებით ისმენდნენ მათთვის უცხო ხმებს და ვინ იცის, რას ფიქრობდნენ, მაგრამ არაფერი დაუმჩნევიათ და მთელი წირვის განმავლობაში განკრძალვით იდგნენ, მხოლოდ, როდესაც შუაწირვის დარეკეს და მღვდელმა ამბიონზე ბარძიმ-ფეშხუმი გამოიტანა, წესისამებრ მოიხსენია ჯერ რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი თავის უავუსტროვის ოჯახით, შემდეგ სინოდი, საქართველოს ექსარხოსი,



გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავარი და ბოლოს მიაყოლა კნ. ნექტარინა, ბარამ, ბეგი გვირგვინიანები, (ვამეხი კი არ დაუსახელებია), ყველა გვირგვინიანთა შთამომავალი, მათი ძენი და ასულნი, — უცხოელებმა ყური ცქვიტეს და ნექტარინასკენ მიიხედუს. ნექტარინა დაჩოქილი იყო და სასოებით პირჯვარს იწერდა. უცხოელებმა ზს მოვლენა ჩუმად ერთიმეორეს იმით აუხსნეს, რომ მათი კარის ეკლესია არის და მღვდელიც მათ სასიამოვნოდ აღავლენს მათთვის ლოცვასაო. ვოლკოვი აქამდინაც ძლივს იდგა ეკლესიაში, ახლა კი საბოლოოდ გავიდა ტაძრიდან. მას ორიოდ სტუმარი ფალავაც გაჰყვა, უთუოდ მის პატრონსაცემად, რომ საპატრიო კაცს ტაძრისგარეთ არ მოწყენოდა. ვოლკოვმაც ეტყობა შეიფერა ეს პატივისცემა, გამოელაპარაკა, კითხა, თუ რამდენზე შორს იყო მათი დასათვალიერებელი მამული, აქამდე გამოკვლეული იყო თუ არა შავიქვის საბადოები და სხვა ამ გვარი, თან თავის ვერცხლის პორტსიგარიდან პაპიროსით გაუმასპინძლდა მოსაუბრეებს.

ამასობაში წირვაც გამოვიდა და თედორე-მღვდელი ჯვარით ხელში იდგა ამბიონზე და ხალხს ლოცავდა. ხალხიც მიდიოდა, ჯვარს ემთხვეოდა და ხელზე ეამბორებოდა, მხოლოდ პირველად მაინც ყველამ ნექტარინა გაუშვა, ამას მიჰყვა ბარონესა, დაგმარა, და თოლისკვამი. ბარონოსკაია ადგილიდან არ დაძრულა. უცხოელებმა მხოლოდ შორიდან მოიხარეს თავი ჯვარისა და მღვდლის წინაშე და გავიდნენ ტაძრიდან. სწორედ იმავე დროს ჯვარზე უმთხვევლად ბეგიც გავიდა განის კარიდან.

ამის შემდეგ იყო, გლეხობა რომ დაიძრა ჯვრისაკენ, მხოლოდ, როდესაც ყველა ვალავდა, ეკლესიაში მარტო ამბიონზე მღვდომი, შემოსილი, ჯვრით

ხელში თედორე-მღვდელი იდგა და სადავითნესთან მნათე, მედავითნე, ბათუ და ბარამი. თედორემ მანამს შეხედა — თითქოს რატომ არ მოდიხარ სამთხვევადო და ბარამიც მორჩილად მივიდა, ჯვარს ემთხვია, მხოლოდ როდესაც მღვდლისათვის ხელზე უნდა ეამბორა, ცოტა შეუდგა, შეინარე თვალებით შეხედა თედორეს და ღიმილით უთხრა: — ხომ იცი, მამაო თედორე, შენ ხელზე არ გაკოცებ... უკაცრავად... არ გემთხვევი... უი, შენი მადლი გამიწყურეს, შენი!... ვახსოვს, ჯერ კიდევ მღვდელი არ იყავ...

— ფხუუ! — წამოცდა მედავითნეს, რომელსაც სოფელში დიაკვანს ეძახოდნენ. აბა, იმან კი იცოდა თავის ხუცესის ძადალ - დასავალი. დიაკვნებმა ხალხი ტყუილა კი არ ეძახდა „ქრისტეს ფეხის მკამელს“.

თედორეს ბარამის სიტყვებზე სიცილისაგან თვითონაც გაებერა ლოყები, მაგრამ „დიაკვანს“ ერთი მკაცრად გადახედა. ბარამს კი მხოლოდ ეს მოუხერხა.


— უჰ, წყეული, წყეული! — თუმცა ეს გულითადი წყევლა არ იყო, მხოლოდ მაინც შენიშნა: — რად მეუბნები მაგას, შე ბილწო კაცო, შენი! — და სწრაფად მიბრუნდა საკურთხევისაკენ.

ტაძრიდან გამოსულ ნექტარინას მაშინვე ხალხი შემოესია. ჯერ სტუმარი ფალავები მოვიდნენ და ხელზე კოცნით მოესალმნენ, შემდეგ იმ სოფლის დედაკაცები, მამაკაცი გლეხები კი შორი-ახლო დაბლა თავს უკრავდნენ.

ნექტარინა თითოიწროლა სიტყვით სოფლის დედაკაცებს გამოესაუბრა, ფალავები მოიკითხა და როდესაც დაინახა, რომ საყდარში ემბაზი შეჰქონდათ, დაუძახა:

— ოო, ლევარსი, აბა ახლა შენი რივიც მე ბოღიშს ვიხდი, ნათლობაზე ვერ დაგეწმინდებოდა შენ ღიღბანს არ

1933/1934  
1935



გვაუღვეინო... ხომ იცი ფაღავეები ჩქარა მომენ.

თანხმობის ნიშნად ფაღავებმაც და ლევარსიმაც თავი დახარეს. ნეტარინა გაემართა სასახლისაკენ და მათ მიპყვა ყველა წვეულს.

ერთი უცხოელი ბარონესას ჯგუფში ლაპარაკობდა.

— მაინცდამაინც რელიგიას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხში. ჯერ ერთი, რომ რილასიკ რწმენა გაქვს და... ეს კარგია. მეორე კიდევ მღვდელმთქმელების დროს, თუ შეიძლება ესე ითქვას, დისციპლინაში დგები კაცი, მოკრძალებითა ხარ, განმარტოებული, თითქმის ერთი საათი, ზოგჯერ მეტიც და ეს გარემოება კი თავის თავში ჩაგახედებს. ეს უკვე განსაწმენდელია...

— თქვენ კათოლიკე ხართ? — შეეკითხა ბარანოვსკაია.

— რჯულით გახლავართ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ორტოდოქსი ვიყო...

— მე კი ასე მგონია, — თავისებური სიციხვლით დაიწყო ბარანოვსკაიამ, — რელიგია ეს ჩემი სინდისის საქმეა. თავის დღეში მე ზუცებისაგან, სასულიერო წოდების ადამიანებისაგან, არავითარი ისეთი ჭეშმარიტება არ გამოვიდა — მანამდე ჩემს სინდისს არ ეკარანხებინოს... იმათ სხვა ენა აქვთ და მე სხვა, მაგრამ ასე მგონია, რომ ჩვენ ერთსა და იმასვე ვგულისხმობთ. მაგალითად, რასაც მე ვამსა და დროს ვეძახი, მას შარადიულობას უწოდებენ; ზეცაზე როცა ლაპარაკობენ, დედამიწის აღწერა გამოდის; ის არსებანი კი, რომელთაც ლეთაებრივს ეძახიან, ყველანი ადამიანურ თვისებებს ატარებენ... და ასეთი ტყუილებით თავს გვიბრუებენ...

ამ სიტყვებზე ბარონესამ მეგობრული საყვედურით გადახედა ბარანოვსკაიას, მაგრამ ის არ შეჩერებულა:

— დროა აღდგეთ ამ სიცრუის წი-

ნალმდეგ. მას უმრავლესობისთვის კირისა და ვაების მეტი არა მოეცეს... რა...

— ოო, მარინა, მარინა! შენ ჯერ მოუსწორებელი ათეისტო... მოეხსნა... — და ალერსით ხელი მოხვია ბარონესამ.

— მე კი არ მომეწონა მათი გალობა! — ზურგს უკან უცებ წამოიძაბა ვოლკოვმა. — როგორ კატებივით ჩხაოტნენ... ტურები ხომ არ არიან?

ბარანოვსკაია გაუსტლტა ბარონესას

— თქვენ რა ბატონო ვოლკოვო, კიდევ დაიწყეთ? — და თვალები შეანათა.

— არა... გავიხსენე ჩვენებური, სლავიანური საეკლესიო ხმები და...

— მართალია! რუსული გალობა განთქმულია!

— ჰო, — რუსულიც და იმ თუნდა კათოლიკების ორგანი აიღეთ... არა, ბატონო ჩემო? — ეს ვოლკოვი შეეკითხა უცხოელს. უცხოელმა ჯერ ყოყმანით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ესე დაუდასტურა:

— არა... ჰო... მაგრამ, წარმოიდგინეთ, მე ამათ გალობაში, რომელიც პირველ ზანად ძალიან ეხამუშა ჩემს ყურებს, რაღაც მაღალი, საზენაო დაკინაზე მაინც. არა, მაგათ სამღვთო საგნებზეც ეტყობა, რომ თავისი ენა და გამოთქმა აქვთ.

— თქვენ რა აზრისა ხართ? — შეეკითხა ვოლკოვი ახლა მეორე თითქმის მუდამ მღუმარე უცხოელს, როდესაც ესენიც კიბეს აუყვენენ.

მან კი მოკლედ მოუტრა:

— გამიგონია ფსალმუნშია ნათქვამი: „ყოველი სული აქებდეთ უფალსაო“. — და უეცრად დადუმდა, მხოლოდ ვოლკოვს ისე შემოესმა, რომ ამ სიტყვების შემდეგ მან მზაკერულად ჩაიჭირქილა კიდევ.

როდესაც დარბაზში შევიდნენ, იქ უკვე სადილობამდე კარგა ხანი იყო ჯერ კიდევ, მაგრამ სუფრა მაინც გა-

შალნათ, რადგან ფაღვები და უცხოელები წასვლას იჩქაროდნენ.

ნექტარინამ წამსვლელები სუფრას მოუსხა და თვითონაც ჩვეულებისამებრ სუფრის თავში დედოფალივით დაბრძანდა. სხვა ქალები კი ოთახებში გაიკრიბნენ, რადგან მათი იქ ყოფნით არ უნდოდათ სახელდახელო საუზმე გაეხანგრძლივებინათ. სუფრას გუტატი და შინა-მოსამსახურეები დატრიალებდნენ მხოლოდ.

სუფრა უხვი იყო თევზეულითა და სამარხო სხვადასხვა გვარის ფხალეულით: ახლად შემოსული, ქორთა კინიქარი ნივთებით შეკაზმული, მოლოქი, ჯიჯილაყა, ჩიტისთავა, ისპანახი, კარხალი, ესენიც როგორიღაც საკმაოთ გაგემრიელებული. ზოგი ყვითელი კოჭით და ზოგიც უცხო სუნელით შეზავებული. თან წნილები; მთელი ზვინი ფონიანი პრასისა, ნიახურის ძირებნისა, კვერთხი კომბოსტოს, პირის გასაღიზიანებლად შემზადებული და პილილით ამწვანებული. ლობიო ხომ სულ სხვადასხვა გვარი: ძამა, ტურქული, წერილი წითელი, ზოგი კირკაჯად გაკეთებული ძმრითა და ხახვით, ზოგი ამოლუსილი, ზოგი დაგუფთავებული და ყველა ამათი მშვენება თავის პარკით მარიალ-წყალში მოხარშული მსხვილ-კაკლავანი ცერცივი.

ბოლოს კი ტკბილეულის ნაცვლად, ჯანჯუხის ჩხირები და ტკბილიკვერი, თან ბურთულები თავლში მოხელილ ფეტვის ცომისა, „ქუმუს“, რომ უწოდებენ... ნექტარინამ ბოდში შიობადა კიდეც უფრო უცხოელებთან, რომ დღეს სახსნილო ვერ მოგართვითო, მაგრამ განუძმარტა, რომ უკვე ვნების კვირე იწყება და ამ კვირეში კი ჩვენში თითქმის ურწმუნოებიც კი მარხულობენო.

მოლაპარაკე უცხოელმა თავაზიანო-

ბით უქო სუფრა და თავისი აღტაცება გამოსთქვა უცნაური საქმელების გამო. ამასობაში „მამარხელები“ და ლევარსიც შემოტყუდნენ სუფრას. გუტატიმ კი, ფეხზე მდგომმა, აიღო პატარა ყანწი და უცხო სტუმრები და ფაღვებიც დალოცა და უსურვა, რომ მათი საქმე — ორთაგმზარის საკეთილდღეოდ დამთავრებულიყო.

გუტატიმ იცოდა მოკახრავებულ სადღეგრძელოების დაღვეა და იმ არემარეში უქებდნენ კიდეც თამალობას, მაგრამ აქ კი, ამ სუფრაზე თავისებურად ფრთები არ გაუშლია და, მართალია, მასპინძლად გრძობდა თავს, მაგრამ საუზმეზე არც კი დამჯღღარა და ისევ თავზემდგომ მოურავის როლში დარჩა. მხოლოდ რაკი ეს სახელდახელო პურადღება იყო, გუტატიმ იცოდა, რომ არც ბარამი და არც ბეგი ამ ეამად თამადად არ დადგებოდნენ, სტუმრები კი უთუოდ ვისმე მასპინძელთაგანს უნდა დაელოცნა, ამიტომ მოურავისათვის უპირიანი იყო ამის თაოსნობა და იმიტომ აიღო კიდეც ყანწი. ყანწი კი სიჩქარისთვის იყო საჭირო, რადგან სტუმრები ეშურებოდნენ და ამით უნდა მოთავებულყო სმის ხანგრძლივობა.

უცხოელებს კი ყანწი არ გაკვირვებიათ, რადგან ნექტარინასას სადილ-ვახშმებზე შეეჩვივნენ მის დანახვას. ის კი არა ერთხელ თვითონ ენ. ნექტარინამაც დალია ყანწით და ერთ-ერთ უცხოელს გადაულოცა. ბევრი უარის შემდეგ უცხოელმა მაინც აიღო, დალია და შემდეგ მეორე უცხოელსაც და ვოლკოვსაც დააღვეინეს, თუმცა ვოლკოვის გარდა მეორეჯერ ყანწით ღვინის მიღება სტუმრებმა განირიდეს. ვოლკოვი კი აპყვა გვირგვლიანებს და კარგად შეზარხოშდა კიდეც.

ახლა კი, საუზმეზე ყველამ უარი სთქვა ყანწზე და გუტატიმ ამის გამო

ფლავების უფროს წარმომადგენელს, გუჯა ფლავას, გადაულოცა. გუჯამ ევტიხის გადასცა, ევტიხიმ—ლევარსის და ამ გვარად ყანწმა ერთი ჩამოვლა მაინც ჩამოუარა უცხოელთა გარდა სუფრაზე მსხდომ სხვა მამაკაცებს. ბოლოს ისევ გუჯა წამოდგა და ამანაც ყანწით ნექტარინა და სხვა გვირგვილიანები დალოცა, თან მოიბოდიშა, რომ წასვლა ეჩქარებოდათ. ამაზე გუტატი შეესიტყვა— „ასე რომ არ იყოთ საქმე, ძვირფას სტუმრებს კნ. ნექტარინა ასე ახირებულად არ გაგმწეებდათო“, რაზედაც კნენამ მადლობით გადახედა გუტატის, თითქოს ამით დაუდასტურა— „რაც საქირო იყო, სწორედ ისა სთქვიო“, მაგრამ არაფერი კი არ უთქვამს. სტუმრები წამოიშალნენ და მასპინძლებს გამოემშვიდობნენ. მასპინძლებმა სტუმრები გააცილეს. ბარამ, ბეგი და გუტატი ეზოშიაც ჩაყვნენ. ნექტარინა მხოლოდ აივანზე გამოჰყვა.

ეზოში მათთვის ცხენები დამზადებული იყო.

ევტიხიც მიეჩქარებოდა სენაკისაკენ და გამოთხოვებისას ნექტარინამ ასე დაარია:

— შენ, ჩემო შვილო, ვიცი, რომ კარგი კაცი ხარ და არავის შეწუხება არ ვიყვარს...

— რას ბრძანებთ, კნენა-ბატონო!

— არა, ვიცი, მაგრამ სამსახური გიბრძანებს და რას იზამ! მხოლოდ, თუ კი ოდესმე დაგჭირდეს ვალის გადახდევინებისათვის ჩემთან მოსვლა, წინდაწინ შემატყობინე და შევარდენივით ნუ დამეცემი თავზე... — თან ღმობიერად გაუღიმა.

ევტიხი კინალამ გაწითლდა.

ოჰ, ბატონო შევარდენი კი არა....

— არა! ასე ითქმის, თუმცა ვალი მაინცდამაინც არ მიყვარს და სასულოდ არავის არ გაუხტი ზოლმე საქმეს.... იმ

უხეირო ბანძიმ შემაწუხა ცოტა, მაგრამ ის ვის არ აწუხებს...

— დიღ, კნენა, ცოტა მოუსვენარი კაცია....

— ჰო და ასე, ჩემო შვილო. გახსოვდეს წინდაწინ გამაგებინე უთუოდ...

— თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ და ჩემს მეტი შემწუხებელი არავინ მოგსელოდეთ, კნენა!

— ჰო ჰო! — და კნენამ ხელი გაუწოდა გამოსათხოვრად.

ევტიხიმ კიბე ჩაირბინა.

ნექტარინა კი ახლა თედორეს მიუბრუნდა:

— აბა, თედორე, ახლა შენ იცი. ხვალთან საზიაროდ უნდა მოგვამზადო ხალხი.

— კარგი, ბატონო, მაგრამ თქვენს ეკლესიაში მიცვალებული რომ ესვენება?

— ვინ მიცვალებული?

— ვამეხმა მიბრძანა, რომ საწყალი იოსე დასაფლავებამდე აქ, თქვენს ეკლესიაში, დაევსენო.... დიდ ხუთშაბათს მარხავს.

ნექტარინა ჩაფიქრდა. შემდეგ წარმოსთქვა:

— ძალიან კარგი უნებებია. საცოდავის ოჯახსაც ააცდენს ამ კვირაში ზედმეტ ხარჯს.... მაგრამ დიდი ხუთშაბათი კი მაინც შორია.... მეც მიყვარდა საწყალი იოსე... სამშაბათს დამარხოს... რა? გუშინ არ დაიღრჩო საცოდავი? სამშაბათს კანონიერი სამი დღეც გასული იქნება... ჩვენ კი ზიარება დიდ ხუთშაბათს მიგვადებინე.. — ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ ეზოში ერთი შავადმემოსილი ქალი შემოვიდა პატარა ვაჟის თანხლებით და მიმავალ სტუმრებს შეერია.— უიმე ეს კესარია არ არის? წყეული ჩემი მული? ბარამის და ბევის და, ბეჩა!

თედორემაც დაუდასტურა, რომ ის არისო.

(გაგრძელება იქნება).

## ლექსები საქართველოზე

★

### მართველი ქალი

ვით ქანდაკება, კვლევცი, ტურფა,  
 ეკლესიიდან გამოდის იგი.  
 თამაში, ლალი და მომღიმიარი,  
 ეკლესიიდან გამოდის იგი.  
 როგორც ფადიშაჰ, ფარჩით მოსილი,  
 ეკლესიიდან გამოდის იგი.  
 ვით მზე ნათელი, ახდელი სახით  
 ეკლესიიდან გამოდის იგი.  
 სხივებით ჰმოსავს ქვეყანას, ოდეს  
 ეკლესიიდან გამოდის იგი.

გადავარცხნილი იმისი თმები  
 სურნელს აფრქვევენ, ვითარცა ია.  
 ზეაწეული თავი და სახე  
 არის უჩადრო, სრულიად ლია.  
 უმზირე! რა სჯობს იმისი ყელის,  
 მისი ნარნარი ტანის ფურებას?!  
 დნერთო, მიხსენი! თვალწარბნი მოსნი  
 მოასწავებენ უბედურებას!  
 მარწმუნოების აღმოსაფხვრულად  
 ეკლესიიდან გამოდის იგი!

როცა ნელინელ გამოცურდება  
 გაესილი მთვარის მავგარი პირი,  
 გააშუქებენ ქვეყნიერებას  
 მისი სხივების ტალღები ხშირი.  
 ვინცა' მას თუნდაც ერთხელ იხილავს,  
 ლოცვა ღვთის მიმართ აღარ სწყურია.  
 როგორც სამოთხის კარით გამოდის  
 ფარეთ პილმანი ანუ ჰურია,  
 ისე, ასული ქრისტიანისა,  
 ეკლესიიდან გამოდის იგი.

მის თეთრ სხეულსა სამოსი ჰფარავს,  
ვითა ფურცელი, ნაზი და თხელი.

ვერ გამოვია, ცუცხლია ეს, თუ  
იასამანით მოცული ველი?

მისი კბილები ჰგვანან სადაფსა,  
ბაგეა—როგორც იემნის ლალი.

თუ მშვილდისებურს წარბებმა მისას  
ერთხელაც ვინმემ შეავლო თვალი,  
დასთმობს მიზივითს, ნაცვლად დაიწყებს  
ეკლესიაში სიარულს იგი.

და მე, ვაგიფი, რომელიც ვაგხდი  
მისთა უტურფეს წარბთა მნახველი,  
მეჭრაბ-მინბარის მიმართ რწმენისა  
ველში როდილა ვარ შემნახველი.

თუ რა შეემთხვა შეიხ-სანანსა<sup>1</sup>,  
აწ შესაძლოა ამის ვაგება.

ან ეს თბილისი ჩემი მდულარე  
ცრემლების ღვართი დაიდაგება,

ან პაემანზე ჩემთან უთუოდ  
ეკლესიიდან გამოვა იგი!



### ლეონ ბატონიშვილი<sup>2</sup>

დიდი ბატონის<sup>3</sup> თვალთა სინათლე —

რა მშვენიერი ჭაბუკი არი!

ადგას კეთილი ჩრდილი იმისი

მთელ საქართველოს, ვითარცა ფარი.

ბრწყინვალე სარდალს, მრავალგზის იმას

უმესრავს მტერთა ურიცხვი ჯარი.

მას, ლეონ-ხანსა, მსოფლიოს წიგნში

დათმობილი აქვს პირველი ბჭარი<sup>4</sup>.

აკურთხოს იგი ალაჰის მადლმა, —

რა მშვენიერი ჭაბუკი არი!

როდი არიან სახსენებელნი

მასთან ხანები სხვა ქვეყნებისა,

ჭაბუკი ესე ღირსია ყოვლად

შაჰის გვირგვინის და დიდებისა.

<sup>1</sup> მუსულმანთა გადმოცემით შეიხ-სანანს შეუფარდა ქართველი ქალი, უარ-კყო ისლამი. მიიღო ქრისტიანობა და გახდა მღვდელმსახური მამა დავითის (გარეჯელის) სახელწოდებით.

<sup>2</sup> ლეონ ბატონიშვილი — საქართველოს მეფის ერეკლე II-ის ვაჟი.

<sup>3</sup> დიდი ბატონი — მეფე ერეკლე II.

ღმერთო უფალო, მოლიმარ ყვეაელს  
 ნუმც შეეხება ქარი ვნებისა!  
 ჰმართებს მთლიანად ქვეყნიერებას  
 გახდეს მორჩილი მისი ნებისა!  
 მისი წარბების ნაზი ზახები  
 სარწმუნოების სიწმინდე არი!



ვაკვირდებოდი მისთა ჭკევეათა  
 და გულს მიგზნებდა სიამის ალი,  
 საუბარსა და მოპყრობას მისას  
 მოუხიბლავარ უცნაურ ძალით.  
 მაშალაქ ნათლად გამქლავნებულა  
 მასში მაღალი ხარისხის კვალი.  
 როცა პირველად ვნახე, მეგონა,  
 თითქოს ანგელოზს მოგყარი თვალი,  
 და მხოლოდ შემდეგ მიეხედი, რომ იგი  
 ამქვეყნიური არსება არი!

მეფის დანარჩენ ძეთა გაცნობა  
 თუმცა ჯერ კიდევ არ გელირსებია,  
 მაგრამ ამ შეილის მიხედვით სხეებზე  
 მსჯელობა როდი ვაგვეძნელებია.  
 აა, ამგვარი კერაა იგი,  
 მზისგან შუქი რომ უსუსხებია!  
 დიდი ბატონის დიდებულ კერას  
 ბინდი ღმრისა ნუმც შეხებია!  
 ბუღამ ალაპის წინაშე ამის  
 მავედრებელი ვაგიფი არი!



თბილისი

ერთი შეხედეთ: ამ უცხო ბაღში  
 რა მშვენიერი ალვისხენია!  
 ახლად გაფურჩქნელ ვარდთა სურნელი  
 აქ არე-შარეს მიმოჰფენია.  
 ყაყაჩოები ირგელივ გამლილან,  
 ვითა წითელი ცეცხლის ალები.  
 აი, ისინი—ქალაქ თბილისის  
 თვალისმომკრელი, ტურფა ქალები.  
 გულო, იხარე, შენთვის ბეჭი რამ  
 აქ საამო და მოსალხენია!  
 დიდება თბილისს! დედამიწაზე  
 ეს ედემია, ბალი შვებია.  
 შემოკრებილან მასში გუნდები  
 ჰურიების და ფერაებისა.

რა ქება ვუთხრა, როგორ გაება

შეტუნახავნი სიტყვის მახეში?

თითოეულს ამ ქალთავანის

შშვენიერისა და ნათელ სახეში

მოქცეულია შესაძლებლობა

გაესილი მთავრის მიმსგავსებისა.

აქ იმდენია ნაზი კერპები

ნარნარის ტანით, წერწიტის წელით,

რომ ღირსეულად ყველას შეეძობა

განუსაზღვრელად იქნება ძნელი.

თითო მათგანი თვით სინახეა,

ყველა—გულისთვის დიდი მუქარა.

ამ ერთ ქალაქში ამდენ ალვისხეს

თავი ნეტავი ვინ მოუყარა!

პგვანან ისინი მთურად ფარშავანგებს,

მინანქარია იმათი ყელი!

სახენი შათნი თითქოს სამყაროს

შემაკობელი მზეა მცხუნარი.

სპეტაკი მკერდი იმათი არის

ვერცხლი სიწმინდით დაუწუნარი.

მათი სიტყვები ტბილია ისე,

თითქოს იესოს მიერ თქმულია.

გეგონებათ, რომ ზღლები მათი

მოსეს ახალი სასწაულია.

აქვს ყოველ მათგანს მინიჭებული

მომხიბლაობის დიდი უნარი.

იმზირებიან, როგორც ნარგიზი,

მათი თვალები ჩაღამებული.

სპეტაკ სახეზე წარბების რკალი

თითქოს მეჭრახი არს დიდებული.

ბაგე — წითელი ღვინის ფერია,

მარგალიტია მათი კბილები.

დაპყრიათ წელზე თმის ნაწნავები

ბოლოს რგოლებად შეგრეხილები.

რა ლამაზია მათი კაცები

დაბლა ორტოტად ჩამოშვებულნი!

რამდენიც არი აქ, ამ ქალაქში,

ქალის ნიკაბი, ღაწვი და ყელი,

ყველა ნაზია და ფეროვანი,

ვითარცა ვარდის ფურცელი თხელი.

სანათურების მსგავსად ისინი

ერთმანეთისგან შუქს ღებულობენ.



შესადარს თვალწარბს, ბაგეებს, კბილებს  
 მოგზაურებიც ვერსად ჰგულობენ.  
 რა მშვენიერი აქვსთ აღნაგობა,  
 როგორი სახე, როგორი ხელმძღვანელობა



ვიცი, სამოთხის ბაღში რომ ბევრი  
 ჰურიები და ჰილმანები,  
 მაგრამ სრულყოფით ამათნი ტოლნი  
 უთუოდ იქაც არ იქნებიან.  
 აქ სილამაზე თაობებიდან  
 თაობებზეა გარდამავალი.  
 მე ფერიათა და ანგელოზთა  
 უმჯობესიც-კი ვნახე მრავალი.  
 მაგრამ ამბობენ, თითქოს ამათზე  
 უკეთესებიც აღმოჩნდებიან.

ჭარბი სიტუირფე, რითაც მოკვდავი  
 სრულყოფამდეა ამაღლებული,  
 აწვთ საქართველოს მშვენიერ ქალებს  
 განგებისაგან მომადლებული.  
 თუ ცადაქვეყნის მპყრობელის მიმართ  
 რაიმე კითხვა დასაშვებია,  
 მაშინ, უფალო, გვარქვი, მიზეზად  
 ამ სილამაზეს რა დასდებია?  
 არის უთუოდ ფარული აზრი  
 მათ შვენებაში მოთავსებული!

ვდგევარ ერთ ადგილს გაოცებული  
 უძრავი სახით, დაბმულის ენით.  
 ქვეყნიერების გამჩენო, მენ ზარ  
 ყოვლისშემცნობი და ყოველადბრძენი:  
 რა თვალწარბი, რა სწორი ცხვირი,  
 რა მშვენიერი სახეებია,  
 ასე სიუხვით, ხელგაშლილობით  
 ამ ქალთათვის რომ გიჩუქებია!  
 ტანი იმათი სრულყოფილია,  
 როგორც ქვეყანა—ქმნილება შენი.

წყალში ეშვება საბანებელად  
 ტურფა სხელთა ნაზი კრებული,  
 ბერე გამოულენ ხალისით საესე  
 და გედებებით გათუთრებული.  
 მათი აღმზარდელი, ეთი ლერწმებისა,  
 ასე ეტყობა, მტკვარის წყალია.

მრავალი ნიშნით სჩანს, რომ უფალი  
 მათი მოსაარჩლე და მოწყალეა,  
 რომ ცადაქვეყნის გამჩენის მაღლით  
 არიან ესდენ დაშვენებული.



ერთი ნიშანი არის აბანო,  
 მათთვის განგებით მინიჭებული.  
 მეორე არის წყალი მტკვარისა,  
 ვით უკვდავების წყარო, ქებული,  
 კიდევ ნიშანი—მოხდენილობა,  
 შნო და სიტურფე მათი სახისა.  
 და კვლავ ნიშანი—განმარიდები  
 მათგან ქირის და სივავლახისა —  
 პატრონი მათი, მსოფლიოს თავი,  
 მუფე მაღალი და დიდებული<sup>1</sup>.

შვიდი აბანო, მერე როგორი?  
 თვით ჰურიების სამყოფელია!  
 ყოველი კუთხე, როგორც სამოთხის  
 რვა საფეხური, სხივთა მფენია.  
 დის ცხელი წყალი, სასწაულებრივ  
 აღმოხეთქილი მიწის გულიდან.  
 დმერთო ძლიერო, კმნილებას შენსას  
 მიგსჩერებზევარ სიხარულითა!  
 შენს მოწყალეობას მიწიერთათვის  
 ბეგერი სიკეთე მოუვლენია.

კველსა წარმოშობს წყარო ღვთიური  
 მარგალიტების შადრევნის მგენსა,  
 თითქოს აუზი იღებს ვარდისწყალს  
 აღურსიანად სხეულის მბანსა.  
 თუ კი როგორმე ერთხელ იხილავს  
 იმას ჩემსავეთ საწყალის თვალი,  
 არ მოსცილდება, ვით წყალსა ზედა  
 გაჩერებული ბუმტები მრგვალი,  
 არ მოსცილდება მაშინაც, თუნდა  
 თავი იმისი მოჰკვეთონ ტანსა.

რუმც უკვდავების წყაროს ნახვისთვის,  
 ზიზრო მაღალო, გვეკუთვნის ქება,  
 მაგრამ, ცხადია, რომ შენმა სულმა  
 ვერ მოიბოვა მშვიდობა, შეება.

<sup>1</sup> იგულისხმება ერეკლე მეფე.



თუ კი ისურვებ, რომ გაიხარო  
 ტკბილი სიცოცხლის კვლავ მოპოვებით,  
 მობრძანდი ჩვენთან და ინახულე  
 ქალაქ თბილისის აბანოები,  
 მაშინ შეხედავ, რომ აქ საესეებით  
 მშვიდდება სული, ძხეული სტებება.

ეს იმნაირი ადვილია, რომ  
 შეუქი მოვარისთვის მიუწვდენია,  
 მას, ვითა მზესა, სხივები თვისი  
 მთელი ქვეყნისთვის მიუფენია.  
 იგი მტრისა და ორგულისათვის  
 არის შავი ღლის დამყენებელი,  
 ხოლო თუ ვინმეს გადაეფარა  
 ჩრდილი იმისი მაცოცხლებელი,  
 თავსა გრძნობს ისე, თითქოს მსოფლიო  
 საბრძანებელად მას დაშთენია.

ვავიფ, არ არის შენში ნასახი  
 სიცრუისა და პირფერობისა,  
 მაგრამ შენ ვმართებს, რომ შეასრულო  
 მოვალეობა ერთგულობისა.  
 ღმერთს შეავედრე ზელმწიფე ესე  
 და მასთან ერთად იმისნი ძენი!  
 დაე, უფალი იყოს მათდამი  
 თავისი უხვი წყალობის მჩენი  
 და შეუსრულოს მან, ყოვლადშემძღვრემ,  
 ყოველი ნატვრა მათი გრძნობისა.

თარგმანი კონსტანტინე პიპინაძისა.



## ქორნილი\*



— კიროვოვგრადში დიდი ბანაკი იყო. ყოფილი საავიაციო სკოლის კორპუსებში ოცი ათასი ტყვე ვიქნებოდით თავდაპირველად. როდესაც წითელი არმია დნებრზე გამოიჭრა და გერმანელების მდგომარეობა გაუარესდა, ტყვეების უმრავლესობა ზურღში გადაისროლეს და მამინ ოთხი ათასი-ლა დაკრჩით.

— ოცი ათასი?—შესძახა სერაფიონმა,—ოცი ათასზე მეტი მცხოვრები ქუთაისშიც კი არ იქნება!

— ოცი ათასზე მეტი როგორ არ იქნება, შე კაცო!—არ დაეთანხმა სერაფიონს ქუთაისის პატრიოტი სალომე.

— ჰო,—განაგრძო ოთარმა,—იქ უნდა გენახათ ტყვეების წამება! ბანაკის ეზოდან კიშკარში უნდა გავსულიყავით. პარალელურად გაქიმულ ეკლიან მავთულებს შორის, ღია კიშკარში, სამი გასასვლელი იყო. ტყვეები იმ გასასვლელს, რატომღაც „კაშარას“ ეძახდნენ. იმ მავთულთა შორის, ფარასაებრ, ჩქარა მივედინებოდით სამუშაოსაკენ, დაყოვნება არ შეიძლებოდა, რადგან სამივე გასასვლელის თავში პოლიციელები იდგნენ; აქაც მკლავზე თეთრი სახვევები პქონდათ შავი წარწერით და ხელში რეზინის ბელჯოხები ეჭირათ. ვაი, მას, ვინც ნელა და დაყოვნებით გაივლიდა. პოლიციელები გამტებით სცემდნენ ბელჯოხს თავსა და სახეში.

— შავმა მიწამ ჩაყლაპოს, ის ურჯულოები!—დაიძახა იელიტემ. ოთარმა განაგრძო:

— ის, მართლაც ურჯულოები, ყველაზე დასუსტებულს აიჩემებდნენ და არ ზოგავდნენ, ამიტომ ხერხი მოვიგონეთ, ხელებს თავზე შემოვიხვევდით ისე, რომ იდაყვებით მარჯვენა და მარცხენა მხარე დაგვეფარა სახისა, ხოლო თითებგადანასკეული ზელის ზურგით ყო—ყეფა. ასე თავჩაქინდრული გავბროდით პოლიციელთა წინაშე.

— დედა შეილო!—მოთქმით გააბა იელიტემ.

— ტყის ნადირებზე უარესი ყოფილან, ის ოხრები!—დაიძახა სერაფიონმა.

— ახლა გაიგე, შე კაცო?—შენიშნა სალომემ.

— რა ვიცი: პირველ იმპერიალისტურ ომში ყოფნის დროს, ტყვეებს ასე სასტიკად არ ეპყრობოდნენ, ის წყუულები! — მიუგო სერაფიონმა. მავრა ნატოს მისჯდომოდა და ხელი ნახად მოეხვიენა:

— ჰო,—სთქვა ოთარმა, თითქო დავიწყებული ამბავი მოაგონდაო.—მიწის სამუშაოზე როდესაც გაგვიყვანდნენ, მამინ უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით ტყვეები, რადგან ნიჩბებს და წერაქვებს გვირიგებდნენ, მათ ვიშველებ-

\* დასასრული „მნათობი“ № 1—2.

დით, პოლიციელების ხელჯოხს მივა-  
გებებდით და ზედ ვიცდენდით. ჯერ  
ტყევი გვატყევებდნენ, მერმე კი ქა-  
ლაქში, ავტოგარაჟის ბარაკების მშენ-  
ებლობაზე გადაგვიყვანეს. აი, იქ უნ-  
და გენახათ ჩვენი წამება! ავიცილებდით  
გრძელი ფიცრების დასტას და ქუჩაში  
გამწკრივებულნი მივათრევდით მშენ-  
ებლობისაკენ. ნაშინშილევით და და-  
სუსტებულთ, ასეთი მძიმე ტვირთის  
ზიდვისათვის ძალა არ შეგვწყვედა და  
არ გავყოფნიდა. მუხლები გვეკეციბო-  
და. ბევრი ეცემრდა კიდევ და ბევრ-  
საც გული მისდიოდა. მაგრამ პოლიცი-  
ელები, აქაც სწორედ იმ დასუსტე-  
ბულთ და წაქცეულთ აიჩემებდნენ და  
გასძახოდნენ: „ადექ, გასწიო!“ ვაი  
მისი ბრალი, ვინც უკანასკნელ ძალ-  
ლონეს არ მოიკრებდა და წინ არ გა-  
სწევდა! მას ხელჯოხს სცემდნენ.  
მკვდარსა და ცოცხალმკვდარსაც კი  
ძალღსავით გადაათრევდნენ. შრომის-  
უნარს-მოკლებულთ, უძლურთ და სნე-  
ულთ, დიდხანს არ აცოცხლებდნენ ფა-  
შისტები. ეს იყოდა ფიცრების ტვირთ-  
ქვეშ წაქცეულმა ტყევე და ძალღონის  
მართლაც არა-ადამიანური დაქვიშვის  
შემდეგ წამოიჭრებოდა, აკანკალებულ  
ფეხებზე დადგებოდა და მხარზე გადუ-  
ბულ ფიცრებს, რომლის ბოლოშიც ახ-  
ლა უმოწყალო პოლიციელი იჯდა, ძა-  
ლისძალად მიათრევდა და ბარბაცით  
მიაჩიანებდა თოვლით-დაფარულ და გა-  
ყინულ კიროვოგრაღის ქუჩებში...

სიმკაცრეს, შეუბრალებლობას, მზე-  
ცობას და ავკაცობას ვერ ითმენდა  
ოთხმოცი წლის გულკეთილი მოხუცი  
იონა. მას თავი ჩაეკიდნა, თითქოს თავისი  
დისწულის—სანდროს მსგავსად  
თელემსო, ნამდვილად კი ოთარის ნაამ-  
ბობის გამო ღრმა ფიჭრში წასულიყო.  
სრულიად ახალი, ჯოჯოხეთური ქვეყა-  
ნა იშლებოდა ახლა მის წინაშე. სწყყინ-  
და, დისწულის ჩამოსვლით გახარე-  
ბულს, აქ-შეყრილ ახალგაზრდობასთან,  
ნათესაებთან და მეგობარ-მეზობლებ-

თან დროს-ტარება და ვახშობა რომ  
ჩამწარდა. მოულოდნელად ისეთი თავი,  
სერაფონის და იქ-მყოფთ აღშფოთებით  
შესძახა:

— მეოცე საუკუნეა, ნაღბო, მეოცე  
საუკუნე! სულ ტყუილი ყოფილა: ევ-  
როპის კულტურა და ცივილიზაცია, კა-  
ცობრიობას სრულიადაც ვერ შევლის!  
კაცთმძულვარება, ბოროტება, ავკაცო-  
ბა და უსამართლობა, უფრო პლევრდე-  
ბა! რა ჯოჯოხეთური მოძღვრება და  
დაუნდობელი ადამიანები შექმნეს იმ  
დაწყვეტილმა ფაშისტებმა! სიძვისა  
და ბოროტების ნაგუბი ზღვა—მათი  
სტიქიონია!

— კაცობრიობას მანამდე არაფერი  
არ ეშველება ბიძაჩემო, სანამ თავი-  
სუფლებისა და ხალხთა ძმობის იდეა  
არ გაიმარჯვებს,—შენიშნა ოთარმა.

— მიკერის როგორ გადარჩი მათ  
ჯოჯოხეთს?!—ჰკითხა სერაფონმა.

— აგერ გეტყვი,—მიუგო ოთარმა  
და ისევ დაიწყო:—ბედმა გამიღიმა,  
რადგან კალატოზობა ვიცოდი და ყავ-  
რით სახლის გადახურვაც მეხერხებო-  
და, ავტოგარაჟის ბარაკების მშენებ-  
ლობაზე გადამიყვანეს, ფიცრების  
თრევა ამცოდა. ალბათ, ვერც კი შევძ-  
ლებდი, ისე ვიყავი დასუსტებული. ბა-  
რაკების ერთი სახლის სახურავზე ვი-  
ჯექი მაშინ და ყავარს ვაჭედებდი, რო-  
დესაც საბოლოოდ გადაეწყვიტე გაქ-  
ცევა. ან ახლა, ან არასოდეს! მეურ სი-  
არულს და ფეხზე დგომასაც ვერ შევძ-  
ლებ, ადამიანის სახეს სულმთლად  
დაეკარგავ და მეც ჩამძაღლებენ-მეთ-  
ქი, გავიფიჭრე. ავიღებდი ფართოქუ-  
დიან ლურსმანს, წვერით ყავარზე და-  
ვარქობდი, ჩაქუნს დაეუღერდი და შიგ  
ჩავაჭედებდი. თანაც მალულად მახ-  
ლობელ ადგილებს ვათვალიერებდი.  
ბარაკების კარმიდამოს, იმ უბნის ქუ-  
ჩებშია და სახლების განლაგებას ვარ-  
კვევდი. ღობეშემოვლებულ ოთხკუთ-  
ხედ ეზოში ვაშენებდით ბარაკებს.  
ეზოს შიგნით, ეზოს კუთხეებთან, გუ-

შაგები იდგნენ და დადიოდნენ. ეზოს კუთხეში მისულამდე, ერთ ადგილას, ლობე იყო გარღვეული და მის მაგიერ პატარა ფარდული იდგა—ყავრების, ბასკებისა და ლარსაყინების საწყობი. საწყობის უკანა კედელი შეზობელ ეზოში გადიოდა. ამრიგად იგი გარღვეული ლობის ადგილს იკავებდა. იმ საწყობიდან უნდა გაეიპარო-მეთქი, გადაეწყვიტე. ეს საბოლოო ჩემი გადაწყვეტილება იყო და მას ახლა ვერავინ ვერ შემაცვლევინებდა. წინათაც ვცაღე გაპარვა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩაქუჩი ერთ რუს კალატოზს შევაჩენე და ვუთხარი: საწყობში მივდივარ, ყავარს მოვიტან და ახლავე დავბრუნდები-მეთქი. ყიბეზე დავეშვი, გუშაგიდან ნებართვა ავიღე, ეზო გავიარე და საწყობში შევედი. საწყობი ორი თვალმანაგან შესდგებოდა; იგი ფიციით იყო გადატიხრული. გავიფიქრე: მეორე თვალში არავინ იყოს-მეთქი. საბედნიეროდ ტიხრის ერთ ფიცარში კორძი ამოვარდნილიყო შიგ დურბინდსავით გავიხედე. მეორე თვალი ცარიელი აღმოჩნდა. ეს კიდევ არაფერი: მეორე თვალის კარები დაკეტილი იყო. ტიხრს შევახტი და იმ მეორე თვალში გადავედი. შეზობელ ეზოსაკენ აქედინლ ფიცრებს ავხედე, იქნებ რომელიმე ავადრო-მეთქი. შუათანა, ისე შვიდროდ მიქედელი არ მეჩვენა. ვეცი, მაგრამ ამოდ: ხელი ვერ მოვიკიდე. დაყოვნება კი არ შეიძლებოდა. ყველაფერი სწრაფად უნდა მომხდარიყო. ისევ ვეცი ფიცარს და მოვეკიდე. ფრჩხილი გადამოტყავდა და თითების წვერებში სისხლმა გამოჟონა. მაინც მოვსწიე. ოდნავ დაიძრა ფიცარი. თითებით ზედ მოვეკიდე. მოვქაჩე. ფიცარმა ღრქიალი გააღინა და ლურსმნები ავი კბილებით ნახევარზე გაუშინებლდა. ხელი ვუშვი და გავირინდე: ვაი, თუ ღრქიალი გაიგონეს ბარაკების ეზოში მდგარმა გუშაგებმა-მეთქი. კარებს მივაწყდი. სახე ზედ მივიტანე და ღრქიალი გავი-

ხედე. საწყობის ახლოს არავინ არ სჩანდა. ირგვლივ სიჩუმე სუფთა და მხოლოდ ყურის გამაყრუებელი ქაქუჩების კაკუნი-ლა მოისმოფიქვამდნენ. შეზობელ ეზოსაკენ ამოშენებულ კედლის ფიცარს. ერთბაშად მოვქაჩე მთელის ძალითა და ღონით და ფიცარი თავიდან შუა ტანამდე გადმოვხარე. ამჟამად სახითათო და დამახვერეტ საქმეს ჩავდიოდი, მაგრამ ბანაკიდან გაქცევის ფიქრი რადგან გიქსავით ამეკვიტა, ახლა არავითარ ხიფათს არ ვერიდებოდი და დახვერეტსაც აღარ დავეტებდი. გამომვლუბული ლურსმნებში მოვლუნე და ღრქიოდ დარჩენილ ფიცრების ფანჯარაში გავიჭვრიტე. შეზობლის ეზოში არავინ იყო და პატარა სახლიც უკაცურსა ჰგავდა. არსად ზმა-ბაიბური არ იმყოფა. დიდი ტანჯვით გავძვერი, ძლივს გავეტიე ფანჯარაში. ეზოში ჩავხტი და ჩაიკეცე. ნადირის გემით დავზვერე იქაურობა. მოვიკუხე, ეზო გავიბრინე და მეორე მოსახლის ლობზე გადავხტი. იმ მოსახლის ეზოც გადავჭერი და ჭიშკარში გავედი. ქუჩას გავხედე და ელდა მეცა. ეს ქუჩა, ჩემს მიერ გავლოლი ორი მოსახლის ეზოს და ჩვენი ბარაკების ეზოსაც გვერდზე უვლიდა. ბარაკების ეზოს ერთ კუთხეში, ქუჩის მხრიდან, გერმანელი გუშაგი და პოლიციელი იდგნენ და საუბრობდნენ. ერთი ზურგშექცევით იდგა, ხოლო მეორეს კი—პირი ჩემსკენ ჰქონდა. უმაღლე ჭიშკარს გავეკარ და ასე დავერჩი ჯვარცმულივით. შევშინდი. მთავარი სული კინალამ ამოვივიდა იმ რამდენიმე წუთის მოლოდინში. ღმერთს კი არა, ეშმაკსაც შევევედრებოდა მაშინ, ოღონდ ის გუშაგები იქეთგან წაიყვანა. დრო გადიოდა. ტყვეებს მუშაობის შეთავაზურენი შეექვდებოდნენ, იმდენხანს რომ ვიგვიანებდი საწყობიდან გამოსვლას. საწყობში შევიდოდნენ, მღვერებს გამომიყენებდნენ და გზებს შემოიკრავდნენ. ოდნავ წავივარქე-

ლებდი კისერს, კიშკრიდან თავს გამოეყოფდი და ირბად გავებდავდი გუშაგებს. საბედნიეროდ ის გუშაგი, რომელსაც პირი ჩემსკენ ჰქონდა, ბოლოს შებრუნდა და მანაც ზურგი შემაქცია. ალბათ, მისთვის სათვალავად მიჩენილ ქუჩას გაჰხედა. ელვის სისწრაფით მოუწყვდი კიშკარს. ქუჩა გადაიკრბინე და ჩვენი ბარაკებიდან მესამე უბანში აღმოვჩნდი. უკანვე ვიბრუნე პირი და ბარაკებიდან გაქცევის მერე ეზო-ეზო რაც გზა გავიარე, მის პარალელურად ამდენივე მოვლიე მესამე უბნის ქუჩით. პატრული არსად არ შემხვედრია. ენით-გამოუთქმელი შიმშილი მტანჯავდა, თანაც უნდა გამეგო, ქალაქიდან უხიფათოდ გასვლისათვის, რა გზას დავდგომოდი. ერთი მოსახლის კიშკარი შევალე და ეზოში შევედი. სახლის აივანთან თეთრწვერა მოხუცი და ყმაწვილი, იღვწენ და საუბრობდნენ. მოხუცი ჩემს დანახვისთანავე შეშფოთდა. ალბათ, ჩემი გამხდარი სახე, დაგლეჯილი ტანსაცმელი და გასისხლიანებული ხელები რომ დაინახა, მამინევე მიხედა, ვინც ვიყავ. მივედი, მივესალმე და ვთხოვე: „გამარჯობა, ბაბუა, პური მშიან და მაჭამე“. მოხუცმა მითხრა: „ღმერთი გწყალობდეს, შეილო, ტყვე ხომ არა ხარ?“. არ დავუშალე: „ტყვე ვარ, ბაბუა, ავტოგარაჟიდან გამოქცეული“. მოხუცი დამაკვირდა და მითხრა: „წამოდი, აქ გაჩერება არ იქნება. სად მოსულხარ? წინ გაიხედე! აი, ამ ჩვენი ქუჩის გადაღმა, — ის ქუჩა ავტოგარაჟის ბარაკებიდან სწორედ თქვენს საკონცენტრაციო ბანაკში მიემართება“. თავზარი დამეცა: სად მოვსულვარ-მეთქი. მოხუცს ვენდე და გავყავი. მოხუცი უკანა კარებში შევიდა. ახლა ჩემს წინ თოთხმეტი წლის ყმაწვილი გაჩერდა და შემბრალებ, ცისფერი თვლებით დამაკვირდა. იგი მოხუცის შეილიშვილი იყო — ანატოლი მანენიუკი. ცხერის ტყავი და ჩექმები ეცვა. თავზე ბუხ-

რის ტყელი ეხურა. თეთრწვერი მისი ბაბუაც ასე იყო გამოწყობილი. „ახლარას აპირებ?“ — მკითხა ანატოლიმ. „ჯერ ქალაქიდან გავიქცეო, ვინა-ხოთ-მეთქი. „პარტიზანებს მოსახებნი?“ ისევე მკითხა ყმაწვილმა. უნდა მოვსძებნო-მეთქი, მივუგე. „ნეტავ მეც პარტიზანებთან ვიყო ახლა?“ — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ანატოლიმ. „ჯერ შენ ბავშვი ხარ, თოფს ვერ მოერევი“ — შევენიშნე მე. „რატომ, — იუკადრისა ანატოლიმ, — მე ბაბუას სანადიროდ დაეყვები. ორი გველი მოგვალა“. „გველები თუ მართლა მოკვალა, ფაშისტებზე ნადირობა გეკუთვნის“, — შევენიშნე ყმაწვილს. „კითხე ბაბუას, თუ არ გჯერა“ — წყრილა ხმით გააბა ანატოლიმ. „შალე მოხუცი სახლიდან გამოვიდა, მჭერის ჩექმები — „ვალენკები“ და ბუხრის ტყელი — „უშანკა“ გამომიტანა. თავი, ყურები და ფეხები უშალევე გამოიბა. მე ისევე პური ვთხოვე მოხუცს, მაგრამ მოულოდნელად უარი მითხრა: არა მაქვს, რომე მქონდეს, არ მოგცემ. ახლა პურის ჭამის დრო არ არის. ქალაქიდან გასასვლელ გზას გასწავლი, მას დაადექ და მახლობელ სოფელს მიაშურე, თორემ ქალაქში დამეს არავინ არ გაათევიანებსო. ისევე შევევედრე: იქამე ღმერთი, ცოტა პური მაჭამე, შიმშილისაგან მუხლები შეკეცება, გზა რომ მასწავლო ქალაქიდან მაინც ვერ გავალ, რადგან ძალა არ შემეწვემეთქი ვუთხარი და სვეტს უმწეოდ მივეყუდე. მოხუცი დამაკვირდა, თვალზე ცრემლი მოადგა და მითხრა: განა პური შენანება. მე შენთვის ვლაპარაკობ. ახლა რომ გაძლე, მოიცლეები, ძალა გამოგველევა, ნაბიჯსაც ვერ გადასდგამ და დაიღუბებიო. მაინც შევიდა სახლში. ცოტა პური და ღორის ქონი გამომიტანა და მითხრა: შალე შეჭამე და გზას გაუდექ, თორემ აქ რომ მოგაკვლიონ, უთუოდ დამხე-

რეტენო. მისი დაჩქარება არ შეიძლება. უმალვე შევექამე პური და ქონი, ცოტა სული მოვიბრუნე. სანამ პურსა ვჭამდი, მოხუცი მელბნებოდა: ორი შვილი ფრონტზე დაძვლუპა. მესამე არ ვიცი სად არის. იქნებ შენსავით გაქცეული ტყვეა და სადმე კარდაკარ დაიარებო, — მითხრა და ფაშისტები დასწყევლა. მერე ქალაქიდან გასასვლელი გზა მასწავლა. მანამდე მოხსნიდა, სანამ არ გამაჩვევია. ისევ ამაჩქარა და გზა დამილოცა.

— ღმერთმა დიდი ღლე მისცეს იმ მოხუცს! — თქვა სერაფიონმა.

— ბანაკიდან ავტოგაზრდის მშენებლობისაკენ მიმავალი ქუჩა გავიარე და მის პარალელურად მდებარე ქუჩას მივადექ, — განაგრძო ოთარმა. — მოხუცის პურის ნატეხმა და ქონის პატარა ნაჭერმა მადა გამოიღიზიანა. უფრო სასტიკად მომშივდა. ოთხ მოსახლეს მივადექ და პური ვთხოვე. ოთხივემ უარი მითხრა. მერე ერთი პატარა სახლი ამოვიჩემე და კარზე დაეაკაუნე. მაშინვე ვილაპ დედაბერმა კარი გამიღო და მკითხა: ვინა ხარ, რა გინდა? ტყვე ვარ, დედილო, გამოქცეული, პური მშიან, და მაჭამე-მეთქი. შეშინდა: ტყვე რომ მიფილო, გერმანელები დამხერეტენო. ცოტა მაჭამე და მაშინვე წავალ-მეთქი, — შევევედრე. სახეზე შემომხედა და გატყდა ბებერი. შინ შემოიყვანა და კარები ჩაკეტა. მეორე ოთახში გავიდა, ბორში, კარტოფილთ და პური გამომიტანა. უმალ მაგიდას მივევარდი, დავჯექ და მშიერი ნადირითი წვნიანს თქელეფა დაუწყვე, გიფივით ვილუკებოდი. ძლიერ მშიოდა. აკი, გითხარით, რა საშინელი რამ არის შიმშილი! როგორ ასხვაფერებს იგი კაცს და უკარგავს ადამიანის სახეს! ბევრ ტყვეს, მართლაც, ვერა ვცნობდი. მაგრამ მათ რას ვერჩი? ჩემშიც სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიქტი

იყო მხოლოდ იმეამდ. ოთხში ყიდევ ორი ქალი შემოვიდა და სიმეცე გაცივებით და შემბრალე, ყველგან და მამტერდა. საცოცხეობა ჩაილაპარაკეს ქალებმა. ნუ აყოვნებ, ნუ დაგვლუპავ, თორემ შეგეიტყობენ, ვინმე გავცემს და დაგხვრეტენ ის ურჯულოებიო. აი, ეს პურიც თან წაიღეო, — მითხრა და კედლის განჯინიდან „გოგორა“ პური — „ბუნანკა“ გამოიღო, ილღიაში ამომჩარა, კარებისაკენ შემამბრუნა, ღმერთმა გიშეელო, მითხრა და პირჯვარი გადამსახა. წავალ, — ოღონდ ქალაქიდან გასასვლელი გზა მასწავლე-მეთქი, ვუთხარი. მიწოდდა მოხუცის სვლა-გეზი შემემოწმებინა. ერთმა შედარებით ახალგაზრდა და საამო სახის ქალმა წკრიალა ხმით გააბა და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც მოხუცმა მითხრა: ამ ქუჩას გაპყვე, ძამიყო, იგი მთავარ ქუჩაზე გაგიყვანს. იქ მარჯვნივ გაუხვებ და პირდაპირ იარე. იგი ხნამენკა-დნებროპეტროესკის გზაჯვარედინზე მიგიყვანს, იქ სადაც ზორცის კომბინატია. კომბინატს გვერდს აუქცევ და მერე ქალაქიც გათავდება და ველზე გახვალო. ქალებმაც გზა დამალოცეს. ქუჩაში გავედი და, როგორც მასწავლეს, პირდაპირ იმ გზას დავადექი. მარჯვნივ გავუხვებ, მაგრამ უცრად ჩემსკენ მომავალი ველოსიპედზე მჯდარი ორი გერმანელი ჯარისკაცი დავინახე. მოღრუბლული ღლე იყო და თოვდა. ქალაქში ნისლი იდგა, მაგრამ უკან გაბრუნება და გაქცევა, მაინც გვიანდა იყო. ჯარისკაცებმა შეშინებენ. ავტომატებო ეკიდათ.

— სად გაექცეოდი, ველოსიპედზე თუ ისხდნენ? — შენიშნა მაიორმა.



— ვაი უშველებელსა! — დიძახა ივ-  
ლიტემ.

— სო, — მიუგო ოთარმა, — პირდაპირ  
მათკენ წავედი. გვერდზე ჩამიარეს.  
ნეტავ თუ გადავარჩი, — გავიფიქრე და  
მაშინვე შემომესმა: „ეი, შენ გა-  
ჩერდი!“ მოვიხედე. გერმანელებს შე-  
ყენებული ველოსიპედები ჩემსკენ  
მოებრუნებინათ, ცალ ფეხით მიწას  
დამჯენოდნენ. ერთმა თითი დამიჭინა  
და დამიძახა: აქ მოდიო! წავედი. თავ-  
ში გამიელვა: წინათ მურწუნობაში  
ვმუშაობდი, დენებროპეტროვისკის მახ-  
ლობლად, დირექტორის მიერ ხელმო-  
წერილი დამადასტურებელი მოწმობა  
უბეში მაქვს და იმას ვუჩვენებ-მეთქი.  
მაგრამ მაშინვე მომავონდა, საბუთი  
რომ ვადაგასული იყო. ისევ მოვისაზ-  
რე: თუ საბუთს აღხირდნენ, ასე ვეტყ-  
ვი — ახლაც იქ ვმუშაობ, მხოლოდ ახა-  
ლი მოწმობა ჯერ არ მოუციათ-მეთქი.  
ახლოს მივედი. ჯარისკაცებს ზურგი  
ოდნავ შევაქციე, რადგან სათბურის  
უბიდან მოწმობის ამოღების დროს ჩე-  
მი შიშველი შყერდი და ტანი არ და-  
ენახათ და არ ეფიქრათ: მაწანწალა,  
მათხოვარი ყოფილაო. გერმანულ გა-  
ზეთში ათჯერ მაინც გახვეული მოწ-  
მობის გახსნა დაყოვნებით დაეწიყე-  
თოვდა, ციოდა, და დამზრალ თითებს  
ძლიერ ვამოძრავებდი. გერმანელებს  
მითმინება დაეკარგათ, ალბათ საბუთნ  
ექნებოო, იფიქრეს და ხელი ჩაიჭინეს:  
„წაღიო“. გზას გაუდგნენ. ბედი მილი-  
მის-მეთქი, გავიფიქრე და მეც ზნამენ-  
კა-დენებროპეტროვისკის გზა ჯვარედინ-  
ისაკენ მიმავალ ქუჩას დავადექი. ილ-  
ღაში ამორჩილი „გოგორა“ პური  
მკლავით ტანზე მივიკარ. ორი ქალი  
დამაყვირდა და მეც ცკითხე: ხორცის  
კომბინატისაკენ სწორად მივდივარ თუ  
არა-მეთქი. ამათაც შემატყვეს, ვინც  
ვიყავ და მიჩრჩის: ზნამენკა-დენებრო-  
პეტროვისკის გზაჯვარედინამდე ნუ მიხ-  
ვალ, ჩვენ ხორცის კომბინატიდან მოვ-

დივართ და იქ გერმანელი პარტულე-  
ბი ენახეთ. უმჯობესია მარჯვენა გაუ-  
ხეო და ავტორის ქვემოთ უხედე შენში  
მიხვიდე. იქ გერმანელთა მანქანათა  
ასეც მოვიქეც და ახალშენში შევედი.  
იქ ერთმა მოხუცმა დამე გამათევიანა,  
დამაპურა და დილით მანაც გზა მა-  
სწავლა: ახლად-მოშენებული ფიჭვის  
ტყე, ახალშენი „სოსნოვია პოსადკა“  
გაიარე და მარცხნივ, გზაზე გახვალო.  
გაეიარე ფიჭვის ტყის ახალშენი — „სო-  
სნოვია პოსადკა“ და გზა ვერ ვიპოვე.  
რადგან ნამჭერით იყო დაფარული.  
დიდხანს ვიარე, ხრამს წავაწყდი და  
თოვლში წელამდე ჩავეფალ. დიდს  
ვაი-ვაგლახით გავედი გზის ნაკვალევ-  
ზე. აქ ისევ ქალები შემეყარნენ, ამა-  
თაც შემატყვეს, ვინც ვიყავ და გზა  
მასწავლეს: ეს გზა მურწუნობისაკენ  
მიდის, მაგრამ იქ ნუ მიხვალ, იქ გუ-  
შინ წინ ორი ტყე დაიქირეს გერმანე-  
ლებმა და ისინი და მათი დამის გამ-  
თეველებიც ხალხის წინ დახვრიტესო.  
ზნამენკასაკენ მიმავალ გზაზე დამაყუ-  
ნეს. ბევრი გზა გავლიე კითხვა-კითხ-  
ვით, და ბევრი სოფელიც გამოვიარე.  
სად არ ვიყავი და რას არ ვაკეთებდი?  
ვიცოდი, რომ ზნამენკადან ჩერკასკა-  
დე ვადაქიმულ ტყეში — შავ ტყეში“  
პარტიზანები იყვნენ. სანამ მათ შე-  
ეუერთდებოდი, სოფელ ზალომში,  
პიატიხატკაში და პლოსკოეში ვმუშა-  
ობდი. შეშას ვუჩხედი და ვუხერხავდი  
მოსახლეებს საზამთროდ, რისთვისაც  
ლამეს მათევიანდნენ და მათურებ-  
დნენ. ერთხელ სოფლის მასწავლე-  
ბელთან ვმუშაობდი. მისი ცოლიც  
მასწავლებელი იყო და თან მკერავი.  
ამ მასწავლებელთან ცხოვრობდა ვი-  
ლაც კეთილი და მიმზიდველი ადამი-  
ანი, პეტრე დოლენკო — ცოლითა და  
შვიდი წლის ყმაწვილით. მერე გავი-  
გე: ოვი წინათ სახკომსაბჭოს მუშაკი  
ყოფილა. ისიც ჩემსავით სამუშაოს  
ეძებდა და ასე ჰკვებავდა თავისთავსა

და ცოლშვილს. არავითარ სამუშაოს, არ ვთავილობდი და არც მიძნელებოდა, ის კი სოფელში წაცხოვრები კაცი არ იყო და უჭირდა. გამზადარი ცოლიც და შვილიც დღითი დღე უსუსტდებოდა. ერთხელ ერთ მოსახლისას სამუშაო გავთავე, დიასახლისმა ვახშამი მაჭამა და შემწვარი ღვინო წასაღებად შემისვია. ავდექი და ის ღვინო პეტრე დოლენკოს მივეტანე. შენ ბავშვს აჭამე-მეთქი. დოლენკოს თვალზე ცრემლი მოადგა. მერე ხშირად მიმქობდა მისთვის ყარტოფილი. ჩვენ ყველაფერი დაუფარავად ვუთხარით ერთმანეთს, ჩვენი ვინაობა და თავგადასავალი. დამშვიდობების დროს მან მითხრა: სამ სოფლიდან მივიდევარ, მაგრამ ისევ მალე მოვბრუნდები და შენც თან წავიყვანო. საღ-მეთქი, შევეკითხე. საითყენაც შენ გული მიგიწევსო, მომიგო. ყველაფერი მივხვდი. აი, სწორედ ამ კაცმა დამაკავშირა მე ატარე-ქვეშ მომეშავე ჩვენს ორგანიზაციასთან და ზნამენკას „შე ტყეში“ მომქმედ პარტიზანულ რაზმისაკენ ჩემი მეგზურიც მან მიპოვა.

\*  
\*

—...პარტიზანულ რაზმში გატარებული დღეები ჩემს სიცოცხლეში არ დამაიწყებდა. გულითადი და ბრძოლაში შეფიცული მეგობრები მყვანდნენ იქ. მიტკა ბეზრუჩკოს, ლადო მეტრეველს და მე, — განუყრელ სამეულს გვიწოდებდნენ. მამასახლისი დიმა, მესლავური „კოშკინი“, ასეულის უფროსი „კამიში“ და განსაკუთრებით კი, — გმირი „კახაკი“, ჩემთვის დაუვიწყარი სახელებია. პარტიზანულ რაზმში, პირველ ხანებში, რიგითი მებრძოლად ვიყავი; მამასახლისი დიმა, მიტკა, ლადო და მე ერთად დავდიოდით ლამის ოპერაციებზე, ერთად ვიბრძოდით, ერთად ვიყავით ჭირსა და ლხინში... ტყეში, ცარიელ მიწაზე,

ხის-ქვეშ, ფოთლებს და ნიჟის შევავრთავდით, ირველიე მოკრებს დავეულებდით, რომ ფოთოლი არ გაფანტულიყო და წვიმა-აედარებოდა თოვლის დროსაც შიგ ვწვევდით და ვიხიხიხებდით. დილით ცალი გვერდი მშრალი გვექონდა, და ცალიც—სველი. ბევრი ტანჯვა და გაჭირვება გადავიტანეთ, მაგრამ სიამე და სიხარულიც დიდი ვნახეთ და საჭირო საქმეც გავაკეთეთ. გერმანელების მიერ დაკავებულ სოფლებს თავს ვესხმოდით, ალაღს ვაკავებდით, მატარებელს ლიანდაგიდან ვაგდებდით... სადაც კი გერმანელებს წავაწყვდებოდით, ცოცხალს არ ვუშვებდით.

ერთხელ ცნობა მივიღეთ: ტყიდან ოცი კილომეტრის შოშორებით, სოფელ ივანკოვციში გერმანელების საველე ეანდარმერია იწყოვებო. ამ ეანდარმერიის განაანდგურებლად ჩვენს შტაბში გეგმა დამუშავდა. პარტიზანთა ყოველი ჯგუფისათვის დასახული იყო სამბრძოლო ამოცანა: ერთნი საკომენდანტოს განაანდგურებლად წავილოდნენ, მეორენი—შტაბისა... სოფელი ივანკოვცი დიდი იყო, თითქმის თორმეტ მეურნეობას შეიცავდა, ამიტომ პარტიზანების ჯგუფისაგან გადამლობი რაზმები გამოიყო, რათა მუშევილი გერმანელები არ შემოჭრილიყვნენ იმ უბნებში, სადაც ჩვენი პარტიზანები ოპერაციას ატარებდნენ. ეანდარმერია სოფლის ცენტრში იყო მოთავსებული და მას ალყა შემოვარტყით. ჩემს ჯგუფს, ოთხი კაცისაგან შემდგარს, რომელსაც მამასახლისი დიმა ხელმძღვანელობდა, სამი ქობის აღება დაევალა. მე, მიტკა ბეზრუჩკო, დიმა და კიდევ ერთი პარტიზანი წისქვილთან მივედით და იქ დაველოდეთ სოფლის ცენტრში შეჭრის ნიშანს. ლამის ორ საათზე ცაში წითელი რაკეტი აუშვეს და ჩვენც, სოფლის მეგზურის თანხლებით წინ გავემურეთ; ცუ-

ლი ამინდი იყო. ციოდა, წვიმა სვრიდა და დიდი ტალახი იდგა. პირველ ქოხს ცეცხლწამკიდი ვაზნით ხანძარი ვაეუჩინეთ. იქ გერმანელები არ აღმოჩნდნენ. ასევე—მეორე ქოხსაც. ახლა მესამე ქოხს მივადევით და საფარიდან „მასპინძლებს“ დაეუძახეთ. ზმა არვინ გაგვცა, ხოლო როდესაც ფანჯრის მიხურულ დარაბაზე დავაკაკუნეთ, ქოხში უშალვე სანთელი ჩაქრა. ეს მესამე ქოხი, ორი მთავარი ქუჩის ვზაჯვარედინზე იდგა. ვზაჯვარედინიდან მამაცი მეტყვიამფრქვევე, მეზღვაური ვანია კოშკინი გვიფარავდა. ქოხს სამივე მხარეს ფანჯრები ჰქონდა. ოთხივე პარტიზანს ქოხის ოთხივე კედლისათვის უნდა გვეთვალთვალნა. კუთხეში გავჩერდი და ქოხის ორივე მხარეს ვზევრავდი. ჩემს მხედველობის არეში ორი ფანჯარა იყო. ერთი ეზოში გადიოდა და ერთიც—ქუჩაში. ქუჩისაკენაც უნდა მიქროდა თვალი, საფარიდან გამოსული ან ვზააბნეული გერმანელები რომ არ მოგვპაროდნენ. მამასახლისმა—დიმამ—დარაბა გახსნა და თოფის კონდახით ფანჯრის შემტერევა მიბრძანა. მე და ის ფანჯრის აქეთ—იქით მხარეს ვიღვიქით. კედელს ზურგიან მივეყუდებ და კარაბინის კონდახი მთელის ძალით ფანჯარას დავატაკე. ფანჯარა ჩარჩოთი ოთახში გავარდა. ღია ფანჯარაში ხელყუმბარა ტყორცნი. დამბრძანებელმა ცეცხლმა მყისვე გაანათა ოთახი. აფეთქების გამო ქოხის ფანჯრები ვასცვივდა გარეთ და ოთახის იატაკზე დაყრილ თივას ცეცხლი წაეკიდა. თითქოს ეს იყო ნიშანიო: ასეთივე აფეთქების ზმა სოფლის მრავალ ადგილას გაისმა. აქა-იქ ცეცხლი ავირდა. გაჩნდა ხანძარი, ამუშავდა ტყვიამფრქვევი. ავტომატების ჯერისა და თოფების სროლის ზმა ისმოდა. ოპერაცია დაიწყო. დიმა და ბეზრუჩკო ოთახში შევიარდნენ, მაგრამ შინ არავინ არ აღმოჩნდა. ბეზრუჩკო

ოთახი გაჩხრიკა. დიმა კი დერეფანში გაიქრა. საკუქნაო ოთახის ვარები დაკეტილი დაუხვდა. ვაეუჩინეთ არავინ გასცა. მამასახლისმა ვაეუჩინა კარები გააღე, თორემ ქოხს ავაფეთქებო და მყისვე ოთახიდან ბავშვის ტირილი შემოესმა. ვიღამაც დატუქსა იგი, მაგრამ ბავშვი ტირილს არ იშლიდა. ამრიგად, იმ ოთახში მყოფნი ბავშვმა გასცა. დიმამ მეორედ გააფრთხილა ისინი: ავაფეთქებთო. ამ მუქარის შემდეგ კარი გაიღო. მე შაშხანა გამოვიღე და დერეფნის კედელს ავეკარე. დიმა ჩემს პირდაპირ იდგა. სიბნელეში კაცის ნაჩრდილვეი ვაფარჩიე. მაგრამ მამასახლისმა მაშინვე ჯიბის ფარანი მიაწათა და ახლა ნათლად დავინახე ხელწყული გერმანელები. სამს საჩქაროდ ჩაეცვა. მუნდირებზე ღილებს შეეკრა ვერ მოესწროთ და პერანგები უჩანდათ. მეთხე უმუნდიროდ იყო, მარტო პერანგის ამარა. ჩვენი ოპერაცია ღამის ორ საათზე დაიწყო და ისინი უშალვე ვერ მიხვდნენ, თუ რაში იყო საჭმე. ახლა კი, როდესაც ჩვენს ბუხრის ქუდებზე განდავან ვაკრული წითელი არშიები დაინახეს, საესებით დარწმუნდნენ: სოფელში პარტიზანები შემოპრილანო. ოთხივე ეზოში ვაეუჩინეთ. ქალი და ბავშვი შინ დავტოვეთ. ოთხივეს ხელები ზურგზე მოვუქციეთ, შევეუთოეთ და ვუბრძანეთ მიწაზე დაწოლილიყვენენ. ისინი ჯერ გვერდზე წამოწვენ, მაგრამ ისევ ვუბრძანეთ და უშალვე პირქვე დაწვენ, ისე რომ საზე ტალახში ეფლობოდათ. ერთმა რუსულად შემოგვძახა: ნუ მომგლავთ, ჩემი ბრალი არ არის, მოლაღატე არა ვარ... თან წამოყვანეთ. მომშორეთ ამ ვერაგებს. მე თქვენი ვარ, თქვენც ხომ რუსები ხართ—ჩემი სისხლი და ხორციო! დიმამ წამოაყენა იგი და მებრძოლის თანხლებით იარაღის ჩასაბარებლად შინ შეიყვანა. სანამ ჩვენები ოთხ ავტომატს და ტყეებს

ჩაიბარებდნენ, — ეზოში სამჯერ გავარდა თოფი. დიმა, ჩვენი პარტიზანი და ჟანდარმი ეზოში გამოვიდნენ და კეფაზე მიბჯენილი კარაბინით დახვრეტილი სამი გერმანელი დაინახეს. დიმაჲ მიყვირა: ეს რა ჩაიდინე, დაკითხვა რად არ მაცალე, განა ვერ მოვასწრებდითო? მე მოვუვცე: დახვრეტილი და წამებული ჩვენი ამხანაგების სანაცვლოდ ჩაივინე, დაკითხვისა და ლოდინის დრო ახლა არ არის-მეთქი. უცბად, რუსულ ენაზე მოლაპარაკე ჟანდარმი ეზოდან ქუჩაში გავარდა. დიმაჲ ნაგანი დაუმიზნა. ჩახმახი დაუშვა და, ვაზნამ უმტყუნა. ავტომატი ჯერი კი გვიანდა იყო. მაგრამ ქუჩაზე კანია კროშკინმა მოაგლო თვალი ჟანდარმს, მე მოუვლიო, დაიძახა და ტყვიამფრქვევით „დავარცხნა“ იყო.

ცოტა ხნის მერმე ისევ წისქვილთან მივედი. ჩვენი ჯგუფი აქედან დაელოდა, ოპერაციის შესრულების შემდეგ, უკან დახვეისათვის დათქმულ მწვანე რაკეტის ნიშანს. ის ჯგუფიც, რომელიც ჩვენ გვიფარავდა, აქ მოვიდა. ასეულის უფროსმა მეკავშირე გზავენა იმ გადაშლობი რაზმის მოსახსნელად, რომელიც სოფლის მეორე ცენტრში მისასვლელებს გერმანელებისაგან იცავდა. ისეთი ბნელი და ნოლიანი ღამე იყო, რომ ხშირად გერმანელები და ჩვენები სოფელში ერთმანეთს ათი მეტრის მანძილზეც კი ვერ არჩევდნენ და პირისპირ ეჯახებოდნენ. იმ მეკავშირესაც ასე დაეპართა. მას გერმანელები წააწყდნენ და რუსულად დაუძახეს: თქვენები ვართო, მაგრამ მაშინვე გერმანულიც შემოესმა და ავტომატის ჯერი დააყარა. ეს მოხდა ჩვენგან ახლოს და ჩვენც დავუშინეთ გერმანელებს და გადაშლობი ცეცხლით მეკავშირე გადავარჩინეთ. ასე დაპორიალობდნენ სოფელში გზაბნეული გერმანელები იმ ბნელი ღამით.

ამ დროს მეთაურთან პარტიზანმა

მოირბინა და მოახსენა: სოფელს ცენტრში, წისქვილისაკენ მიმავალ გზაზე დაქრალი მებრძოლი ვიდა და მარტო ვერ გამოვიტანეო. მერე მწვანე რაკეტიც გაგვგზავნა. ის დაქრალი პარტიზანი ლადო მებრეველი აღმოჩნდა. მუხლის ქვემოთ, წვივში სამი ტყვია მოხვედროდა და მიმსხვრეული ფეხი დაპკიდებოდა. ვაჟკაცი იყო იგი. ხმას არ იღებდა. მხოლოდ კბილებს აღრქიალებდა, აუტანელი ტკივილის გამო. დიდხანს ვატარეთ მებრეველი ეზოებზე, ბალ-ბოსტნებზე, სოფლის ტალახიანი გზებით. როდესაც გერმანელები დაგვიშენდნენ, მიწაზე დავდებდით მძიმედ-დაქრულს. მერე ერთი კაცი ფეხებში წაავლებდა ხელს, ორიც ხელებში და ასე ვატარეთ დილამდე... ეს უკანასკნელი ოპერაცია იყო.

ფრონტი დღითიდღე გვიახლოვდებოდა. იგი ორმოცი კილომეტრით იქნებოდა ახლა ჩვენგან დაშორებული, როდესაც გერმანელებმა უწესრიგოდ იწყეს კიროვოგრადისაკენ დახვევა. მათ არ იცოდნენ, რომ ტყეში პარტიზანები ვიყავით. გზების უცოდინარობის გამო, სხვადასხვა მიმართულებით მოდიოდნენ და თითქმის ტყის ნაპირსაც წუდებოდნენ.

1943 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, დილით, ტყის განაპირა ადგილი დავიჭირეთ და ასეულგზად განვლაგდით. მზვერავებს ვაგზავნიდით. ისინი შტრის რაოდენობას და უკანდახვევის გზებს არკვევდნენ. იმ დღეს სოფელ პლოსკოესაკენ, ტყიდან ნახევარი კილომეტრის მოშორებით, გერმანელების დიდი ადგილი გამოემართა, დაახლოვებით ოთხმოცი ფურგონისაგან შემდგარი. პარტიზანების ერთი ასეული ორად გაიყო. ერთი ჯგუფი მანამდე ჩვენს მიერ აღებულ სოფელ პლოსკოეში შევიდა, სახლებში, ქოხებში, ეზოებში და ბალ-ბოსტნებში ჩაესაფრა და მეორე კი გზის პირას —

ტყეში. ალალს წინ და უკან გზა მო-  
ვუქერით. მე სოფელში ვიყავი. გზაზე  
მიმაველ ალალს დავუშინეთ. ადგილობ-  
რივი სოფლელებიც გვშველოდნენ.  
ვერმანელები დიდხანს გვიძალღებო-  
დნენ. მერმე ალალი მიატოვეს, სხვა-  
დასხვა მიმართულებით გაიქცნენ და  
თავს უშველეს. ნაწილმა ტყეს მიაშუ-  
რა და ნაწილი კიდევ აღმოსავლეთისა-  
კენ გაემართა. ეს დიდად მნიშვნელო-  
ვანი საშტაბო ალალი იყო და თავგამო-  
ღებით იმიტომ შეგვებრძოლენ. პატა-  
რა გორაკები ვერმანელების გვამებით  
ღაიფარა. ჩვენც ოცამდე კაცი დაგვა-  
კლდა.

ამ შეტაკების დროს ერთი ბებერის  
საქციელმა გამაოცა. ტყვიების ზუზუნ-  
ში, როდესაც ყველა სოფელი, გარდა  
იმისა ვინც იარაღით გვერდზე გვედგა.  
საზღაფში და საფარში იყო,—ის ბე-  
ბერი შინ იჯდა. შენელებოდა თუ არა  
სროლა, კარებში თავს გამოჰყოფდა,  
ეშმაკივით თვალებს დააცეკვბდა,  
ალალსა და ახლომახლო მადამოს  
თვალს მოაელებდა, ქრისტიანივით  
პირჯვარს ვადაისახავდა, და შერე-  
შგლურის ძუნძულით ალალსაკენ გა-  
სწევდა. ფურგონებიდან საბნებს საჩ-  
ქაროდ ჩაპოილებდა, ქურქებს მოიტა-  
ცებდა, ისე დაიტვირთებოდა, რომ  
ტვირთ-ქვეშ არც კი ჩანდა და ტყვიე-  
ბის ზუზუნში, შინ მიათრევედა. მერე  
ისევ თოფის სროლის შენელებას დაე-  
ლოდებოდა და კარებში ისევ თავს  
გამოჰყოფდა. ეშმაკივით მზერას დაიწ-  
ყებდა, ქრისტიანივით ისევ პირჯვარს  
ვადაისახავდა და ზღალისაკენ მტაცე-  
ბულ ნადირივით, ძუნძულით გასწევდა.  
„კარგად მუშაობს ბებერი მგელი“,—  
იძახდნენ ჩვენი ბიჭები. ერთმა მისი  
მოკვლა განიზრახა, მაგრამ არ დაანე-  
ბეს. მივივრის, რად არ ეშინოდა იმ მო-  
ხუცს! როცა შეტაკება დამთავრდა,  
მე, ბეზრუჩკო და კიდევ სამი პარტი-  
ზანი იმ ბებერის სახლში შევედით.

ვეითხე: საბნები და ქურქები რა უყავს,  
ბაბუა-მეთქი? მოხუცმა იყვირა: სად  
მაქვს საბნები და ქურქები? მაგრამ  
შეშინებულ და ნაცქმ შეკლივით, მაინც  
ოთახის კარებთან ღასლასით მიიჭრა,  
იქ დადგა და მგელივით გვიღრენდა.  
ეტყობოდა, გადაეწყვიტნა, თუნდაც  
თავი შეეყლა ჩვეთთვის, დატაცებული  
საბნები და ქურქები მაინც არ დაეთ-  
მო. ასე მძლავრად იყო მასში ფესე-  
ვადგმული ქონების შეძენის სურვილი  
და საკუთრების ინსტინქტი. ბეზრუჩ-  
კომ მოხუცს უთხრა: „Ну ладно, ста-  
рый волк“, (კარგი, ბებერო მგელი),  
ბებერს სახე გაუბრწყინდა. ასეთი ბე-  
ბერიც ვნახე.

ეშმაკმა წაიღოს მისი თავი და ტა-  
ნი... ჩვენ მისი დარდი არა გეტონდა.  
მგლოვიარედ ვიყავით, ჩვენი ასეულის  
უფროსის მოკვლის გამო. იგი განთქ-  
მული მხედარი, უშიშარი მებრძოლი,  
განათლებული და ნიჭიერი ადამიანი  
იყო. ზედმეტ სახელად „კახაკს“ ეძახ-  
დნენ. ალალი ტყეში წავეყვანეთ. ის  
კახაკი კი დიდის პატივით ტყეშივე  
დაეკრძალეთ. მისი ცხედარი ვერმა-  
ნელების ფურგონზე დავდევით და  
წესისამებრ გავაწყვეთ. ფურგონში  
ბალდახინის მაგიერად, ერთ-მეორეს  
მიყოლებით, კარგი პატივით შენახუ-  
ლი, სამი წყვილი თეთრი ცხენი შევა-  
ბით და გლოვის ნიშნად, ვერმანელების  
შავი მოსახამები დაეხურეთ—დაფვი-  
ნეთ. შავითმოსილი ბედაური „კახაკი-  
სა“ ფურგონის უკან მოჰყავდა პარ-  
ტიზანს. მთელი დღე ვატარეთ „კახა-  
კი“, სანამ დმიტროვკის სატყეოში მო-  
თაქსებულ პარტიზანული რაზმის  
შტაბს მივალწევდით. მერე პარტიზანე-  
ბის მიერ დაკავებულ, ახლო-მახლო  
სოფლებიდან მოსული მცხოვრებლე-  
ბის თანდასწრებით, დიდის ამბით  
დაეკრძალეთ... საფლავთან სიტყვები  
წარმოთქვას და ბევრიც ვიტყვი.

ადგან იგი მართლაც ნამდვილი გმირი იყო. მის შესახებ ოდესმე დაწვრილებით ვიამბობთ. დიდად საინტერესო, გმირული ბრძოლებით აღსავსე გზა გაიარა მან. იმ დღეს, როდესაც მას ვასაფლავებდით, თითქოს ცაც სტიროდა. თოვლი და წვიმა მოდიოდა, ტყეში ნისლი ჩამოწვა...

სხვათა შორის, გერმანელების ის ნაწილი, რომელიც ტყეში სახელდახელოდ გაეყვანილ გზას გამოჰყავა, ჩვენი მამაცი მეთაურის—კამიშის რაზმს წააწყდა და ამან ნახევარზე მეტი გერმანელი ამოსწყვიტა.

მტრის განადგურებისა და მისი დიდი ადლის ხელში ჩაგდების შემდეგ, მეორე დღეს შეგვატყობინეს, წითელი არმიის თორმეტმა ტანკმა ფრონტის ხაზი გადმოლახაო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ეს ტანკები მტრის ზურგის დასაზვერავედ და იქ არეკ-დარეკის შესატანად წამოვიდნენ ამ რეიდზე. თუმცა, მათ ფრონტი წარმატებით გადმოლახეს, გასჭირეს და გარდვიეს, მაგრამ გერმანელებმა გზა მაინც მოუჭირეს, ჩაკეტეს და ხაფანგში მომწყვდევა დაუბირეს. სოფლებმა ტანკისტებს შეატყობინეს, ტყეში პარტიზანები არიანო. მეგზურების თანხლებით ჩვენს მიერ აღებულ სოფელ მაკაროვიდან, ტანკები სოფელ პლოსკოეში დაეშვნენ. აქედან მთიანზე იარეს და მერე პარტიზანებს შეეყარნენ. ტანკების ჯგუფის უფროსმა, სოხოვა მათ, ჩვენს შტაბში მრევვანა—დმიტროვის რაიონის სატყეოში. ტანკები ორ ჯგუფად გაიყო. ნაწილი სოფელ პიატიხატკიდან პირდაპირ გაემართა შტაბისაკენ, ზოლო ნაწილი კი, სოფელ ზალოშზე და სხვა სოფლებზე

გავლით, ტყის ნაპირს გამოჰყავა. მერე ტანკისტებმა კოშკურები შეაბრუნეს, ზარბაზნების ლულები დაეჭყვინტა, ტყეში შევიდნენ, დასწრებში გამოცხადდნენ.

პარტიზანები გარს შემოვერტყით ჩვენს სახელგანთქმულ მანქანებს. წითელ მებრძოლებს ვკოცნიდით და გულში ვიხუტებდით. ვუცქეროდით ომში ნატარ მებრძოლების ვაჟკაციურ სახეებს, უბაღლო მანქანებს, და ვგრძობდით წითელი არმიის ძალას და ძლიერებას. ჩვენ პირველად ენახეთ მაშინ ოფიცრებისა და მებრძოლების ახალი, ჩინებული ტანსაცმელი, მუნდირები, სამხრები. უმაღლეს მოწყობილი მტრის წარმოითქვა მგზნებარე სიტყვები, რომელშიც სიხარული და წითელი არმიის გამარჯვებათა გამო აღტაცება გამოსჭვივოდა. ჩვენმა უფროსმა ტანკისტებს სადილი გაუმართა. მერე ადგილობრივი მდგომარეობისა და მტრის ძალების განლაგების შესწავლის შემდეგ, დმიტროვიკაზე იერიშის მიტანა გადაწყდა.

ტანკების ჯგუფის უფროსმა სამი მანქანა, იმავე დამეს, უკანვე გააბრუნა სადარაჯოდ, ზოლო ცხრა პარტიზანებთან, ტყეში დატოვა. ამ ცხრა ტანკიდან ოთხი მანქანის თანხლებით წავედით დმიტროვის ასაღებად. ოთხი მანქანა, რომელზედაც ჩვენი პარტიზანების დესანტი იყო მოთავსებული, უთენია გაეშურა დმიტროვისაკენ. მუდგისანტის უფროსი ვიყავი და მეორე მანქანაზე ვიჯექი. სოფელში გრძლით შევიჭრით და გაქანებულ მანქანებთან ზარბაზნებმა დაიჭუტეს. სახლებს და ქოხებს ცეცხლი წაეკიდა. მიპჭოდნენ მანქანები და, როგორც ჩვენი ბიჭები იტყოდნენ ზოლომე, — სოფლის ქუჩებს „აუთოვებდნენ“. პირველად ვიჯექი ბრძოლაში შეჭრილ ტანკზე და პირველად ვიგრძინი მაშინ საბჭოთა

მანქანების ძალა და ძლიერება. მე-ბრძოლები კოშკურებს ატრიალებდნენ, ზარბაზნები ცეცხლს ანთებდნენ და ირგვლივ საკვიდილსა სთესდნენ. გერმანელები არ ელოდნენ, რიყრაყის წინ სოფელში ტანკების შეჭრას და, საცვლების ამარა გამობრძოდნენ სახლებიდან და ქოხებიდან. მაგრამ მათ შიშაც შესძლეს მოტორიზებული ნაწილის ბრძოლაში შეყვანა. ჩვენი პირველ მანქანა დააყენეს და ცეცხლი გაუჩინეს. აფეთქებამდე, დამავებული და დაჭრილი ეკიპაჟი მეორე მანქანაზე მოკათავსეთ, მებრძოლები სოფელში გავიფანტეთ, ჩაეცსაფრეთ და ახლა გერმანელებს უმოწყალოდ ვზოცავდით. პატარა გორაკებიდან ჩვენი მამუკელი პარტიზანებიც დაეშენენ და დმოტროვკა შალე დაეიკავეთ. დმოტროვკის სოფლის საბჭოს შენობაზე წითელი დროშა აეაფრიალეთ. ზალხი სარდაფებიდან და თავშესაფარიდან გამოვიდა. სოფლები ერთმანეთს მოიკითხავდნენ და გერმანელებისაგან ვათავისუფლებას ულოცავდნენ. წითელ მებრძოლებს ჰკოცნიდნენ და უხვად უმასპინძლდებოდნენ. დიდი სახალხო ზეიმი იყო სწორედ. ამის შემდეგ წითელი არმიის მოსვლამდე, ჩვენ კიდევ ბევრი სოფელი ავიღეთ და შიგ საბჭოთა ხელისუფლება აღვადგინეთ. მერე წითელი არმია დნებრს მოადგა და გადმოლახა კიდეც. ჩვენი პარტიზანული რაზმი იას შეუერთდა და ახლა წითელ არმიასთან ერთად იბრძოდა. ეს ჰრილობები მარცხენა ხელსა და ფეხში, გერმანელების ნაღმტყორცნისაგან მაქვს ბილებული. მე 1943 წლის დეკემბერში დამჭრეს. თითქმის ერთი წელი მკურნალობდნენ კიროვოვგრადის ოლქის ჰოსპიტალში. მერე სარატოვში გადამიყვანეს. იქ გამოვრჩი. სამშობლოში ცოცხალი დაებრუნდი, და როგორც ხედავთ, ახლა ჩემიანებში ვზივარ, ვაბშამს ველოდები და მალე ისევ ბიძია

იონას საარაკო ღვინოს „ერეკლე მეორეს“ შევსვამ, — გაიღონა და ისე დაასრულა ოთარმა თავგადასრულის უბრობა.

— ავაშენა ღმერთმა! კაციც შენ ყოფილხარ ქვეყანაზე, და ქუდიც შენ ვხტრები! — გულიანად მიამახა სერაფიონმა.

მაიორსაც გაუქარწყლდა ეჭვები: სობათ, ოთარი მრავალჯერ გასინჯული და შემოწმებული მებრძოლიო, — ფიქრობდა ახლა იგი.

ქალები დატრიალდნენ. ნატომ, ლიდა და მავრამ სუფრა გაშალეს. მაგიდა ტახტთან მისწიეს, ისე რომ სანდროს ადგომა არ დასჭირებია.

იონამ გულჯებიდან საათი ამოიღო და იყვირა:

— თერთმეტი საათია! მიკვირს მოსემ და კოტემ რად დაიგვიანეს?! არა, მეტს ვერ დაეციდით. — სთქვა მან და მავიდის თავში, ბუხრის ახლოს დაჯდა და გვერდში სერაფიონი მოისვა. სუფრის მეორე თავში, პირისპირ: ნატო და ივლიტე დასხდნენ. მარჯვენა მხარეს: ლიდა, სანდრო, ოთარი და მთორი დათუა. მარცხენა მხარეს კი: მავრა, დორა, ქეთო და სალომე.

ბურის ჰამა დაიწყეს. ოთარი ცხელ ჰადსა და ყველს დეხარბა. წნილს მადიანად სხრამუნებდა და ნატოს აქებდა: რა საუცხოო წნილი ჩაგოწყვიდა, კაკალი გული მოსებნაო. სალომემ შინიშნა: მავ წნილს, ჰადსა და ყველს ნუ მიძლები, თორემ ხაქაპურს და საცივს ველარ შეჭამო. ოთარმა მიუგო: ნუ გეშინია, დეიდა, ჩვენებურ საქმელს ისე ვარ დაბარბებული, თუ გავძლები აღარ მგონიაო. თამადად იონა აირჩიეს. ოთარმა იონას ღვინო შესვა და შეაქო:

— რა დიდებული ღვინოა, ამას „ერეკლე მეორეს“ სახელი მართლაც

შეეფერება.—გაიცინა და შევეგვერდნენ, ლამაზ სახეზე ბროლივით თეთრი კბილები გამოუჩინდა. იონამ იფიქრა: აფსუსი არ იქნებოდა, ასეთი ბიჭი გერმანელებს რომ მოეკლათ? რამდენი ასეთი ეშხიანი და ქიორა ჩვენი ბიჭები დაგვხოცეს იმ დაწყევლილებმაო.

იონამ აზარაფემა მოატანინა ნატოს. აავსო და ოთარი ადღეგრძელა. ოთარის მიერ განვლილი გზა მოიგონა და სამშობლოსათვის თავდადება შეუქო. სხვებმაც სიტყვებით მიჰპირათეს. მაგრამ უთხრა:

— თქვენი უმირული და ჩაინდული საქციელი, საცოდავი ასალო შექებაიშვილი, ნომერი ორასორმოცდაშვიდი და ნომერი ორასორმოცდაათი, ჩემს დღეში არ დამაიწყდება! მხოლოდ ერთი რამ უნდა გისაყვედუროთ: კიროვოგრადიდან ზნამენკაში გაქცევის ამბავი, უკრაინის სოფლებში ცხოვრება და იქაურების შესახებ, მოკლულ რად მოსჭერთი?!

ოთარმა მიუგო:

— მადრა, ერთ საათში როგორ გაიბოთ ყოველივე ის, რაც თავს გადაშენდა როგორ ჩამოგდეს ხელში ისევ გერმანელებმა, ტყვეობიდან გაქცევის შენდგ. როგორ აცოცდით ღუშელის მილში, სახლის ქერ ქვეშ გამურული, მთელი დღე როგორ ვიძალებოდი, დამით კი ისევ გავიპარე, როგორ დავძიობილდით მე და ჩემებრ ტყვედყოფილი მებრძოლი—მიტკა ბეზრუჩკო. უკრაინის სოფელ-სოფელ მე და ის ერთად ვიდიდით. რა ხალხი არ ვნახეთ, რა ცხოვრება, ზნე და ადათი! ბეზრუჩკო, ბელორუსიაში გომელის საკონცენტრაციო ბანაკიდან იყო გამოშვებული. გომელშიწინა და პოლესიე მოველო, დნეპრს გამოჰყოლოდა და მერვე უკრაინაში ჩამოსულეთ. როგორ გაიბოთ ყოველივე, რაც მან გადაშენდა. მაგალითად, როგორ ცხოვრობენ პოლესიეს მკვიდრნი? სხვათა შორის,

ისინი ბევრ რამეში ჰგვანან თურმე ჩვენს ხევსურებს, რა ვახსენებთ, რომ ხევსურები თვალმუყუდდები, მთებში ცხოვრობენ, ხოლო უკრაინელები კი—თვალუწედნელ, უღრან და ჭაობიან ტყეებში. სახლები სვეტებზე უღვით და ერთმანეთში ნავეებით მიდმოდიან, ტყის სამუშაოზეც ნავეებით ვადიან. ზამთარ-ზაფხულსაც ერთიდაიგივე ცხვრის ქურჭი მოსავთ და ფეხზე არყის ხის ტყავისაგან მოქსოვილი ქალამნები აცვით — „шыковые лапти“. ვნახეთ სოფლები, რომელთაც შვილი, ხუთი კილომეტრის მანძილითაც მათგან მდებარე და მოსახლურე სოფლების და რკინისგზის სადგურების სახელიც კი არ იციან და თავისი სოფლის გარდა, არც სადმე ყოფილან. შინ ხატები უსვენიათ და ქვეყნის შესახებ არა გაუგებიათ რა. უკრაინა ბელორუსიაზე დაწინაურებული ქაყანაა, მაგრამ ისე, როგორც ჩვენში, აქაც შეგხვდებათ აქა-იქ ბნელი და ცრუმორაწმუნე გლეხები. ერთხელ მე და მიტკა ბეზრუჩკო, მეტად მშვირები ვიყავით. უკრაინულ სოფლის თეთრად შეღებულ, მოხარატებულ ფანჯრებიან, კონტა ქონში შევედით, ძვალმსხვილი, ხორცსავესე და საამო სახის მქონე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, ჩვენი დიასახლისი, თითქო არც უწიგნო და არც შეუგნებელი ჩანდა. პური ვთხოვეთ და „ნემაო“—არა მაქვსო, კუშტად მოგვითო. მაგრამ მიტკამ გამომცხვარი პურები შენიშნა თაროზე და ჰკითხა: დიასახლისო, განა ის პური არ არისო? ქალს დაწვები მწიფე ბროწეულვით გაუწითლდა, გაიცინა და მიუგო: პურიცა მაქვს და ყველიც, ლორიცა და ხორციც, კარაქი და კვერცხიც. მაგრამ ამჟამად სახლიდან ვერაფერს ვერ გავცემო. რადო!—ჰკითხა მიტკამ. ძროხამ ხბო მოიგო და მეშინია ძუძუ არ გაუშრესო, — მიუგო დიასახლისმა.



მიტკას და დიასახლისის საუბარი სანდრომ რუსულად გადაუთარგმნა ლიდას, და ლიდამაც გულიანად გაიცი-  
ნა და დაადასტურა: ეს მართალია, ჩვენ  
სოფელშიც ზოგ მოხუცებს ასე სწამ-  
თო. ოთარი განაგრძობდა:

— მაშინვე, მეც მომავლანდა ზოგი-  
ერთი ჩვენი სოფელის ძველი ადამი,  
ზნე და ცრუმორწმუნოება. ზნამუნკაში  
ჩემსა და მიტკას ცხოვრებას კი, რა  
მომავალებს? ეს შეელი ემოპეა არის.  
მერე პარტიზანულ რაზმთან შეერთე-  
ბა და გერმანელების წინააღმდეგ  
ბრძოლა. როგორ გავცვა პარტიზანები  
ერთმა მოღალატემ და ჯაშუსმა. რო-  
გორ შეატყობინა გერმანელებს ჩვენი  
ადგილსამყოფელი. როგორ დაგვესხენ  
გერმანელები და მოდიოდნენ ერთი-მე-  
ორისაგან ათი ნაბიჯის მანძილით  
მწკრივავაშლილი ავტომატებით და პა-  
ტარა ტანკებით, და ასე „ვარცხნიდნენ“  
ტყეს... ეხ, ჩემო კარგო, ყოველივე  
ეს დაწერილებით რომ გაამბოთ, ერთი  
ლიდი წიფნი გამოვა. ისედაც საღერღუ-  
ლი მომეშალა, ვინ იცის დაგლალეთ  
კიდეც! ისე მომივიდა, როგორც ერთმა  
ქართულმა გლეხმა ბრძანა: ლექსები  
ვიცი იმდენი, დიღმის მინდორზე  
გრძელია. თუ გინდა შინაც გაგატან,  
მოგაწყვეტინო წელიათ. რა გაეწყობა!  
ომიდან შინდაბრუნებულს და განსა-  
კუთრებით კი — პარტიზანს, განა სათ-  
ხრობი დაეღუვა! — დაასრულა ოთარ-  
მა.

— ჩვენი წელის მოწყვეტას ნუ სჩი-  
ვი? ჩვენ შენი დალა არ გვინდა. რა  
გვეჩქარება: ამაღამ არ მიდიხარ და კი-  
დედ მოვასწრებთ დანარჩენის მოსმე-  
ნას, — მიუგო იონამ.

ოთარს მოეშენენ და წამოვიდა ლხი-  
ნი.



ნატოს, იონას და მამუკას ფეხილი  
ერთბაშად გაუთავდნენ. მამუკას წის-  
ქვილი დამდგარიყო და ორი კვირა  
არ მუშაობდა.

ნოემბრის მოღრუბლული დღე იყო.  
ცივი ქარი უბერავდა. მავრამ და დო-  
რამ პალტო ჩაიცვეს და, იონას ეზოზე  
გავლით, წისქვილისაკენ წავიდნენ. მავ-  
რას შინდის ორკამი ყავარჯენი ეჭ-  
რა. იონას პატარა სახლის ფანჯარას  
მიადგა და შიგ შეიჭკრიტა. ცეცხლან-  
თებულ ბუხართან იონა და ოთარი  
ისხდნენ და საუბრობდნენ. იქვე, ფარ-  
დაგდაფენილ ტახტზე ლეიტენანტი  
სანდრო წამოწოლილიყო და გაზეთს  
კითხულობდა. იონამ ფანჯარასთან  
მავრა და დორა დაინახა და დაუძახა:

— ქაჯანებო, შინ შემოდით!

ქალები შინ შევიდნენ. ოთარი წამო-  
დგა და სკამები შესთავაზა. მავრამ  
უთხრა:

— დასაჯდომად არ გეცალია: წის-  
ქვილში მივდივართ, ჩემი და ნატოს  
ფეხილიც უნდა მოვიტანოთ.

— დიკათ. ჩვენც წამოვალთ. ქა-  
ლებს რომ არ გაზიდვინებთ ტომ-  
რებს? — შენიშნა იონამ.

— არა, — ერთხმად მიუგეს მავრამ  
და დორამ, — ჩვენ გვეხალისება კიდეც.

ოთარმაც თავი გამოიღო: ბიცოლა-  
ჩემის საფეკავო, მავრას რად უნდა ვა-  
ზიდვინოთო. იონა სასადილოში შევი-  
და.

დორამ იონას საარაკო ოთახს მოაე-  
ლო თვალი. ყელღებზე ისევ შოთას,  
აკაკის, ილიას, ნიკო ნიკოლაძის, გაბ-  
რიელ ებისკაშოვის და ქართულ სხვა  
მოღვაწეთა სურათები ეკიდა. სასადი-  
ლოში გასავლელ კარების ზემოთ:  
შექსპირისა და ბაირონისა. მათ შორის —  
ქირურგის, ეგვიპტი მხედის მიერ ნაჩუ-  
ქარი — კაცის თავის ქალა იყო მიქვლი-

ლი, ფანჯარასთან: მსახიობ მესხი-შვილის სურათები ეკოდა, სხვადასხვა როლებში. საწერ მაგიდისთან—თვით იონას სურათები, სხვადასხვა ჰმასაკისა გადაღებული. ფარდადღაფენილ ტაბრის ზემოთ კი ქრისტე დაპურებულ ყანაში შიშვალა, მოწაფეთა თანხლებით. კუთხეში განჯინა იდგა, ეგროპელი, რუსი და ქართველი კლასიკოსების წიგნებით სახსე. ეტაერის თაროები „ივერიის“ „შოამბის“ და სხვა ეურნალ-გაზეთების სრული კომპლექტით იყო დატვირთული. უკმები დორა არავის ისე არ ერიდებოდა, როგორც იონას, ამ ძველ ზალხოსანს, განათლებულ, პირამთქმელ და ახირებულ კაცს. იცოდა, პირიდან-ამოსულ უკმებ სიტყვას უკანვე ჩასწრიდა. ახლა იონას გახუნებულ ძველ სურათებს ათვლიერებდა, პაპროსს ქაჩაედა და გესლოანად ფიქრობდა: ეს სურათები მისი პატრონის აზრების, გრძობებისა და ვეპოვნების მსგავსად დაძველებულა და გახუნებულაო.

იონა სასადილოდან გამოვიდა. ძველი პალტო ჩაეცვა და გახუნებულ შლიაბა დაეხურა. მეთაურით დაიძახა: გავსწიოთ წისქვილისსაყენო, და ყველანი, ლეიტენანტი სანდროს გარდა, წისქვილისსაყენ წავიდნენ. წინ იონას ძალი—ბეჯანა გარბოდა. მეზობლების ეზოებზე გაიარეს, შერე ჭალაში მიმავალ არხს დაჰყვნენ და მდინარის მახლობლად, მთის ძირში გაშენებულ პატარა წისქვილისსაყენ ნელი ნაბიჯით და საუბრით გაეშურნენ. იონა და დორა, ოთარისა და მავრას უკან მიდიოდნენ. იონა ჰკუთხე არიგებდა: ნიჭიერი ქალი ხარ, მავრამ უკმები, კამასი, ცხოვრებასა და აღაშინებზე ყალბი წარმოდგენა გაქვს, სინაზე გაქლია და ქალებიქს ჰგავხარო.

წისქვილიდან მიმავალი კოლმეურნე ქალები შემოხვდათ. ქალებს დონიჯი შემოედგათ და ისე იმსუბუქებ-

დნენ მხარზე-აკიდებულნი, რქვილიანი ტომარების სიმძიმეს. მილოკინა გადადგნენ. ოთარს და დორას თვალი გაყოლეს და მათთვის მარცხნივ: წინაობის გამოძიება დაიწყეს. იონამ გაძახა:

— მაროს და ალათის, კატოს და ნინოს სიციცხლე და გამარჯვება! როგორა მყავს თქვენი თავი?

— სიციცხლე და კარგად ყოფნა ნუ მოგწოდეს! როგორ ვიქნებით, იონა? სიკოსგან დღესაც ცნობა არა მაქვს, შე უბედურს,—ამოიოხრა და ისე მიუგო მოხუცმა ქალმა კატომ.

— ნუ გეშინია, კატო! მალე მიიღებ ცნობას.—დაანუგეშა მეზობელი იონამ და ახლა ალათის ჰკითხა:—შენ რა გესმის შვილებისა?

სანდომიანი სახის ქალმა ღმბილით მიუგო:

— გეშინ მივიღე იონა, გერმანიიდან წერილი. შალვა და ბიძინაც იქ ყოფილან.

— ზომ გეუბნებოდი, შე ქალო, წინასწარ ტირილს თავიგაანებე-მეთქი,—შენიშნა იონამ.

ალათი იონას მიუხალოვდა. წისქვილისსაყენ მიმავალ ოთარისა და დორაზე მიუთითა და ჰკითხა:

— ის ქალი და ვაჟი, ვინ არიან მავრასთან?

— იგი მავრას მეგობარი ქალია ქუთაისიდან, ინგლისური ენის მასწავლებელი. ეს კი, ვერ იცანი? ჩემი დისწულია, ომშიდაკარგული რომ გვეგონა.

— მაშოს შვილი, შე კაცო?

— ჰო.

— დედა, შვილო, შენ შემოგველუ!—შესძახა ალათიმ. ტომარი მიწაზე დასდო და ხელის გულები ლოყებზე იტყვიცა სიხარულის გამოსახატავად. დანარჩენი ქალებიც აკაყანდნენ და იონას ოთარის ჩამოსვლა მიულოცეს. იონას დაი მაშო, ალათის მეგობარი

იყო. ერთად იზრდებოდნენ. მოაგონდა ალათის, პატარა ოთიყო, ხშირად რომ ჩამოჰყავდა სოფელში მამოს. იონამ ოთარს დაუძახა. ალათი და მკობელი ქალები გააცნო. ალათიმ ოთარი გადაჰკოცნა და გაჩაღდა კითხვა-პასუხი.

მეკრა წისქვილის კარებს მიადგა. შიგ შეიხედა, იქ-მყოფთ მიესალმა და ცალხელა პატარა კაცს—მეწისქვილეს აქესენტის შევიშვილს შესძახა, ბორბლებისა და დოღამების გრიალში ხმა რომ მიეწვდინა:

— აქესენტი, ჩემი საფქვავე მზად თუ არ არის, წისქვილში ნუ დამიხვედები.

— რას მიზამთ?

— მოგკლავ!

— ვაი შარს: გერძანელებს გადაუურჩი და ახლა თქვენ მკლავთ?

მეკრა წისქვილში შევიდა და აქესენტის დორა გააცნო. მეწისქვილის გამტერებული და კაემნით საესე თვალებს ვერ იფიქვებდა მეკრა და შათ შესახებ არა-ერთხელ ელაპარაკა დორას. ამიტომ დორა თვალს არ ამორებდა ომოდან დამორუნებულ, ცალხელა, კაფანდარა პატარა კაცს. წისქვილში სასწორი იდგა. კედელთან ტახტი. ზედ ლოგინი აეკეცა აქესენტის და ჭილის დასაგები მიეფარებინა. პატარა ბუხარში ცეცხლი ენთო, სამფებზე ქვაბი იდგა და შიგ გოგრა და წაბლი იხარშებოდა. ამიტომ აქესენტის ორი გოგონა: ათი წლის თინა და რვა წლის ცაცინო მას არ შორდებოდნენ და ბუხართან ატუზულიყვნენ.

— მართლა, როგორ ხარ პირობაზე აქესენტი: ჩემი საფქვავე მზად არის?— ჰკითხა მეკრამ.

— მალე იქნება. ცოტა ადრე შეგეჭნათ მობრძანება.— მიუგო მეწისქვილემ. მეკრამ ღია კარებში გაიხედა და უთხრა:

— საღამოს იქნებაო, არ მიუთხარი?

რალა ადრეა, შე კაცო, მზე/ხატაა ჩაიდა და დღამდება!

— მზეს საღ ხედავო, კმ წესდო და ღრუბლიან დღეში? *ქედუქლეფანე დღე.* პატარაძალს დილა ეგონაო, რომ იტყვიან, თქვენც ისე მოგდით!— მიუგო ნაძალადეგ ღიმილით მეწისქვილემ და თავი გაიქნია, თითქოს უძრახავს: ეჭიმსაც ტყუილი სცოდნიაო. მართლაც მოღრუბლული საღამო იყო და სციოდა.

მეკრამ მხრები ასწურა და ტანში გააეროლა. მეწისქვილემ ხის პატარა სკამები დაადგმევინა ბუხართან თინას. მეკრა და დორა ბუხართან დასხდნენ. დორა ცალხელა მეწისქვილეს ისევ მიაშტერდა. მეწისქვილე მარცხენა ხელით მუშაობდა. სარეკელას ასწორებდა. ხეშირებიდან სიმინდის ცვენას ამქარებდა, ხან კიდევ აყოვნებდა და წისქვილის ქვები მსხვილად თუ ფქვავდა, წმინდად აფქვევინებდა. ქალების მიერ გაშლილ ტომარში ჯამით ფქვილსა ჰყრიდა, მინდს კი, ცალკე კოდში. ქალები გაისტუმრა. მესამე ხეშირმა ჩაყრილ, მეკრას საფქვავეს მიჰხედა და მერე ტახტზე ჩამოჯდა. იგი ფრონტელი იყო, ჯარიდან-გამოყოლილი ზაქისფერი ხალათის ცალიერი სახელო აეკეცა და ინგლისური ქინძისთავით გვერდზე მიემარებინა. ვაეკაცის მუშტში ჩასატევი სახე, სისხლისგან დაშრეტოდა. დიდი და შავი თვალების კაკლები ღრმად ჩასჯღღომოდნენ ფოსოში, უძრავნი და კაემნით საესენი. ალბათ ბევრი ევაბის მნახველნი! ზედვე ეტყობოდა: ტანჯვანატარი კაცი იყო. შეეწვერულეაშში თეთრი ადრე გარეოდა. ზაქისფერივე სამხედრო შალვარი ეცეცა, დედის მიერ მოქსოვილ შალის წინდამი ჩატანებული. წულა—სოფლური, ჩვენებური. თავზე ყავისფერი, ჩვენი-ბურივე სვანური ქუდი დაეხურა, და წელზეც ქართული ქამარი შემოერტყა. «სწორედ ეგ სოფლური შალის წინდა,

ჩვენებური წულები, სევანური ქუდი და ქართული ქამარი არის ზედგამოჭრილად შესაფერი ვლუჩკაცის—აქესენტი შავიშვილისათვის და არა მის სახესთან და მის სოფელურ მორთულთანთან შეუხამებელი სამხედრო ხალათი და შარვალი, რომელსაც ისე მალე გასცვეთს და დაიფიცებს იგი, როგორც ფრონტზე ნახულ უემურიან სიზმარს. მაგრამ დაიფიცებს კი ოდესმე, ფრონტზე ნახულს? — ფიქრობდა მადრა და მხოლოდ ახლა შენიშნა, თინა და ციცინო მის წინ რომ დამღვარიყვნენ და სასოებით მიშტერებოდნენ მას. მაგრამ მავშეებთან საუბარი გააბა.

იონა, ოთარი, სოფლის ქალები, გოგო-ბიჭები და ბეჟანა წისქვილში შემოლაგდნენ. მეწისქვილე წამოდგა და იონას მიესალმა. იონამ ოთარი გააცნო და ტახტზე დაჯდა. ოთარი მეწისქვილის წინ გაჩერდა და ყავარჯენს დაეყრდნო. იონამ წისქვილში თავშეყრილ ხალხს გადახედა და დაიძახა:

— აქესენტი შავიშვილის წისქვილში მოწვეულ კრებას გახსნილად ვაცხადებ!

— მოხსენებისათვის სიტყვას ვის აძლევ, ბიძა? — ჰკითხა ოთარმა.

— აქესენტის, — მიუგო იონამ.

— მე კაი შეილი მომხსენებელი ვარ! — ჩაილაპარაკა აქესენტი. ისევ ნაძალადევად ჩაიციინა უღვაშებში და ტახტზე ჩამოჯდა.

— შენ რომელ ფრონტზე იყავი? — ჰკითხა ოთარმა.

— ბელორუსიის.

— ხელი სად დაჰკარგე?

— სმოლენსკთან.

— იქ დიდი ბრძოლები იყო.

— კიდევ კარგი, ცოცხალი რომ დარჩი! — უთხრა აქესენტის იონამ.

— რაღა დარჩენას! — მიუგო აქესენტი და თავი ჩაჰკიდა.

— სანამდის ვაქვს ხელი მოკვეთილი? — ჰკითხა იონამ.

— ბოლომდის, ხელა სადღაც! — მიუგო აქესენტი და კეზნით საყვი, უცნაური და უძრავი ყუაღებები, წისქვილის ღია კარებში გავიქცედა. წისქვილის სისლმორეული მთაშუბანი მოსჩანდა.

— კარგად შეგორცდა? — ჰკითხა იონამ.

— ახლა კარგად არის შეგორცებული. გულბოცეში, ქეჩოში და ბეჭებში ისე აღარ მქაჩავენ ძარღვები, — უსიამოდ მიუგო აქესენტი და მთაშუბანი ათვის თვალი არ მოუშორებია. ეტყობოდა ამ საგანზე საუბარი არ სიამოვნებდა. მოსწყინდა: თავს აბეზრებდნენ სოფლელები.

იონამ წაზად დაუსვა მხარზე ხელი და ასე მოეჩვენა, თითქოს ძელის ბუდე მკერდისა, მარჯვენა კუთხეში ჩანგრეულა და ბეჭისა და ლავიწის ძვალი დაშვებულაო. მართლაც, ამ პატარა, ყავარივით გათხელებულ, ცალხელა კაცს ვინც დააკვირდებოდა, ასე მოეჩვენებოდა, თითქოს ჩონჩხისათვის არა მარტო მკლავი, არამედ კისრიდან მოყოლებით, ბეჭისა და ლავიწის ძვალიც — მთელი მხარი მოუცლიათო. გულშემოყრილმა იონამ ხელი უშვა, თვალზე ცრემლი მოადგა და დარდიანად ჩაჰკიდა თავი. ოთარი კი ისევ დამშვიდებით განაგრძობდა აქესენტისთან საუბარს. აქესენტიმ გულდაწყვეტილი კაცის ღიმილით შეხედა მასავით ფრონტელს, თითქოს ამ შეხედვით ეუბნებოდა: ის, რაც მე და შენ ვიცით, ესენი ვერასოდეს ბოლომდე ვერ გაიგებნო. ის, რაც მე და შენ ფრონტზე ენახეთ, ამათ, ძილში-ნახული ზღაპრული სიზმარი ეგონებათო. ის, რაც მე და შენ განვიცადეთ, ამათ კიდევ რომ ეუამბოთ, სულერთია. — საესებით მას ვერ წარმოიდგენენ და განიცდიანო. ამიტომ აქესენტი მხოლოდ ოთარს უამბობდა თავის თავგადასაჯულს და ახლა ისეთი რამ მოჰყვა, რაც აქ მყოფთა-

თვის მანამდე არასოდეს არ უამბნია, თუმცა: ხშირად კი შეხვედრია მათ.

მავრა წისქვილის იატაკზე ყავარჯენს აბაკუნებდა. ფიცრები ერთმანეთზე არ მიესადაგებია ოსტატს. ფიცრებს შორის კეტი გაეტეოდა. უეცრად, ყავარჯენი ხელიდან გაუსხლტა მავრას. ფიცრებს შორის ჩაეშვა და წისქვილის ბორბლებში აღქაფებულ და ორომტრიალით მავალ წყალში ჩაევარდა, ჩაიძირა და გაუჩინარდა. მავრამ იატაკის ღრიჭოში ჩაიხედა. ბორბლებში მივარდნილი და ორომტრიალით წამოსული, აღქაფებული წყალი დაინახა. თავბრუ დაეხვია და ასე მოეჩვენა, თითქოს წისქვილში კი არა, არამედ ბორანზე ზის და მისცურავსო.

— უი, რა კარგი ჯოჯი დაგკარგე! — დაიძახა მავრამ. ოთარი, ბავშვები: თინა, ციციხო და იონას ძაღლი ბეჯანა, კარში გასცივდნენ. ბორბლებში ნამუშევარ და ორომტრიალით წამოსულ წყალს არხში დაუდარაჯდნენ. წყალს აცურებელი ყავარჯენი მიჰქონდა. ციციხო წყალში ჩავიდა. მას ბეჯანაც მიჰყვა. ძაღლი ცურვით დაედგინა ყავარჯენს, პირი სტაცა და დაიჭირა, ციციხომ გამოართვა, არხიდან ამოვიდა, წისქვილში შევარდა და ყავარჯენი მავრას მიაართვა. მავრა წელამდე დასველებულ და გაწუწულ ბავშვს სიცივისაგან აწითლებულ ფეხებზე დააცქერდა და უყვირა:

— უი, რაღა ექნა! წყალში როგორ გაბედე ჩასვლა, ამ სუსხიან ამინდში? ხომ გაცივდები! აქ მოდი.—მავრამ ციციხო ცეცხლის პირას გააჩერა. ბეჯანაც ბუხართან დაეუქქა, უყვირდა: მავრა მადლობას მე რად არ მეუბნებო? განაბულ თვალებს ცეცხლს არ ამორებდა და ფიქრობდა: ნეტავ იმ ქვაბში რა იხარებო? მავრამ ხელი მოჰხვია ციციხოს, აყოცა და წითელი ჩითის კაბა გამოუწერა.

— თავი გაანებეთ, მაგ ეშმაკსფებს!

ნუ სწუხდებით, არ გაცივდები! წყალში ქუეშპალს მიჩვეულია ტობრა აქვსენტი.

— ციციხო და ჩემს ბავშვს წყალში რომ არ ჩასულიყვნენ,—შენიშნა მავრას იონამ,—შენი საყვარელი ყავარჯენი არხიდან თავისთავად ხომ არ ამოფრინდებოდა! ამაზედ არის თქმული: კატას თევზი უყვარდა, მაგრამ წყალში ფეხის დასველება კი ეჯავრებოდა! სოფლად გაზრდილ ბავშვს წყალში ჩასვლა არ გააცივებს.

აქვსენტიმ უთხრა:

— აღამიანის შვილი, ასე იოლად რომ ცივდებოდეს, ახლა არსად ჩემი ძვალიც არ უნდა ეგდოს! რამდენი დამე მე მითევია და რამდენი დღეც მე ვგდებულვარ რუსეთის ყინვა-თოვლში, იმდენი წელი თქვენ იცოცხლეთ, ბიძია იონა! მაგრამ, გაგიგონია: სურლო, ერთხელაც არ მჭირებია!

— მაგას ნუ იტყვი!—შეედავა ოთარი:—თმში ყოფნა და შინ, სულ სხვადასხვა ამბავია. მეც შენ დღეში არ ვიყავი? ერთხელაც არ გავცივებულვარ. მაგრამ ომიდან რომ დავბრუნდი, დამით უფრო, სამშობლოში ჩამოვედი, მასუკან სურლო ვერ მოვიშორე.

— კაცი გაქირვემას ეჩვევა ფრონტზე. აგზნებულ მდგომარეობაშია. მერე, კარგ და მშვიდობიან პირობებში რომ მოექცევა, ალბათ, დიდი ცვლილების გამო, ცივდება,—განუმარტა მავრამ.

— რა ვიცი, ექიმო, ქარბუქში მიწაზე ვწოლილვარ და არ გავცივებულვარ და ამ ბუხრის წინ რა გამოცივებს!—ჯიუტობდა აქვსენტი.—თუმცა ხელის დაკარგვის შემდეგ ისე დაესუსტდი, ალბათ, პატარა მიზეზიც მეყოფა,—დასძინა მან.

— შენ ტყვია მოგზღდა ხელში, თუ ნამსხვრევი?—აკითხა ოთარმა.

— ნამსხვრევი.

— მეც ნაღმსატყორნით დამჭრეს.

— არა, მე საპერო თავდასხმის დროს დაეჭვრით. თრ თავდასხმას გადაეურჩი. მესამეზე კი — ბედმა მიმტყუნა.

— დაბომბვაზე სამინელი მართლაც არაფერი არ არის! — შენიშნა ოთარმა.

— დაბომბვა, დაბომბვის გააჩნია! — გაუსწორა აქსენტომ. — ჩვენ, გაშლილ მინდორზე, ლაშქრობის დროს გვიყულებს გერმანელებმა. ხელის ვუღვივით მოშინებულნი, ტრიალი მინდორი იყო. არსად თავშესაფარი. მიწის გათბრაც კი ვერ მოვასწარიით ისე გავიფანტეთ მინდორში, თავდაღმა წაეუწყეთ. დიდხანს გემუჩანდა ის ურჯულნი! მშინ ვაგვივადედა ერთი ქართველი ამხანაგი.

— რამ გააგვიყა ის საცოდავი? — ჰკითხა ოთარმა.

— არ გაგიყდებოდი! — მოუგო აქსენტომ. ისევ ოთარს შეხედა და განაგრძო: — ატყდებოდა ცაში გუგუნნი. წამოვიდნენ ისარივით გამანადგურებლები და შერე, ბუღეში ჩამგდარ, უზარმაზარ კრუხივით გამოჩნდებოდნენ ბომბდაშენები. გადაგვივლიდნენ თავზე და დაგვიყრდნენ ყუმბარებს. რა კაცის გულს უნდა გაეძლო იმ ქვეყნის დამქცევ კვილის, ზუზუნის, აფეთქების და გრუხუნისათვის? დედამიწა ირყუოდა. მოთხრილი მიწის ზვინები ცისკენ ეყუდებოდნენ. შეწყდებოდა ცეცხლი და გრუხუნნი, მოიწმინდებოდა გაქვარტლული ცა და გაისმოდა ახლა მინდორში: ტირილი, კენესა, გოდება და ღრიალი. სად თავი ეგდო, სად ზელიდა ფეხი... ისევ ატყდებოდა ზეცაში თვითმფრინავების შემზარავი გუგუნნი. „უაი-ლედა!“ — დავიძახებდი მე და ის ქართველი ჩემი ამხანაგი —

ქოვზირიძე. ისევ გავეცქირებოდი დედამიწას სიკვდილისა და ქვეყნის დატყვის მოლოდინში. ატყევენ ცელი გული გაუძლებდა იმ მოდებდნენ მისი გვიგონია! მხოლოდ თავის ქალასა და კეფაზე დაეჭვრით ხელებს; თითქოს ხელები იგვიშველიდა და დაგვიფარავდა უზარმაზარ ყუმბარებისაგან, რომლებიც ადამიანის თავის ქალას კი არა, მთამბანის კლდეებსაც კი დალუწავდა. ისევ ატყდებოდა გრუხუნნი, აფეთქება. ისევ დაეშვებოდა ჯოჯოხეთი დედამიწაზე, ყოველ აფეთქების დროს დედამიწაზე დამბობილს, გმინვა მესმოდა. არასოდეს არ დამავიწყდება დედამიწის გულში ჩათხრობილი ის უცნაური და ყრუ გმინვა, თითქოს დაჭრილი ჯარისკაცი ოხრავდაო... კარგა ზანს აღარ გამოჩენილან თვითმფრინავები. ცაში ჩვენები დაეინახეთ. დაიფრინეს უწყმიდურები... დაბომბვა გათავდა. გათავდა დაბომბვა, მაგრამ ადამიანების ტანჯვა-წამება, მერე უნდა ვენახა. ჩემ წინ წაწოლილ რუს ჯარისკაცს ქოვზირიძე გიყვივით მიამტერდა. ისე დამიძახა, თითქოს ხმა საფლავიდან ამოდისო: აქსენტომ, რა აწყვია ამ კაცს ზურგზეო? მიწაზე გაწოლილ ჯარისკაცს გავხედე და ქოვზირიძეს მიუთხვე: მიგანია, ვერ ხედავ? მართლაც მუცლის ღრუდან ამოცვენილი ღვიძლი და თირკმელები ისე ეწყო ზურგზე იმ კაცს, დაკლულ პირუტყვისათვის რომ ამოგვილია. მაგრამ ის მისი ღვიძლი და თირკმელები არ იყო. „უიო“, — იყვირა ქოვზირიძემ. თვალეზე ხელი აიფარა და დედამიწას დააკვდა. ბოლოს ამხანაგებმა წამოვიყენეთ. მაგრამ ხმამ არ იღებდა, არა-

ვის არ გვიშერდა და თვალებზე აფარებულ ხელებს არ იშორებდა. მხოლოდ ფეხქვეშ, დედამიწას დაშტერებოდა, სვეტებით დაჭულებული და უძრავი. თუ იწვა, ან იჯდა თავათ აღარ წამოდებოდა. გახედდა, დაძუნჯდა კაცი. მერე უკეთესობა დაეტყო. ენაც დაუბრუნდა, მაგრამ თვალებზე ვატყობდი: საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. ვუვლიდით და ვუთვალთვალავდით. გვეშინოდა ცუდი რამ არ ჩაედინა: შაშხანით თავი არ მოეკლა, დანით ყელი არ გამოეჭრა, ან წყალში არ გადაეარდნილიყო. ერთხელ ქოვზირიძე უეტრად სანაგრებიდან წამოხტა, ქუდ-მოგლეჯილი და ზარდამცემი ყვირილით გაგვეძცა. ბევრი უყვირეს ბიჭებმა, მაგრამ ყური არავის არ ათხოვა. რუსმა მეთაურმა მითხრა: თქვენებურად დაუძახეო და მეც მოვრთე ყვირილი: კოტე, ბიჭო სად გარბიხარ? მოგკლავენ, დაბრუნდი-მეთქი. არ გამოიგონა. ძლივს დავიპირეთ და სანიტარს გადაეცით. შემდეგ ჰოსპიტალში განიკურნა. ორი დღის ბრძოლის შემდეგ წინ წაიწიეთ. თოვა შეწყდა და საშინელი ყინვები დაიჭირა. პატარა მდინარის ჩატეხილ ყინულზე წყალი გადმოსულიყო, და წინაღამით ხევიანად დანათოვ და დაყინულ გზაზე გადაეცლო, გავსიპა და სარკესავით გამჭვირვალე გაეხადა. მივდიოდით და, რა ენახე, არ იკითხავ?

— რა ნახე?—ჰკითხა ოთარმა. აქესენტიმ მიუგო:

— ყინულში მოქცეული კაცი პირალმა იწვა. კბილები დაეკრიპა, თვალები გავიხილა და ზახაც გაღებულა დარჩენოდა. თითქოს სარკეში კაცი წივტა, კაცი სარკიდან მიცურის და შემახისო.

— რა საშინელებაა?—დაიძახა მევრამ.

— ვინ იყო, ნეტავი ის უბედური?—ჰკითხა აქესენტის იონამ.

— ვინ იცის.—მიუგო აქესენტიმ. მერე უღონოდ მუხლს ხელით დაეყრდნო, თითქოს წელი მოსწყდა და ატკივდაო. დამუნჯდა კაცი და წიქვითილია კარებში, სადღაც შიშის და უხილავ მხარისაკენ, ისევ დამწყურებული სახით გაიხედა. მავრამ შეხედა და ეხლა კი მიხვდა, თუ რად იჯდა წიქვილში პატარა, ცალბელა კაცი—აქესენტი შავიშვილი უხალისოდ, რად იცქირებოდა თავისი დიდრონი, შავი და უძრავი, მოწყენილი და კაემნით: საესე თვალებით. მავრამ ვერ მოითმინა და დაიძახა:

— კაცი ნოშერი ორასორმოცდაშვიდი, კაცი სარკეში! ეს რა ამბები გვესმის ადამიანებო!

— საშინელი ამბები გვესმის, საშინელი!—მიუგო იონამ.

ყველანი დადუმდნენ და იონას ასე მოეჩვენა, თითქოს ღართა წყალვარდნილები, წიქვილის ბორბლები და დოლაბები კი არ გუგუნებენ, გრიალებენ და გრუხუნებენ, არამედ სოფელს ბომბავენ, ქვეყანა იმუხება, იცევა და წიქვილიც ამიტომ ირყევა და ოჩაფეხებზე შემდგარივით ასე ბარბაცებსო.



მავრა და ოთარი სანდროს პატარა ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ. სანდრო ტატზე იჯდა. გვერდით ლიდა მოსჯდომოდა. ღორა მავრას კამინეტში დარჩენილიყო, ის ინგლისელი მწერლის სუინერთონის რომანს კითხულობდა: „ერთ ღამით“.

ოთახი ლიდას სუფთად დაელაგებინა. ფანჯრებზე თეთრი ფარდები დაეკიდნა. საწერი მაგიდა და ტუალეტი კოხტად გამოიციქირებოდნენ. მავრამ აი ოთახში ყველაზე უმალ, იშვიათი გულმოდგინებით გაკობტავებულო საწოლი იპყრობდა ყურადღებას. იგი

ლიდასათვის უზენაესი სიტკბობისათვის გამოიზნული ადგილი იყო. ოთარმა თვალი მოაგლო ოთახს და ლიდას გაუღიჟა. იგი ყველაზე უფრო გულთბილად და მგებრულად ეპყრობოდა ლიდას. მათ შორის უმაღლესი ამბანაგური კავშირი დამყარდა. დღეს ლიდა უჩვეულოდ აღტაცებული და გახარებული იყო. გუშინ იონამ უთხრა: „ამდენხანს უზემად გეპყრობოდი და მაპატიე. განა არ ვიცი, სანდრიკაზე რაც ამავგი გაქვს გააქეული?! განა არ ვიცი, შენ რომ სანდრიკა გიყვარს და მასაც უყვარხარ და ეგ სიყვარული ჩემგან პატივისცემას მოითხოვს?!“ ამიტომ იყო, გუშინ, კიდევ მეტის გულმოდგინებით რომ ასუფთავებდა და ამკობდა ლიდა, სანდროსთან ერთად საცხოვრებელ შრაველნანატრ თავის ბინას. ყველაფერი სულ სხვაგვარად გამოიქიჩებოდა ახლა ამ ოთახში. ახალი ლოგინის და თეთრი გაღისფარის გამო, საწოლი ამალღებულყო და იგი უფრო სუფთა სჩანდა. ხოლო ცისფერი სტაერის სარჩულიანი მაჭმანის ნაზი საბურავით დაფენილი ბუმბულის გაპენტრილი ბალიშებისა და საწოლის თავებზე დაკიდებული, აბრეშუმის მარყუევებით განასკვული თეთრი და ნაგვირისტები ფარღების გამო, ლოგინი მდიდრულსა და ამავე დროს ინტიმურ იერს ღებულობდა. ლიდა მოწიწებით და მოკრძალებით ამკობდა და კაშმადეა ამ სამიჯნურო სარეცელს, თითქო ამდამ ქორწინების დმერთი— პიმენე მოფრინდებოდა და საწოლია თავზე სანთლებს აღანთებდა. ლიდა მთელ თავის ქალურ ნიჭს ამქაღენებდა მისთვის და სანდროსათვის მიჩნეულ ამ სურათთ ბინის—ოთახის მოწყობაში. სისხლსავსე, ბრვე და ჯანმრთელ ციმბირელ ქალს ცისფერი თვალები უციმციმებდნენ, ღაწვები უღაქაღებდნენ. ნოემბრის ცივი დღე იყო, მაგრამ გულამოჭრილი ცისფერი ჯემპრის

ეცვა და მორგევით სქვენი ცისფერი, თეთრი ყელი და მალხლი მკვლელ უჩანდა.

### ნარკინული

ოთახში მაიორის ~~სანდროს~~ მისი სიტკბადე შემოვიდა და სანდროს გვერდით ტახტზე დაჯდა. მავრა ოთარს ჩააცივდა და პარტიზანი ოფიცრის „კაზაკის“ თავგადსავალი აამბობინა.

სანდროს ისევ კედელს მისწოლოდა და თვალები ჩვეულებდამებრ დაეხუჭა. კაცი ოფიქრებდა: ჩასძინებიაო. ნამდვილად კი, ფიქრობდა: განა ცოტა რამ მაქვს სათქმელი ომზე, მაგრამ ოთარსავით ამდუნს რა მალაპარაკებსო. მაიორს დათუასაც თავი ჩაეკიდნა, მაპიროსს ზედღიზედ ეწეოდა და მავრას, ხანდახან, დარცხვენით ამოჰხედავდა. დიღე ფიქრობდა: კაცი მაიორი ვარ, რა არ მინახავს და რა არ განმიცდია ფრონტზე, მაგრამ ამ ლეიტენანტსავით ენის წაგრძელება მეუხერხულეზო. მართლაც ოთარი ენაწყლიანი და დაუზარებელი მთხრობელი აღმოჩნდა. ისედაც უენო სანდროს, კონტუზიის შემდეგ მეტყველება უჭირდა და, სურვილიც რომ ჰქონოდა, ოთარის მსგავსად, თავგადსავალს ვერ მოჰყვებოდა. დათუას მხოლოდ სამჯერ მიეღო ბრძოლაში მონაწილეობა, ტამანის ნახევარკუნძულზე, მერე მისი ნაწილი ზურგში იმყოფებოდა და სათქმელი ბევრი არა ჰქონდა რა. ამოდ შურდა მაიორს ლეიტენანტის მიერ თავისი თავგადსავალის და პარტიზანული რაზმის ბრძოლების თხრობა. მიუხედავად ამისა, სანდროს და ოთარსაც მედლების გარდა, მხოლოდ წითელი ვარსკვლავის ორდენი ჰქონდათ, ხოლო დათუას კი—მედლები, ორი წითელი ვარსკვლავის ერთი სამამულო ომისა და აგრეთვე წითელი დროშის ორდენებიც. მავრა მიუხედავად ფრონტელებს სანდროს და დათუას გულისთქმას და ახლა დათუას მეტი დაწინაურება უსურვა, ხოლო სანდროს კი—გამო-



ჯანსაღება. ოთარი ორდენებით მოქედლილ მკერდზე დაატყარდა დათუას და შენიშნა:

— ქარვად გიმუშავნია ფრონტზე.

დათუა გაწითლდა, ამირიზა და მალე წასვლა დააბძრა. მაგრამ და ოთარმა კიშკრამდე მიაცილეს, მერე იონას გაუარეს, მაგრამ იონა სოფლის საბჭოში წასულიყო და მის ეზოში ბუმბერაში ძელქვის ქვეშ შეჩერდნენ. აქედან მშვენიერი სახედები იშლებოდნენ. კავკასიონის ჩამოთოვლილი ქედები სჩანდნენ. მზიანი ღლე იყო, მაგრამ მაინც ცივოდა. სუსხიანი ქარი უბერავდა. ოთარი მხრებამწურულ მავრას დაატყარდა და ჰკითხა:

— თქვენ, ამ სოფელს თავს რომ დაანებებთ და თბილისში გაემგზავრებით, იონას რა ეშველება?

— ჩემი წასვლა ძალიან ეწყინება, მაგრამ ახლა თქვენ დაბრუნდით, და რა უშავს?— მიუგო მავრამ.

— შე ამ სოფელში ვერ დაერჩები: მალე მუშაობა უნდა დაეწყო.

— სად?

— ისევ ჩვენს ქარხანაში.

— ჰო, მართლა, სულ დამაეწიყდა, თქვენ რომ ინეინერი ხართ.

— სანდრო მეცოდება. რა ეშველება უბედურს? მუშაობა არ შეუძლია.— წუხდა ოთარი.

— იცით, ოთარ, — შენიშნა მავრამ, — იმ აქსენტი მეწისქვილის და სანდროს თვალები მოსვენებას არ მძალევენ.

— როგორ? — ჰკითხა ოთარმა.

— არ შეგინიშნავთ: იმ ბატარა კაცს, აქსენტი მეწისქვილეს, როგორი უძრავი, მოწყენილი და კავშირით სავსე თვალეები აქვს? სანდრო კი, როცა ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა წრეში იმყოფება, მუდამ თვალებს ხეკვავს, თითქოს არაყის ცქერა არა ხურას, თელვს და სძინავსო. — მიუგო მავრამ.

— როგორ არა, ეს შეგინიშნე. ხომ

იცით, რა არის მავის მიზეზი? აქსენტი და სანდროსაც ფრონტის საშინელება აღონდებათ, და იმ მოვარებებს ვერ ართმევენ თავს, სანდროს კი ძილის დროს, სინამდვილეში უმეტერიან სიზმარში გადასულნი. — შენიშნა ოთარმა.

— სრული სიმართლეა. — დაეთანხმა მავრა და გულითადი ხმით უთხრა: — იცით, ოთარ, აქსენტი და სანდრო და მათებრ ომით გავრეზებული და დასახინრებული ფრონტელები, იმ უემურიან მოვარებათა სამყაროდან ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას უნდა დავუბრუნოთ. ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა. თქვენ არ გეჭირებათ აქიზობა, ქადაგება და შთაგონება. თქვენ ძლიერი ნებძყოფის და მაგარი ნერვების კაცი ყოფილხართ.

ოთარმა თავი ჩაჰკიდა. ძელქვის ფესვებზე წაყრილ მიწას ყაყარჯნის წვერით ჩიჩქნა დაუწყო, ხეს წითელი და სველი ფესვი გაუშინებდა და ასე იგრძნო, თითქოს ყაყარჯენი აღარ სჭიროდა და ამ ბუმბერაზე ძელქვასავით გაედგა მშობელ მიწაში ფესვები. მით უფრო შეეცოდა სანდრო და აქსენტი: — საშინელი ამბავი სჭირთ სანდროს და აქსენტის. ერთს ტენი აქვს დაზიანებული, მეორე კი — ცალხელაა!

— სანდროს უკეთესობა ეტყობა და დარწმუნებული ვარ, ვანიკურნება კიდევ. აქსენტი კი... — მავრა შეჩერდა, ოთარს მგზნებარე თვალებით შეხედა და ისევ გულითადის ხმით უთხრა: — მე ბევრჯერ მიფიქრია იმ ცალხელა მეწისქვილის შესახებ... რა ვუყოთ, ომმა ცალი ხელი რომ წაართვა! სამშობლოში ცოცხალი ხომ დაბრუნდა? შინ ჯანსაღი და გამარჯვებული დაუბედა. ქალმა შვილები დაზრდილი, სწავლაში გაწრთვნილი და სახლკარიც მოვლილი დაახედრა. კოლმეურნეობის წყალობით, აქსენტის სიმინდი და ღვინო არ აკლია. სოფელმა სახლი

შეუკეთა ფრონტელს და კრამიტით გადაუხურა. გულში ჩაიკრა სოფელმა ომიდან დაბრუნებული და ხელგაშლილი, პურღვინით მიეგება. ომში ნატარი და დაქირაული ჯარისკაცი მშობლიური სოფლის მიწაზე აბიჯებს ახლა ფეხს. მისი წულები ისევ ზეგანის აყალო მიწით არის შეგლესილი. მისი სოფლის წინ, ადრე რიონის ველია გაშლილი. უკან, აი, მთაშუბანი აღმართულა, მწვანე, წარმატცი კალთებით, სადაც აქსენტი ცოლშვილს მოეკიდა, სადაც დაიშორება კიდეც, როდესაც მოხუცდება და ბუნებისაგან დადგენილი ეპი მოაღწევს. ახლა კი, ყოველ დღით მშვიდად სძინავს, და ზეკარის საარაკო მთებიდან ყოველ დღით ამოსული, მზიური საქართველოს ალიონი უღიმის, სიცოცხლისა და ცხოვრების მომნიჭებელი. ისევ ბედნიერი და თავისუფალი სამშობლო დაუხვდა აქსენტის და არა მტრის მიერ აზრებული და იაკარქმნილი. იგი თავისუფალი ქვეყნის შვილია და არა იმ აჯამი და ეშმაკიული ქვეყნისა, რომელმაც პირსისხლიანი მგლები და მგელუკები შემოგვასია. იმ მუღებმა სანდროს და თქვენ იარები დაგანით, აქსენტის და ათას სხვა მებრძოლს კი ხელი და ფეხი მოჰკლიჯეს, და მანამდე არ მოგვეშვენ, სანამ მათივე ბუნაში არ შევრეყეთ და ის ბუნაგი ძირბუღიანად არ ამოფეით. რა ვუყოთ, აქსენტი რომ ცალხელაა?! ის ხომ გმირია, ჩვენი სამშობლოს გადამჩინე! ცალხელა კაციც საჭირო და გამოსადეგი არის ჩვენი ქვეყნისათვის. ცალხელა გლეხკაცს სოფელმა შესაფერი სამუშაო აღმოუჩინა: მეწისქვილედ დააყენა იგი. სოფელი გულთბილად ზრუნავს მასზე და მის ოჯახზე, რადგან აქსენტის სახლკარი, ჩვენი სოფელი და მთელი ჩვენი ქვეყანა, განუყოფელი და ერთი მთლიანი დღიდ ოჯახია. ერთი აზრით და გრძნობით გამსჭვალული.

ჩვენი სოფლის—ზეგანის ცხოვრებნიც ხელცარიელი რაღაც მიღამ ცალხელასთან. მეზობლებს ძვენი, საჩუქარი და თანაგრძნობის მაგისტრული მიაქვთ. ჯერ-აქვანთი ომიდან ცოცხლად გამოსული აქსენტიც გამოყოფილი უნდა იყოს, და როდესაც მშობლიური სოფლის ქალებში მოწეული და წისკვილის ქვეშში გატარებული სიმინდის თბილი ფქვილი ისევ მის ნაბრძოლ და ნაჯაფ ხელის გულზე სცივია,—სიხარულით ცას რად არ წვდება?! რად ზის ისევ უხალისოდ და რად იცქირება თავისი დიდრონი, შავი და უძრავი, მოწყვნილი და კაეშნით საცხე თვალებით? განა დაღუპვისა და განანაგებისაგან სამშობლოს გადარჩენა, ომში განცდილი უბედურების ფასად არა ღირს? აი, რას ვფიქრობ მე, და რად მინდა აქსენტი უფმურიან მოგონებების სამყაროდან, ჩვენს ცხოვრებას დაუბრუნდეს.

— სანდროს, აქსენტის და ომიდან დაბრუნებული ყველა მებრძოლისადმი ასეთი ცულისხმიერი და გულთბილი მოპყრობისა და თანაგრძნობისათვის, ნება მიბოძეთ მათი სახელით მადლობა მოგახსენოთ,—უთხრა ოთარმა და ხელზე აკოცა.—სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, არცერთი კაცის სიტყვა ისე ღრმად არ მომხვედრია გულში, როგორც თქვენი. ახლა კი ვიცი, რით აჯადოებთ ბიძაჩემს... მეც სამუდამოდ მიხიბლული ვარ თქვენი საღი გონებით, დიდი გრძნობით და თქვენი ქალობით. რა ბედნიერი ვარ, ზეგანში რომ ჩამოვედი და თქვენ გაგიცანით... მე თან წამყვება თქვენი ტრფიალი... ჩემი ვული დიდი სიხარულით არის აღსაყეს... მე...—და ოთარი მზად იყო გულის ზეამიადი ახლავე გაენდო მავრასათვის, მაგრამ ბონდის ხილთან მანქანის საყვირი გაისმა ზედიზედ...

ძელქვისქვეშ მდგარმა მაგრამ და ოთარმა ზიდს გახედეს ზიდთან მზის-

ვან გაბრწყინებული, თავდაბრილი დიდი მანქანა იდგა. შოგ სამხედრო პირები ისხდნენ. შოფერის გვერდით — ბრვე ვაჟაკი, ვიღაც ოფიცერი, რომლის გულმკერდზე უამრავი ორდენები კლევიოდნენ. „ნეტავ ვინ არიან“, — გაიფიქრა მავრამ. შოფერის გვერდით მჯდარი ოფიცერი მანქანიდან ჩამოვიდა. ეტყობოდა: ბონდის ხიდზე დიდი მანქანის გაყვანა საფრთხილოდ მიაჩნდა. მანქანასთან მაიორმა დათუამ, მისმა მამამ ნიკიფორემ და გლეხებმა მიიბრძნეს და ყველანი გულში ჩაიკრა ორდენებით მკერდავსილმა. მალე სოფელში ყოინა ატყდა: სერაფიონ ენდელაძის შვილი, პოლკოვნიკი გოგმა ჩამოვიდაო. პოლკოვნიკმა მანქანა ხიდთან დატოვა და თავისი მეგობარი ოფიცრებით შინსაკენ ქვეითად გაეშურა.



დღეს კარისმხრეთში სანდრო ჩხეიძემ და ლიდა მარჩენკომ ზელი მოაწერეს ცოლქმრობაზე. ნატომ დიდი წვეულევა ვადიხადა. სალომე და მაცრა მიეშველნენ და ჩინებულნი ვახშამი დაამზადეს. დორა კვლავ ინგლისურ რომანს კითხულობდა. იმერელი ქალივით „ღუტუ-ღუტუს“ რომ ეძახდა და პანტა ვაშლს აკმევედა ლიდა, სწორედ ის გოჭები დაკვლეს. იონასაც თავისი მსუქანი ინდოურები არ დაუშურვეშია. სტუმრებად საბუკოს თავმჯდომარე კოტე სანებლიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოსე მენჯავიძე, სერაფიონი და ივლიტე და ამათი შვილი — პოლკოვნიკი გიორგი მოუწვია ნატოს. შაიორი დათუა და მისი მამა ნიკიფორეც მოსულიყვნენ. თამადად კვლავ იონა იყო.

როდესაც სტუმრები დანაყრდნენ და ცოტა შეზარბოშდნენ, იონამ „ჩვენს გოგიას გაუმარჯოსო“, — დაიძახა, იონა

ნამ პოლკოვნიკის სადღეგრძელო ახარფეშით შესვა. ყველანი ფეხზე იდგნენ, პოლკოვნიკს შინ მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდნენ და რამდენიმე აწვდიდნენ ერთმანეთს და ცოლი ახარფეშას. პოლკოვნიკმა მოსკოვის საბედისწერო წუთები, სტალინგრადი, გამარჯვებით წინსვლა და ბერლინში შესვლა მოიგონა. ჩინებულნი სიტყვა წარმოსთქვა და მსმენელნი მოაჯადოვა. მშობლები: სერაფიონი და ივლიტე ნეტარის ღიმილით მიმტერებოდნენ მაღალს, ბრგესა და მწითურ ვაჟაკს, რომელსაც სამი წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკვლავისა, ორი სამამულო ომის ორდენები და მედლები ეკიდა. სერაფიონმა თავისი შვილის გვერდით მდგარ მავრას ვადახედა და ისე როგორც ყურძნის კრეფის დროს, სუნთქვა შეეკრა და გაიფიქრა: „როგორ დაშვენდნენ ერთმანეთს. ნეტავი მავრა გოგიას ცოლი გახდებოდესო“. ღედაშ — ივლიტემ ვერ მოითმინა შვილისაგან შორსჯდომა. ადგა, მივიდა და წელზე ზელი მოჰხვია. მხარზეც კი ვერ შესწვდა პატარა ქალი ვაჟაკს. ქალარა თავი ორდენებით მოჭვდილ მკერდზე მიაღო და მოზღვავებულ სხარულის გამო, ცრემლით გაიგუდა. შვილმა მკერდზე მიიხუტა, აკოცა და უთხრა: „რა გატირებს, სატირალი უკან დაგვრჩა და გათავდა, ახლა სიხარულისა და გამარჯვების დღეები არისო“. მავრამ მასაც გული აუჩვილდა, რომელიღაც უხილავი სიმი შეირხა მის სულში, მამას ვადახედა. მოხუცებული და მოტეხილი მოუჩვენა. შეეცოდა. ბაგე მოკლმა. ნესტოები შეუთამამდნენ და ცრემლი რომ არავის შეემჩნია, ერთბაშად იყვირა:

— თავი რად ჩავიკიდნია, მამაჩემო? იონა, ნიკიფორე, დათუა, მოდი, ჩვენებური, ზეგნური ვკექოთ: „მასპინძელსა მხიარულსა. ჰყავს სტუმრები საყვარლები, ღმერთო, მასაც ნუ მოუშ-

ლი, რაც რომ ჰყავდეს საყვარლები“...—იონა, სერაფიონი, მოსე მენჯაეძე, ნიკიფორე და დათუა ჩოგოვაძეები შევლოდნენ და ჩინებულო სიმღერა თქვეს.

ლზინი წამოვიდა. მერმე იონამ ქალების სადღეგრძელო წამოიწყო. პოლკოვნიკმა პროტესტი განაცხადა:

— უკაცრავად, ბიძია იონა, რომ გისწორებთ, მაგრამ ჩემი და ამათი სადღეგრძელო რა შეუძლია იყო?! უპირველეს ყოვლისა სანდროს და ლიდას სადღეგრძელო უნდა შესმულიყო, დღეს სანდროს ქორწილია!—დაიძახა პოლკოვნიკმა და ახლა საქორწილო სიმღერა წამოიწყო: — „მოვიღვიართ, მოგვიხარია... მოგვყავს წითელი პეპე... ჭალი სძალი მშვენიერი... პირვარდი ალვა გეკლა“.

სერაფიონი და ნიკიფორე მიეშველნენ და როცა სიმღერა დაასრულეს, იონამ დაიძახა:

— ეს ძველებური სიმღერები, რა კარგად დამახსოვრებია. ყოჩაღ, გოგია!.. მაგრამ ახლა დაჯექი. ნუ მასწავლი. შენ შენს პოლკში ხარ უფროსი და კომანდირი, აქ კი—მე გახლავარ! მე ვიცი, როდის დავლიო სანდრიკას და ლიდას სადღეგრძელო... სანდრიკას ქორწილს რა მცოდნია! ხელი რომ მოაწერეს, ვითომ რა მოხდა? აბა ჰკითხეთ ლიდას, ამდენხანს ჯვარდაწერილი თუ არ იყო?!—ყვიროდა ყველას გასაგონად იონა და ისეთი რამ სთქვა, რომ ყველა სიცილით დაპხოცა. იგი აბირებული კაცი აბირებული თამადა იყო.

— უცხო ტომის ქალია, არ ეწყინოს!—დაუძახა იელიტემ. იონამ არც ახლა შეინახა საიდუმლო და ლიდას გასძახა:

— გესმის: რას ამბობენ? ლიდას სწყინს, ამდენხანს მისი სადღეგრძელო რომ არ შესვი და ასეთ რამეს ეუბნები!

— როდესაც გენებოთ, მაშინ მიიბრთვით, ბიძია იონა!—სიცილით მიუვლო ლიდამ. ახლა იონას, აქვე სწყენდა, „ბიძა“ რომ უწოდა რუსულად და ამოდან—ჩამოსული პოლკოვნიკის მშობლების: სერაფიონისა და იელიტეს სადღეგრძელო წამოიწყო... მერე, როდესაც მავრას სადღეგრძელოზე მიდგა გერი, იონამ ისევ შეამყო და ცამდე აიყვანა ახალგაზრდა ექიმი ქალი და წუხილი გამოთქვა: მავრა ქალაქში მიპყავთ და ზეგანს დაგანსაკუთრებით მე, რაღა მეშველებათ. ახლა თვითონ წამოიწყო მავრას საყვარელი სიმღერა: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა რუ დაბალი კორდის წინ...“ დათუა, ოთარი, მავრა და სხვებიც მიეშველნენ და ისეთი კარგი სიმღერა თქვეს, კაცი იფიჭრებდა: კონცერტიაო. განსაკუთრებით დათუას მეორე იყო მომზიბველი. მავრა პირველს ამბობდა. იონას ხომ ბუნებით მომადლებული სმენა და ბანი ჰქონდა. იგი ჩინებული ლოტბარი იყო. მერე მავრამ სანდროს პატეფონი მოიტანა და საცეკვაო—ჯაზი დაუკრა. ასე დაიწყო ჭეიფის ევროპული განყოფილება. დორა წამოდგა, პაპიროსი პირში გაიჩუო, მავრასთან მივიდა, მამაკაცივით მოჰხვია ხელი და მასთან ერთად ცეკვა დაიწყო. დორა მამაკაცივით ტოლს არ უგდებდა, მათთან თანაბრად სვამდა და ღვინო მოჰკიდებოდა. ფერმკრთალი იყო, ამღვრელი და მოწამლული თევზის მსგავსი უძრავი თვალებით მისტერებოდა მავრას. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოსვლენჯავაძეს არ მოეწონა ეს თმაშეკრევილი, პირში პაპიროსგამოჩრილი, მღუმარე და შებღმოდრებლული, კუშტი და ფიცარივით მკერდგასწორებული, გამხდარი ქალი. ვერ აეტანა მისი მკვდარი, ცივი და ზიზლით აღსავსე თვალები. რად გვიბღვრს, რა დავეშავეთ? ამ წარბაც, ეშხიან და გრძნობით სავსე მავრას, ნეტავ რა საერთო

აქვს მასთანო,—უჩურჩულა სერაფიონს. იონამ დაინახა, ოთარი აღტაცებით რომ მისჩერებოდა მავრას და უთხრა:

— ახლა შენ იცეკვე მავრასთან!

ოთარმა გაიღიმა. ყავარჯენი ასწია და უჩვენა.

— ეს რა მომივიდა, შე კაცო! სულ დამაიფიყდა,—შეწუხდა იონა. — აბა, თქვენ იცეკვეთ, გოგია და დათუა. სხვა მოცეკვავე არა ჩანს. სანდრიკას არ შეუძლია. მუ და სერაფიონი კი, მავ ცეკვას ვერ ვეწყობით.—უთხრა იონამ პოლკოვნიკს და მათორს.

— რანაირი ცეკვაა ეს? სულ არ მომწონს. ასე გაშეშებულ სიარულს და ჩოჩილს, ჩვენებური ლეკური, გახურებული თამაში არა სჯობია?

მიუხედავად სერაფიონის შენიშვნისა, მათორმა მეორედ დააყენა ჯაზის ფირფიტა. მავრასთან მივიდა და საცეკვაოდ გაიწვია. სახეზე ბედნიერი კაცის ღიმილი მოჰფენიდა. მერმე მჭიდროდ მოჰხვია ხელი ქალს, მკერდზე მიიკრა და შუა ნეტარებაში შესცურდა, მაგრამ რიტმი შეეშალა, ფეხი აურიო და მავრა წააბარბაცა.

— ქალი არ დაამტერიოთ, მათორო! თქვენ ოჯახაშენებულო, ცეკვა თუ არ იცით, სავალდებულო კი არ არის, მიინცადამინც იცეკვოთ, — უკმეხად შენიშნა დორამ.

მოსემ და კოტემ იფიქრეს: ალბათ, ეს ინგლისური ენის მასწავლებელი ქალი, დორა დათერა და შარზე არისო. დათუა კი დაიბნა. ფეხი უფრო აერია. და ახლა სულმთლად დაიწვა სირცხვილით. მავრას მოეშვა და ბოდიში მოიხადა. მაშინ დორა წამოდგა და ისევ მავრასთან ცეკვა დაიწყო. დარცხვენილსა და სახეზე წამოწითლებულ მათორს, ქეიფი ჩამწარდა. დაჯდა და თავი აღარ აულია. იგი ფიცხი და თავზედი კაცი იყო. მხოლოდ მიძია იონას ხათრით ჩაჰყლაბა ახლა შეურაცხყოფა,

თორემ დორას შავ ღღეს დააყენებდა. იონას არაფერი არ გამოჰარეცია. უსამართლობას და უზრდელობას ვერ ითმენდა იგი და არც ენებდა მფრინდა. და აი, ახლაც, როდესაც დორამ და მავრამ ცეკვა დაამთავრეს და ყველანი სუფრას მიუსხდნენ, იონამ აღელვებით, ხმამაღლა განაცხადა:

— ამბობენ, ეს ჩვენი ქალბიჭა დორა, ცოტა ინგლისურად ლაპარაკობსო. ცოტა მწერლობაშიც ერკვევა და ცოტა რაღაც ლექსებსაც ჯღაბნისო. მაგრამ უზრდელი და ტუტუცი კი ყოფილა.

ქალებს თავზარი დაეცათ. მავრამ თავი ჩაჰკიდა. დიდად უხერხული მღვთმარეობა შეიქმნა. დორამ ჟუკმეხად ჰკითხა:

— რა დაგიშავეთ, რომ ასე მლანძლავთ, ბატონო იონა?

— შე ქალო,—უყვირა იონამ,—როგორც შენ მოისმინე და დარწმუნდი, დათუას შესანიშნავი ხმა და სმენა აქვს. შენ კი არაერთი სმენა არა გაქვს, ხმა არ გივარჯა და შაკივით გაჰკივი, მაგრამ დათუას ხომ არ უთქვამს შენთვის: შე ოჯახაშენებულო, სიმღერა თუ არ იცი, ხელს რად გვიშლი? სავალდებულო კი არ არის ყველა იმღეროდესო?!

დორამ იცოდა იონას ფიცხი ხასიათი, სიტყვა ვერ შეუბრუნა, დაიბნა და წაილულღულა:

— შე პირმოთნე და მლიქვნელი არა ვარ. რაც ვიფიქრე, ისა ვთქვი. საწყენნად კი არ მოთქვამს. ბოდიში, ბატონო მათორო!

— მეც არ გახლავარ პირმოთნე და მლიქვნელი. რაც ვიფიქრე, მეც ის მოგახსენეთ: ტუტუცი და უზრდელი ყოფილხართ.— ისევ გაუმეორა იონამ. დორამ არ უპასუხა.

დათუა წასასვლელად იყო გამზადებული, მაგრამ ახლა ბრაზი მოეშვა, ოთარმა დორას შენიშნა:

— ნუკი გეწყინებათ, ამხანაგო დორა, მაგრამ დამნაშავე თქვენა ხართ. თქვენ ძალზე უხეშად, მიმართეთ მაიორს.

— კმარა, — იყვინა დისახლისმა ნატომ, — ჩვენ სიხარულის გამო შევიკრიბეთ. სიამოვნების მისაღებად მოვუწყვეთ ეს ვახშამი და არა სანახებრად. რაც თუ, ის გათავდა. ქალმა ბოდიში მოიხადა. თამადას ვთხოვ: სუფრა განაგრძოს.

დორა წამოდგა და მავრას ოთახსაკენ მწყრალი სახით და ტანალესილი გავშურა.

— როგორ გეკადრება ეს? — შესძახა იონას სალომემ.

— სტუმრის გალანძღვა რა საკადრისია? — არ მოუწონა იონას სერაფიონმა.

— უნდა მოვეუბნინოთ, ქალია! — შენიშნა ივლიტემ.

— ღვინო მოერია. — დაადგინეს მოსემ და კოტემ.

— ისედაც ნერვებაშლილია! — დასძინა მავრამ.

შეიქნა საყვედურები, მითქმა-მოთქმა, იონასა და დორას შორის შუამავლობა. იონამ ჯერ ფეხი გაიდგა: რა გამოდგა ეს თმაგაკრეჭილი ქალბიჭა ისეთი, რომ ყველას თავზე კაკალს გვამტვრევსო? ქალი თბიანი უნდა, მწვადი კი ცვრიანიო. მაგრამ, იონას დიდხანს არ გაჰყვებოდა ბოლმე ბრაზი. მალე ისევ ჩვეულებისამებრ, ოხუნჯობას დაიწყებდა. ახლა უკვე ხითხითებდა, დორას დასცინოდა, ბოლოს დორამ ისევ ბოდიში მოიხადა. იონამაც სიტყვა შეარბილა და უსიამოვნება ამოიწურა. კვლავ წამოვიდა ქეიფი. იონამ ნატოს გასძახა:

— ქეიჯა მომიტანე! — მერმე სუფრაზე მსხდომთ მიმართა: — მე თქვენ გაჩვენებთ, ქეიფი როგორი უნდა! მალე ქეიჯა!

— ნამდვილად დათვრა ეს კაცი. ქინძით და ნივრით აყროლებულ ქეიჯიდან ღვინის სმა არ ეგვიწყინებოდა! — არ მოუწონა ნატომ. *გეგლიწოთქანა*

— გემოც მაგაშია! შენ რა იცი. მალე ქეიჯა! — უყვინა იონამ.

ბოლოს ნატომ როდინიდან სანაყიქვა ამოიღო. როდინის ჯამი მანაც გამოორეცხა და იონას მიმართვა.

ყველანი გავიციებით და შეკავებულნი ღიმილით მისჩერებოდნენ ახლა თამადას. იცოდნენ წინასწარ, რომ რაღაც მოულოდნელ და უცნაურ სადღეგრძელოს იტყოდა იგი.

— აი, ჩემი საყვარელი, სოფლური ქეიჯა, როდინი, — დაიწყო იონამ, — როდინს, მე ქეიჯას ვუწოდებ: ქვის ჯამი! — უყნოსა და განაგრძო: — ქინძისა და ათასგვარი საკმაზის სუნო მცემს. ეს აჯამეთის მუხისაგან გავთალე. დაჩქმუნებული ვარ, ჯერ არავის არ დაგიღვეიათ ქეიჯიდან ღვინო. პოლკოვნიკო, მოეშხადე, — გასძახა მან სერაფიონის შვილს გიორგის და როდინი ღვინით აღავსო: — მე ვანზრახ მოვითხოვე ეს ძველისძველი, მამაპაათა სახმარი როდინი-ქეიჯა. დაე, მამაჩემის შვილისშვილს სანდროს არ დაავიწყდეს და უყვარდეს მამაპაათა სამყოფელი, ტკბილი სამშობლო, ჩვენი ზეგანი, მთაშუბანი, აჯამეთი და აჯამეთის მუხისაგან გამოთლილი ეს სოფლური როდინი! დაე, შიგ ჩანაყული ჩვენი საკმაზის სუნი სცემდეს მარადის! მარად ახსოვდეს და პატივს სცემდეს ჩვენს ძველ ადათებს, ჩვეულებებს და თავის ცოლს — ლიდასაც მას ათვისებდეს! — კიდევ დიდხანს ელაპარაკა იონამ და მერე სმენადქცეულ რუსის ქალს რუსულად უთხრა:

— შენ გაგიმარჯოს, ლიდა! ზინდა გულწრფელად ვითხრა ახლა ის, რასაც შენს შესახებ ნამდვილად ვფიქრობ. შენ გულსხმბიერი და გულკეთილია ქალი ყოფილხარ. იქნებ მართებულად

არ გეპყრობოდი ამდენხანს, ან რაიმე გაწყენინე, ვთხოვ მაპატიო.

— რასა ბრძანებთ, ბიძია იონა! — შესძახა ლილამ და სიამოვნების გამო სახეზე წამოწითლდა. იონა განაგრძობდა:

— შადლომას ვიძღვნი. დიდად გაფასებთ, რომ შენ, იქ, რუსეთში, ციმბირში, ჩვენგან—ნათესაებებისაგან და კეთილებისაგან დაშორებულ აღამიანს, ჩვენს ავადმყოფ და დაშავებულ სანდრიკას გულითად თანაგრძნობას და ჭეშმარიტ ჰირსუფლობას უწყევდი და აქაც ასევე უწყევ. მრავალს წელს შენი სიცოცხლე! რა თქმა უნდა, სანდრო და ჩვენი, ჩვენის მხრივ, სათანადო თანაგრძნობით და სიყვარულის გრძნობით მოვიზღავეთ სამაგიერო პატივისცემას... მრავალ წელს შენი სიცოცხლე!—ახლა ქართულად დაიძახა იონამ და ყველამ ასწია ტიქა და ერთხმად შესძახეს: მრავალ წელს ლილას სიცოცხლეო! კარგი მრავალყამაერიც სჭექს.

სიხარულის გამო, ლილას სახე ალაყულებოდა. მსუქნანი ლოყები ისე გასწითლებოდა და ზედ ისეთი აღმურვი მოსდებოდა, ქინძისთავის წვერით რომ შეჭხებოდით, სისხლი შადრევანივით ამოასხამდა. ხმამაღლა იცინოდა ახლა ხორცსავეს და სისხლსავეს ციმბირელი ქალი და, როდესაც მერამ სანდროს პატეფონზე ფირფიტა დააყენა და რუსული, ხალხური საცეკვაო „კამარინსკაია“ დაუკრა, ლილამ აბრეშუმის თავსაფარი ააფრიალა, მარდად გაიჭრა შუა ოთახში შედგა, ცხვირსახოცი მხარზე გადიგდო, დონჯები შემოიღგა. ნელ რიტმთან შეწყობით, ჯერ ადგილზე ჩექმების ბრახუნნი და მხრების ძიკძივი დაიწყო, თითქოს აღვირი უნდა წაართვას დამპერს და თვალუწვდენელ ფელზე ტენებით გაიჭრუსო. მერე ადგილს მოსწყდა და თავაწყვეტილი გრივალეით

გაეჭანა, წრეს დაუარა მარჯვნივ უსობდა ფეხებს. ფეხის წვერებზე დაგებოდა, მაშაყაცსებრ ჩაქებუნა კიდეც, ჩექმის ყელზე ტაშით ხვდნენ ცეკვა დაიწყო. „უბ, ეხმაო“,—დაიძახა, შეკვივლა და ისევ გრივალეით გაიჭრა წრეში. ცეკვავდა ლილა მარჩენკო „კამარინსკაიას“ და ამ ცეკვაში რუსი კაცის ხასიათი, სილაღე, თავდავიწყება, უნაპირო გატანება და ვაეკაცობა ცნატრლებოდა. მერამ სანდროს ბუხრის ქუდი დაიხურა და უკრაინელ კახაკივით ლილას ჩინებულად მიჰყვა და ცეკვაში მხარი აუბა. ტაში დასცხეს და როდესაც ფირფიტაზე ჩანაწერი გათავდა, ლილა შესდგა და ისე ხმამაღლა დაიკიხვინა, რომ ფანჯრის მინები შეახანხარა.

— ყოჩაღ, ლილა! ყოჩაღ!—შესძახა იონამ და მანაც გადიხარხარა.—რა ჩინებული ცეკვა გცოდნია! რატომ ამდენხანს არ ვიცოდი?—მერე სანდროს მიუბრუნდა და უთხრა:—არა, ბიძია, მაგ ციმბირულ ქალს შენ ვერ მოერევი და ვერ მოთოკავ. ჩვენი ქეთო და დორა არ გეგონოს! ხედავ, რა დიდი განცდის ქალი ყოფილა! ეს რა ხანძარი დაანთო! ეს რა გრივალი აუშვა!

— გაგიგონია!—ემოწმებოდა საცილით სერაფიონი.—სანდრიკა მაგას მკლავსაც ვერ მოუღუნავს. მაგას ჩვენი მავრა თუ მოერევა!

— აბა, გამოვიდეს თქვენი ფალავანი!—დაიძახა ლილამ და ისევ ხარხარი მორთო.

— ვაღი, მავრა, დაეტაკე. არ შეგვარცხვინო!—ძახდა იონა და მასთან ერთად ვიორჯი, მოსე, კოტე და ყველანი ხარხარებდნენ. სანდროც გულოანად იცინოდა. ბაგე გახსნოდა, თეთრი და გრძელი კბილები გამოსჩენოდა, ხოლო თვალები კი სრულად დაჰხუჭოდა და აღარ უჩანდა. ასე სჩვეოდა სიცილის დროს. იგი მეტად მოკრძალებუ-

ლი, უნგარო და კეთილი კაცი იყო. ლიდასადმი მიმართული იონას გულთბილი სადღეგრძელო და ლიდას ცეკვის შექება სიამოვნებდა. ადგა და დაუხმარებლად პატეფონთან მივიდა, თითქოს კონტუზიამ გაუარაო. ასევე რუსული საცეკვაო „კამარინსკაია“ დააყენა, ცოლთან მივიდა, ხელი მოჭ

ხვია და თხოვა: ~~მეორედ~~ ~~იციკელი~~ პოლკოვნიკმა დაიძახა:

— სანდრო და ლიდა ~~უნდა~~ ~~უხმარებენ~~ აკოცეთ, თორემ ~~ცხვირზე~~ ~~სი~~ გემწარებათ!— პოლკოვნიკს სხეებიც მიჰყვნენ და კივინი ასტეხეს:

— გემწარებათ, გემწარებათ!

სანდრომ და ლიდამ ერთმანეთი გადაკოცნეს.



## პ ო რ გ რ ე ჯ ე ბ ი



აკაკი წერეთელი ჭუთაისში

ქუჩამ იცვალა მეყვსეულად თავის იერი,  
მხცოვანმა კაცმა ჩაუარა ბულვარის კიდეს;  
ყველა მას უცქერს ალტაცებით, ყველა თვალს ჰკიდებს,  
ყველას აერთებს ანდამატის ტალღა ძლიერი.

აღფრთოვანებით სავსე სახე, არმიწიერი,  
ამაღლებს გრძნობას და სიცოცხლეს უბრუნებს მითებს,—  
მღელვარე გულით ჯადოსნურ ჩანჯს ზალხი ადიდებს,  
მგოსნის წინაშე მოწიწებით ქედს იხრის ერი.

ცის თაღს შეჰყურებს წარბაწევით, კაცი მაღალი,—  
ახალგაზრდობა უკან მისდევს სულგანაბული,  
მათი კერპია საქართველოს ბერი ბულბული,  
ბერი ბულბული მომღერალი ქვეყნის ახალის...

აუცნაურებს დაისის მზე კოლხეთის ზეცას,  
სამშობლოს ტრფობა პოეზიამ გააორკეცა.



დავით კლდიაშვილი თბილისის ოპერაში

ფალიაშვილის ოპერა დღეს პირველად მიდის,  
აბესალომის დღეს პირველად ისმის არია.  
მაყურებლებში, ვით ემბლემა გრძნობის სიწმინდის,  
მოსჩანს დავითი: იგი ტირის: მას უზარია.

დაეშვა ფარდა... რა ტაშების სიმკუხარეა!  
ტანით პატარა, მაგრამ კაცი ბუნებით დიდი,  
ველარ ეტევა ერთ ადგილას—ბობოქარია,  
ულელავს გული, როგორც ტალღა ცად ანაზიდვ.



ოპერის ავტორს და მსახიობს ეძებს ცახცახით,  
სურს ზაქარიას მოეხეოს, ვანოს აკოცოს, —  
მათთან მივიდა საქართველო მოხუცის სახით,  
რომ მიულოცოს, გაამხნეოს აქოს, დალოცოს...

ის იმეორებს:—„ერთობ, ერთობ ჩინებულა!..“  
მარტო ვრძნობაა, სიყვარულით სავსე გულია!



### ნიკო ლორთქიფანიძე

ნაშუალამევს ის არა სთვლის დაძინების დროდ,  
თავის ჩვევებით, ოდნავ მაინც, დეკადენტია,—  
ბევრთან მეგობრობს, მაგრამ იგი მარად კენტია  
და მას აწუხებს გრძელ ღამეში ცხოვრება მყუდროდ.

ღამის სუფრასთან მეტ ხალისით სვამს და საუბრობს,  
იმისი ტოსტი მუდამ მოკლედ მონაკვეთია,  
არ უყვარს კაცი თუ ყბეღია, ზუ მონეთია,—  
მწერლის ტრაბახი ეწყინება ყველაზე უფრო.

მას პირში ქება არ იტაცებს, არ ეამება,  
მაგრამ მოითხოვს რომ ზრდილობით მოექცეს ყველა,  
თვითონ არავის არ შეაქებს არაგულწრფელად,  
მას არ სჩვევია არც დათმობა, არც შეხამება.

თვის სიახლოეს უხამსობას უსიტყვოდ კრძალავს,  
წყენას მოითმენს, აღშფოთებას იგი ვერ მალავს.

## თავგადასავალი ბესიკ ბაბაშვილისა

რომანი \*

★

ბესიკი თუმცა ძალზე დაღლილი იყო, მაგრამ სრულიად გაუტყდა ძილი და მთელი ღამე მოუსვენრად ტრიალებდა ტახტზე. მას ბევრი რამ ადარდებდა და, უპირველეს ყოვლისა, ერეკლე ბატონის უკმაყოფილება. ბესიკისათვის ცხადი იყო, რომ ბოლო ეღებოდა სახლის კარზე მის დაწინაურებას. ანახანუმის განდევნაც კარგს არას მოასწავებდა ქაბუკი მგოსნისათვის. ამ უბედურებებს ისიც ერთვოდა, რომ უდავოდ გამქლავებული იყო ანას მიჯნურობა ბესიკთან. თუ ამ ამბავს ვერ ურეკლეს ყურამდე არ მიეღწია, დიდხანს ლოდინი აღარ იყო საჭირო იმისათვის, რომ შეეფეს ყოველივეს მოახსენებდნენ.

წარმოიდგენდა თუ არა ამას ბესიკი, მაშინვე რაღაც ცხლად გადაუვლიდა გულზე და სიმწრის ოფლით ეცკარებოდა შებლი.

სენაქში ველარ გაძლო. კომკის სხვენზე ავიდა და მთელი ღამე ქონგურებიდან გადასცქეროდა სიბნელეში ჩაძირულ ქალაქს. როგორი სიხარულით მიიჩქაროდა სამშობლოსაკენ ბესიკი და რა პირქუშად შეეგება მას ეს ზღაპრულად ლამაზი, ციხე-კოშკებით შემოსალტული დედაქალაქი. სიხარულის ნაცვლად ახალგაზრდა მგოსანს

დარდი და ვარამი შეაგება. რამდენჯერმე კიდევაც გაუელვა გუნებაში, ნეტავ ხომ არა ჯობდა, რომ სულ არ დაებრუნებულყოფ თბილისში და ალექსანდრე ბატონიშვილს მივეკედლებოდიო. ალექსანდრემ შეილივით შეიყვარა ქაბუკი მგოსანი და ურჩევდა მასთან დარჩენას. მართალია აქ ლეონ ბატონიშვილიც და დავით სარდალიც მისი მფარველები იყვნენ, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ გაბედავდა ბესიკზე შეფესთან ხმის ამოღებას, თუკი გამქლავდებოდა ანისთან მიჯნურობის ამბავი. ბატონის რისხვა გრიგალივით დაატყდებოდა თავზე. ბესიკი ახლა პატარა ბავშვს ჰგავდა, რომელსაც მიუტყევებელი ცელქობა ჩაედინა და დატუქსვის შიშით საკუთარ სახლში მუხლგების კანკალით ბრუნდებოდა.

მხოლოდ გათენების ხანს ჩაეძინა რამდენიმე საათს, სანამ მცხუნვარე მზემ არ გამოაღვიძა. გააბილა თუ არა თვალი, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და სასახლისაკენ გაემართა. ბესიკს სურდა საქმეებით გართობილიყო და მცირე ხნით მაინც მიევიწყებინა მოსალოდნელი ჭექა-ქუხილი. მეფის სამდივნოს მიაშურა, სადაც მას მანუჩარ თუმანიშვილი, იოსებ მიშკარბაში და სარდალი გიორგი მელიქიშვილი დაუხვდა. მანუჩარ თუმანიშვილი შავიდას

\* გაგრძელება. „მთაბი“ № 1,2.

უჯდა და გაფაციცებით წერდა. იოსებ მიშკარბაში კი ტახტზე ჩამომჯდარიყო და ცალი უღვაშის გრეხით ასცქეროდა ახოვან გიორგი მელიქიშვილს, რომელიც გატაცებით უამბობდა:

— ასოციო, რის ასოცი, რატომ ასოთხმოცი არა. განა ვითვლიდით. გულები, ერთი ხელი რომ აიქნით, იმდენი აფრინდება, ზეცას დაჟვარავს.

იოსებმა დაინახა თუ არა ბესიკი მაშინვე ფეხზე წამოიჭრა, გიორგის ხელით ანიშნა დაიცაო და ქაბუჯ მგოსანს შეეგება:

— ბესიკ, ნუთუ ეს შენა ხარ. ვეყო, სად დაგვეკარგე და ლოდინით გული გაგვიწყალო.

— რაო, ბესიკო?—თავი ანება წერას მანუჩარ თუმანიშვილმა და ისიც ფეხზე წამოიჭრა.—სად არის ბესიკი?

სამივენი გულმხურვალედ მიესალმნენ დიდიხნის უნახავ მგოსანს, გამოჰკითხეს სად იყო, როგორ იმგზავრა, ვინ ნახა, ვის ესაუბრა და რა ამბები მოიტანა ირანიდან. სანამ ბესიკი დალაგებით რაიმეს უამბობდა, გიორგი სარდალმა დაიძახა:

— აგრე როგორ იქნება. ნამგზავრ კაცს თუ ყელი არ გაუსველე, ისე რა უნდა გიამბოს. წაიღეთ ერთი, ბაგრატას ვესტუმროთ, მწვადები შევაწვევინოთ, თითო ზელადა ღვინო დავლიოთ. წამოდით. ბატონი, სულ ერთია, აქ არა ბრძანდება და საქმეებს მასსწრობთ.

— დღეს რომელი მდივანბეგი მორიგეობს?—კითხა იოსებ მიშკარბაშმა მანუჩარს.

— იოანე.

— პოო, მამ წაიღეთ. ის არ გაგვიჯავრდება.

ბესიკი თუმცა პირველად უარზე იყო, აქ ბევრი საქმეები მაქვს, არა მცალიანო, მაგრამ ბევრი აღარ ალაპარაკეს, დასტაცეს ზელი და წინ გაიგდეს, შენ ვინ გეკითხება რაიმეს, უარზე რომ ხარო.

სასახლის ეზოში რომ/გმოვიდნენ, ბესიკმა თვალი მოჭრა. წელს/სართულის ფართო კიბეზე ჩამთავალ თვალწარმტაც ასულს და უნებურად შედგა ასული ვერ იცნო. იმან კი, დაინახა თუ არა ბესიკი, მხიარულად შემოჭკრა ტაში, გრძელი კაბის კალთა ოდნავ აიკრიფა, კიბე სწრაფად ჩამოირბინა და ბესიკს მიესალმა.

— რაო, ველარ მიცანი?

— ანა, ანიკო, ნუთუ შენა ხარ?— აღმოხდა ალტაცებით ბესიკს.—რამოდენა ქალი გამხდარხარ. ერთ წელიწადში ერთი ადლით გაზრდილხარ...

— კარგი ერთი, როგორა ხარ? არც კი გრცხვენიან, გუშინ მოსულხარ და ჩვენთან არც კი მოხვედი. დიდედას აღარ გინდა დაენახვო?

— დღეს აუცილებლად ვეახლები.

— ახლავე წამოდი, სად მიდიხარ?

— ცოტა საქმე მაქვს, — თვალით ანიშნა ბესიკმა. თანამგზავრებზე, რომელნიც ალაყაფთან უცდიდნენ.

— მალე დაბრუნდები?—არ ეშვეპოდა ანიკო.

— მალე,—მოწიწებით დაუკრა თავი ბესიკმა,—ნება მიბოძეთ წაიღეთ.

— კარგი წადი. ოღონდაც მალე დაბრუნდი.—ანიკომ თვალი გააყოლა ბესიკს, შემდეგ ტანის მოზღენილი რხევით აირბინა მარმარილოს საფეხურებზე, რომ დიდედასთვის ეხარებინა ბესიკის ნახვა.

გულაჩქროლებული ბესიკი კი აჩქარებული ნაბიჯით ცდილობდა მალე გასცლოდა სასახლეს და თავის არიდანას ისე ჩაუარა გვერდი და წინ გაუსწრო, თითქო მათთან ერთად არც კი მიდიოდა. თანამგზავრებმა კიდეც მიაძახეს; დაიცა, ეე, ჯერ გვაცდევინე და ახლა სად მიიჩქარიო.

თითქოს ციება შეპყროდეს, ისე აკანკალდა ბესიკი. მას ახლა მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, სანამ ზელადით ღვინოს დასცლიდა და ოდნავ მაინც მიეცემოდა თავდავიწყებას. მას ახლა ყვე-

ლაფერი შენის ზარს ჰკვირდა და როდესაც ოთხივემ, როგორც იქნა, ბავშვებს ცნობილ სამიჯნოში მიიღწიეს, მაშინვე დახლოებულნი მივიდნენ, ეცა სახეს ხელადს და სულმოყოთქმელად დასცალა. მთელ სხეულში სანეტარო სითბომ დაუარა. მეგობრებმა გაოცებით გადახედეს ბესიკს, გაუკვირდით მისი ასეთი სულწასულობა.

— ეგ რა, ზარსეთში გასწავლეს აგრე? — ჰკითხა იოსებ მიშკარბაშმა.

— კარგი ერთი, — შეუტია ბესიკის ნაცვლად მანუჩარ მდივანმა იოსებს, — აბა ერთი შენა სცადე მთელი წელიწადი ღვინო გწყუროდეს, და მგონი ხელადით კი არა, კოკით მოიყუდო. აგრე არა, ბესიკ?

— სწორია. სად დავსხდეთ?

— ეპ, ეგ განა საკითხავია? — უბასუბა ყველას მაგივრად ბავშვთა მიჯნოში, — აივანზე მობრძანდით, აქ ზომარ დავსხამთ. ჰო, კაპლო, — გასძახა მსახურს ბავშვთა, — ლურჯი სუფრა გამოიტა თაის ხელსახოცებით აივანზე გაშალე. იმერელო, აქ მო, — და ყურში ჩუმად ჩასთურხულა, — აივანზე ბემურაზა გეურქა და სტეფანე ზარათი სომენ. აიბარგონ.

როდესაც ბავშვთა საბავშვო სტუმრები აივანზე გაიყვანა, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა, მსახურებს იგი უკვე გაეთავისუფლებინათ მუშტრებისაგან, სუფრა გაეშალათ და ახლა თავდახრილნი მორჩილად უცდიდნენ განკარგულებას.

— ეპ, რასა დგებართ? — დაუბრიალა თვალები ბავშვთა მიმართ — მაიტათ, რაც საჭიროა. ჩქარა! კაპლო, შენ მოთები მაიტა, ღვინო ნაყურთი რუშბიდან ჩაიასხი. იმერელო, შენ სასასმო იარაღი მაიტა, ბადიები, კულები. ჰა, ჩქარა-მეთქი.

— მწვადები შესწვან! — უთხრა გიორგი სარდალმა ბავშვებს და მაშინვე ტახტზე მოიკეცა სუფრის წინ. დანარჩენებმაც გიორგის მიბაძეს, მიჯნოს

გარდა, რომელიც იქვე ტახტზე იდგა, იქითაქით მობრუნდა მსახურებს მოტანილ ჭურჭელს ან ხეჯივს. ერთქვედა და საკუთარი ხელით უკვე დაიწყო სუფრაზე.

ბესიკი უკვე მთვრალი იყო. მშვიდ კუჭზე თითქმის მთელი ხელადა ღვინის დაცლამ კიდევაც დაათრო და კიდევაც მოაშია, ამიტომ ბავშვებს არც კი აცლიდა ზორაგის სუფრაზე დაწყობას და ხელიდან აცლიდა პურებს, მწვანებს, ყველს. ხოლო როდესაც მწვადები მოიტანეს და გიორგი სარდალმა ღვინით სახეს ჯამი გადაულოცა, მან უარის ნიშნად თავი გაიქნია და მწვადს მისწვდა.

შენაყრდენ. ჭრელი ხელსახოცები უღვაშებზე გადაიხვეს, სახეს ჯამები კვლავ ჩამოატარეს და ყველანი საუბრის ხასიათზე დადგნენ.

— გვიამბე რამე, რა ნახე, რა გიგონე, — მიმართა მანუჩარმა ბესიკს — ამოდენა ბედნიერება გხვდა წილად. ყენი იხილე და ესაუბრე. გვიამბე მაინც როგორია, რა ვითხრა.

— იმისას რას მკითხებთ. ჩვეულებრივი კაცია, შუბლზე ნახმლევი აჩნია და...

— ეპ, კაცო, ეგ მართალია, რო ქათოსროს მისთვის ჭიტლაყი ამოუკრავს, — აღტაცებით და თან გაკვირვებით წამოიძახა გიორგი სარდალმა, — აბა სერი თუ გინდათ ეგ არის და.

— ამოუკრავს და მერე როგორი, — გაიცინა ბესიკმა, ჯამს მისწვდა აქსო და მეგობრებს მიმართა, — მოდი ამ ჯამით ის მაღლიანი მუხლი ვადღეგრძელოთ, რომელიც ურჯულოს ისე ლაზათიანად ამოჰკრავს პანდურს, რომ მალა აისერის და ყენის ტახტზე დასცემს.

— ეპ, ჩემო ბესიკ! — რაღაც უცნაური მწარე ღიმილით უთხრა იოსებ მიშკარბაშმა, — ქათოსროს შუბლი მაშინ იქნებოდა სადღეგრძელებელი, რომ ყენი ტახტზე კი არა, პირიქით ძირს

გადმოეგდო. შენ ის გვითხარი, ჩვენზე რას ამბობს ყაენი.

— არაფერს.

— ვაჰ! მთელი წელიწადი დაჰყავი მასთან და ჩვენზე არაფერი უბრძანებია შენთვის?—გაოცდა მიშკარბაში.

— რუსებს თავი ანებეთო.

— ეგ ვიცით. შარშან შემოდგომაზე ბარათიც კი მოსწერა ბატონს. დანებებული არა გვაქვს, მაშ რა არის. ჯარი იმერეთს წავიდა და მგონი იქედანაც აპირებენ აყრას. ახალ იარანალ სუხოტინს უბრძანებია, მე აქ-დამდგომი არა ვარო. კარგი, თუ გნებავთ—რუსებს თავი დაუანებეთ, თითონ რით გვეხმარება?

— თურქებს ჩამოგაშორებთო.

— როდის? როდესაც თავს მოგვეცლიან? ეჰ, ჩემო ბესიკ, ვატყობ, ტყუილად დამაშვრალბარ ყაენის კარზე. ისევ გოჯობდა დროზე დაბრუნებულიყავ და ბატონის წყენა არ დაგეტეხა თავზე...

ბესიკი შეერთა. მიშკარბაშმა შეატყუო ეს შეერთობა და სცადა ენუგეშებინა.

— თუმცა ეგ არაფერია, ჩემო ბესიკ, ბატონმა შეიძლება საყვედური გიბრძანოს. მაგის ნუ გეშინიან. იესე მსაჯულს რომ დაატყდა, შენ ეგა სთქვი, თორემ საყვედური რა სახსენებელია.

— იესესაო? რა დაატყდა ასეთი.

— არ გახსოვს, შარშან ერთმა დედაკაცმა რომ უჩივლა, თუ მაშინ აქ არ იყავ.

— ეგ მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ აქ ვიყავ.

— მერე ბატონმა მასთან სამართალში გაძელა ბრძანა. მსაჯულებად იოანე, რამაზ და ფარსადან მდივანბეგები იყვნენ. აქეთ იმსჯელეს, იქეთ იმსჯელეს, ვერც ჰო სთქვეს, ვერც არა. ამასობაში ემპიანობა ატყდა, ზოგი ალთას ვეციო, ზოგი ბალთას და იესეს ამბავიც მიჩუმდა. ქალაქს რომ დაე-

ბრუნდით, ეს საქმე ისევ გაიხსენეს. იესეს, ბატონის ბრძანებით, მთელი მამულეები ჩამოართვეს, საკუთარი სახლიდან გარეთ გამოეგდნენ.

— როგორ, კაცო?

— როგორ და ისე. მივიდნენ მანდატურები და სახლიდან ბარგი გარეთ გამოეყარეს. ზუთი ღამე ღია ცისქვეშ ეძინა მთელი ცოლშვილით. ბატონის შერისხულს ვინ გაბედავდა და შეიფარებდა. ბარგიც რომ არ დაუყენეს! მოვლენ მანდატურები და ეტყვიან, შენ რომ კარავი გაქვს, გამოგერთოო.

— კარავი მართლაც კარგი ჰქონდა იესეს,—შენიშნა გიორგი სარდალმა.

— მაშა, კაცო. ექვსი მუშაბალის ფანჯარა ჰქონდა. წაართვეს. სხვა ბევრი რამ წაიღეს. მერე თბილელმა შეიბრალა, სიონის ახლო საბძელი ათხოვა და ახლა იქა დგას. ზედაც, ამოდენა კაცი რა დღეში ჩავარდა? შენ ასეთი რისხვა სთქვი, თორემ, აკი ვითხარი, საყვედური რა სახსენებელია?

ამ თავისებურმა ნუგეშმა ბესიკი კიდევ უფრო შეაშფოთა. ისევ გადასწვდა ჯამს, აავსო ღებინით და სულმოუთქმელად დასცალა. ახლა გაახსენდა ალექსანდრე ამილახვარი, რომელსაც კუმილთან წააწყდა შარშან. ის მაშინ უჩვედა გაცლოდა ერეკლეს.

იქნებ მართლა სჯობდა გაპყლოდა რუსეთში ჩოგლოცოვსა და ამილახვარს. ან დარჩენილიყო ირანში ალექსანდრე ბატონიშვილთან და მასთან ერთად განეცადა დაკარგული სამშობლოს სიყვარული და უკანდაბრუნების სურვილი. ემდერა შირაზის ქარავანულეებში ნაღვლიანი სიმღერები უცხოობაში გადაკარგულ ქართველებსათვის, გაეზიარებინა მათი დარდი და ვარამი. რამდენი ნეტარება იყო ამ უბედურების განცდაში და რამდენი სიმწარე ამ ბედნიერებაში, რომელსაც განიცდიდა ახლა ქალაქში დაბრუნების შემდეგ.

უნებურად ეთანხმებოდა ბესიკი ახ-

ლა იმით, რომელიც ეუბნებოდნენ, რომ ერეკლე ერთგულ სამსახურს არ დაგიფასებს და შენც ისეთივე ბედი მოგელის, როგორც მამაშენსო. ბესიკს მაშინ ეგონა, რომ მხოლოდ ბატონის მტრები ლაპარაკობდნენ ამგვარად და მართალი არ იყვნენ. ახლა კი უნებურად ეთანხმებოდა მათ და რწმუნდებოდა, რომ ერეკლე, მიუხედავად მისი მომავალდობელი ტკბილი ხმისა და ალერსიანი მოპყრობისა, მრისხანე, იყო და დაუნდობელი. ალექსანდრე ბატონიშვილი ეუბნებოდა ბესიკს, ერეკლემ კარგად იცის, რომ ქართლს უკანონოდ ფლობს, ამიტომ არავის არ ენდობა და ყოველი ქართლელი მტრად მიიჩნია, ეჭვიანია ისევე, როგორც ყოველი ავაზაკი, რომელსაც დღის სინათლის ეშინია, არავინ მიცნოს და არ მამხილოს. ამისთვის ოდნავ შესვენილს ეს არასოდეს არ დაინდობს და სულს აღმოზღვისო.

— ეგვი, კიდევ დავლიოთ. — ამოიხრა ბესიკმა და გუნებაში დასძინა; — „სულ ერთია ვანკითვის ეამი ახლოვდება“.

ღვინომ მაინც თავისი გაიტანა. თანდათან ჩაუჭრო კაეშანი და მოსალოდნელი უბედურებანიც მოივიწყა. გაახსენდა ანა და მაშინვე მოისურვა მისი ნახვა. ბესიკს ახლა არაფრის და არავის არ ეშინოდა. დასტოვეს თუ არა სამიციტრო და სასახლისკენ დაბრუნდნენ, ბესიკი გამოეთხოვა შეგობრებს, რომელთაც ქვედა სართულისკენ გაუხეიეს, ფართო კიბეები სწრაფად თარა და ანას პალატებისკენ გაემართა. შეგებებულ ფარეშთუხუცესს ოდნავი თავის დაკვრით მიესალმა და როდესაც სარკეებიან ღერეფანში გაიარა, უნებურად შედგა და თავისი თავი შეათვალიერა.

სარკიდან მას უცქეროდა ოდნავ შავგერემანი, ლამაზ-ულვაშებიანი, მდიდრულად მორთული ახალგაზრდა. ულვაშებზე ზელი გადაისვა და ამ დროს

სარკის სიღრმეში დაინახა <sup>ზრბობივით</sup> გარინდული გრძელწვენიანი/თავ-შიშველი ქალი, რომელიც მას უცქემროდა.

სწრაფად მოიხედა.

კარის ზღურბლზე შეჩერებული ანა ოდნავ უდმოდა ბესიკს.

• •

თამართან წაიხუხუხების შემდეგ, ანა მართლაც ჩაიკეტა თავის პალატებში და გარეთ არ გამოდიოდა. ბესიკთან განშორების შემდეგ ანა ისევე თავის ციხე-დარბაზს დაუბრუნდა და მთელი ზამთარი იქ გაატარა. გაზაფხულზე, როდესაც გაიგო, რომ გაიხიზნული მცხოვრებნი თბილისს უბრუნდებოდნენ, თითონაც მოისურვა ქალაქს დაბრუნება. ქმარი ციხე-დარბაზში დასტოვა და მომვლელები მიუჩინა, თითონ ამაღალა იახლა და თბილისისკენ გაემგზავრა. ანას ვითომ სურდა ქალაქში საქმეები მოეწესრიგებინა, ბინა დაელაგებინა და შემდეგ ქმარიც ჩამოეყვანა, ნამდვილად კი ბესიკის საწახლავად მოისწრაფოდა, რომელიც ახლა დაბრუნებულად ეგულვებოდა.

თბილისში ანას იმედი გაუცრუვდა. ბესიკი არა თუ დაბრუნებულყო, იმის შესახებ ამბავიც კი არა იცოდნენ რა. სამაგიეროდ დარეჯან დედოფალმა ანას შეილიშვილი დიდის დანაშაულით უკანვე დაუბრუნა და უბრძანა ქორწილისთვის სამზადისს შესდგომოდნენ. შეილიშვილმა ანას საწახლავად გაუქარვა დარდი და ვარამი. იმდენი საიდუმლო ამბები იცოდა სასახლის მსახურთა, დარეჯან დედოფლისა, სეფე-ქალთა და დიდებულთა შესახებ, რომ დილიდან საღამომდე ეტიტინებოდა ბებიაშის და მაინც მთელი თვის განმავლობაში ვერ ჩამოეჭვა სათქმელი.

ბესიკის ირანიდან დაბრუნების მოლოდინში ანა დღითი-დღე აკიანურებ-

და დმანისისკენ გამგზავრებას. ამ მოლოდინში დრო შეუძინევლად შირბოდა. თბილისში უკვე დიდი სიცხეები დაიჭირა და ყველანი სააგარაკოდ მიემგზავრებოდნენ, ზოგი სად და ზოგი სად. მალე ქალაქში დიდებულთა ჯალბათაგან მარტო ანა და თამარი დარჩნენ. თამარი ქმრის დაბრუნებას ელოდა და მაშინვე უნდა გამგზავრებულყოფოდა. ბარგი შეკრული ჰქონდა და დილიდან საღამომდე წამადუწუმ გზავნიდა შიკრიკებს გზაზე, წადით, ნახეთ, მამა ბატონი და ჩემი მეუღლე თუ მობრძანდებიანო. ამ გამუდმებულმა ლოდინმა იმდენად გააშმაგა და გაუფუჭა ხასიათი, რომ ერთ საღამოს მასთან სტუმრად მოსულ მამიდას გულმოსულად უსაყვედურა, ნეტავ შენ რაღას უცი ამ ქალაქში და არ მიემგზავრები დმანისს, შენც ხომ არავის ელოდები.

ანამ საოცრად იწყინა მისწულის ასეთი უქმეხობა და, როგორც ცოდვადფარულ აღამიანთ ჩვევით, მაშინვე ეპემა გაკრა, ალბათ, გაუგია რაიმე და ბესიკზე თუ გადამიკრა სიტყვაო.

— მართალია, აქამდე უნდა წავსულიყავ, — უთხრა თავშეკავებით ანამ, — ცოტა რამ უნდა მეყიდნა ანიკოსათვის, მზითვის თადარიგი, შენც იცი, აგრე ადვილი ხომ არ არის...

თამარმა რაღაც უცნაურად ოდნავ დამცინავად გაიღიმა. ამ ღიმილმა უცბად ააფეთქა ანა და წარბებშეკრულმა მაშინვე წასვლა დააპირა.

— მოითმინეთ, მამიდავ, — შეაჩერა თამარმა, — სად მიბრძანდებით?

— უფრო მეტის ღირსი ვარ! ჩემს ხელში გაზრდილ ბაბულს რომ თავს გაუყუადრებ, უნდა მცოდნოდა, რომ ჭიკეთეს მორალტებით მომზღავედა, — და უცბად მრისხანედ უბრძანა, — გზა!

— განა რა გკადრე ისეთი, — გულმოსულად უთხრა თამარმა მამიდამისს, თვალბში შეხედა.

თამარს სურდა მამიდას ~~ლტობიერად~~ მოპყრობოდა, დაემშვიდებინა, ბოლოში მოეხალა, მაგრამ ამის ნაცვლად უცნაური გამაღიზიანებელი, ~~გრძნობა~~ იპყრობდა, თითქოს ესმეკი ჩაჯდომოდეს სულში, დამშვიდების ნაცვლად მზად იყო კატასავით სცემოდა დასაკაწრავად.

თამარმა, ჯერ კიდევ სანამ გათხოვდებოდა, იცოდა მამიდამისს კაეშანი, გაგებულოც ჰქონდა მისი ბესიკთან გამიჯნურება და გუნებაში სავსებით თანაუგრძნობდა. ებრალებოდა ცხოვრებისაგან დაჩაგრული ანა და ერთხელ კიდევაც გადაუკრა სიტყვა, შენს ადგილზე აგრე თავს არ დავიტანჯავდი და მიჯნურს გაგიჩენდიო.

მაგრამ ეს გათხოვებამდე იყო და გათხოვების შემდეგ სრულიად გამოეცვალა ხასიათი თამარს. უცნაურად ექვიანი გახდა. არა თუ თავისი ქმარი, უბრალოდ ქუჩაში უცხო მამაკაცი უცხო ქალთან დალაპარაკებული რომ დაენახა, გულში მაშინვე გულისამრევი ექვის გრძნობა აღეძვრებოდა და ისეთ აზრს გამოსთქვამდა მათ შესახებ, რომ შოახლენიც კი შეშფოთებული სახით ჰკადრებდნენ, აბა რასა ბრძანებთ, ქალბატონო, ეგ როგორ იქნებაო. ერთის სიტყვით თამარი შეპყრობილი იყო ექვიანობის იმ სენით, რომელიც ხშირად სჩვევით ახლადგათხოვილ ქალებს და მანამდე არიან ამ გრძნობის ტყვეობაში, სანამ არ გაუნელდებათ ქმრის პირველი სიყვარული, და მართალია, უმანკოდ, მაგრამ მაინც იღუმალი სიკეკლუტით თითონ არ გადახედვენ უცხო მამაკაცს.

რაც უფრო ცდილობდა თამარი დამშვიდებულყოფო, მით უფრო იპყრობდა გამაღიზიანებელი გრძნობა და ამის გამო თავისთავზედაც მოდიოდა გული და ანაზედაც. მიჰყენენ სიტყვასიტყვაზე და იქამდე მივიდნენ, რომ თამარმა კიდევაც ჰკადრა ანას; აღამიანმა, რაც მას არ შეეფერება, საწადელად არ უნ-



და გაიხადოსო. ანას კინალამ გული შეუღონდა ამ სიტყვებზე. ვინ იცის, რა ზომამდე მივიდოდნენ ორნივენი, რომ ამ დროს ლეონ ბატონიშვილი არ შესწრებოდათ. მან გაცეებით გადახედა დასა და მაიდას, თამარი დატუქა, ანას მოეფერა და სცადა მათი შერიგება.

— ნეტავ გასაგებინა, რა განხლებითი ყმა და მამული გაქვთ გასაყოფი თუ თეთრი როგორ გვკადრებთ სამეფო გვარის დიდებულთ ასეთი კანდიერება!

ანამ ხმა არ გასცა ლეონს და მაშინვე დასტოვა თამარის სახლი.

ლეონმა თვალეები გადაუბრიალა თამარს და მაიდას დაედევნა. ვხადავა სცადა დემშვიდებინა, შეევედრა, აბატიე ჩემს დას, ზომ გამოგიცდია ახალგაზრდობა, ქმარს ელოდება, არეულია და შენ ჰკვირანი მაიდა იმისთვის მიყვარხარ, ჰაბუკუტრ სისულელეს ყოველთვის აბატიებ ახალგაზრდასო. ხან აქედან მიუდგა, ხან იქედან, სასაცილო ამბები უთხრა და მანამდე არ მოეშვა — სანამ არ გაციანა.

ანა თითქოს დამშვიდდა, მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე იეშალა კაეშანი და დაღამებამდე პირმოკუმული იჯდა ღია ფანჯარასთან. ღამით, დაწვა თუ არა ლოგინში, ფარეშებს სანთლები დააქრობინა და მთელი ღამე თვალგახელილი უცქეროდა სიბნელეს. როდესაც, როგორც იქნა, თვალთაგან ცრემლები წამოუფიდა, საოცარი შვება და ნეტარება იგრძნო. უხაროდა, რომ ბევრი შეეძლო ეტირნა და მის ცრემლებს ვერაფერ ვერ დაინახავდა.

ერთი კვირა არ გამოსულა თავის ოთახიდან ანა. როდესაც ბესიკის მოხვლა გაიგო, თავისთავზე გაუკვირდა, იმდენად გულგრილად მიიღო ეს ამბავი. ანას ის უცნაურობა დაემართა, რაც ხშირად მოსდის ადამიანს, როდესაც ის წინასწარ განიცდის რაიმე მოვლენის შედეგს. იმდენჯერ წარმოიდგინა ანამ წინასწარ ის სიხარული, რაც უნდა განეცადა ბესიკის დაბრუნების გამო, რომ

ახლა, როდესაც ბესიკი მართლა დაბრუნდა, არაფერი არ განუცდია. სხვა დროს მაშინვე ეცემოდა ქარკეს და მოკაშმეს დაიწყებდა კრწანთის მიჯნურს ფერუშარილით შელაპაზებული შეგვებებოდა, მაგრამ ახლა არც სარკესთან მოკაშმვა გახსენებია, არც ახალი კაბის ჩაცმა. ტახტზე წამოწოლილმა მშვიდად განაგრძო „ვისრამიანის“ კითხვა და მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჩამოსულა? პოო?

მაგრამ შალე ეს სიმშვიდე უფოთვად გადაექცა, რადგან ბესიკი იმ დღესვე არ ეახლა და ბოდისიცი კი არ შეუთვალა, საქმეთა გამო თქვენი ხილვა დამიყოვნდებაო. მიჯნურიც რომ არ ყოფილიყო ბესიკი, ისედაც ვალდებული იყო პირველად ხლებოდა ანას, როგორც სამეფო გვარის უფროს წარმომადგენელს, თაყვანი ეცა მისთვის და მოეხსენებინა ირანიდან მშვიდობიანად დაბრუნება. მაშინ თბილისში არც ერეკლე და არც დარეჯანი არ ბრძანდებოდნენ, ხოლო მათ შემდეგ პირველი დიდებულთაგანი ანა იყო.

ანა უნებურად აყვდა ამ უყურადღებობით გამოწვეულ უკმაყოფილების გრძნობას. როდესაც წარმოიდგინა, რომ მან, დიდებულ ბაგრატიონთა გვარის ქალმა, უბრალო აზნაურს, უგვაროს, უფლება მისცა მის სარეცელს შეხებოდა, ხოლო ეს ჰაბუკი ამ უდიდეს ბედნიერებას ჩირადაც არა სთვლიდა, ისეთმა სიბრაზემ შეიპყრო, რომ მზად იყო საკუთარი ხელით სამაგალითოდ დაესაჯა თავხედი მგოსანი.

„იმას შუაბაზრის დედაკაცი ზომ არა ეგონივარ“? ეკითხებოდა თავის თავს ანა და თითონვე აძლევდა პასუხს: „რისთვისაც არ ეგონები? თითონ მოეხვიე კისერზე“.

„მერე რა. მე რომ არ მოეხვეოდი, თითონ როგორ გამიბედავდა, ნეტავ ერთი გაებდნა, ზომ ვეღარ იხილავდა დღის სინათლეს“.

„მაშ რაღას ერჩი?“

„როგორ თუ რას? ისღა მაკლია შე-  
მომითვალოს: თავი მომაბეზრე, მე ახ-  
ლა სხვა მიყვარსო. არც საკვირველია,  
რომ ასეთი რამ მკადროს, თუკი იმასაც  
ბედავს, ერთი წლის შემდეგ არც კი  
მობრძანდება, დაბრუნება მაინც რომ  
მომახსენოს“.

„მე მისთვის სასიკვდილო საფრთხე-  
ში ვვარდები, მე მისთვის შეურაცხ-  
ყოფ დაცინვას ვიტან, მე მისთვის ლა-  
მეებს ვათენებ. საქართველოს მეფის  
ლეილი დაი, სამეფო ტახტისათვის  
განკუთვნილი არსება, ვილაც უგვარო  
ქაბუკისთვის თავს იწირავს და ია კი...  
სად არის ნეტავ ამჟამად...“

— სად არის ბესიკი? — ჰკითხა ანამ  
შემთხვევით თავის საქმეზე მიმავალ  
ფარეშს.

— რა მოგახსენოთ, ქალბატონო, —  
უბასუხა მოულოდნელი კითხვით ვაო-  
ცებულმა ფარეშმა და თავაზიანად და-  
ხარა თავი დედოფლის წინაშე.

— ახლავე მომიძებნეთ...

— იყოს ნება თქვენი...

— დაიცა, არ არის საჭირო. თითონ  
როდესაც მოვა, მაშინვე მომახსენე...

— მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ...

— თუ მიკითხოს, არა უთხრა რა,  
შინ ვიქნები თუ გარეთ. ასე უთხარ,  
გაკვივებ, ქალბატონი შინ ბრძანდება  
თუ არა თქო...

ფარეში წავიდა. ანამ კი განაგრძო  
მოუსვენარი ფიქრი და ასევე მოუსვენ-  
ნარი წრიალი. რამდენჯერმე შეაჩინა  
თავს უცნაური დაბნევა. მთელი საათი  
მდგარიყო თავახდელ სკივრთან, საი-  
დანაც აღარც კი ახსოვდა, რა უნდა  
ამოეღო. სკივრს თავი დაახტრა და  
ფანჯარას მიადგა. აქაც კარგა ზანს იდ-  
გა და მეტეხს შესტკეპროდა. მერე უც-  
ხად გაახსენდა, რომ ათასი საქმე ჰქონ-  
და მოსაგვარებელი. მიმოიხედა, ფა-  
რეშების მოსახმობად, ოთახში არავინ  
ყო, დერეფანში გამოვიდა და ბესიკს

შეეფეთა. სარკეში თავისთავს ათვი-  
ლიერებდა ბესიკი.

გულში ანამ ბესიკის შესახებ როდესაც  
ქაბუკი მიჯნურს მიუხედავად,  
წარბები მრისხანედ შეჰყარა:

— შენ მთერალი ხარ?

— მაპატიე, დედოფალო, — დაინოქა  
ბესიკმა, — მხნეობა მღალატობდა. ჩემი  
ცხოვრების სარბიელზე მრისხანედ  
მოიღრუბლა, სადაც არის იელეებს და  
ამ განკითხვის მოლოდინში ვერ გაე-  
ბედღ გზლებოდით. განა იმისთვის, რომ  
საკუთარ თავს ვუფრთხილდებოდით...

— ვიცო, მჯერა, ვისაც უფრთხილ-  
დებოდით... — ანამ მიმოიხედა და ბესიკს  
ხელით ანიშნა მიჰყოლოდა.

ორივენი ოთახში შევიდნენ. ანა  
ტახტზე დაჯდა და ბესიკს საკვარც-  
ხელზე მიუთითა. ანას ახლა თავისთავ-  
ზე უკვირდა, რომ ბესიკს ასე გულ-  
დამშვიდებით უტკეპროდა. არც უგვარ-  
დებოდა, მაგრამ არც თუ განსაკუთრე-  
ბული ალტაცებით ეგებებოდა, ისე ვით  
მიჯნურთ შეზფერიოთ. ბესიკის სიმთე-  
რალემ დააბნია. მართალია, ქაბუკ მგო-  
სანს გარეგნულად სრულიად არაფერი  
ეტყობოდა და გამოუცდელი თვალის  
მქონე აღამიანი ვერც კი იფიქრებდა,  
თუ მას თუნდაც ერთი წვეთი ღვინო  
ჰქონდა დალეული, მაგრამ ანა, ათას  
მაჰაკაში, ღვინოდალეულს ერთი შე-  
ხედვით იცნობდა. დაინახა თუ არა  
ბესიკი, მაშინვე შეატყო, რომ ის ოდ-  
ნაე შებრუებული იყო და გუნებაში  
გაუღვდა, ეს ჩემი გულისთვის ჩაუღე-  
ნიაო. კიდეცა გაეხარდა, თუმცა სახე  
კი შეიკმულხა დატუქსვის ნიშნად.

ანამ ვერც კი მოასწრო ეკითხა რამე  
ბესიკისათვის, რომ ამ დროს ოთახში  
მერცხალივით შემოფრთქილდა ანი-  
კო, და დაინახა თუ არა, რომ ბებია-  
მისს ვილაც მაჰაკაცი ესაუბრებოდა,  
მორიდებულად შედგა. მერე უცხად  
იცნო ბესიკი და ალტაცებით წამოიძა-  
ხა:

— ბესიკ, მოხვედი? მე კი ახლა უნ-

და შეთქვა დიდდასათვის, რომ ბესიკი ენახე და მალე გეახლებათ-მეთქი.

ბესიკი ფეხზე წამოდგა, ანიკოს კვლავ მიესალმა და ქურდულად შეათვალა. მერე ისევ ქურდულად შეხედა ანას და გუნებაში გაუელვა: „ღმერთო ჩემო, როგორ დაბერებულა ანა“.

ისევ ანიკოს შეხედა და დაიჭირა მისი ალტაცებული ცქერა და სიხარულის გამომეტყველი ღიმილი. თვალები სწრაფად მოარიდა და ანიკოსთვის გამზადებული საპასუხო ღიმილი ანას შეგება.

ანა მარმარილოს ქანდაკებასავით უძრავად იჯდა წარბშეკრული და პირმოკეშული. მას არაფერი არ გამოპარვია.

— ყაენმა როგორ მივიღო?—კითხა ანამ ბესიკს, თუმცა ახლა სრულიადაც არ სურდა ასეთი ამბები ეკითხნა მისთვის.

— ჰო, მართლა, გვიამბე რა!—უთხრა ანიკომ, თან ბებიას გვერდით მიუჯდა, ლოყაზე თამამად აკოცა და ჰუთოხა, —ხომ შეიძლება რომ მეც მოვისმინო.

— რატომ არა, შეიძლება, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა თუ წყნარად იქნები და ხელს არ შეგვიშლი, ან კიდევ ეზოს-მოძღვარს უბრძანებ, რომ სადილი მოგვართვას.

— კარგი, ვეტყვი—წამოიჭრა ზეზე ანიკო, —მხოლოდ ბესიკ, უჩემოდ არა უამბო რა, ახლაც მოვალ.

როგორც კი ანიკო ოთახიდან გავიდა, ანამ ისე მოიხედა ბესიკისკენ, თითქოს მისთვის თვალებით ხმალი მოეჭინოს.

ბესიკი შეკრთა და მოიხარა. ვერ გაუძლო ანას მზერას, ანას განზრახული ჰქონდა, სანამ შეილიშვილი დაბრუნდებოდა, მოესწრო და ბესიკისათვის მაკმანი დაენიშნა, ან საკუთარ ბაღში ქალაქკარეთ, ან კიდევ საიდუმლო ოთახში, მაგრამ აღშფოთებულ ვერძნო-

ბამ ენა დაუბა. მას არ მოეწონა ბესიკის მიერ ანიკოს იღუშალი კერეცა.

ამიტომ ვერაფერი კერეულობა. დრო კი გარბოდა და ანეკო ~~სადღაცა~~ მობრუნდებოდა. ბოლოს როგორც იქნა მძიმედ მოითქვა სული და თითქო თვისთვის ჩაილაპარაკა:

„ვისა შეყარას მოწყენა  
მოაქვს და მოსდევს ურვანი,  
განზორება სჯობს შეყარას,  
არ ჰქონდეს ცრემლსა წერვანი...“

და ხმამაღლა დასძინა:

— იფიქრე გულს ნაქონები.



ბესიკის განკითხვის დღეც დადგა.

ერეკლე, როგორც მას სჩვეოდა, მულოდნელად მოვიდა ქალაქში გათუნების ქაშს, და გაიგო თუ არა, რომ ბესიკი დაბრუნებულყო, მაშინვე თვისთან იხმო.

ბესიკი ისევ ნარიყალის კოშკის სენაკში ბინადრობდა, როდესაც დილით ზარბაზნების ხმამ გამოაღვიძა და ჩაცმაც კი ვერ მოასწრო, რომ მოახსენეს: ბატონი გიბარებსო. მაშინვე სასწრაფოდ ჩაიცვა და თითქმის სძრბილით გაემართა სასახლისაკენ. დივანხანაში ჩაბარებული პატრუტაგები და ყაენის გამოგზავნილი საჩუქრები გამოიტანა, მხლებლებს ლანგრებზე დაუწყო და მუხლებსი კანკალით აიარა სასახლის მარმარილოს კიბეები. გზადაგზა მას ნაცნობი დიდებულები ესალმებოდნენ და ბესიკი ცდილობდა მათ თვალეში ამოეკითხა, ძალზე იყო განრისხებული მეფე იმაზე თუ არა. იმისდამიხედვით, როგორ ესალმებოდა ბესიკს ზოგიერთი მათგანი, დაასვენა, რომ მისი საქმე ცუდად იყო. სატატო დარბაზში სახლუხუცესი დაუხედა, რომელმაც დაინახა თუ არა თავისი ქაბუცი მეგობარი, მზიარულად გაუღიმა და ხელგაშლილი შეეგება.

— ბესიკ, სადა ხარ, ბიჭო, აქამდე?

როგორ ვინდა ბატონის რისხვას გადაურჩე?

— შენ მაინც გამაგებინე, დავით, როგორაა ჩემი საქმე! იქნებ მიჯობს წინასწარ ვეზიარო, — უთხრა სიცილით ბესიკმა.

— გიჯობს, ჩემმა მზემ, გიჯობს!

— ძალიანაა ჩემზე განრისხებული?

— აბა რა ვიცი. ნახავ და თითონ გეტყვის.

— დავით, ძალიანი ვთხოვ შენ წამიძღვე, — შევედრა ბესიკი, — თორემ მუხლები აღარ მეშორჩილება.

— სად იყავ მაინც აქამდე? — ჰკითხა დავითმა და თითქოს დააპირა წაძლოლა, მაგრამ შედგა და ბესიკიც შეაჩერა. — რად დაგვიანე?

— არ გამომიშვა იმ ურჯულამ.

— თუ ალექსანდრე ბატონიშვილმა? — დაეინებით დააკტერდა დავითი ბესიკს.

ბესიკი შეერთა. უსიტყვოდ შეაშტერდა სახლთუხუცესს. გულზე ცხლად გადაუარა მდღლარემ.

— ალექსანდრე?

— ჰო, ალექსანდრე, რას გაგიკვირდა. იქ ხომ ეხვეოდი, ნუგეშსა სცემდი...

— თქვენ საიდან იცით ყოველივე, — ჩურჩულით ჰკითხა ბესიკმა დავითს და მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებდა.

ფარეშები კარგა მოშორებით იდგნენ. მათ ბესიკისა და დავითის საუბარი კარგად არ ესმოდათ.

ბესიკმა ისევ დავითს შეხედა.

— საიდან იცით ყოველივე?

— ჰმ! — ჩაიკინა დავითმა, — როგორ თუ საიდან. დესპანად მიდიხარ და განა არ იცი, რომ ძველ კვალს თუ არ მიყვები, შენი ფეხის კვალი ლოდზედაც კი დაანდება? შენ რა გესაქმებოდა ალექსანდრესთან?

— კაცთმოყვარეობამ მაიძულა. გულმა ნება არ მომცა, შემებრალა...

— შეგებრალა. მაგ სიბრაღელმა შეიძლება ჭევეყნად გაჩენაც კი სანანებ-

ლად გაგიხადოს. ყური მიგდეს და უფარავდ უამბე ყოველივე ბატონს...

დავითი გაუძღვა ბესიკს და გზად გზა განაგრძო დაწინაურდა.

— თუ გულს გაუსწი, ყოველივე რისხვა ატკლებს.

— მე ლეონს ყოველივე ვუამბე.

— განა არ ვიცი, მეც მიაპობდი, მაგრამ მე სხვა ვარ, ლეონიც სხვაა. არ დაგავიწყდეს, რომ ვერც მე და ვერც ლეონი ვერ გიხსნიო...

— ნეტავ ვინ აცნობა ყოველივე ბატონს, ნუთუ ჩემი ამალიდან იყო ვინმე ისეთი? — წაიღუდუნა ბესიკმა, მაგრამ დავითმა შეაწყვეტინა:

— ეგ შენი საქმე არ არის. ქვეყნად ვინ დალია ბატონის ერთგული.

კარებთან ორივენი შეჩერდნენ. დავითმა თვალით ანიშნა შესულიყო და თითონ უკანვე დაბრუნდა.

ბესიკმა გული გაიმაგრა, პირველად გადაისახა, და თითქოს უფსკრულში გადავარდნას აპირებდა, ისეთი თავდავიწყებით შეაღო ერეკლეს სამუშაო ოთახის კარი.

იქნებ სხვა დროს მართლა ცუდად წასულიყო ბესიკის საქმე, მაგრამ ამ დილით ბედმა გაუღიმა, რადგან ერეკლე კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. მისი კარგი განწყობილება კი გამოწვეული იყო იმით, რომ თავისი სამბრძანებლოს აღმოსავლეთი სამთავროები ყველაზე მძიმე წელიწადს მისი ერთგულნი აღმოჩნდნენ. ყველანი ეახლენ განჯაში, ერთგულება შეჰტიცეს და ძვირფასი ძღვენი მიაართვეს. თვით ერეკლის ბეგლარბეგი ჰუსეინ ალი-ხანი, რომელიც აშკარად განდგომას აპირებდა და ყენს ჯარებს სთხოვდა, გაეგო თუ არა ერეკლე განჯაში ბრძანდებო, მაშინვე ცხენზე შემჯდარიყო და ზვითქ-გადადენილი ეახლა ბატონს. მუხლებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა.

ეს გამარჯვება ერეკლესათვის შით უფრო სასიხარულო იყო, რომ მისი საერთო მდგომარეობა ვერ იყო სანატ-

რელი. რუსის ჯარი იმერეთს იყო წასული, თითონ ლაშქარი სულ არა ჰყავდა, და ჭიდევაც რომ დაებარებინა, იმდენს მაინც ვერ შეაგროვებდა, რომ სამთავროთა განდგომის შემთხვევაში შინაურ და გარეულ მტრებს ერთსა და იმავე დროს გამკლავებოდა. ფულაც აღარ ჰქონდა, რომ დაქირავებული ჯარი მაინც მოეწვია. მართალია, აღაბრეიშის ვალი სრულიად გაისტუმრა, მაგრამ ხაზინაშიდაც ბევრი აღარა დარჩა რა, და არა თუ ჯარის შენახვა, სახელმწიფო მოხელეთა და ჯამაგირადაც ვეღარ აღდიოდა. მოხარკე სამთავროებიდან ბევრი არა შემოდდიოდა რა, რომ იმ თანხებით დიდ საქმეს მოსჭიდებოდა. არც რუსეთმა გაუმართლა იმედი ერეკლეს და დაპირებული არათუ სალაშქრო თანხები, სესხიც კი არ მოაშველა.

ასეთ მდგომარეობაში ერეკლესათვის, ცხადია, ძალზე სასიხარულო იყო ქვეშევრდომი ხანების ერთგულება. მას ახლა საშუალება ეძლეოდა, ყველაზე სახიფათო მდგომარეობაში, მთელი ყურადღება ლეკთა და თურქთა წინააღმდეგ მიეპყრო. ერეკლესათვის მხოლოდ ვასარკევეი იყო, რას აპირებდა ქერიმხანი, ემხრობოდა რუსეთს თურქეთს წინააღმდეგ, თუ პირიქით ზონთქართან აპირებდა მეგობრობას. ორივე შემთხვევა ერეკლეს შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, მხოლოდ საჭირო იყო წინასწარ იმის ცოდნა, საით იხრებოდა ქერიმი. ამიტომ, როგორც კი მოახსენეს, ბესიკი დაბრუნებულაო, ბრძანა მაშინვე მოეყვანათ, და ყანის ამბების გაგების სურვილმა თუ სრულიად არ გაუქრო, ძალზე გაუყუჩა და მიავიწყა ის ამბები, რამაც გამოიწვია ბესიკზე აღშფოთება.

შევიდა თუ არა მასთან ბესიკი, ერეკლემ მაშინვე გამოჰკითხა დაწვრილებით მთელი ამბები ქერიმთან შეხვედ-

რების შესახებ და ერთი სიტყვაც არ დაცდენია ალექსანდრე ბატონიშვილზე. ისეთი მშვიდი სახით ეკითხებოდა ამბებს, რომ ბესიკს თანდათან მოემატა სითამამე და ორივეს საუბარმა, დამაბული და მეტად საკვირანი სახე მიიღო. ბესიკმა ყოველივე გულახდილად მოახსენა მეფეს, აუხსნა, რომ ქერიმხანი ვერაფრით ვერ შეურიგდებოდა რუსეთის საქართველოში შემოჭრას, რომ ალბათ, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ხმალსაც კი აღმართავდა ბატონის წინააღმდეგ და ალბათ ამის გამო ჰყავდა შეფარებული ალექსანდრე ბატონის-ძე.

ალექსანდრეს ხსენებაზე ერეკლემ ოდნავ დამაბული ყურადღებით გადახედა ბესიკს, მაგრამ არაფერი არ უთქვამს.

ბესიკმა კი თამამად შეხედა მეფეს თვალბში და მოახსენა:

— მამატიეთ, მეფევ, შეიძლება მე არ უნდა შეგხვედროდი ბატონიშვილ ალექსანდრეს, მაგრამ ჩემთვის არავის განუმარტავს, მქონდა თუ არა ამის უფლება.

— დესპანი მეფის სახელით მოქმედებს, მაშასადამე, მას უფლება აქვს შეხედეს ყველას, მტერსაც და მოყვარესაც...

— ამასაც გულახდილად მოგახსენებთ, ქეშმარიტად ჭების ღირსია ბატონიშვილი. ჭკვიანი, ზრდილი, განსწავლული, რაინდი უებრო და კეთილი. მართალია, თქვენ ქართლის ტახტს გეცილებათ, მაგრამ ერთი ძვირი არ უკადრებია თქვენს შესახებ და მუდამ ჭებით გიხსენიებდათ.

ბესიკი ახლა ჰგავდა უფსკრულის პირად მდგარ ადამიანს, რომელსაც იმედი არა აქვს რომ მეორე ნაპირამდე გადახტომას შესძლებს და თვალდახუჭული ბედს მიენდობა.

ასეთ თვალდახუჭულ გადახტომას ჰგავდა ალექსანდრე ბატონიშვილს

ქება ბესიკის მიერ, თუმცა მას ეს წინასწარ განზრახვით არ უთქვამს, ისე თავისთავად, უნებლოდ წამოსცდა. წამოსცდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, თუ როგორ შესტოპა და ერთ წუთში განიცადა შიშით აღსავსე მწვავე გრძნობა პაერში დაკიდულ ადამიანისა, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, დაპკრავს ფეხს მეორე ნაპირს, თუ უფსკრულში ჩაიჩხვება.

შიშით შეხვდა ერეკლეს და შევბით იგრძნო, რომ უვნებლად გადაიარა უფსკრული. მეფეს არც კი მიუტყევეია ყურადღება, რომ ბესიკი მის მეტოქე ბატონიშვილს აქებდა, პირიქით თითონ დაუწყო ქება, მოიგონა ალექსანდრეს პაპა ვახტანგ მრეკვესე და სატყვა, რომ თუ შვილიშვილს თავის პაპის თვისებები გამოჰყვა, უეჭველია ის ყოველი სიკეთით იქნება დამწვენებული, როგორც ბაგრატიონთა გვარს შეჰყვარისო.

საუბრის დასასრულს მეფემ ჰკითხა დაგვიანების მიზეზი ბესიკს, და როდესაც მან აუხსნა, თუ როგორ ან რა განზრახვით შეაჩერა ქერიშა იგი სპარსეთს, ერეკლემ თითქო საკმარისად ჩასთვალა ეს ახსნა-განმარტება; ბესიკს არც ის უთხრა, რომ ეგ საკმარისაბუთია თავის გასამართლებლადო და არც უსაყვედურა რაჲ. მხოლოდ თავი დაუქნია, უთხრა, შეგიძლია წახვიდეთ, სათვალე გაიკეთა და მაშინვე ქალაქებს მიუბრუნდა.

ბესიკმა შევბით მოითქვა სული და ფეხ-აერეფით დასტოვა მეფის სამუშაო ოთახი. გავიდა თუ არა, დერეფანში გაოცებით შედგა. მთელი დერეფანი გაქედილი იყო სამეფო კარის მსახურებით, დიდებულებით და მოხელეებით. თურმე ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ ბესიკის საუბრის დასასრულს მეფესთან და მხოლოდ აბლა მიხვდა კაბუჭ მგოსანი, თუ როგორ ბეწვის ბიდზე გაევიღო. ყველანი შემოერტყნენ გარს და მოუთმენლად

ეკითხებოდნენ, რით დამთავრდა შენი საუბარი მეფესთანო. გაიგეს თუ არა, რომ ბატონს ძალზე მშვიდად მოესმინა ბესიკისათვის, არც დაეცინა და არც სასჯელი დაედო რაჲ, ყველანამ გულწრფელად ულოცავდნენ ბესიკს გადაარჩენას, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, მხრებსა და ზურგზე ხელს უბარტყუნებდნენ და დაუფარავად ეუბნებოდნენ, რომ ვერ გიმხელდით, თორემ ყველას განწირული გვეგონე და ვფიქრობდით ბატონი აქედან შებოროკილს პირდაპირ გაგზავნიდა დილეგშიო.

— „ნეტა რისთვის?“ — გაივლო გუნებაში ბესიკმა და თანამგრძნობებს გადახვდა. ხმამაღლა ვერც ასეთი უბრალო კითხვის თქმა გახვდა, რადგანაც შემოსეულ თანამგრძნობთა შორის ბევრი ორგული ეგულებოდა, რომელნიც პირისფერობით ულოცავდნენ. ბესიკი უკვე კარგად ხვდებოდა, როგორი სიფრთხილე იყო საჭირო. იკითხავდა, რისთვის უნდა დავესაჯე მეფესო, და სასახლის კარზე გაქლესილი მლიქნელნი მაშინვე სხვაგვარად სთარგმნიდნენ ამ კითხვას: ბესიკი მეფეს უსამართლოდ მოპყრობას აბრალეზსო. ამიტომ ყველას თავშეკავებულად გასცა პასუხი, ზოგს მადლობა უთხრა ყურადღებისათვის, ზოგს სიტყვა გაუქლიკა და ხუმრობით გვერდი უქცია. შემდეგ სახლთუბუცხისაკენ გაემართა, რომ მასთან გონება მოეკრიბა, დამშვიდებულიყო და ყოველივე დალაგებით ეამზნა.

დავითი თავის სამუშაო ოთახში დაუბნდა. ის ლეონთან ერთად ქალაქის ციხის გარნიზონის ახლებურ წყობას ამუშავებდა და ორივეს გაცხოველებული კამათი ჰქონდათ, თუ რამდენი უნდა ყოფილიყო ციხისმცველთა, მუშარბაზნეთა, მეტუკეთა და კარის დარაჯთა რაოდენობა. ლეონს, როგორც ციხისთავს, სურდა რაც შეიძლება მეტი მეთორები ჰყოლოდა ციხის კედლებზე, ჰონგურებსა და მალაქ კოშ-

კებზე, რათა ყველას თვალში სცემოდა, რომ საქართველოს შეფეს ტარიელით „ქალაქი ჰქონდა მაგარი მტერთაგან მოურევარი“. ამისათვის მისი აზრით საჭირო იყო არანაკლებ ათასი კაციისა.

— ათასი ბევრია, — უთხრა დავითმა ლეონს, — ათასი უსაქმური კაცის შენახვა მარტო იმისათვის, რომ ათ კაცს შიშის გრძნობა შთაუქნერგოთ, არც საჭიროა და ვერც შეეძლებო. დილეგში დამწყვედულ პატიმრებს კი ათი კაციც ეყოფა დარაჯად. ვაჰ! ბესიკ, რაღა მაშინ გამოჩნდი, როდესაც დილეგი ვახსენე, — წამოიძახა დავითმა ბესიკის დანახვაზე, — როგორაა შენი საქმე, გადარჩი?

— რაო, მამა-ბატონმა, დაგტუქსა? თუ დაგიყვავა? — ჰკითხა მოუთმენლად ლეონმა.

— ყოველივე ვუამბე, მაგრამ ჩემთვის არა უბრძანებია რა. არ შესის, როგორა ჩემი საქმე.

დავითმა და ლეონმა ერთმანეთს გადახედეს. მერე დავითმა შშვიდად უთხრა ბესიკს:

— იოლად გადარჩენილხარ. ეგ არის, რომ მდივნის სახელს ჩამოვართმევს და დესპანადაც აღარ გავგზავნის. ხეალ ან ზეგ შენს შესახებ მოვახსენებ და ვნახოთ, რას შეტყვის.



დავითის წინასწარმეტყველება გამართლდა. რამდენიმე დღის შემდეგ იოსებ მუშირიბმა გამოუცხადა ბესიკს, რომ მეფის ბრძანებით მას ჩამორთმეული ჰქონდა მდივნის სახელი და ამიტომ აღარც ჯამაგირი და აღარც ულუფა არ მიეცემოდა. ბესიკს იმედი ჰქონდა, რომ წარსული წლის ჯამაგირს მაინც მიიღებდა, მაგრამ მუშირიბმა ამაზედაც უარი უთხრა, რადგან მეფეს ებრძანებინა, ჩვენთან რაც უმსახურია, ყოველივე მიღებული აქვს, ხოლო ყაენის კარზე თუ ყაენისვე ბრძანებით

დაპყრო მთელი წელიწადი, ჯამაგირიც იმისაგან უნდა მიეღო.

ამგვარად ბესიკი, რომ იტყვიან, სრულიად მშრალზე დასველებულიდან რომ გამოვიდა და მწარედ ჩაფიქრებული სიონის შუკით ნარიყალის კოშკისაკენ გაემართა, ისეთმა კაეშანმა შეიპყრო, რომ ნაცნობებს ძალაშეცკი არ აძლევდა პასუხს. ჯერ კიდევ გუშინ მეფის დიდ მოხელეს, ყაენთან დესპანად წარგზავნილს, სპარს დიდებულებთან ამაყად მოსაუბრეს, ახლა სასოწარკვეთილად დაექინდრა თავი. მას კი უცბად უამრავი საზრუნავი გაუჩნდა. უბირველესად საჭირო იყო საღმე ერთი ოთახი მაინც ეშოვნა ქირით და იქ გადაეტანა თავისი ბარგი. ოთახს კი ისე ვერ იშოვიდა, თუ მთელი წლის ქირას წინასწარ არ გადაუხდიდა სახლის მეპატრონეს. მართალია, ლეონმა თავაზიანად დაუთმო ციხის კოშკის სენაკი, მაგრამ ბესიკმა იცოდა, რომ ეს სენაკი ლეონს მხვევლებთან დამის გასათევად ჰქონდა და მალე, ალბათ, უბოდიშოდ ან გარეთ გამოუძახებდა ან აძილებდა კოშკის სხვეწზე ეთია ღამე.

მათ გაჭირვებას შეუჩვეველი ბესიკი შეშინდა და ნებისყოფა მთლად მოეშალა. მილიოდა კოშკისაკენ ეიწრო შუკებით და ხედავდა, როგორ ფუსფუსებდნენ ვაჭრები, ზღლოსნები, ოსტატები.

სიონთან ბესიკს უამრავმა გლახებმა გადაუღობეს გზა, რომელნიც ბუკებთან გაუღმებით ეყარნენ და გამვლულებს მოსვენებას არ აძლევდნენ, ყოველი მხრიდან მოესმა:

— გაიკითხე ბენავი!..

— ერთი გროში გვაჩუქე, აგრემც ღმერთი ბატონის წყალობას ნუ მოგაკლებს!..

— დიდი კაცი ბრძანდები, მოხელე ღატაკს!..

— გაიმეტე ერთი გროში, შენი დედამისი ცხოვრება!

— გიციოხლოს, ვინც გიყვარდეს, მოხედე უპატრონოს..

შეშინებულმა ბესიკმა ფეხს აუჩქარა და ეცადა სასწრაფოდ გასცლოდა მათხოვრებს. იცოდა, რომ ჯიბეში ფული კიდევაც რომ ჰქონოდა და ერთი დაესაჩუქრებინა, — დანარჩენებს ვერავითარი ძალით ვეღარ მოიცილებდა თავიდან. ქვეყნის განაპირაზე სდევდნენ და მანამდე არ მოეშვებოდნენ, სანამ ყველას არ დაუბრუნებდა წვრილ ფულს. სხვა დროს, ცხადია, არ შეუშინებოდა ბუნებით გულუხვი ბესიკი თუნდაც ასეული მათხოვრების დასაჩუქრებას და მაშინვე გაიკრავდა ჯიბეზე ხელს, მაგრამ ახლა იძულებული იყო ისე აეჩქარებინა ფეხი, რომ თითქმის გატყუელიყო. ასე ეგონა, მთელი ქვეყანა მას უტყუროდა და სირცხვილისაგან იწვოდა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ იმდენად იყო გართული ფიქრებით, რომ მათხოვრების ზეჟწინა-მუდარა არ გაუგონია, თუმცა ისინი დაუბრუნებლად ავლებდნენ კაბის კალთებზე ბინძურ ხელებს და სახეში შეზმუოდნენ. შუკის მოპირდაპირე მხარეს მიამურა და დააპირა ახლო შესახვევში მიმალვა, რომ ამ დროს ხმა მოესმა, ვიღაც ეძახდა. მოიხედა და იასე მწიფნობარი დაინახა, რომელიც ხელს უქნევდა, აქ მოდიო.

— ისეთი შეწუხებული სახე გაქვს, თითქოს ცუდი რამ შეგყროდეს, — უთხრა იასემ, როდესაც ბესიკი მიუახლოვდა და ორივენი სახელოსნოში შევიდნენ, — ვატყობ, ვერ უნდა იყოს შენი საქმე კარგად.

— ცუდადაა, ჩემო იასე. იქნებ შეგირიდი გპირდება...

— როგორ?

— ბატონმა სახელი ჩამომართო და წარსულ ჯამაგირზედაც უარი მითხრა.

— რისთვისაო?

— აბა რა ვიცი. ყაენთან გამგზავნა, ყაენმა თავისთან დამიჭირა არ გამომიშვა, ჩემი ბრალაა?

— მართალია, შენი რა ბრალაა, ჯამაგირს რაღას ვემართლებოდა, თუმცა... ჰმ—ჩაიციანა რაიმე? შენ კიდევ იოლად გადარჩენილხარა, ანდელი შესაძლო იყო იესე მსაჯულის ბედი გავგზავრებინა.

— როგორ!

— როგორ და მეფესთან შეასმინეს ტყუილ-უბრალოდ. მეფემაც აიღო და რაც კი რამ ებადა სულერთიანად ჩამოართო, სახლიც, კარიც, ადგილიც, მამულიც და ასე გასინჯე—თავადობის სიგელიც.

— თავადობის სიგელი?

— ეგ რაა. მანდატურისთვის ებრძანა, რაც ჩვენთან უმსახურნია და რაც ჯამაგირი მიუღიათ, სულერთიანად უკან დაგვიბრუნოსო. იესე ოცდაათი წელიწადია ბატონთან მსახურებს. მოდემქ და იანგარიშე, რამდენი შედგა ჯამაგირი. მთლად თავისითავე და თავისი ცოლშვილი რომ საათორეთში გაყიდოს, მაინც ვერ შეგაროვებს მაგ ფულსა?

— ვაჰ! სად გაგონილა, კაცისაგან ნამსახური ჯამაგირი უკანვე გამოეთხოვოთ.

— საწყალი იესეც მაგას არ ამბობს? შენც კიდევ მადლობა უნდა სთქვა, რომ რაც მიგიღია უკანვე არ მოგათხოვეს. უცნაური ხასიათი აქვს ბატონს. თუ გული მოუვიდა, შაბაშ! ყოველივეზე ხელი უნდა აიღო. მნეღია მაგასთან სამსახური. აგრე თუ განაგრძო, ვერა კაცი მაგასთან ვერ გაძლებს. რა იცო, როდის კარგ გუნებაზე იქნება და როდის გული მოუვა. სულ იმის შიში უნდა გქონდეს, რომ თავი არ წააგო. აღამიანს შტერი და მოყვარე ვინ დაუღია, რამდენი მაგას მლიქვნელი, ფლიდი და ორგული გარს ახვევია, სულ იმათი შიში როგორ უნდა გქონდეს. ვიღაც წყალწალებული შეგასმენს ბატონთან და მორჩა. პატიოსნებას ვეფიცები, მე ხომ მწიფნობარი ვარ და ჩემთვის ეცხოვრობ ცალკე, შიშით ხმა



ვერ ამომიღია, ისეთი არა წამომცდეს-  
შეთქი. მაშინვე ენას მიუტანენ ბატონს,  
დასე შენზე ამაებს ლაპარაკობდაო.

მერე განა ისე ეტყვიან, როგორც  
მე შექნება ნათქვამი.

— მართლა, სად არიან შენი შეგირ-  
დები?—მიმოიხედა ბესიკმა სახელოს-  
ნოში.—რაა, რომ ვერც ერთს ვერა  
ეხედაე?

— აღარცერთი არა მყავს,—უპასუხა  
ამოხვრით იესემ, — ეამიანობის შემ-  
დეგ სუყველანი დამეფანტნენ და ახ-  
ლები ჯერ არ ამიყვანია. ახლა ისეთი  
გაპირებება დადგა, რომ წიგნები იყილო  
კი არა, ტყუილად რომ ანუჟო ვცნმეს,  
აღარ უნდათ. არზა ან სიველი თუ ექნა  
ვინმეს დასაწერი, იმას მეც აუვალ. ერ-  
თი ნოქარი მყავს და ერთი მოსამსახუ-  
რე. ეგ არის და ეგ. ერთი უცხოელი  
სწავლული იყო ქალაქში ამასწინად,  
რუსეთის იმპერატრიცას გამოუგზავ-  
ნია, გვარად... დაიცა ჩაწერილი მაქვს,  
ისეთი უცნაური გვარისაა, რომ ზემო-  
რად ვერ დავიხსოვებ.

იასე დახლზე დავთარს მისწვდა, გა-  
დაშალა და გაპირებებით ამოიკითხა:

— ჰილ... ჰილდენშტეტი.

— ვინაა, საიდანაა.

— ტომით გერმანელი ყოფილა. რუ-  
სეთის იმპერატრიცასთან შესულა სამ-  
სახურში. აკადემიკოსი არისო, ასე  
მიიხრეს, და პროფესორიო. ჰო, და,  
იმას ვამბობდი, ეგ იყო ერთადერთი  
მუშტარი, რომელიც ეამიანობის შემ-  
დეგ ჩემთან მოვიდა, რაც კი რამ წიგ-  
ნები მაქვს სულ თავიდან ბოლომდე გა-  
ჩხრიკა.

— აქ რისთვის მოსულა?

— რაც რომ საქართველოში მადნე-  
ბია, უნდა შევამოწმოო. ახლაც აქ არის.  
ბატონს ელოდებოდა. ქარვასლაში ბი-  
ნადრობს მელიქთან. ეპი იმას თავი და-  
ვანებოთ, შენ მიიხარო—რადას ამირებ,  
თუ სამეფო კარზე სამსახური აღგეკე-  
თა.

— აბა, რა ვიცი! სამსახურს ვილა

ჩივის, ღამის გასათევი ბინაც აღარა  
მაქვს.—ბესიკს უნდოდა ეთქვი ჯიბეში  
ერთი გროშიც არ გქონებოდა. მაგრამ  
გადიფიქრა, შეეშინდა, უკრძალე კიფიქ-  
როს ფულსა მთხოვესო, — ანახანუმის  
პალატები ბატონს თითონ დაუპყრია  
და ჩემი ბარჯი, რაც კი რამ გამაჩნდა,  
ახლაც სარდაფში ყრია.

— ჩემთან დადექ ბინად. სულ ერ-  
თია—მაინც მარტო ვარ. ჯალაბი სო-  
ფელში ვაგვზავნე. ზემოთ პატარა  
ოთახს მოგვკვამ, ქირად შენი ლექსები  
დამიწერე წიგნად. თანახმა ხარ?

— რად გინდა, ჩემო იასე, მეფისაგან  
შერისხული შეიფარო?

— უეჰ! კარგი ერთი. მეფისაგან კი-  
დევაც მართლა რომ იყო შერისხული,  
მე ეგ არ შემიშინებს. ჩემი სიცოცხლე  
დღენი უკვე გამოვილია. წადი, შენი ბარ-  
ჯი ახლავე გადმოიტანე. დაბინავდი,  
დამშვიდდი, გონება მოიკრიბე და შემ-  
დეგ, როგორც ჭკუამ გაგვიკრას, ისე  
მიდექ-მოდექ. რამ შეგაშინა, ბატონი  
დღეს გაჯაჟრდება, ხეალ შეიძლება  
ისეც დავიტკბეს საქარივით და უფრო  
მეტი წყალობის ღირსი ვაგზადოს. წა-  
დი, ნულარ აყოვნებ, ჩემთან სახლის  
ქირა არ დაგჭირდება ვადასახდელიად.  
ხარჯიც უფასო გექნება, მეტი რაღა  
გინდა.

— რომაელ მეცენატად შეველინები?

— ეგ რომელი იყო? კეისრის დროს  
მგოსნებს რომ მფარველობდა? თუ  
გინდა აგრე იყოს. დასაზრახი ხომ არა  
ვარ?—გაცივინა იესემ და ბესიკს მამა-  
შვილურად მხარზე ხელი მოუთათუ-  
ნა.—გასწი, წულარ აყოვნებ. ბესიკმა  
მადლობა მოახსენა იასეს და იმ დღეს-  
ვე გადაზიდა თავისი ბარჯებარხანა მო-  
ხუც მწიგნობართან. იასე განსაკუთრე-  
ბით კმაყოფილი იყო ბესიკის სტუმ-  
რობით, რადგან ახალგაზრდა მგოსანმა  
ერთი ხურჯინი სპარსული წიგნები  
მოიტანა, რომლის კითხვა—თვალთრე-  
ბას ორივემ თითქმის მთელი თვე მო-  
ანდომეს. ბესიკი ახლა იშვიათად გამო-

დიოდა ქალაქში და უმეტეს ხანს ოთახში ატარებდა. მეორე თუ მესამე დღეს ლეონი ინახულა, რომელმაც ანუგეშა აბალგაზრდა მგოსანი და უთხრა, რომ მეფეს შენს შესახებ რაიმე წყალობას ეთხოვ, მხოლოდ ცოტა მოვიციადოთ, დრომ გაიაროს, გუნება შეეცვალოს, თორემ ახლა რომ შევევედრო და უარი მითხრას, შემდეგ თავის სიტყვას აღარ გადავაო.

ბესიკს ახლა სასახლეში შესვლის უფლებაც აღარა ჰქონდა, თუ რომელიმე სამეფო გვარის დიდებული ან თვით მეფე არ დიბარებდა. ამის გამო უფრო ერიდებოდა ბესიკი გარეთ სიარულს. ასე ეგონა, ყველანი მას უცქეროდნენ და დასციინოდნენ, შეხე სასახლიდან გამოუგდიათ და სულ ქუჩაში დაეხეტებო. დაცინვით, ცხადია, მას არაეინ დასციინოდა ქაბუა ორბელიანის გარდა, რომელიც დიდიდან-საღამომდე თავს იმით ირთობდა, რომ ბესიკზე გესლიანად ხუმრობდა. ჯერ კიდევ ბესიკის სპარსეთში ყოფნისას, ყოველ ნაცნობთან შეხვედრის დროს თუცილულხლად ჩამოაგდებდა სიტყვას მასზე, და რის შესახებაც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, ყოველივე უბედურების მიზეზად ბესიკს გამოიყვანდა:

— გამარჯობა ქეთარ, როგორა ხარ, ექიმებს დაეძებ, სახლობა ავადა გყავს? სადღა ექიმები. ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ბატონს ქვეყნის ექიმად ბესიკის მოხმობაც კი დაჰქირდა. მაშა! დესპანად წარგზავნა ყვეთან.

— ბარათავ რაო, მამულეები დაუხუნელი დაგრჩა? მა რა იქნება შეილოსა, გუთანს ვილა მოეკიდება, ისე გადავშენდით, რომ ბესიკისთანესაც ელჩებად ვგზავნით. უბრალო გუთნის ნაცვლად სამეფო გუთანს მივაყოლეთ გუთნი-დედად. მერე ივარგაო? ხნული რომ წახდა, მერე კი დავინახეთ, მაგრამ გვიანლა.

— ფშაეში მეწყერს მთელი სოფელი გაუტანია? მადლობა უფალს, ასე ვა-

რისხებთ და კიდევ მცირედს გვეჯის-მთელი ქართლ-კახეთი რომ გაუტანა, არც საკვირველი იყო, რადგან ამ ჩვენი ქვეყნის ბედს ისტორიკოსებს ვანდობთ, რომელსაც ცხელს მშენებ არა მოეკითხება რა.

ჰუ გულღვარძლიანობდა ქაბუა, და ახლა როგორც კი გაიგო ბესიკის სამსახურიდან დათხოვნა, გესლიანად ჩიბითხითა, პირჯვარი გადიწერა და წამოიძახა:

— მადლობა უფალს. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. მაშ როგორ ეგონა ბეკეკას. გადიკარგა უგზო-უკვალოდ და მთელი წელიწადი თავი გვაძებნინა.

წამოიძახა და მას შემდეგ ყველას ეკითხებოდა:

— გაიგეთ ბეკეკას რა მოსვლია? ბეკეკა ვინ არის? როგორ არ იცით, მთელ სასახლეში ერთი ბეკეკა გვყავდა და ერთი წელიწადია, რაც გადაკარგული იყო... ახლა მიხვდით? სწორედ ის ბრძანდება.

ქაბუას ძალზე სიამოვნებდა, თუ როგორმე ამ თავისი ხუმრობით ვინმეს გააცინებდა. ამიტომ იხუმრებდა თუ არა, მაშინვე რაც შეეძლო თითონ იცინოდა და ცდილობდა მოსახუმრეც აეყოლებინა. ზეღკვეითებთან და დაბალი თანამდებობის მოხელეებთან თავის ოხუნჯობას იოლად ასაღებდა, რომელიც მლიქვნელურად ხითხითებდნენ მასთან ერთად, მაგრამ მთლიან თანამდებობის პირებთან და სამეფო კარის დიდებულებთან მის ხუმრობას არც თუ ისე დიდი გასაველი ჰქონდა, ხოლო სეფექალებთან ბესიკის შესახებ წახუმრებას სრულიად ვერ ბედავდა.

ამ ყოფაში იყო ქაბუა, როდესაც ერთხელ შეამჩნია, რომ სასახლეში უცნაური ჩურჩული და ხითხითი ატყდა. რამდენჯერმე სცადა გაეგო ამ სიცილის მიზეზი, მაგრამ თითქმის ვინც მას არაფერს ეუბნებოდნენ და ყველანი თავს არიდებდნენ. ყოველ ფეხის

ნამიჯზე აწყდებოდა ჰაბუა შეჯგუფებულ მოსაუბრეებს, სასახლეს მსახურთ, დიდებულებს ან ქალთა მარაქას, რომელნიც მუდამ გაფაციცებით კითხულობდნენ ფარტინა—ქალღმებზე დაწერილ შაირებს თუ საოხუნჯო ლექსებს და გულიანად ზითხითებდნენ, მაგრამ ჰაბუას დანახვისთანავე მაშინვე იფანტებოდნენ, თუმცა სიცილს უფრო უმატებდნენ.

გაოცებული ჰაბუა კარგა ზანს ვერ ერკვეოდა, თუ რის გამო მხიარულებდნენ ყველანი, სანამ ერთ საღამოს მანუჩარ თუმანიშვილმა არ გაიხმო და ყურში არ წასურჩიულა:

— გაიგე იმ შენ ბუკეკას რა ლექსი გამოუთქომს შენზე?

— ლექსი?—შეხტა ჰაბუა.

— დიახ, ლექსი. მთელმა სასახლემ ზეპირად იცის. ბატონსაც კი წაუკითხეს და ბევრი იცინა. ასე ებრძანებინა, ნეტავ ჰაბუა თუ შესძლებს პასუხი გასცეს ასევე კარგი ლექსითო.

— სად არის ერთი, წამაკითხეთ. ლექსს ისეთს დაუწერ, რომ სულთაებელი იწყლოს. დამიხედეთ იმ... იმ...

— ისეთს ვერ დაუწერ, თავადო.

— ჯერ წამიკითხეთ და...

— წაგიკითხო?

— აქა გაქვს?

— არა, ზეპირად ვიცი.

— ჰო და თუ იცი სთქვი.

— სულ არ ვიცი, მაგრამ რაც დამამხსომდა, იმას გეტყვი. „ათინად აღზრდილს აქებდეთ ალყად ავნორჩად ასულსა“.

— რაო?

— დაცა, ნუ შემაწყვეტინებ, განა აგრე კარგად მამსოვს. როგორ დავიწყე? ჰო, „ათინად აღზრდილს აქებდეთ ალყად ავნორჩად ასულსა, ბნელ ბაიათა ბრწყველობას ბრანგ ბაბაქუად ბასრულსა“...

— ეგ რა ლექსია—შეაწყვეტინა კვლავ ჰაბუამ.

— ვაჰ! ანბანთქებაა. დაცა ბოლომ-

დე გითხრა: „გონჯი გუგანი გაშენის გაბრილად გვერდზედ გასულსა... და... დაზე დარეჯით დამჩაქულს, დედლურის დრუნდით დამჩაქულს“ მანუჩარმა ღიმილით შეავლო თვალი ჰაბუას და მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა.

— როგორია?

— სულ ეგაა?

— არა. ცხრა ზანაა, მაგრამ ისეთები, რო თუ კარგი პასუხები არ დაუწერე, შენი საქმე მორჩომილია.

— ბოლომდე სთქვი, ბოლომდე—უთხრა სიბრაზისაგან თვალზე გადმოკაკლულმა ჰაბუამ და უშნოდ მოღობიჭა სახე. ვითომ გაიღიმა.

— ბოლომდე არ მამსოვს, თითონ ჰკითხე და წაგიკითხავს. ან არა და დავით სახლთუხუცესს ჰკითხე. იმასა აქვს ქალღმებზე დაწერილი. მე თვით...

ჰაბუა ისე სასწრაფოდ გაემართა სახლთუხუცესის სამუშაო პალატისაკენ, რომ მანუჩარს სიტყვა პირში შეატოვა.

\* \* \*

ბესიკს იმედი ჰქონდა, რომ ბატონიშვილი, ლეონი და სახლთუხუცესი უპატრონოდ არ დასტოვებდნენ და ბატონს მის თავს შეავედრებდნენ. სხვა დროს ლეონსა და დავითზე უფრო მეტს სამსახურს ბესიკს ქალები უფრო გაუწივდნენ და მეფეს არ დაანაგვრინებდნენ, მაგრამ ახლა აღარაფერი აღარ ეძლეოდა მფარველად. ანაბანუმი თბილისიდან გადასახლებულიყო. დარეჯან დედოფალი საგარეოდ ბრძანდებოდა. თამარი უმიზეზოდ უგავრდებოდა და ისიც მალე თელავს გაემგზავრა, ხოლო ანას კიდევ რომ ნდომოდა თავის მიჯნურისათვის მფარველობა გაეწია, ბატონთან ბესიკის შესახებ ხმას ვერ ამოიღებდა. არა თუ მფარველობა, ანამ ბესიკთან შეხვედრაც კი ვერ გაბედა, სანამ ერეკლე თბილისში

ბრძანდებოდა, და მალე იძულებული იყო ისე გამგზავრებულყო დმანისს, ბესიკს ბარათითაც ვერ აცნობა, სად ან როდის შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ქალაქში ისეთი სიციხეები დაიჭირა, რომ დღისით შეუძლებელი იყო გარეთ გამოსვლა. დედამიწას სულ აღმურთი აღიოდა და მოსახლეობა სარდაფებში ან ნახევრად მიწურ დარბაზებში იყო თავშეფარებული, სადაც სანეტაროდ გრილოდა და თავისუფლად შეიძლებოდა სუნთქვა. უცხო ადამიანს აუცილებლად გააოცებდა დღისით ან ღამით ქალაქის ნახვა. დღისით, განსაკუთრებით ნაშუადღევს მთელი ქალაქი თითქოს გადაბუგულიყო და საკირესავით ლილიყებდა, ადამიანის ჭკანება არ ისმოდა. ღამით კი ყველანი ბანებზე იყვნენ გამოფენილნი, თითქოს ყველანი ხატობაზე მოსულიყვნენ ღამის სათუვად, სად ცეცხლი დაენთოთ და სად მაშხალეებით ან ფარნებით გაეჩირადნებიათ მიდამო. ისმოდა მხიარული მასლაათი, დაირის ან თარის ხმები, ხელოსან-ოსტატთა შიქასტა-ბაიათები და ლამაზად მორთული ტანწერწერტა ქალები ისე ნაზად და ტანის ოღნავი რხევით ცეკვავდნენ დაირის ხმებზე, თითქო უსხეულო არსებანი ყოფილიყვნენ.

ღამ-ღამობით ბესიკი და იასე იშვიათად გამოდიოდნენ გარეთ და სანთლის შუქზე განაგრძობდნენ წიგნების გადაწერას. იასე თეიმურაზის „თმისარიანის“, ხოლო ბესიკი საბა ორბელიანის ლექსიკონის პირს იღებდა და ორივენი გათვაციცებით მუშაობდნენ.

ერთ საღამოს დადლილებმა გადასწყვიტეს ბანზე ასვლა. ბესიკმა თარი მომართა და ნოხზე ფეხმოკეცილმა ჯერ ნელა დაიწყო სიმღერა, შემდეგ ეშხში შევიდა და ისე აუწია ხმას, რომ უნებლიედ შიიპყო ყველას ყურადღება. კიდითკიდემდე ისმოდა ბესიკის მომაჯადოებელი სიმღერა და ამ სიმღერამ სასწრაფოდ შეკრიბა იასეს სახლთან ქეიფისმოყვარულ ყარაიო-

ღელთა მთელი არიფანა. ხელოვანი გაჩნდა ღვინით სავსე ჩატიებული სველ-სველი ხელადები, ქორთა მწვანელი, შუშა კიტრი, მაყალაზე აღმართული მწვანელები და ბესიკს არც კი უგრძობნია ამ ქეიფში ისე დაათენდა თავზე.

მეორე ღამეს ბესიკს ბანზე ასვლაც კი არ აცალეს და მოქეიფებმა დაბინდებისთანავე ორთაქალის ბაღში მიიწვიეს. ხელოსნები ახლა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბესიკის მოპატიებებაში, რადგან ყველას ესახელებოდა სასახლის კარზე ნამსახურ დიდი მოხელის და ასეთი შესანიშნავი მომღერლის თანამესუფრეობა. დადარდიანებული ბესიკი უნებურად მიჰყვა ამ ქეიფებს და ყოველ დილას გაღეშილი ბრუნდებოდა და იასეს სახლში. მოხუცმა მწიგნობარმა რამდენჯერმე კიდევაც უსაყველურა ქაბუე მგოსანს, მაგრამ ბესიკი თავისას არ იშლიდა, თუმცა გრძნობდა, რომ თანდათან დაბლა ეშვებოდა და მალე, ალბათ, მთლად გადინებოდა უფსკრულში. ცხოვრებისაგან გაბოროტებულს მხოლოდ სადამოობით, ღვინის დაღვევის შემდეგ უყურდებოდა ტკივილები, ავიწყდებოდა დარდი და ვარამი და აღარც თავისი უბედობა აწუხებდა და აღარც ქვეყნისა. არც კი კითხულობდა, რა ხდებოდა საქართველოს გარშემო, თუმცა რამდენჯერმე შეხვდა ყველაფრის მცოდნე სოლომონ ლეონიძეს და შეეძლო ყოველაფე დაწვრილებით გაეგო მისგან.

დილით, გამოფხიზლების შემდეგ, მუდამ ცუდ ხასიათზე იყო, თავის ტკივილები აწუხებდა, მოუსვენრად ბორბავდა, ხანდახან გრილ აბაზანებსაც ღებულობდა და პირობას სდებდა ღვინოს აღარ დაეღვეო, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, ისევ არიფანასთან იყო და თავის მომჯადოებელ სიმღერას ცას აწვდენდა.

კარგახანს გაგრძელებოდა, ალბათ, ეს გამუდმებული ქეიფი, რადგან ბესიკი თავისდაუნებურად ქირით მოსია-

რულე მომღერალს დაემსგავსა და ყოველგვარ ლხინს უნდა დასწრებოდა. დამპატივებლებს, ცხადია, თავისი სუფრა სურდათ დაემშვენებიათ კარგი მომღერლით, მით უმეტეს, რომ ქირის გადახდა არ სჭირდებოდათ და იაფადაც გამოდიოდნენ.

ცოტა კიდევ და, ალბათ, ბესიკი ქირისაკენაც გაიწვდიდა ხელს, მაგრამ ბედის ბორბალი ისევ წაღმა დაუტრიალდა. ერთ დილას ლეონის უზბაშმა მოძებნა და უთხრა, ბატონიშვილი სასწრაფოდ გიბარებს სასახლეში და ახლავე უნდა ეახლოო.

ლეონს სასახლის სულ ზედა სართულში სამი პატარა ოთახი ეკირა. ერთი ოთახი საწოლად ჰქონდა, მეორე სამუშაოდ და მესამე სასტუმროდ.

როდესაც ბესიკი სასახლეში მოვიდა, ლეონი სასტუმრო ოთახში დაუხვდა. ლეონმა გაოცებით შეათვალიერა ჭაბუკი აგოსანი.

— რას დაშვავსებინარ, — ჰკითხა მან ბესიკს, — ტანსაცმელი რას გივავს? ჭონით გავიზობია. სად იყავ, თვალით რომ არა სჩანდი? ასე მითხრეს, გალოთდა და ყოველ დღე გალუწილი დაეხეტება ჭიჩებშიო, მართალია?

— მართალი მოუხსენებიათ.

— მერე რისთვის?

— განა არ მქონდა მიზეზი?

— ჩემთან რისთვის არ მოხველ?

— შენ რას მიშველიდი?

— არ გიშველიდი? მაშ წადი!

— წასული არა ვარ? — გაიცინა უნებურად ბესიკმა, — წასულიცა ვარ და უფრო მეტიც.

— ჰაი, შე ხეკაყუნავ, განა ბატონიშვილთან აგრე თავხედურად უნდა ლაპარაკობდე? — ხუმრობით გაუჯავრდა ლეონი ბესიკს. — ეგ რა ლექსი დაგიწერია ჭაბუხაზე მთელი სასახლე რომ სიცილით იჭაჭება. პასუხი წაიკითხე? ისეთი პასუხი დაგიწერა ლექსად, რომ შენი მგოსნობა ჩირის ფასადაც არა

ღირს. მაშ ახლავე გივობს წყნარად გადავარდე.

— მართლა? — მშვიდად ჰკითხა ბესიკმა, — კარგი ლექსი წერენ?

— შენთვის ვერ ვიტყვი, მაგრამ კარგი იყოს. ყური მივდე, ლექსებისათვის მოვიცლით. დღეიდან შენ ჩემი მოხელე ხარ, განუყრელად ჩემთან იქნები.

— ნუთუ მართლა? — გაუბრწყინდა თვალები ბესიკს მუხლებზე დაეცა და ბატონიშვილს კაბის კალთაზე ხელი მოხვია, — მიბრძანე საქმასური, ჩემი მფარველო.

— იქით გაიწი, ქუჭყნანი ხარ. არ ელოდი ასე ბედნიერებას. ხომ? თუ კარგად მემსახურები, ერთი წლის შემდეგ თვადობის სიგელი გეძობება, რადგან ბატონიშვილის მოხელე აზნაური არ შეიძლება. კიდევ გითხრა საამო ამბები? ორი თვის შემდეგ პეტერბურგს მივდივართ მე და შენ. იმპერატრიცასთან უნდა წარვსდგეთ. კიდევ გითხრა საამო ამბები, თუ ესეც გეყოფა?

— მეტი აღარა მითხრა რა, თორემ ვაი თუ დამბლა დამეცეს...

— ჰა, ჰა, ჰა, — გულიანად გაღიზიანდა ლეონმა, ბესიკს საყელოში ხელი ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა. — შე სულელო, შენა. გეგონა ჩემი სიყრმის ჰეგობარს ვაგწირავდი და უპატრონოდ დაგტოვებდი? ახლა ყური მივდე, რა უნდა გითხრა. გუშინ ისეთი რამ შემემთხვა რომ გონს ვერ მოვსულვარ.

— რა?

— ზარგარხანისკენ მივდიოდი. დილის კარს რომ დაეუახლოვდი, ვხედავ ჩემსკენ ახალგაზრდა ქალი მოდის. ჩემი ხნის არ იქნება, ისეთი მშვენიერა არასოდეს არ მინახავს. ნეტავ ღვთის მშობელი თუ იქნებოდა აგრე ლამაზი. ტარიელივით კინალამ ბნედა მომივიდა და მუხლები ისე მომეცვეთა, რომ დეობარბაცილი და კინალამ წაიქექცი. გულზე ხელი წავეილე, მეგონა ბუდიდან

ამომუხარდებოდა. არ ვიცი, იმან შგონი შემამჩნია, თვალები მორიდებულად დახარა, სწრაფად ჩამიარა და გზას გაუღვა. ველარ მოვითმინე და შორიანლო მივეყე. მინდოდა გამეგო საღ ბინადრობდა, რომ შემდეგ მცოდნოდა, ვინ იყო, ვისი იყო, ქმარიანი იყო, უქმრო, თუ ქვრივი. დიდი გვარის რომ არ არის, ცხადია. არა თუ თბილისში, მთელ საქართველოში რაც დიდგვარიანთა ქალია, ყველას ვიცნობ. მოქალაქისა უნდა იყოს. მიდის ჩქარი ნაბიჯით, მეც შორი ახლო მივეყები, მაგრამ თავი ისე მიჭირავს, ვითომ ჩემთვის მივდიოდე და მასთან არა შესაქმება რა. ერთხელ სწრაფად მოიხედა, და მომკრა თუ არა თვალი, ფეხს აუჩქარა. კირის ოფლი გადამასკდა, მაგრამ მაინც მივეყევი... მიდის, მიდის, გული გამიწყალდა. თათრის მოედანს გავცდით თუ არა, აბანოებთან აუხვია, მეგონა ვაი თუ ტანის დასაბანად მიდის, ხომ დამეკარგა-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ შაბათობით ვაყების ჯერი იყო და დავმშვიდდი. ნარიყალასთან რომ შეუკა აუყვება, სუნტების მეჩერთის გვერდით...

— ვიცი ის სახლი.

— იცი? ვისია, ვინ ბინადრობს იმ სახლში იქ შევიდა. კართან ერთხელ კიდევ მოიხედა და ისე გაჯავრებულად გადმოიხედა, რომ ცეცხლი უარესად მოიკიდა. ეპე, ცუდად არის, ლეონ, შენი საქმე-მეთქი, გავივლე გუნებაში. მითხარი ახლა ბარემ ვინ არის, ან ვინაა, რაკი გცოდნია.

— არა, განა ის ვიცი ვინ ცხოვრობს იმ სახლში. ის სახლი ვიცი-მეთქი. მაჯას რა დიდი ამბავი უნდა დღესვე გავიგებ ვინ არის და...

— იცი რა გადაწყვიტე! იმ სახლის პირდაპირ ცოტა ქვემოთ მცირე ბორცვია, ბალახოვანი. ისეთი სანადიმო ადგილია, უკეთესი არ იქნება. სუფრაჯს ვუბრძანე, საღამო ეამს, ოღონდ რომ ავრილდება, იქ სუფრა გაშალოს, ჩვენ

ხუთი თუ ექვსი ქაბუცი დავსხდებით კორდას მას, ლხინს მივეცემით და შორიდან მუნასიბად ეგუბლებით იმ ტურფა ასულს ისევე ვუყვებით რაინდებს შეშენით. შენი ხმა, ბესიკ, ქვასაც კი ცვილივით დაადნობს და აბა იმ ქალის ქვა გული ხომ ვერ გაუძღვებს და ვერა.

— ამა საქმესა მიჯნურნი ნუ უხმობთ მიჯნურობასა...—დაიწყო ღიმილით ბესიკმა, მაგრამ ლეონმა შეაწყვეტინა.

— მე რომ რუსთაველს ენით შესაუბრები, შენ თავს რისთვის არ ურჩევ აგეთებს...

— დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა, ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა, ყმაწვილობასა.

— კარგი, გეყოფა. გასწი ახლავე სასახლის აბანოში, ტანი განიბანე და სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვი. შემდეგ შენ საქმეებს მიხედე. შენი ჭუჭყიანი ბარგი ჩემს ოთახში არ შემოიტანო, თორემ გცემ. საღამომდე თავისუფალი ხარ. მუშრობს უთხარი, ფული რამ გიბოძოს, თორემ ხატისთვის სანთელი რომ იყიდო, იმის ფულიც არ გექნება.

ბესიკი მაშინვე გაემართა, რათა აბანოში განბანილიყო და სუფთა ტანსაცმელი ჩაეცვა. ერთი თუ ორი საათის შემდეგ სუფთად ჩაცმული წვერგაპარსული ის უკვე თავისუფლად დადიოდა სასახლის დარბაზებში და ყველას მხიარულად ესალმებოდა. სასახლეში უკვე იცოდნენ, რომ ბესიკს კვლავ მოუპოვებინა სამეფო კარზე თანამდებობა, ამიტომ ყველანი მხიარულად ეგებებოდნენ და ულოცავდნენ ახალ სპატიო თანამდებობას. ბესიკმა სათითაოდ მონახულა ყველანი, ხალვათხანაშიაც კი შეიხედა და სოლომონ ლეონიძეს მიესალმა, რომელმაც მილოცვასთან ერთად მას ქაბუცს საპასუხო ლექსი უჩვენა და უთხრა, თუ უკეთესი პასუხი არ დაგიწერია, ცოცხალს არ გაგიშვებო.

ბესიკმა წაიკითხა ჰაბუას პასუხი და უსიამოვნოდ შეიკუმუნა. მერე შუბლი ისევ გახსნა, ლექსი განზე ისროლა და სოლომონს სიცილით უთხრა, ახლა მავგებისთვის არა მცალია და ასეთი პედნიერების განცდის ეამს ჰაბუას გესლს ვერას დამაკლებსო.

სალამო ეამს, როდესაც ლეონის არიფანა პატარა ბორცვზე გაშლილ სუფრას მოუსხდა, ბესიკმა უკვე დაწვრილებით იცოდა, რომ ის ტურფა ასული, რომელმაც ლეონს თავბრუ დაახვია, ქეთხუდა ავეტ დღამბარიშვილის ქერიეი იყო, სახელად მალალა ერჭვა, ერთი შვილი ჰყავდა სამი წლისა და დედამთილის მეტი პატრონი და ზედამხედველი არაინ გააჩნდა. ბატონიშვილს ყურში ჩასჩურჩულა, დარდინუ გაქვს, ბედი გჭონია და საჭმე ისე წავა, როგორც შენ გულს სურსო. ხო-

ლო, როდესაც პირველი ყანწები დასცალეს, ბესიკმა — საზი შიომკრევე, სიმებს მიზრათი ჩამოკეჭვე ედუფვისა კრიალა ხმით წამოიწყეს: ჩსსსმტკრა. რომელმაც ხელქმნილი ლეონი უფრო გაახელა, ხოლო სარკმელთან მიკრულ შავთვალა მალალას აგრძობინა, რომ ეს რაინდები მას უმღეროდნენ:

„შე შენი მგონე ჰირს შემკონე დამწვი  
 მალ ალო  
 ზიდფო ნაშალო, შემამალო, მკვლელი  
 დალალო...  
 აკელსო, ნაზო, შენ ღამაზო, ბროლ  
 ფიქალალო!  
 მე შენსა ყარობს და მიჯნურსა მაქვს  
 სავალალო...“

საზი კენესოდა და სარკმელს აკრულ მალალას დაწვებზე სრიალით ჩამოურბოდა სიხარულის ცრემლებში. მას ბატონიშვილი ეტრფოდა.

(ვაგრძელება იწება).

## ა ნ უ მ კ ა



ორ კვირას განუწყვეტლად უბერავდა შშრალი ქარი. მთიბავეები სჩიოდნენ: პარკში ბალახი გაყვითლდა, მავთულივით გაუხეშდა და ისეთი ცუდი სათიბავია—ცელს წამდაუწუმ მოპირვა სჭირდებაო.

ცულების წკრიალი გამოკვერვისას, სულ შემხუთავი ქარი, ტრამალების გუბებზე ამართული მტვერის სვეტები, — შეტად მკაცრი ზაფხული დადგა! გამოშშრალი დედამიწა დასკდა, გუბეში წყალმა დაიკლო და გამოჩნდა ხბოების ნაკვალევისაგან აპრელებული ფსკერი. აღარავის სჯეროდა, რომ დედამიწაზე კიდევ იყო სივრცე და წვიმები.

მთიბავეებს ნარდად ჰქონდათ აღებული დასასვენებელი სახლის პარკში ბალახის გათიბვა. ისინი გულმოდგინედ მუშაობდნენ, მოუთიბავ ბალახს არ სტოვებდნენ ბუჩქების ძირშიდაც კი, მაგრამ პატარა ბორცვს ცაცხვის ქვეშ გვერდი აუარეს. გვერდი აუარეს იმიტომ, რომ ყვითელი თავთაყებით გაბარდული ბორცვს ქვეშ ქალიშვილ ანას სამარე იყო.

ამ სამარის შესახებ სიტყვაგმარავალი მთიბავეების დახლართულად მოყოლილი ამბის მიხედვით გამოირკვა, რომ ასი წლის წინათ ამ ადგილებში სახლობდა ევროპეელი მეშჩანინი ივანე საბასძე ნიკიტინი. მას დონგალმა გზა-

ზე სასტუმრო-ბაყები ჰქონდა გაღებული, თავისუფალ დროს სიმღერებს თხზავდა ხოლმე და იწერდა მათ სქელ საკანტორო დაეთარში. მთიბავეები ამბობდნენ; ივანე სავიჩმა თავისი ხელით მოხერხა ცაცხვზე ის ტოტი, რომელზედაც ანამ თავი ჩამოიხრჩო, მონახერხი ადგილი კი თეთრად შეღებოა. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, საღებავი კი ისევ აჩნია! სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს ტოტი იზრდებოდა, ახლაც მოსჩანს თეთრი ლაქა.

ანა მემამულე შლიხტინგის მსახიობი იყო. მემამულეს მერცხალივით სწრაფი, შესანიშნავი შავი ცხენები ჰყავდა. შერიას ამ ცხენებისათვის ივანე სავიჩი აძლევდა.

ერთხელ შერიის ვალის მისაღებად ჩამოსული ივანე სავიჩი მემამულის სახლში გამართულ წარმოდგენას დაესწრო და ანას თამაშს უყურა. რის შესახებ ელაპარაკებოდა ის ანას, არავინ იცის. გაიგეს მხოლოდ ერთი რამ— ივანე სავიჩმა მემამულეს სთხოვა: ანა მოსკოვში გაუშვი, ასეთი დიდი ნიჭის პატრონმა დედა-ქალაქის თეატრში უნდა ითამაშოსო.

სთხოვა ხან ასე, ხან ისე, ადამიანურად, ღმერთიც შეახსენა, მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი შერიის კარგად მოზრდილი ვალის



მოლიანად ჩამოწერაც კი აღუთქვა და შლიხტინგს ხალხის მადლიერებას დაპირდა. მაგრამ შლიხტინგი იყო გამბდარი გერმანელი, სულაც არ იყო პატივსაცემი ადამიანი; ხუმრობა ემარჯვებოდა და თავის მიწაზე დაკუნტრუშობდა.

მან ივან სავიჩი კაბინეტში შეიყვანა, რბილ სავარძელში ჩასვა, თვითონ წინ დაუჯდა, ხელები მაგრად მოუჭირა მუხლებზე, ალერსიანად შეხედა და უთხრა:

— ტყუილა გგონია, თითქოს ისე გავკოტრდი, რომ ანას გულისათვის შენი შერისი მანეთებს დავეხარბები. აიღე შენი ვალი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. შერია კი ამიერიდან აღარ დამპირდება.

მან სადაფებით მორთული მაგიდის უჯრა გამოალო და ივან სავიჩს ასიგნაციების კონა გადმოუღვა: „მეო, — სთქვა მან, — მთელი კარმიდამო ცხენებიანად გავყიდე და ანასაც აუცილებლად თავად არღოვს მიყვიდი, ის მუსუსია და მაგისტანები უყვარსო. ახლა რიგაში გადავდივარ საცხოვრებლად. შენ კი დააგვიანე შენი შუამდგომლობით, თუმცა მაინც არაფერი გამოგივიდოდა, რადგან საქმე რომ არ წამბდენოდა, ანას არც გავყიდდი და მითუმეტეს არსად არ გავუშვებდი. რაც ჩემია, ჩემია, შენი კი ღმერთმა შენვე მოგახმაროს, ჩემს ჯიბესა და საქმეებში კი ცხვირს არ ჩაგაყოფინებო!“

ივან სავიჩი წამოდგა და სთქვა: „არ გკონიათ თქვენ არც სინიღისი და არც გული, მწითურო გერმანელო ჭოფაკო“, და წაივინდა, თავი შეიკავა, თორემ შლიხტინგს იქვე ჩააძაღლებდა. ანამ კი იმავე საღამოს თავი ჩამოიხრჩო ნორჩ ცაცხვზე.

დასასვენებელი სახლის პარკს მიწის ზეინული ჰქონდა შემოვლებული. მთიბავეები ზეინულზე ისვენებდნენ. —

ველიდან განუწყვეტლევ მორბერი ქარი ამრობდა მათს სველ ბერანგებს და გაოფლიანებულ მტვერს უსწავს.

პირველ ხანებში მთიბავეები მდნენ, თვალმოკუტული უყურებდნენ, თუ როგორ ფართო-ფართო ზოლებად აწვენდა ქარი გავალარაგებულ შერიას, შემდეგ სულს მოიბრუნებდნენ, თუთუნს გააბოლებდნენ და მაშინ დასასვენებელი სახლის ლამის დარაჯი ყვითელსახიანი, მოკრძალებული მოხუცი სემიონი იტყოდა:

— ჩემსასაც ანა ჰქვია. მხოლოდ ახლა სხვა დროა!

— რაო, რა სთქვი? — ჩაეკითხებოდა რომელიმე მთიბავეი. მათ ბევრჯერ ჰქონდათ მოსმენილი სემიონის ამბავი მსახიობ ანასა და სემიონის ქალიშვილზე, წყნარ ქალიშვილ ანაზე, მაგრამ არასოდეს არ აწყვეტინებდნენ — არ ვიცი სიზარმაცის ბრალი იყო ეს, თუ სოფლური სიყვარულისა გრძელი და დალაგებული ყოველდღიური ისტორიებისადმი.

— რა და, ახლა სხვა დროა-მეთქი, — იმეორებდა სემიონი. — კარგ დროს მოვესწარით. ოღონდაც დასტკბი!

სემიონი იწყებდა ამბავს. მთიბავეები უსმენდნენ, გაოფლიანებულ მკერდს იფხანდნენ და დროდადრო წასაქეზებლად კვერს უკრავდნენ. უნდა ითქვას, სემიონს ვაჟიშვილები არ ჰყავდა. სამაგიეროდ ბედმა საყვარელი ქალიშვილი არგუნა — ეს ჰემშარიტება იყო და ამის საწინააღმდეგოდ ვერავინ ვერაფერს იტყოდა.

როცა სემიონი გაიშუმდებოდა, ერთერთი მთიბავეი აუცილებლად ჰკითხავდა:

— მაშ, შენ ამბობ, მალე ჩამოვა შენს სანახავად?

— აბა როგორ იქნება, რასაკვირველია, ჩამოვა! — სწრაფად უპასუხებდა სემიონი და დამნაშავესავეთ იღიმებოდა, — მომწერა, პეტრე-პავლობის შემ-

დღე ჩამოვალო. ოღონდ მოვესწრებოდე და...

— მოესწრები, — ზანტად ამშვიდებდნენ მთიბავეები.

— კარგი კი იქნებოდა, — გულშეუგერებლად ამბობდა სემიონი, — მაგრამ, სუნთქვა რომ აღარ მყოფნის?

დაიხრებოდა და ქალამნების ამოკვრას დაიწყებდა. შიშველ და სტვენიოთ სუნთქავდა. მთიბავეები უხმოდ ვადახედავდნენ ერთმანეთს; მერე რომელიმე მათგანი მხიარულად დაიძახებდა:

— ესეც გაეაბოლეთ, როგორც ომში შეტევის წინ, გვეყოფა, ახლა კი წავიდეთ ცელის საქნევად. პეტრე-პაველობამდე ალბათ ჩვენც მოვათავებთ!

\*  
\*  
\*

ომის დროს დასასვენებელი სახლი დაიკეტა. უცერად დაიცალა და მიყუჩდა პარკიც და ოთახებიც. პარკის ბალახშეპარულ ბილაკებზე დაუსჯელად თბებოდნენ შავწინწყლებიანი წითელი ზოჭოები, რომელთაც „ჯარისკაცუნებს“ ეძახდნენ. მტვრით იფარებოდა თაროზე ჩამომწკრივებული წიგნები, ფაჩვები, ძველი ავეჯი, დამსვენებელთაგან სურებში დავიწყებული თაიგულები ვახშა და ოთახში იდგა ყვავილებისათვის ჩასხმული ამშორებული წყლის მყაყე სუნი.

სემიონი ვერაფრით ვერ მიეჩნია უკაცურობას. როგორც ომამდე, ის ყოველამით ძველი თოფით დახეტილობდა პარკში, ესაუბრებოდა თავის თავს და უკვირდა, რომ ბავშვები აღარ არხევდნენ ბაღში საადრეო ალუბალს; თავაწეული დიდხანს უფედებდა ყურს მაღლა უხილავად მიმავალ დამის თეთომფრინავთა გუფუნს, და ვარაუდობდა, ვისი იყო ისინი — იმათი თუ ჩვენი?

სემიონი თავის ქალიშვილ ანუშკასთან ერთად სცხოვრობდა სოფელ პრი-

ვალოვში. სოფელი დასასვენებელი სახლიდან სამი კილომეტრით იყო დაშორებული და, რადგან, მისთვის საკდარაჯოდ მხოლოდ შებენდნენ მისი დიოდა, დასასვენებელი სახლი და პარკი მთელი-დღე ყველასაგან მივიწყებული და ცარიელი იყო.

შემდეგ კანონადის ხმამ პარკამდეც მოაღწია, და სახლს გამოუჩნდნენ ახალი პატრონები — სამხედრო პირები. პარკში შემოხიზნდნენ გახურებული და გამტკვერიანებული ტანკები და ცაცხეებისა და ნეკერჩხლების ჩრდილს შეეფარნენ. მებრძოლებმა მცენარეებით დაბურულ ყველაზე უფრო ღამაზ მიყრუებულ კუთხეებში დაიწყეს ბლინდაეების თხრა. შეიძლება მათ ეგონათ, შამბნარში ნაკლები საფრთხე მოგველისო. რასაკვირველია, ეს სწორი არ იყო, მაგრამ ზევით გაბარდნილი სქელი ფოთლები და ბლინდაეის ჩასასვლელთან გადახლართული ველური ეოლოს ტოტები მებრძოლებს განსაკუთრებით მოსწონდათ, რადგან ეს მათში მშვიდ განწყობილებას ქმნიდა.

ანუშკამ სწორედ ომის წინ დაამთავრა შეიღწეული და სამუშაოდ წაგების ნაკრძალში მოეწყო. ნაკრძალი ტყეში, მდინარე უსმანის უკან, მდებარეობდა. გერმანელები რომ მოახლოვდნენ, წავეები ვოლიერებიდან მდინარეში გაუშვეს. მაგრამ ერთმა ბებერმა წავემა არაფრისთვის არ დასტოვა ნაკრძალი და ვოლიერში დარჩა; როცა ნაკრძალის თანამშრომლები გაიხიზნენ, ანუშკას დაავალეს მისი გამოკვება. იგი პრივალოვიდან ნაკრძალში დადიოდა, ბებერი წავეისათვის სჭირდა ვერხვის რტოებს, კრეფდა ჭინჭარს. ყოველთვის, როცა ბებერი წავე მისკენ მიმავალ ანუშკას დაინახავდა, უკანა თათებზე დადგებოდა და მათეულის რიკულის რხევას იწყებდა, — ახარებდა იდამიანის დანახვა.

კოლექტივში უამრავი სამუშაო

იყო — დილიდან საღამომდე მუშაობდნენ, მაგრამ ანუშკას არცერთხელ არ დაეწიებია ბებერი წავის გამოკვება. ყოველ დღე, საღამოთი, მიემართებოდა ნაკრძალისაკენ; გაივლიდა ნესტიან, უდაბურ ტყეს, მდინარე უსმანზე გაღებულ საცალფეხო ბოგირებს და მას ეგონა, უსიცოცხლო მიწაზე დაედივარო, ისეთი უდაბურობა იყო გამეფებული ტყეში. მხოლოდ შორს, სულ ერთსა და იმავე ადგილას, საღვთო ვორონეის მისადგომებთან გრილებდნენ ზარბაზნები. იმის შეგნებით, რომ ომი ახლოს იყო, მიძიმე ბრძოლები მიმდინარეობდნენ და მტერი მის ველებთან, მისი ქოხის ზღურბლთან იყო მომდგარი. მშობლიური მიწა-წყალი კიდევ უფრო მეტად საყვარელი და ახლობელი ეჩვენებოდა ანუშკას. შეიძლება იმითმაც, რომ მოუხდებოდა მისი დატოვება. გზაზე ანუშკა ძველ ნაცნობებსავით ესალმებოდა ხან ტოროლას ბუდეს — დაუდევრობით გზისპირა თხრილში გაკეთებულს, — ხან ბეჭობზე კუნძთან გაზრდილ ველურ ბაღას ყვავილებს, ხან თბილქერქიან ნორჩი არყისხეების ოჯახს და ხან რომელიმე მოწაფე გოგონას ნაწინაიდან ჩამოვარდნილ ძველ დაჭმუჭნულ ლენტს. ანუშკა ლენტს ხელსაც კი არ ახლებდა.

ზამთრის პირას პრივალოვის სკოლის შენობაში ჰოსპიტალი გახსნეს. ანუშკამ ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა. მას ბებერი წავის ამბავი აწუხებდა, მაგრამ სემიონმა წავის საკმაოდ მოუმარაგა ვერხვის მოკლე რტოები; წაემა ჩაიბურტყუნა და საზამთროდ ჩაწვა, — უკვე აღარ იყო საჭირო მასთან ყოველ დღე სიარული.

ერთხელ ჰოსპიტალს მოსკოვიდან ჩამოსული მსახიობები ეწვიენ სკოლაში კონცერტი გამართეს, კონცერტის შემდეგ, დაჭრილთა თხოვნით, ანუშკამაც

შეასრულა რამდენიმე სიმღერა, ქურქში გახვეულმა მალაღმა, ჯალაღაშერეულმა მსახიობმა ქალმა ანუშკას გადაკოცნა და სთქვა: *შედი აქ, შედი აქ* ლამაზი ხმა აქვსო, ანუშკას ისე შერცხვა, თავს ველარ სწევდა, მეზრძოლები კი გამალებით უკრავდნენ ტაშს და სთხოვდნენ — კიდევ ემღერნა.

მაღალი მსახიობი ქალი ანუშკასთან ერთად მივიდა ქოხში სემიონთან და სთხოვა: ანუშკა მოსკოვში გამატანე, თეატრალურ სასწავლებელში მივაბარებო. სემიონმა ზეირიანად ვერაფერი გაიგო და დაბნეული სულ იმეორებდა:

— თქვენ, ქალაქებმა უკეთ იცით. ანუშკასთვის თუ უკეთესი იქნება, როგორ დავუშლი. კარგ ცხოვრებისაგან როგორ დავმალავ.

როცა მსახიობი ქალი წავიდა, სემიონი დიდხანს იჯდა მერხზე, დახეულ სამკუთხა ქუდიდან სწიწნიდა ბამბას. ანუშკა კედელთან იდგა, გული უცემდა და გაფითრებულ სახეზე ცრემლები ლაპალუპით სცივოდა. ძალა არ შესწევდა, ცრემლები შეეჩერებინა. ის უყურებდა სემიონის ქალ თმას. მწვანე შარფით შეფუთვნილ გამხდარ კოსერს, და სტიროდა, რადგან ეცოდებოდა მამა და თანაც ვერ გადაეწივებინა — როგორ მოქცეულიყო.

— დედაშენი მართა მოკვდა, — წარმოსთქვა, ბოლოს სემიონმა, — სუსტი ქალი იყო. შენ კი რაღა ხარ? იმაზე უფრო ჯანმრთელი ხარ თუ? ნაზი ხარ შენც. სუსტი. წელში გაწყდები, ვერ გაუძლებ მოსკოვის მოუსვენარ ცხოვრებას.

— როგორც გენებოთ, მამილო, — ჩურჩულით მიუგო ანუშკამ.

— ჩემი სურვილი უბრალოა, — უბასუხა სემიონმა, — რაც შენთვის უკეთესი იქნება, მეც ის მსურს. წაყვი. მე კი როგორმე მარტოც ვაეჯახიებ ჩემს ცხოვრებას, შენი ბებერი წავივით.

სემიონი ადგა და ქოხიდან გავიდა. ანუშკა დაედევნა. ბნელი სუსხიანი ღამე იყო. ტრამალიდან მიწის ხედა ქარი მოჰქროდა. სემიონი ღია კარებში შეჩერდა და წარმოსთქვა:

— არ გამომყევი!

ანუშკა ქოხში შებრუნდა, პერხზე ჩამოჯდა. იჯდა და უცდიდა. სემიონი გვიან მოვიდა—თოვლში ამოგანგლული, ჩუმი, დაბერებული. ანუშკას უხერხულად თმაზე ხელი გადაუსვა და კვლავ წარმოსთქვა:

— წადი, შეილო, რამდენადაც შემეძლო, ჩემი დღე და სოფელი შრომაში გავატარე. ჩემი წლები დათვლილია. ოღონდ ცოდვა არ დაიდვა—არ დამივიწყო...

ანუშკამ მამას თავზე ხელები მოხვია, მის თოვლისგან სველ აბურძგენილ ომებს დაეკონა.

მეორე დღეს ანუშკა მსახიობებს გაპყვა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, სწორედ ანუშკას გამგზავრების საათს, ჩვენებმა სასტიკად შეუტრეს გერმანელებს და დასაველეთისაკენ გარევეს.

თოვლი დადნა, მიწიდან ჯაგრისივით სქელმა საშემოდგომო ჯეჯილმა ამოპყო თავი. მაისის დღეები გრილი და მოწმენდილი დაიჭირა. და ერთ მაისის დღეს, იმ დღეს, როცა ცას სიცივისაგან მწვანე ფერი გადაჰქროდა, მოვიდა დიადი ცნობა: ჩვენ გავიმარჯვეთ და ომი დამთავრებულიაო.

\*  
\*  
\*

გავიდა ერთი წელი—ანუშკა მაინც არ ჩამოდიოდა.

ისევ ვახსენეს დასასვენებელი სახლი. სემიონი კვლავინდებურად სდარაჯობდა პარკს და ძველებური გატაცებით უყვებოდა დამსვენებლებს ამბავს ანუშკას სიკვილზე. მელექსე ვაჟარ ივან სავიჩზე. მაგრამ თავის ანუშკაზე კი

დამსვენებლებთან კრინტს არ ჰქრავდა: ეშინოდა არ იფიქრონ, ან რა კრავშუტა, მკეხხარა მოხუცივით ვენმეს, ექნებ დაეცინა კიდევ მოსკოვში მსახიობებს ასეთი ართვალის მამა ჰყოლიაო. ვინ იცის, მაგ დამსვენებლების ამბავი. ხალხი ჭრელია. სემიონი თავისიანებს, კოლმურნეებსაც არაფერს უამბობდა, რადგან უიმისოდაც კარგად იცოდნენ, რომ ანუშკა მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო სათეატრო სასწავლებელში სწავლობდა.

ერთხელ დასასვენებელი სახლის დირექტორმა სემიონი გამოიძახა და უთხრა: დამსვენებლებს ანას სიკვდილის შესახებ აღარაფერი მოუყვეო.

— ვითომ რატომო? — ეწყინა სემიონს. — ხომ არ ვიგონებ? ანას ამბავი ყველამ იცის, ძველთა-ძველია.

— გეყოფა. ენა გეჭაყება თუ რა? ხალხს ნერვები აქვს აშლილი. დღისით შენ ჩუბუღლებზე, საღამოს კი ცაცხვის ახლოს გავლა ეშინიათ. განა მოვახერხებო ხე?

— ცოდვა იქნება მისი მოქრა, — სთქვა სემიონმა. — ისევ სჯობია მე გაეჩუმდები.

ყველაფერი ისე წაიწყო, რომ მოხუცს ხმის გამცემიც აღარავინ დარჩა. ივნისი დაილია. ზაფხული მიიწურა. მაგრამ ანუშკა არ ჩამოდიოდა. ცხელი ქარი განუწყვეტლოვ უბერავდა—სუნთქვას აძნელებდა. ღამით ტრამალებისა და ყორღანების თავზე ციალებდა ცის ციაგი და ანათებდა ყანებს.

სემიონმა დირექტორისაგან ნებართვა აიღო, შორეული სოფლის ტელეგრაფისკენ გასწია — ანუშკასთვის დეპეშის გაგზავნა განიზრახა. გაემგზავრა დაბინდებისას, როცა სიცხე მიწელდა, — დღისით სიარული შეუძლებელი იყო. მაგრამ მაინც ეძნელებოდა. სემიონი მილოღავდა გზისკიდურზე, ძლივს სუნთქავდა ხშირად ჯდებოდა, სრესდა

დამტვერილ აბზინდას და ყნოსავდა მას, რადგან ეგონა ამით შვება მომეცემო. დიდხანს ვასცქეროდა ბინდისაგან ლურჯად მოელვარე ველს, ჩამავალი მზის სხივებისაგან აღისფრად შეღებულ თოვლივით თეთრი ღრუბლების მთებსა და კუნძულებს, რომლებიც მშვიდად დაჰყურებდნენ უხვი პურეულით დაყურსულ, გაგრილებულ მიწას და ელოდნენ გრილ ღამეს.

„რა არის იქ ამ ღრუბლების ზევით? — ფიქრობდა სემიონი, — ნუ თუ სამოთხეა? თუ მთელი ეს ჩვენი მიწა, მთელი ტრამალა სამოთხე?“

დაფარფატებდნენ ღამის პეპლები. ყორღანზე მდგარ რუხ ქარის-წისქვილს მუქი ოქროსფერი დაეფინა.

— ეჰ, ანუშკა, — სთქვა სემიონმა და გაკვირებით წამოდგა, — ნეტავი შენც ხედავდე ამას, განა აქ არა ხარ გაზრდილი? ფეხშიშველას მოგირბენია ეს ველები: ახლა კი სად ხარ? გაუჩინარდი, აღარაფერი ისმის შენი.

ქარის-წისქვილი გზის მახლობლად იდგა. ზღურბლზე ჩამომჯდარ ყავარჯნიან კაცს სამხედრო ხალათი ეცვა. „ახალი მეწისქვილეაო“, — გაიფიქრა სემიონმა და წისქვილისაკენ გასწია. მას უნდოდა უცნობ ადამიანთან ერთად მოეწია თუთუნი, გაეზიარებინა თავისი გასაკვირი, ელაპარაკნა თავის საქმეზე. შესაძლებელია ეს საქმე კი არა, ჩვეულებრივი მწუხარება იყო, მაგრამ სემიონი ცდილობდა ეს საშიში და არასასიამოვნო სიტყვა ფიქრებიდან განედევნა. თანაც, რა არის სამწუხარო, როცა მისი მანუგეშებელი ქალიშვილი მოსკოვშია, სწავლობს... რომ არ ჩამოდის და არაფერს იწყობა — შერე წა მოხდა! მოსკოვი დიდია, მოსკოვში მუშაობა — სოფელში მუშაობა ხომ არ არის? იქ, ალბათ, ხალხს დღე და ღამე არ სძინავს, მოცლა არა აქვს. მაშ როგორ გაართმევ თავს ასეთ სახელმწიფოს, — ათასი და

კიდევ ათასი კილომეტრები სულ პურეული, ტყეები და ტრამალურთა!

წისქვილთან ჩამომჯდარი კაცი წეკოს ეწეოდა. ლურჯი პირის ზეგნით პირდაპირ წისქვილის ფრთისქვეშ მიემართებოდა. „ყველაფერი კარგად ეწყობა!“ — გაიფიქრა სემიონმა, მიესალმა, ჩამოჯდა. თუთუნი გააბოლა, ახალი მეწისქვილე შეათვალეირა: სჩანს კარგი ყმაწვილი კაცია, ახლახან ომიდან დაბრუნებული.

— აი მივდივარ, — წარმოსთქვა სემიონმა, — ქალიშვილს დებეშა უნდა გაულგზავნო.

— რატომ? — ჰკითხა მეწისქვილემ.

— უდებეშოდ არაფერი გამოვა. ყური მიგდე. აი რაშია საქმე.

სემიონმა ნელა დაიწყო ამბის მოყოლა. მეწისქვილე თუთუხს სწეედა, ილიმებოდა. სემიონი სულ ლაპარაკობდა. ყვებოდა უკვე არა იმას, თუ რა შეემთხვა ანუშკას, არამედ იგონებდა მას: — აი იყო ერთი პატარა გოგონა ქერანაწინავებიანი, ფარვანასავით წყნარი. დადიოდა ჩუმად. ხანდახან მის ფეხის ხმასაც ვერ გაიგონებდი. ხალხი ამბობდა, მზეთუნახავიაო! მაგრამ ეს კიდევ არაფერი, — ალერსიანი იყო, გამრჯელი და მამის პატივისმცემელი. ორნი იყვნენ ამ ქვეყანაზე, უკეთესი — ცხოვრებაც კი არ შეიძლებოდა და თუ როგორი იყო ახლა ანა, ეს ვინ იცის?

— უნდა ვიხაროდეს, ძია კაცო, — სთქვა მეწისქვილემ. — შენი თავი უნდა დაივიწყო, არ უნდა გეწყინოს.

— ჩემს თავზე სრულიადაც არ ვფიქრობ, — სთქვა სემიონმა. — სიხარული — სიხარულია, მაგრამ მწუხარებაც თავისას შვება. რამდენიმე რომ მყოლოდა, ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, მაგრამ მაგის მეტი არაფერს ვამჩნია. უშვერი და ქარაფშუტა რომ ყოფილიყო, — ჯანი გეპარდნია, მაშინ არ შემეცოდებოდა, მაგრამ ცეცხლოვანი გული აქვს. წმინ-

და. ახლა კი მშვიდობით. დილისათვის, ჩემო ძეო, შინ დაბრუნება უნდა მოვასწრო.

სემიონი გამოემშვიდობა, წაეიდა. ბნელდებოდა. ახალი მთვარე წერილი და ნაზი ყანწივით დაეკიდა შორეულ ქალაქს. ქალაქის იქით მშრალი ნისლი იშლებოდა. მერე სამხრეთი წყვლიადმა მოიცვა, სადღაც შორს რაღაც თავისებური ჩაილაპარაკა მრისხანე ჭეჭაჭუხილმა, ცა ბოროტმა ცეცხლმა შეაძრწოლა.

სემიონმა ნაბიჯს უმატა. ჩქარმა სიარულმა უფრო დაჰქანცა. ხშირად ჩერდებოდა, გაჭირვებით ახველებდა. ხველებისაგან სიცხე თავსა და თვალებში უვარდებოდა, ცრემლები ერგოდა.

ცა კი სულ უფროდაუფრო შავდებოდა, თითქოს დედამიწის ჯურღმულიდან აღმართული თუჯის კედელი ეფინებო, და ქუხილი უკვე ბატონპატრონივით გრიალებდა წინ მარჯვენე და მარცხენე. ქარი მთვარის შუქით განათებულ თეთრ მტვერს სახეში აყრიდა დაქანცულ მოხუცს. „ვერ მივალწევ!“ — გაიფიქრა მან. ახმაურდა პური, ბალახი. მინდორი თითქოს გაიპო ციური ჭეჭა-ჭუხილისაგან და სადღაც შორს ხევში საცოდავად დაიჭიხვინა დაბორკილმა ცხენმა.

შემდეგ კი ზედიზედ დაიწყო ელვა. ღრუბლებიდან დაუბერა სუსხიანმა ქარმა და ნიაღვრად წამოსული კოკისპირული წვიმა ხმაურით მოაწყდა.

დილით საბარგო მანქანამ ველზე იპოვა მთლად სველი, ციებცხელებისაგან აკანკალებული სემიონი. მან მაინც ვერ მოახერხა დებეშის ვაგზავენა.

დასასვენებელი სახლის ეკიმმა-ქალმა სემიონი გასინჯა და თავი გააქნია. ის დღეში ორჯერ მოდიოდა ქონში ავადმყოფის სანახავად, მაგრამ სემიონმა იცოდა, ყველაფერი ამაო იყო, ახლა ფი ალარ გადარჩებოდა. სემიონს შე-

ზობელი მოხუცი დედაცა კი უკვლიდა. სემიონი ქონში იწვა. მაგრამ იქ შეხუთული ჰყური იყო, დედაც დედაგანში გადაცოცდა. დედაცა კი ჩაღრმობიდან თივა დაუფინა და სემიონი იწვა ღია კარებთან, ქურჭუხბურელი, გასცქეროდა გზას... სულ ელოდა და არ უნდოდა დერეფნიდან ისევ ქონში გადასულიყო.

სემიონი ღამით უკეთ ვრძნობდა თავს, ვიდრე დღისით. რადგან ღამით შორიდანვე მოსჩანდა იშვიათად მიმოშავალი მანქანების შუქი. ყოველ მანქანაში შეიძლება ანუშკა ყოფილიყო.

სინათლე შორეულ ტყესთან გამოჩნდებოდა მოციმციმე ვარსკვლავივით, ნელა მოიწვედა, ჰქრებოდა ბორცვთან, მერე ისევ ენთებოდა ვერცხლისფრად და წყვილიაღში ისმოდა მოტორის ყრუ ლიკლიკი. სემიონი ბორგავდა, წამოიწვედა, სინათლე თვალებში შეანათებდა, გაღიზებდა დერეფანს. შეტოკდებოდა კედლებზე, გზას აუქცევდა ქონს და შორს მინდორში გაუჩინარდებოდა. სემიონი კი თვალდახუჭული უსმენდა—ღამით მრავალგვარი ხმები აველში. ვერ გაარჩევ.

ხანდახან ძლივს გასაგონად ისმოდა ორთქლმავლის კივილი. „იქნებ დავგვიანებით მოსული სამგზავრო მატარებელიაო“, — ფიქრობდა სემიონი და ვარაუდობდა: აი ახლა გამოვიდა ვაგონიდან, ახლა ჯდება საბარგო მანქანაში, აი ახლა მანქანა ალბათ შევიდა ტყეში, გაიარა საგულშაგო, გაღმოვიდა ხილზე, მოჰყვება ნაკრძალის კიდეც. „წავიც აგრეთვე წევს, ისიც ელოდება!“ ფიქრობდა სემიონი. აი, მოაღწია სოფლის განაპირას. სემიონი კვნესოდა, წამოიწვედა ყურს უგდებდა. გარშემო კვლავ სიჩუმე სუფევდა, ისეთი სიჩუმე, გეგონებოდათ — ვარსკვლავები წყლით საესვ ვედროში ჰყუმბალობენო. ეს ვედრო იქვე იდგა და მასში ხის პატარა ჩამჩა

დასცურავდა. მერე სოფლის განაპირას ხევში დაიჭუჭკუებდა ღალღა, მას ყველა ეზოებიდან ხმაშეწყობილად უერთდებოდა მამლებს ყვილი. და ისევ წყნარდებოდა ყველაფერი.

სემიონს ეჩვენებოდა, თითქოს ზურგს უკან იჯდა გერმანელი შლიხტინგი და დაცინებით ეუბნებოდა: „შენი შვრია, სემიონ ეესეინი, ამიერიდან აღარ დამპირდება“. „შენმა დრომ ქირი მოგჭამა, — ჩურჩულით უპასუხებდა სემიონი. — შენ კლანჭები მოგაკრეს. ჩვენ კი ახლა ჩვენი სურვილისამებრ ეცხოვრობთ, ბებერო ქოფაკო.“ შლიხტინგი ხმას იკმენდდა და სადღაც უჩინარდებოდა, ხოლო დერეფანში შემოდის: ქალიშვილი დასასვენებელ სახლიდან. მოწაფე გოგონა ლოლია, რომელიც მუბლ-შექმუხვნილი ასმევდა სემიონს მწარე წყალს და წამდაუწყებლად ებუზღუნებოდა, ნუ ჯიუტობ, ისევ ქოხში დაწევიო. და სემიონი ვაკეირვებით ამჩნევდა, უკვე დღე იყო და გორაკის ვადაღმა ტრამალი რაღაც ძლიერ გუგუნებდა. „ნუთუ კომბაინებია?“ ფიქრობდა ის, — ნუთუ პური დამწიფდა. ის კი ჯერ კიდევ არ სჩანსო?“

— მოვატყუე, ანუშკა, — ეუბნებოდა იგი ლოლიას, — დავიბრდი ცოცხალი დაგიხვდები-მეთქი, მაგრამ ვატყობ სულ მცირე დროისათვისაც კი ძალა არ მეთყოფა. ერთი მეთაიდით ვსუნთქავ.

სემიონს სულ უნდოდა ეთხოვნა ლოლისათვის ანუშკასთან დეპეშა გამოიგზავნო, მაგრამ ეუხერხულეზოდა. დამით როგორღაც დეპეშის შინაარსიც კი შეადგინა. „იცხოვრე! მამის მაგივრად პატიოსნად. სამართლიანად. სამარის სანახავად აუცილებლად ჩამოდი, — იცოდე მიწის ქვეშაც გელოდები“. მაგრამ ასეთ დეპეშას ხომ არ მიიღებენ. იჭტე-ლეგრადში, ხალხი საქმიანია და ეჩქარებათ, უმეტესად რაღაც რიცხვებს გადასცემენ, ხად სცალიათ სისულელე-

ბისათვის. აი, იცხოვრა, იცხოვრა და ხეირიანად არაფრის ნახსნა არ იცის.

დღისით სემიონის სანახევად უკმრავი ხალხი მიდიოდა: ექმურ მჭიდროდ დამსვენებლებიც. დირექტორიც, მეზობლებიც მაგრამ მოხუცი თვალებს ხუჭავდა, თავს იმპინარებდა, ეს ადვილი იყო მისთვის, რადგანაც ძალიან დასუსტდა. სემიონს ხალხისაც რცხვენოდა. მთელ ქვეყანას მოსდო, ქალიშვილი მოსკოვში მყავს, ძალიან ვუყვარვარ, ჩემს სანახავად აუცილებლად ჩამოვაო. მაგრამ რომ აღარ ეშველა, ახლა ხალხი აღბათ ფიქრობს: ქალიშვილიც ცუდი ჰყოლია და თვითონაც ლაპარაკით თავი მოგვაბეზრაო.

სიცხემ დაიკლო, შემოდგომა ახლოვდებოდა, ერთხელ დამით ფოთლებზე და სახურავზე წვიმა ახმაურდა. უკუნი, თბილი წყვედიანი ეფინა არეს და ამ წყვედიანიდან წამოვიდა წვიმისაგან გაფანტული მტვერისა და ქინკრის სუნი. წვეთები ჩხრიალით ეცემოდნენ ეზოში დაგდებულ თუჯის ნატეხს. ამ ნატეხში სემიონი ქათმებს აპურებდა. სემიონმა ყური დაუგდო, გაეღიმა, — თუჯი ხომ მართამ იყიდა ქალაქში, როგორ უხაროდა, ახლა კი აღარავის სჭირდება.

წვიმამ სუნთქვა გაუადვილა და სემიონს ჩასთვლიმა. რამდენ ხანს იწვა ასე, ვერ გაარკვია. სახეზე-მომდგარმა თეთრმა შუქმა გამოაღვიძა. ქოხთან მანქანა იდგა და გუგუნებდა. სემიონი ათრთოლებულ ხელებს დაეყრდნო, წამოიწია და დაიყვირა: „ანუშკა, შენა?“ და ისევ დაეცა, მიყუჩდა, თვალ-ცრემლიანმა ანუშკამ სემიონის აბურ-ძგნული თავი გულში ჩაიხუტა და მხურვალედ დაუწყო კოცნა, ხელს უთათუნებდა მის გამხდარ მხრებს, ხორკლიან ლოყებს, მისი ხელები კი აფრქვევდა სასიამოვნო, აღბათ, ღამის ბალახთა სურნელებას.

— აბა, რა იყო, — ამბობდა ანუშ-

კა.—რა დაგემართა? რა დაგატყდა თავს?

— არაფერი, — ბუტბუტებდა სემიონი. — ეს ისე, უბრალოდ. ოდნავ დავსუსტდი... ანუშკა, — უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია. ამგვარი არსებობა შეუძლებელია.

ქოხში ვიღაცამ სინათლე აანთო. ხალხი რაღაცაზე ლაპარაკობდა, კამათობდა, მერე სემიონი ქოხში შეიყვანეს, დააწვინეს განიერ მერხზე, რომელზედაც ანუშკამ საიდანაც ნაშოვნი სუფთა ზეწარი გადააფინა. ხალხი დაიშალა. ანუშკამ მოხუცს მაგარი ჩაი დააღვინა და შერე გათენებამდე მის სასთუმალს არ მოსცილებია, სემიონის ხელი ეკირა — იღიმებოდა და ცრემლებს იკავებდა.

სემიონი თვალმოუწორებლად შესცქეროდა ქალიშვილს: რა ლამაზია, ტანისამოსიც ქალაქური აცვია, მსუბუქი, ასეთი მხოლოდ დღესასწაულებზე უნდა ჩაიცვან. ისე კი სრულიადაც არ შეცვლილა მისი ანუშკა. ისევ ძველებურად ალერსიანი, ცეცხლოვანი გული აქვს.



სექტემბერში სემიონი დაასაფლავეს ანას სამარის გვერდით. ახალ საფლავს გარშემო ბელტები შემოუწყვეს და მინდურის ყვავილებით მორთეს. მერე შემოდგომამ კი ისე სქლად დაჰფარა ჩამოცვენილი ფოთლებით, რომ აღარ სჩანდა სველი, მწითლური თიხნარი... სემიონი ანუშკას თხოვნით მის საყვარელ ადგილას პარკში დაასაფლავეს. ყოველ დილას ის მიდიოდა სამარესთან და როცა დამსვენებლები ანუშკას დაინახავდნენ, გაჩუმდებოდნენ და სცილობდნენ შეუმჩნეველად აველოთ გვერდი, რათა მყუდროება არ დაერღვიათ მისთვის. ის კი იჯდა სამარის ახლოს მერხზე, გასცქეროდა ველს და

ფიქრობდა. ცამოწმენილ მემოდგომის გრილ ამინდში ფრინველები სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ, გამხმარ თავთავებში ქრიალებდა დამწვებული მარცვალი. ქარი აღმაცერად მიაქანებდა სინათლეზე გამჭვივრულე ყვითელ ფოთლებს. საღამოობით ტრამალზე ჩამოწვებოდნენ ცივი, მოლურჯო ღრუბლების მწკრივები.

გამზაერების წინ ანუშკა ნაყრძალში წავიდა ბებერი წავის სანახავად. გზაში ძველებურად ხუმრობით ესალმებოდა თავის ძველ ნაცნობებს — დებს-არყისხეებს, უსმანზე გდაღვებულ საცალფეხო ბოგირებს, ფიჭვებს.

ბებერი წავი ისევ იმ ვოლიერში იჯდა. ანუშკამ დაუძახა, წავი მძიმედ ახენწმდა, უკანა თათებზე დადგა და დაიწყო მავთულის რიკულის რხევა — იცნო ანუშკა.

ანუშკა მალე გაემგზაერა. ხოლო მეორე ზაფხულზე მთიბაეები კვლავ თიბავდნენ პარკში ბალახს, მხოლოდ სემიონი უკვე აღარ იყო მათთან და დამსვენებლებს უყვებოდნენ ორ ისტორიას ორი ანას შესახებ. ერთი ისტორია დაძველებული, ალბათ არც ისე საინტერესო იყო, მეორე კი ყველას ახსოვდა. მთიბაეები ამ ამბავს დაახლოებით ამგვარად გადმოგვცემდნენ:

„გააცილა სემიონმა ანუშკა ერთი მუღდაკის ამარა. ანუშკამ მოსკოვში მხოლოდ ხმა გაიყოლია. ხმა კი ჰქონდა წყრილა, სუფთა, საიდან არის, ნეტავ, ქვეყანაზე ამისთანა ხმები! რომ დაბრუნდა ველარ იცნობდით. მზეთუნახავს ეავდა. კარგი ქალიშვილი ჰყავდა სემიონს. დიდხანს ელოდა, იმედი დაეკარგა, ვერ მომისწრებსო, რადგან მძიმე და განუკურნელი ავადმყოფობა სჭირდა და ანუშკა კი არ სჩანდა — არ ჩამოდიოდა. რასაკვირველია, დედაკაცებმა დაიწყეს ჩურჩული: აი ესაა ქალიშვილის მადლიერებაო. მოხუცი კი გადიდგულდა და სიამაყისათვის აი რა



დაემართა, გამოდის, მკვებარა ყოფი-  
ლაო. ამბობენ ქალიშვილს მის ქალამ-  
ნებისათვის აღარ სცხელა. მას ახლა  
კრებდემინი და კაკაო მიართვიო.  
თქვენც კარგად იცით, დედაკაცებს  
გესლიანი ენა აქვთ. თუ შეარცხვინე—  
გაჩუღდებიან, არა და — ისე გათამამ-  
დებიან, ზარბაზნითაც ვერ შეაჩერებ.  
ხო-და, ანუშკა ჩამოვიდა, მამას იმდენი  
საჩუქრები ჩამოუტანა, ქოხში ძლივს  
ეტყოდა. სემიონს თუმცა დიდხნის  
სიცოცხლე აღარ ეწერა, მაგრამ ქალი-  
შვილმა მაინც გამოაჩყო, ქოხი შეუ-  
თოთრა, სათამაშოს დაამსგავსა. დედა-  
კაცები, რასაკვირველია, მიწყნარდნენ  
და სულ საწინააღმდეგო ლაპარაკი და-  
იწყეს—ველარ ძღებოდნენ ანუშკას  
ცქერით, ველარ აუდიოდნენ მის ქებას.  
ანუშკა ქუჩაში რომ გამოვიდოდა, ყო-  
ველ ქოხში იწყებოდა დედაკაცების  
ღუღუნე და გულის აჩვილება. არაა  
თანმიმდევარი ხალხი! შეეხარბათ სე-  
მიონის ბედნიერება. და მერე რა  
ჰქონდა მას სახარბიელო! ყოველ წუთ-  
ში სანთელსავით შეიძლებოდა ჩამქრა-  
ლიყო კაცი. სულის შებერვა-და ეყო-  
ფოდა. მაგრამ, რაც მართალია, ბედ-  
ნიერებაში კი მოკვდა. და აი, წარმოი-  
დგინეთ, როგორ მოქმედებს ადამიანზე  
სიხარული—სემიონმა ნელ-ნელა სია-  
რულიც დაიწყო, თუმც ვაჭირებით,  
მაგრამ მაინც გამოლოღებოდა ქოხი-  
დან, ანუშკას მკლავზე დაყრდნობილი.  
დამსვენებლებმა, რასაკვირველია, ყვე-  
ლაფერი გაიგეს და ანუშკას სთხოვეს  
პატივი გვეცი და დასასვენებელ სახლ-  
ში იმღერეთ. ანუშკა თავაზიანი იყო,—  
რასაკვირველია, დასთანხმდა. და აი  
გაიმართა კონცერტი. ჩვენც, ყველა-  
ნი ვესწრებოდით. მთელი სოფელი მო-  
ვიდა, ანუშკა ხომ მარტო სემიონის არ  
იყო, არამედ მთელ სოფელს ეკუთვ-  
ნოდა. სემიონის მოსაყვანად დირექ-  
ტორმა ცხენები გაგზავნა. სხვა დროს

არავის ათხოვებდა ცხენებს/ მომპირ-  
ნე გლეხი იყო. ახლა კი — ნუშეთო,  
თვითონვე ჩამოვიდა სემიონის წასაყ-  
ვანად. მოვედით, მთელი სოფელი კამ-  
კაშებდა, რამდენი ნათურა, სინათლე,  
გარშემო შემოდგომის ფოთლებით გა-  
კეთებული თაიგულებით მოერთით  
ყველაფერი... დამსვენებლები სადღე-  
სასწაულოდ იყვნენ გამოწყობილნი,  
ქალები თხელ კაბებში, ყველა შრია-  
ლებდა, ყველაფერი ბრწყინავდა, სა-  
უცხოო ნელსურნელება ავსებდა იქა-  
ურობას. ამბობდნენ „თქვენი ანუშკა  
ჩვენი სიამაყეაო“. ხოლო ჯერ კიდევ  
გუშინ, შეიძლება ასე ითქვას, ბატებს  
მწყესავდა. აი როგორია ახლა ცხოვრე-  
ბა! ყველაფრის საშუალება აქვს კაცს,  
თუ ნიჭიერია კაცი, მისი გზა თავად  
არლოვისაკენ კი არ მიდის, არამედ  
მთელი ქვეყანა მისი ასპარეზია. პო-და,  
ანუშკა მამამისს შემოჰყვა დარბაზში,  
შეხედნენ და მერე როგორ! არ ვიცი,  
ვის ზედებიან ასე. ძნელია თქმა. ისე,  
როგორც ბრინცესას. რასაკვირველია,  
ახლა ბრინცესები აღარ არიან, მაგრამ  
ანუშკა ჩვენთვის ჩვენი ბრინცესაა.  
ისე იმღეროდა, რომ ყურს ვუგდებდი  
და ვკანკალებდით. ახირებული სემიო-  
ნი იჯდა და ცრემლებსაც კი არ იწმენ-  
და, „მეო,—ამბობდა ის,—ჩემი შრო-  
მისათვის ბედნიერება მეწვიაო“. საწ-  
ყალს დიდხანს აღარ დასცალდა სი-  
ცოცხლე: ერთი კვირის შემდეგ გარ-  
დაიცვალა. დაიძინა—და აღარ გაღვიძე-  
ბია. იოლი სიკვდილია. როცა ემარბავ-  
დით, ისეთი მოწმენდილი, წყნარი და  
თბილი ამინდი იყო, რომ პეპლები თავს  
დამჭარფატებდნენ სამოვრებს, თამა-  
შობდნენ. შეხედავდი ცას—და ქსოვი-  
ლივით გაკეროდა აბლაბულა. ნამდვი-  
ლი ბებრის-ყვავილობა იყო! ანკარა  
მდინარეებსა და გუბეებს მოლურჯო  
ფერი გადაჰკროდა. ჰაერი ისეთი გამ-  
ჭირვალე იყო, გეგონებოდა სულ არ

არისო, მთელი პარკი რაღაც თითქოს  
ოჭროს ტაძარს წააგავდა. მთლად გახ-  
ვეულიყო მშრალ ფოთლებში, მზეში.  
იოლი სიკვდილია! ჰო-და... წავიდა  
ანუშკა, ბედნიერი ცხოვრება ვუსურ-  
ვეთ, სხვანაირად არც კი შეიძლება  
მოხდეს“.

ამ ამბის მთქმელი მრავალი, გა-  
ჩუმდა. ყველა სდუმდა. მხოლოდ ას-  
წლოვან ცაცხვზე შეჩუმდნენ მოლა-  
ლური თითქოს კვირს უკრავს, მოკრ-  
ძალებით სტვენდა: „ასეც იქნება! ასეც  
იქნება!“

თარგმანი მ. ლორთქიფანიძისა.

## ქოლხეთში



ვილისმა გადალახა თუ არა სურამის უღელტეხილის უკანასკნელი გადასასვლელი, მანქანიდან ჩამოვედი, პაპიროსს ცეცხლი მოვუყიდე და დასავლეთისაკენ ვაგაყოლე თვალი ამ საოცარს აპოთეოზს ბუნებისას, რომლის ბადალი არც აღბეჭისა და არც პირენის მთიანეთში მინახავს ოდესმე.

... კოლხეთისაკენ, სადაც ვემთა უშორესი თავდება გზაი“.

მომავონდა ერთი ძველბერძენი პოეტის სიტყვები.

ეს მშვენიერი მთები მესხეთისა, აღმოსავლეთიდან, დასავლეთისკენ მსრბოლელი, მუქლურჯ ფონზე თეთრი ტალღებით დატვირთული, ალაგ-ალაგ მოსჩანს როგორც კოლოსალური ზურმუხტის მასსივი.

ხეებში დგანან ჯერაც გაუფოთლელი ხეები გაზაფხულის მგზნებარე ბორიოს მოლოდინში, გორმახებზე ტყემლები აყვავებულან და რომელიღაც ყვითელ-ყვავილიანი ჩირგვები შეჰყოლიან ბრეკებსა და ლარტაფებს.

აგრე მგონია აქედან ზღვისკენ და ზღვამდის მოსჩანსო მთელი დასავლეთი საქართველოსი, რომლის გამო ჩვენი სახელოვანი გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი სწერდა: „ხოლო სიგრძე ქვეყნისა ამის არს ლიხის მთის თხემიდან შავ ზღვამდე“.

სტრაბონს ეგულებოდა ოთხი გადა-

სასვლელი იბერიაში. ერთი მათგანი კოლხური ციხის სარაპანას სანახებში გადმოდისო.

120 ხიდს ახსენებს სტრაბონი შორაპნიდან ფოთამდის.

ეს მცირე ცნობაც მოწმობს პირველ საუკუნეში თუ როგორი დიდი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ იბერიისა და კოლხეთის ქალაქებს, რომელთაც იხსენიებენ სტრაბონს გარდა სხვა მოგზაურნიც. ცხადია, ყვირილა, ფაზისის—რიონის სათავედ მიუჩნევია სტრაბონს.

როგორი უეცარი ცვლილება ტფილისიდან აქამდის, სამიოდე საათს ვილისით სავალ მანძილზე.

ძველბერძნებს ერთი მშვენიერი მითიც ჰქონდათ ჰესპერიდების ბალნარის გამო შეთხზული. ატლასისა და ჰესპერის ქალწულები: ეგლე, არეთუზა, ერთეია და ესპერია, ურჩხულის—ლადონის შემწეობით მწყესავდნენ მშვენიერ ბალნარს ჰესპერიდებისას, სადაც ხეები ოქროს ნაყოფით იყვენენ დაბუნძული.

ვინ იცის ეგებ ძველი კოლხეთის მშვენებას აღეძრას ამ მითის შეთხზვის წადილი ძველბერძნებისათვის. ზოგიერთ ბერძენ პოეტს მართლაც სჯეროდა კოლხების ქვეყანაში პირუტყვს ოქროს ტყავი აქვსო.

რა მშვენიერია ქედი ლიხისა, სტუმართმოყვარე, თავაზიანი, ზაფხულში ჩრდილმრავალი ხეებით შემკული. სმენას ელამუნება ხეებში მიყუჟული წისკილების ამო გრუტუნე. აყალო მიწის წითელ ფორეჯებიანი ფერდები მთის კალთებისა, ალაგ ალაგ უნაყოფო ეწერი და ძეძვი, ეს შურებით დასერილი თხემები, ჰორიზონტებზე ღრუბლების უბეში მთვლემარე ციხეები, ხანაც ზარბაზნის ვაზნასავით თავწამრგვალბულ სიმეტრიულ ბეჭობზე წამომდგარი ვოდოლი აილანძება, ხან თეთრი ეკლესიის ნანგრევი გაივლებს ბეხრეკა ცაცხვებს შორის გამოირიყული, ხანაც ბატონკაცური აივნებიანი ოდა-სახლი, უზარმაზარ მუხებს შორის მდგარი.

ამგვარ სახლებს, ალბათ ლაზური ტიპისას, შეხედებით ყველგან ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე შორაპნიდან ვიდრე ტრაპეზუნამდის. თვალს ხიბლავს ეს ლერწმეწითლებული, კუბოკრულად განრიგებული ეენახები, ტყვიისფერი მასივი შორეული მწვერვალებისა, რომელსაც ამ დილით უსპეტაკესი მერდინები გადააფენია თავზე, წვეტწამახული ნაძვნარების წვეროკინებზე ისინი ისე მოსჩანან, როგორც გიგანტურ საჩიჩელაზე დაფენილი ბამბის ქულები.

კრთიან ვერცხლისფერი ლენტები მძაფრად ჩამოკვეთილ კლდეთა ტინებიდან ჩამომვებულნი, ხახადაბჩენილი გვირაბები მაღალ პიტალოთა ფანჯრის თვალუმს ჰგვანან იმ ბნელ საუკუნეებისაკენ გადასაჭერეტს, როცა ამ ქვეყნის ბინადარნი შელეწილ კლდეებიდან ებრძოდნენ შემოსეულ მტერს.

ვილისი მიჰქრის ვნოლისფერი ლოდების გასწვრივ. უმცირესი მათგანიც რომ დაიძრას უეცრად, მშვიდობით, სიამტკბილევ წუთისოფლისა.

ამ ლოდებში ნახავთ გეომეტრიის სტანდარტულ ფიგურებს: ტრაპეცი-

ბის, რომების, წვერწამახილი და წვერწამახული კონუსები, ტინავაგარს. შეეყრები მთის ცხვირს, ეალ კიდეზე მთლად ჩამოვსდნენ, მწვეტკუბობა მძინვარედ უთარეშნია აქ უჩინარ სტიქიონს: კოლოსალური ლოდები ზედ შეხტომიან ურთიერთს, ზოგნი ხეებში გადაუსვრია, თითქოს დევებს უბურთავნიათ აქ, ან დევთამმუსვრელ ამირანს უცდია ღონე და იაეარუყვიათ ტროგლოდიტების სასახლებები!

ალაგალაგ ბუნების უცნაური მიმიკრია ატყუებს მგზავრის თვალს, თხემებსა და მწვერვალებზე აღმართულ ძველი ქართული ბასტიონების ნახვისაგან განებთიერებულს. ამ კლდეების უზარმაზარ ქორედებზე აზვინულან ლოდები ისე მიზანშეწონილად და სიმეტრიულად დაყოფილნი, კაცს ეგონება: ციხე-ქალაქიათ ძველი.

როგორი გრანდიოზული სიძლიერით სუნთქავს აქ არაორგანიული ბუნება! ამ მხარეში იზრდება ძელქვა ემბლემა ისეთი მტკიცე ნებისკაცისა, რომელიც გამოვლინდა თუნდაც სერგო ორჯონიკიძის სახით, ჩვენ თაობათა თვალწინ.

ისტორიულად მთელი ეს მხარე იმერეთის გავაყებამდის ძველი ქართლია, არგვეთის საერისთავო. აქაურ მკვიდრთა ენაკაციც უფრო ქართლურია.

ეს გზადშემოყრილი ბრგე ვაჟაკები, რომელნიც ამ დაჩიავებულ, ჩოჩიალა ურამებს მიუძღვიან, ქართლებს უფრო ჰგვანან. სამაგიეროდ აქაური ბუნება მკვეთრად განსხვავდება შიდა ქართლის ტიპიურ ლანდშაფტიდან.

მარად ძველი და მარად ახალი ჭეშმარიტებაა: ნაციის ბედი მის გეოგრაფიასთან მჭიდროდაა გადაჭიდობილი.

ტრანსკასპიიდან გადმობეწილი ტრამალების წვეტი ტაშისკარამდე თანმოსდევს მტკვარს და ჩვენმა მამაცმა წინაპრებმაც ვერაფერი დაე-

პირისპირეს იმ პერმანენტულ ლავას, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიედინებოდა, როგორც ოკეანის მიმოქცევა.

საშუალო საუკუნეების სამხედრო ტექნიკას არავითარი საშუალება არ გააჩნდა ტრამალიან მისასვლელების დასაცავი.

ჩვენი უდიდესი სტრატეგები ტყისა და მთის მიერ შექმნილ დაბრკოლებებზე ახდენდნენ ორიენტირებას. ტყეში გამართული ხანდაკებით ებრძოდნენ ძველი იმერიელები და კოლხები, მიდიელებს, რომაელებსა და ბერძნებს. ტყეში გამართულ ხანდაკებითა და ჯგებირებით გადაუჭრა გზა ტფილისისაკენ დამძრულ მუსულმანურ კოალიციის უზარმაზარ არმიას დაეით აღმაშენებელმა. ტრამალები შევლოდნენ ჩვენს მტრებს, რადგან ველდაველ მომავალ მასას თანაბარრიცხოვანი მასა უნდა დაუპირისპირო ჯარისა.

ამიტომაც ტყის მტერნი იყვნენ მუდამ სელჯუკები, მონღოლები და ოტომანები, რადგან მათ კავალერიას გასაშლელი ასპარეზი არა ჰქონდა, ამიტომაც ტყეებს სწევადნენ უწინარეს ყოვლისა ისინი, ამის შედეგად გადატვლებილია დღეს ქართლისა და სომხეთის მთები და ველები.

არც ეგ სურამის უღელტეხილი, საკმაოდ მკვეთრი ზიგზაგებით ქართლიდან იმერეთისკენ გადასავალი, არც ტყიანი ორწოხები ლიხის მთისა არ ყოფილა ალბათ მიზეზი იმისა, რომ ვერც სელჯუკიანებმა, ვერც მონღოლებმა ფეხი ვერ მოიდგეს საქართველოს დასავლეთში.

ჩინეთის კედლებიდან დასავლეთისკენ დამძრული ტარტართა ურდოები თან მოჰყვებოდნენ უგუნური ცხვრის ფარის ალღოს, იალალების მაძებარს. მათ ფარებს ტრიამელი ტრამალი ესაპიროებოდა საბალახოდ, ხოლო მათ

კავალერიას იგივე, ოლანგების გასაშლელად.

ეს ურდოები ტრანსპორტის შრომაც არ ჰგებდნენ ძველ ბერძენულ ფეხითაროებელთა საინვაზიო სტრატეგიას მელთაც მეტწილად თან დაჰქონდათ ჯორ-აქლემებზე აკიდებული საზრდო და ფურაყი. დიდი არმიისთვის საჭირო ტრანსპორტის უქონლობის გამო ალექსანდრე მაკედონელმა მხოლოდ 10.000 შუბით შეუტია ინდოეთს.

როცა მონღოლებმა თბილისი აიღეს, რუსუდან დედოფალმა ქუთაისს მიაშურა. ალბათ ლიხს მიადგნენ მონღოლები და რა ნახეს ეს კლდეეთი, დარწმუნდნენ, ამ ხრიოკ მთიანეთში ვერც მათი ცხვარი იპოვნოდა საკვებს და ვერც მათი ცხენები საჯიროთო მოედანს.



მოწმენდილ ცარგვალის დასავლეთის კიდეზე გიგანტური ხიდი გაბჯენილიყო ღრუბლისა, ამ მრუშე რიდედანიდან გამოსკვივოდნენ ჩალისფერი შუბისტარები მზისა.

ეჰ, იმ ღრუბლის ქვეშ ბორგავს ალბათ ჩვენი საყვარელი შავი ზღვა. ვეუბნები აქვსენტის.

ძველი ბერძნები ხან „პონტოს ავქსენინოს“ — „არა სტუმართმოყვარე ზღვას“ უწოდებდნენ ამ ზღვას, ხანაც: „პონტოს ევქსინოს“, — სტუმართ-მოყვარეს.

დავითისა და თამარის საქართველოს ვეშაპივით ჰქონდა გაღებული ხაზა შავი ზღვის მოზრდილი უბის გადასანთქავად, ნიკოპსიდან ტრაპეზუნამდის. ამ ორ პუნქტს შორის მდებარეობს თავისი სილამაზით უბრწყინვალესი და უნაყოფიერესი ტერიტორია ძველი ლაზიკისა, რომელიც შორს აღემატება საქართველოს რესპუბლიკის აწინდელ ტერიტორიას.

ციტრუსების, მაგნოლიების, დაფნის, თხილის, ლეღვისა და ბროწიულის სამშობლო!

ეს მხარე შავი ზღვის კიდისა განსხვავებულია ევროპის ყველა ზღებიდან თავისი ნისლიანობითა და შტორმებით.

ამიტომაც დაარქვეს ამ ზღვას ბერძნებმა „არა-სტუმართმოყვარე“, მისი „სტუმართმოყვარეობის“ პერიოდებში ვინ იცის რამდენი დესანტი გადმოუსხამს ოსმალეთს საქართველოს ასაკლებად.

კიდევ ჩვენი ბედი, რომ უნიჭო ოტომანებმა თუნდაც ვენეციელთა ფლოტის ოდენა ფლოტი ვერ შექმნეს არმიების გადასახამად, შერმე ჩვენ გვეულოდა ალბათ ის გარემოებაც, რომ საქართველოს, ძველი ლაზიკისკენ მოქცეული ნაპირი ამ ზღვისა ჭაობიანია უპირატესად; ამ ჭაობებმაც ხელი შეუწყვეს მათი აგრესიის ალაგმვას. თორემ დასავლეთ საქართველოს ისევე გაანადგურებდნენ როგორც ძველ მესხეთს, საქართველოს მარჩენალ ბეღელს.

უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე საქართველომ დაკარგა თითქმის ნახევარი თავისი ისტორიული ტერიტორიისა.

კახეთ-ჰერეთის უდიდესი და უნაყოფიერესი მიწებიდან დავკარგეთ უმდიდრესი ნაწილი, დავკარგეთ სამცხე-საათაბაგოს მთელი სამხრეთი, ზარზმიდან ვიდრე ტრაპიზონამდე, ტაო-კლარჯეთი ეს უძველესი აკვანი ქართული კულტურისა, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის შენამატის დასასახლებელი ტერიტორია.

რამდენიმე ათეული წლის მშვიდობიან ყოფაში ქართველი ხალხი შეიცნობს მიწის სივწროვეს და ეს უთუოდ

მოხდება მას შემდეგ, როცა სტალინური ხუთწლიანი პერიოდის სამგორის ველს და იორსკამოლმულ ეწერებს ავითვისებთ.

ეს მთელი ზეგანი იმერეთისა სავსებით კლდოვანია და უნაყოფო, უკეთუ ხეებისკენ დაცრებულ მზით გამტფარ ბრეკებს არ ვიანგარიშებთ, დღეს ძნელად წარმოსადგენია, ადამიანური ტექნიკა თუ შესძლებს ოდესმე ამ კლდეეთის ზედაპირზე მოსავლის მოყვანას.

ჩვენს თვალწინ მოხდა ერთი უდიდესი ისტორიული უმართებულობის ნაწილობრივი გამოსწორება. ჩვენი ხელისუფლების ბრძნული პოლიტიკის წყალობით ზემო იმერეთის, რაჭისა და სამეგრელოს უმიწაწყლო ცლებობა დასახლეს ძველი მესხეთის ციხეებისა და ისტორიული ტაძრების სანახებში.

რა თქმა უნდა, ვერც ეს ღონისძიება იკმარებდა, სტალინის გენიალური შორსპერსპექტისა და ლავრენტი ბერიას პერმანენტული გულისყურის წყალობით კოლხური ჭაობების ამოშრობა არ დაწყებულიყო.

უცნაურია ისტორიის დიალექტიკა! ამ ჭაობების საკმაოდ ვრცელი ზოლი ლანჩხუთიდან ვიდრე ოჩამჩირემდე ისტორიულად ჩვენი ციხე-სიმაგრე იყო. დასავლეთ-საქართველოს ჰკვიანი მთავრები ოსტატურად იყენებდნენ მათ.

აბლა, ჩვენი თაობის თვალწინ ნაწილობრივ ამოაშრეს ეს ჭაობები დალიქიანით დაბურული ჭოჭი, ციტრუსების ბაღნარებად და აყვავებულ სოფლებად აქციეს.

ეს ფიქრები მიტრიალებს თავში. მონოტონურად სისინებს ვილისის მოტორი. მანქანა შეუპოვრად მიჰყვება ოლოზოლორო, დამრეცილ გზას ალმა და ღალმა.

მთას გადახვალ, ისევე მთა დაგხვდე-

ბა, ხევს გაივლი და მთის ცხვირი აგეტუხება თვალწინ. ღრიჭინებენ ჩოჩიალა ურმები, განმარტოებული წიკვილები იდილიურად გრუტუნებენ ხეებში.

აღმართზე ძლივს აღის პროტეზიანი კაცი, მას მღვლოსფერი სამხედრო კიტელი აცვია სამხრებებახსნილი. ორღუნების მთელი კანკელი უმშვენებს განიერ მკერდს. თავაზიანი სალაში გვითხრა უცნობმა და განაგრძო გზა.

როგორი დიდი და ძველი კულტურის გადანაშთია გზადშეხვედრილ უცნობისათვის სალამის მიცემა. ამას დავკვირვებივარ საქართველოს მთიანეთში ყველგან, განსაკუთრებით სვანეთში, სადაც სოფელში შესულს პურმარილით უხედება ქალი და კაცი. ეს პატივისცემა მგზავრისადმი უაღრესად დიდი ჰუმანიზმის ამბავია.

მთელი ევროპა რომ შემოიარო კაცმა, არცერთი სულიერი თავაზიან სალამს არ მოგცემს, თუნდაც წყალზე არ მიგიპატიეებს.

მანქანა შევაჩერებინე, შევთავაზე უცნობს, ჩემთან ერთად წამოსულიყო:

„მე ე იმ წისკვილამდის უნდა მივიდე, ნუ შეწუხდებით, ჩემი ბატონი, არაა საჭირო“.

ბოლოს, როცა მის ფერხთით შეაყენა შოფერმა ვილისი, შესდგა, ცალი ფეხი ასწია, მაგრამ ვერ შემოდგა მანქანაში. გაწითლდა ვაჟკაცი და ხელი უშვა მანქანას, ისევ მადლობა გვითხრა და დააპირა წასვლა.

მე და აქვსენტი ძირს ჩამოვედით, ორივე მხარში ამოვუდექით. მარცხენა ხელზე შავი ხელთათმანი ეცვა. როცა მკლავში ხელი წაველე, მიცხვდი, იდაყვს ქვემოდაც პროტეზი ჰქონოდა.

მაჯავანით ამოვიყვანეთ ვილისში ეს ახოვანი დეეკაცი.

„ღმერთო მომკალი, ტყუილა შევაწუხეთ, ჩემი ბატონი. ჩივოდა იგი.“

შვიდ ფრონტზე ცამეტი ჰერლოზა მიუღია ამ კაცს, ცამეტი ტყუილათვის შეუშვერია თავისი ქვეყნის სიყვარულის გამო მკერდი. (განმარტო ცამეტი ტყუილათვის?) მოუხვედრებოდა ამისა, იგი ისეთი მხნეა, თითქოს არც ერთხელ ჩაეხედნოს სიკვდილის გაყინულ თვალებში.

ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება, რადგან ყოველ თემშარაზე წააწყდები ასეთ გმირებს კაცი. მართლაც და ქალღი ვერ დაიტყეს ამ აღამიანების სიმამაცის ამბებს.

მანქანა ნელა მიჰყვება აღმართს და ეს კაცი კანტიკუნტად მშვიდად, ალუ-შფოთებლად მიამბობს ქერჩის საშინელი ტრაგედიის ეპიზოდებს, გაყინულ დნებრზე გადასვლის ეპოპებს.

როგორ იცვლება და დიდდება გმირობის მასშტაბები თურმე!

მთელი ევროპა განცვიფრებული აღიდებდა ნაპოლეონ ბონაპარტეს იმ გამბედავობისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ნაბლით დაჭედილი ცხენებით ბერეზინაზე გადასვლისას და ეს უმცროსი ლეიტენანტი წითელი არმიისა დამით ბომბარდირების დროს ცურვით გადასულა დნებრზე.

დიდება თქვენდა ჩვენი ეპოქის უსახელო გმირებო, რომელთაც დეეკაციური სიმამაცე გამოიჩინეთ არა იმისათვის, რომ გაზეთებში გხატონ და ქება შეგასხან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბელადისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე ვალის მოსახდელად.

და მომითხრობს უცნობი შრაპნელების მერების, ჰაუზბიციების ღრიალის, სტალინგრადის ზუზუნა ქარების, სევასტოპოლის საშინელი კანონადის ამბებს, ისე უბრალოდ და მშვიდად, თითქოს ყურძნის საკრეფად ეარნოს ვენახში.

გზადაგზა ისევ ღრიჭინებენ ეს ჩოჩიალა, იმერული ურმები, სისინებს

ვილისი და იდილიურად გრუტუნებენ მარტოხელა წისქვილები ხევებში.

ქშუიან ეს საყვარელი ჩქერალები გვიმრისფერ კლდეთა ტინებზე ვაღმომქუხარე. გულს ახარებს ეს პედ-დანტურად გასუფთავებული ეზოები, კოკაშური ოდა-სახლები, ეს კარგად მოვლილი ვენახები და ბაღები.

ამ გზასაც დასტუობია ის მძიმე ჭრილობები, რომელიც მიაყენა ჩვენს ქვეყანას ომში.

სტუდენტებერების ბორბლების, ბობ-ლია ტანკებისა და ტრაქტორების მუხ-ლუხებისაგან ამოქმულ ორმოებში ვარდება ფამიდან ფამზე ვილისი, ჯაყ-ჯაყით მიიკვლევს გზას ამ მთიანეთში.

შორაპნის ციხეს ვუახლოვდებით.

ორ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ციხე ამ ქვეყანას დარაჯობს. ქვეც არ იქ-ნება ძირულის რიყეზე იმდენი, რამ-დენი ათასი ვაჟკაცი შესწყვეტია მის ბრუსტვერებს.

მაინც შერჩენია ამ ბებრუხუნას რაინდის ანაგობა.

იკურთხოს იმის მარჯვენა, ვინც ასე მაგრად ადუღებდა ლოდს ლოდზე. და სდგას ეს ციხე საუკუნეთა ქარიშხა-ლის ვადამტანელი, ეს ამაყი ბასტიონი, გაუტეხელი და ჯანმავარი ხალხის ძელებზე აშენებული.

ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება, რადგან ყოველ გზის პირად ციხეს ნა-ხავ ძველს და ყოველ გზის ასაქცევ-თან ვაჟკაცს შეხედები მტრის ტყვიე-ბით დაცხრილულს.

იშეითად რაიმე თუ მიანიჭებს ჩემს გულს იმდენ სიხარულსა და სიმხნე-ვეს, რამდენსაც ჩვენებური ძველი ცი-ხეების დანახვა.

ეგაა შრომის, ბრძოლისა და სიმტ-კიცის ემბლემა.

მე აროდეს დავიღლები მათი დათ-ვალეირებითა და მათი ქებით, რადგან ეს მათ გადაარჩინეს ქართველი ხალხი მოზღვავებული მტრების იერიშებს,

თორემ ეს ბელითი „ხელი ზღუხებისა“, რომელსაც კავკასიან უბოღბდნენ ძველთაგან, ისეთი ძნელი დასაცავი იყო, ჩვენს ერის გასაღებად დარჩე-ბოდა ამ ქვეყანაზე.

პროპორციულად არც ესპანეთს, არც იტალიას და არც საფრანგეთს, ძველი ზღროთმოდღერების ამ კლასი-კურ ქვეყნებსაც არ გააჩნია იმდენი ციხე, ბასტიონი და გოდოლი, რამდე-ნიც საქართველოს.

ვაქებ ამ ციხეების ამგებელთა მარ-ჯვენას კიდეც და კიდეც.

როგორის დიდი, გამჭრიახ სტრა-ტეგიასთან შერწყმული, გემოვნებით აუგიათ მათ ყოველი ციხე, ან როგორ ზუსტად შეუფარდებიათ მათ ამ ნაგე-ბობათა კონფიგურაცია მთის მწვერვა-ლების, თხემებისა და ბორცვების ტო-პოგრაფიასთან!

„რამდენიმე ნათესავე დამეღუბა ამ ომში, ჩემი ბატონი, მიაბობს ჩემი თახამზავარი, მამა ე იმ წისქვილიდან მოდიოდა თურმე, გზაში უფროსი ვა-ჟის დაღუბვა შეუმცხადეს და სწო-რედ ე იმ ლოდთან წაქცეულა.“

რას იზამ, ჩემი ბატონი, გაძლება უნდა კირს“.

ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება...

ვფიქრობ მე ჩემთვის და ვლუმვარ.

აი, თუნდაც ეს ცალხელა და ცალ-ფეხა ვაჟკაცი, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ფრიალ გავრცელებუ-ლი სახელი რქმევია—კლავდიოს, ეს შეიდი ფრონტის გმირი, ცამეტგზის სიკვდილთან შენაბრძოლები, ამ ციხის სანახებიდან აფრენილი არწივია. ჩვე-ნი ხალხი არასოდეს მოკვდება, სანამ იგი ძველ ციხეთა შეუმუსკრელ სულს, ახალი ბრძოლებით განამტკიცებს და შეახსენებს ქვეყანას.



არასოდეს დავიღლები კავკასიონის ცქერით. მის ქედებზე, მის კალთებზე, მის გასწვრივ მგზავრობით. ეს მან შთააგონა ბერძნულ გენიას უბრწყინვალესი მითი ღმერთებთან მეგრძოლ, გაუტუნებელ ნებისკაცისა, რომელმაც კაცთა მოდგმის გადასარჩენად ცეცხლი წარსტაცა ზეცას. კავკასიონისა და საქართველოს იმპოზანტურმა ბუნებამ ჩვენი ისტორიის დიდმა პათოსმა მისცა ახალ ეპოქას განთავისუფლებული და განმათავისუფლებელი პრომეთე სტალინი, რომელსაც მთელი კულტურული და პროგრესული კაცობრიობა წარბეჭედა შესცქერის იმედიანად დღეს.

როცა უცხოობიდან შინ ვბრუნდები, კავკასიაში შემოსვლის უმაღლე აღმეძრება ხოლმე სურვილი ვაცოცო კავკასიონის მხცით შემოსილ პირველ თბემთაგანს.

სულიერად ამალეებს ადამიანს კავკასიონის ცადაბჯენილი ქორელების მხერა.

კავკასიონმა შთაბერა ჩვენს ხალხს ქედმოუხრელობის გრძნობა, მან მოგვეგარა სიმამაცის პათოსი.

კავკასიონმა შეგვარჩინა მთაყარი სული, იგი იყო ჩვენი შეუვალი ბარიერი ჩრდილოსი, რადგან ამ ქედს გადალმიდან გვიტევდნენ ხაზარები, პუნები და ალანები, მოკლედ: ის ხალხები, რომელთაც ვოგსა და მაგოვს უწოდებენ უძველეს ანალებში.

კავკასიონი ეს იყო საიმედო ციტადელი, რომელსაც ზურგს აყრდნობდა ჩვენი ხალხი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მის გადალმიდან მაშველი არავინ მოსულა ჩვენთან; მხოლოდ დავით აღმაშენებლის გენიამ შესძლო ჩრდილოს ჯგუფის თურქები-ყივჩალები,

სამხრეთელ თურქთა—სელჩუკიანების დასათრავუნველად გამოეყენებინა.

ახალ საუკუნეებში, მჭიდროდ ეერთმორწმუნე რუსის ჭედხმე, უცდამთლახა ჩვენი ჩრდილო მეზობლების ავაზაკური ბანაკი და მოგვეშველა აღმოსავლეთის ბნელი ფანატიკოსების ასალავმავად.

კავკასიონმა შთაგონებით ადავსო ძველბერძენი ტრაგიკოსები.

ამ ქედს უძღვნეს დაუვიწყარი სტრიქონები გასული საუკუნის ქართული მწერლობის დიდმა სარანგებმა: ილია ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა და ვაჟა ფშაველამ.

არც ირლანდელ, არც შოტლანდელ, არც ტიროლელ მწერლებს, არც რომელიმე პოეტს მთელს მსოფლიოში ისეთი ომახიანი, ეპიური პათოსით არ შეუქია მთიანეთი, როგორც ეს ჩაიღინა ჩვენმა დიდმა ვაჟამ.

დიდი პოეტის ვიზიონერული ხილვით მან განასულოვნა მთა და ამ გრანდიოზული ბუნებისაგან ნაკარნახევი სილიადე განასახიერა დაუვიწყარ ლანდშაფტებსა და გმირულ პოემებში.

კავკასიონმა ათქმევინა წარუბოცელი სიმღერები პუშკინსა და ლერმონტოვს და რუსული მწერლობის გიგანტი ლევ ტოლსტოი სწერს კავკასიის მთიანეთისგან მიღებულ შთაბეჭდილებებით აღსილი თავის ქმნილებათა შორის უბრწყინვალესს „ჰაჯი მურატს“.

როგორც ლორდ ბაირონი ლონდონ სიტიდან გაუსვლელად, კონსტანტინოპოლისა და საბერძნეთის უნახავად ვერ დასწერდა თავის დიდ პოემებს, ასევე ხსენებული რუსი მწერლები ვერ დასწერდნენ თავიანთ დიდ ქმნილებებს კავკასიონის ბუნებისგან შთაუგონებლად.

ამას წინათ საინგილოდან დავყევი კავკასიონის პარალელურად ტფილისისაკენ მომავალ შოსსეს.

როგორი მშვენიერია კახეთის მომიჯნე კავკასი! როგორი გრანდიოზული ქართლის ზეგანიდან დანახული, ხოლო იმერეთში გადასულ მგზავრს ცნობიერებას წარსტაცებს იმერეთის კავკასიონი, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც სურამის ქედი, მესხეთის მთები და კავკასიონი დაუპირისპირდებიან ურთიერთს.

ამ მთებს შორისაა ძველი კოლხეთი. საამური ხილთაჭრელით ამკობს თხემებს, ბარში გაზაფხული შემოსულა აერორას ეტლით, ატამი აყვავებულა აქა-იქ, ხოლო ალუჩები ისეთ შთაბეჭდილებას ბადებენ ზეგანზე, თითქოს თოვლს დაუბარდავსო ეს აყვავებული ბალნარი ჰესპერიდებისა.

პოეზიითა და მითით შეამკეს ეს ქვეყანა ძველმა ბერძნებმა. უძველეს ბერძულ მითებში იხსენიება „კოლხის“ და მისი ლეგენდარული მამაცი მეფე ადეტეს. კოლხიდასვე უწოდებდნენ ისინი „აიას“.

ატამას, აიოლოსძეს, ღმერთქალის ჰერას ნებისამებრ ცოლად შეურთავს ღრუბელთა ღვთაება ნეფელეს. მათ გასჩენიათ ქალ-ვაჟი ფრიქსოს და ჰელლე.

ატამას ახალი მიჯნური გაუჩენია—ინო.

ეს დიაცი მტრად მოჰკიდებია გერებს, ამიტომაც წარუგზავნიათ ფრიქსოს და ჰელლე „შორეულ კოლხეთში“, აიას ქვეყანაში, ოჭროს საწმისიან ვერძს საძებნად.

მერმე ის იყო, როგორც ცნობილია, ჰელლე იხრჩობა ჰელლესპონტში.

ფრიქსოს დიდი წამების გადაბტანი მოაღწევს აიას ქვეყანაში, სადაც მას მასპინძლობას უწევს კოლხთა მეფე ადეტეს და ოჭროსსაწმისიან ვერძს არესის ქალაში შესწირავენ ზევებს.

ამასობაში კოლხეთში მიადწევენ აენტიურისტ იაზონის წინამძღოლო-

ბით წამოსული არგონავტები და მოიტაცებენ ოჭროსსაწმისიან ვერძს.

პომეროსი გაკვრივ ახსენებს კოლხთა მეფეს ადეტეს, როგორც სჩანს, იგი უკვე წინასწარ ცნობილ ამბავად სთვლიდა არგონავტების კოლხეთში მოსვლის მითოსს. ოდისეეის მე-12 კე-ბაში კირკე მოიგონებს ადეტესს.

„აროდეს მომაკვდავთა გემს დაულწევთა იმ კლდეთათვის თავი.“

მესივე ნამუსრევებს გემთა და მამაკთა ცხედრებს იტაცებდნენ ზეგავებული ტალღები ზღვისა, მგზნებარე ქაბორბალა ცეცხლის.

შოლოდ ერთხელ გიარა აქ ზღვათა შემომღელღმა ხომალღმა ლამის ჩუო ტალღას შეეწვეთა ტინებზე გზადგავილი გემი, მაგრამ ღმერთქალ ჰერა მწედ ეჭნა მამაკთა იაზონს“.

არგონავტებისა და კოლხთა მეფის ადეტესის ამბებს უფრო დეტალურად შეეხნენ აპოლონ როდოსელი და რომაელი პოეტი ვალერიუს ფლაცუს.

„აიას“ ძველბერძენთა წარმოდგენაში იგულისხმებოდა როგორც „შორეული მიწა“. გამოსავალ პუნქტად გულისხმობდნენ, რა თქმა უნდა, იოლკოსს.

მიღეთელ მემღვაურთათვის „კოლხის“ ითვლებოდა „ხმელეთის კიდელ“; „უშორესს მიწად“, რადგან მცირე იყო იმეპინდელ ბერძენთა ცნობიერებაში მყოფი ქვეყანა. კოლხიდიდან ჰერკულესის ბჭებამდის, გებრალტარამდის. მიმწერმუს ბუნდოვანად ახსენებს „ადეტესის ქალაქს, სადაც სწრაფლ-სსრბოლი ჰელროსის მთიები სთვლემენ ოკეანეს ნაოკთან მთვლემარე ნოოქროვილ დარბაზში“.

პინდარის მიხედვით „კოლხის“ ეს იყო არგონავტების მგზავრობის საბოლოო მიზანი.

აპოლონ როდოსელის ვერსიით ვიდრე პონტის ზღვით ჩვენსკენ მომავალი არგონავტები კოლხთა ქვეყანას მიად-

გებოდნენ, მათ წინ დაუხვდათ კუნძუ-  
ლი არეიტას. შემდგომ ამისა შემოვლენ  
კოლხთა ქვეყანაში, რათა მდინარე ფა-  
ზისის შესართავთან ჩაეშვათ ღუზა.

ყველასთვის ცნობილია ფინალი  
ავანტიურისტი იაზონის მგზავრობისა.

იაზონი მოსთხოვს კოლხთა მეფეს,  
აბეტეს ოქროსსაწმისიან ვერძს, უკა-  
ნასკნელი შეპირდება მის მიცემას იმ  
შემთხვევაში, თუ იაზონი ჰეფესტოსის  
მიერ ნაჩუქარ სპილენძის ჩლიქებიანი,  
ცეცხლითმქმინავი ხარებით მიწას  
მოხნავს და ვეშაპის კბილებს დასთე-  
სავს.

იაზონის მიერ მოხნულ მიწიდან ვე-  
შაპის კბილების ნაცვლად თოროსანი  
ვაყვაცები აღმოცენდებიან. აქ იაზონი  
შედრკება უკვე.

ღმერთქალი აფროდიტე ჩაერევა საქ-  
მეში. იგი შთააგონებს აბეტეს მეფის  
ასულს, მედეას იაზონისადმი სიყვარ-  
ულს. ეს ჯადოსანი კოლხელი ქალი  
„გრძნულ მალამოს“ მისცემს იაზონს.

Colenis fladandes admanitma sub  
wya tauros Egit amrigeria praelia  
sivet hymo და სხვა.

„კოლხელმა დიაცმა შეაბა ფოლადის  
ულელში ცეცხლისმტრქვეველი ხარე-  
ბი, დათესა ხნულში შეპურელი მეომ-  
რები და შეუკრა ურჩხულს გუშავად  
დამღვარს ყბები, რათა ოქროს საწ-  
მისი რგებოდა იაზონს“.

სწერს რომელი პოეტი სექსტ პრო-  
პერციუსს.

დიდის პოეტური გზნებით აღწერი-  
ლი აქვს ვალერიუსს ფლაკუსს თავის  
„არგონავტიკაში“ მედეას მიერ ჯა-  
დოსნური მალამოს მოპოვების ეპიზო-  
დი:

.....ამ სიტყვებით კვლავ მიაპყრობს  
მედეა თავის ზრუნვას ჰემონიელ ჰა-  
ბუქს, რომლისთვისაც სწადია მას, რო-  
გორც სიცოცხლე ისე სიკვდილიცა.  
შესთხოვს მედეა პეკატას, რათა მიანი-  
ჭოს მას უფრო მძაფრი შელოცვების  
უნარი, რაკი საკუთარით არ იცმარა

მან, არც შელოცვა, არც მალწობები.

„ბოლოს შემოირტყამს ქაშარს და  
რაკი აღარ უწყის უფრო ძლიერი სა-  
შუალება თავათ, იგი ქოლხობის სპრო-  
მეთეს ყვავილს. (Promethae florem).  
პრომეთესავე სისხლისაგან აღმოცე-  
ნებულს და ქარებისგან აღძრულ ბა-  
ლახებს, რომელთაც ასაზრდოებდა ეს  
წმინდა სისხლი მუდმივი თოვლისა  
წიაღში და მწუხარე რთვილით ნაპ-  
კურნი, როცა ძერა აფრინდება ტინი-  
დან და მორწყავს ზოლმე მათ ღია  
ნისკარტიდან თავათ.

„ეს ყვავილი მარადის მწვანეა, არა  
სკვნება ხანგრძლივი საუკუნის მან-  
ძილზე. მას არ ძალუძს უვნებლად გა-  
დაურჩეს ელვებს და ბალახები ჰყვა-  
ვიან ცეცხლისა წიაღში.

„ჰეკატამ პირველმა იზიშულა სტი-  
გიის წყაროებში ნაწრთობი ნამგალი  
და მოსძებნა კლდეებზე ამოსული თავ-  
თავეები.

„შემდგომად ამისა მკა ასწავლეს  
მხევალს, რომელიც ფებუსის მეათე  
მნათობის ნიშატს ქვეშ მკის ბალახით  
შემოსილ მთებს და მძვინვარებს ღმერ-  
თის ნამუსრევეზე და თელგამზე იგი.  
ზოლო პრომეთე დერტვინავს საესებით  
ამოდ და კოლხელ ქალს შესცქერის  
სახეში; მაშინ იკრუნჩხებიან ტყვი-  
ლისგან იოგები მისი და ბორკილი  
ქლიალებენ ნამგლის-ქვეშ ანაზღად“.

ეს მალამო ცეცხლისა და რკინისგან  
იცავს იაზონს. ამასაც ასწავლის მედეა  
საქმროს: იაზონი ქვას გადაუღდებს  
თოროსან ვაყვაცებს, კოლხურ მიწიდან  
აღმოცენებულთ, ისინი ამ ქვით დახო-  
ცავენ ურთიერთს.

აბეტეს უარზეა, იგი არ უთმობს  
ოქროს საწმისიან ვერძს ბერძნებს. მე-  
დეას რჩევითა და ჯადოსნობით ხელ-  
შეწყობილნი, ბერძნები დაძინებენ იმ  
ურჩხულს, რომელიც ოქროსსაწმისიან  
ვერძს მწყესავდა არესის ქალაში, ბო-  
ლოს არგონავტები მოიტაცებენ ვერძს  
და გარბიან.

ამ ლეგენდას მრავალი ვარიანტი მოეპოვება კლასიკურ მითოლოგიაში. ერთი მათგანი ფრიად საგულისხმოა ჩვენთვის: იაზონი ვერძთან ერთად თან წარიტაცებს არა მარტო მედეას, არამედ მის ძმას აბსირტოსს. ადეტეს მეფე და კოლხები მდევრად გამოუდგებიან აეაზაკებს. ბერძნები დაკეპავენ აბსირტოს სხეულს, ნაქუწებს უყრიან გზადგზა მეფეს.

ადეტეს აგროვებს შვილის სხეულის ნაქუსრევეებს და ამგვარად ყოვნილებიან მდევრები.

აპოლონ როდოსელის ვერსიით არგონავტები ისტერს — დუნაის მიპყვებიან, კოლხები მათ უცდიან იმ ადგილას, სადაც ისტერი ადრიატიის ზღვას შეერთვის. ამ ვერსიით კოლხებს მეთაურობს აბსირტოს, ძმა მედეასი. იაზონი მოლაპარაკებას დაიწყებს კოლხებთან და მუხანათურად მოაკვდინებს კოლხთა უფლისწულს.

როგორც ჰომეროსის პოემებში მოთხრობილი ამბები ანარეკლია უხსოვარ ეპოქებში მომხდარ ხალხთა და ტომთა ომებისა, ისევე არგონავტების ლეგენდა გვამცნობს კოლხეთის მკვიდრთა ბრძოლას კოლონიზატორთა და დამპყრობთა წინააღმდეგ. ერთერთი რომელი პოეტი „გულბოროტებს“ უწოდებს კოლხებს.

ოცზე მეტი საუკუნის მანძილზე მოისწრაფოდნენ ჩვენს ქვეყანაში უცხონი და უცხონი, ჩვენი ხალხის დასამონებლად, ჩვენი ქვეყნის გასაძარცვად, ისინი სიძულელით სთესავდნენ „ვეშაპის კბილებს“ და ჩვენი მიწიდან სასწაულით აღმოცენდებოდნენ თორისანი რაინდები განუწყვეტელად.

როგორც პინდარი, ისე ვალერიუს ფლაცუს და ბერძენი პოეტები ავანტიურისტ იაზონს საბავდნენ როგორც ნაციონალურ გამირს.

საჭიროა ქართველმა მწერალმა ეს ტემა პირუკუ დაამუშაოს. ეს ფრიად

ნაციონალური და ხელმარჯვე ტემაა, რამდენადაც ამ სანახევროდ მითიურს პერიოდს ჩვენი წარსულისას მსოფლიო მასშტაბის განმანათლებელი მოუპოვებდა კლასიკურმა პოეზიამ და ლიტერატურამ.



ვილისი ქუთაისს უახლოვდება, ატმისა და ალუჩის ყვავილნარში ჩაფლულია იგი. ჩვენი დიდი ბელადისა და მისი შესანიშნავი თანამებრძოლის ლავრენტი ბერიას ყურადღების მეოხებით ქუთაისი, საქართველოს მეორე ინდუსტრიული, თანამედროვე დიდი ქალაქი გახდა.

ქუთაისი უძველეს ქალაქთაგანია მსოფლიოში. მითიურ ეპოქაში იქარგება მისი დაფუძნების თარიღი. ჯერაც განუშიფრელია მისი სახელის ეტიმოლოგია. პროკოპი კესარიელი გვამცნობს: „პოეტები კოლხიდას უწოდებდნენ „კომატიოსს“ (პროფ. ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, II).

ქუთაისის, უქიმერიონის შორაპნის სკანდას, როდოპოლისის, ვარდციხის, პეტრას, მოხირისის, არქეოპოლის — ნაქალაქევის ციხეებში დატრიალებული ბრძოლები ჰქუხდნენ ბიზანტიურ მატაიანებში.

ძველ კოლხეთის ამ შესანიშნავ ციხეთა სანახებში ებრძოდნენ ურთიერთ ბიზანტია და ირანი.

ქუთაისის მახლობლადაა ონოგურიის სახელგანთქმული ციხე, სადაც კოლხებმა შემუსრეს ჰუნები და ამ გამარჯვების აღსანიშნავად დააარსეს კიდევეც იგი.

ჩვენი ისტორიული ტრაგედია ეგ იყო მუდამ: ორი სავესებით მტრულად წაკიდებულ სამყაროს შორის არსებობა და ბრძოლა. მხოლოდ დიდმა სტრატეგიულმა ნიჭმა ჩვენი ერის მეთაურებისამ და დიდმა სიმამაკემ ჩვენი ხალხისამ გადაგვარჩინა ასე თუ ისე და



მოგვალწევინა სტალინის ეპოქამდის. ამ ფრიად ტრაგიული სიტუაციებს ჩვენი ისტორიული ყოფისა დიდი ეპიკოსების კალამი თუ გაუშუქებს თაობებს მომავალს.

საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ყოველ ხევს გაღმა ციხეა ძველი და ყოველი ათეული წლის მანძილზე დიდად ტრაგედიაული ამბავი საქვეყნოდ სათხრობთ.

დაწერა სთქვას კაცმა, თორემ ტემა, ტემა იმდენია ჩვენს გუშინდელ და დღევანდელ დღეში მართლაც და ქალაქი ვერ დაიტევს ამ ამბებს.

თუნდაც გუბაზის, ლაზთა მეფის ბრძოლა ირანის წინააღმდეგ, ბიზანტიელების მიერ მისი მუხანათური მოკვლის ამბავი.

საქართველოს ბუნება, საქართველოს ისტორია და ჩვენი ხალხის გვირუკი ბრძოლა მუდამ შთაგონების საგანი ყოფილა სხვათათვისაც.

არც ერთს ერს არ ეყოფა მარტო თვითშთაგონება, არც მარტოოდენ სხვათაგან მონაბერი შთაგონების მიღება, თუ მან, ეს როლი იკმარა, უეჭველად იქცევა მსოფლიო პროვინციის ერთ ერთ ყრუ უბნად. ყოველივე ერი სხვათა შთაგონებელიც უნდა იქმნეს უცილოდ.

ასე მგონია, ჩვენ რომ დღემდის მხოლოდ სხვათაგან მიღებულ შთაგონებანი გვეკმარა, მაშინ უთუოდ მოვხვდებოდით ისეთი ხალხების კატეგორიაში, რომელთაც იმპერიალისტურ მსოფლიოში მისჯილი აქვთ სხვებისთვის ამზადონ ბრინჯი, ბამბა, შოკოლადი, ყავა.

ასეთ ხალხებს დიახაც მოიხსენიებენ მსოფლიოს გასტრონომიის ისტორიაში თუ ოდესმე დაიწერა ასეთი, მაგრამ კულტურის, მწერლობის ისტორიაში ვერასოდეს მოხვდებიან ისინი.

ვილისი მიქერის და *„საქართველო“* შორებ კავკასიონის ქვეყნის მხარეებით რიონის ქალებია და მხარმარჯვენით კავკასიონი.

აჰა ვარდციხე, ძველი კოლხური ციხე-ქალაქი როდობოლის.

კავკასიონი არა მარტო ბუნებისაგან ნაჩუქარი მუზაა, არამედ იგია ჩვენი ქვეყნის მომავალი აღმავლობის დიდი საუნჯეც, თეთრი ნახშირისა და ელექტრობის დაუშრეტელი ბაზა.

მის ქედებზე ზამთარ-ზაფხულ დაზვინული თოვლი უამრავ კილოვატის ელენერგიას უქადის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიას მერმისში.

ჩვენი ქვეყნის უმთავრესი მდინარეები: ალაზანი, არაგვი, ქსანი, რიონი, ცხენისწყალი, ტეხური, კოდორი და ენგური კავკასიონის მადლიანი სინოყვირით იკვებებიან, ისევე როგორც ჩრდილოდან სამხრეთისაკენ მიმავალი ჩვენი სხვა მდინარენი.

როცა შემდგომი და შემდგომი სტალინური ხელწოდებები მოგვეცემენ იმის შესაძლებლობას რომ მყარი რეჟიმი შევუქმნათ ჩვენს მდინარეებს, მათ სარბიელებზე გამართული ელსადგურები, სარწყავი არხები, ელექტრო-ენერგია ერთს კი არა, რამდენსამე რესპუბლიკას შეინახავენ.

როცა ჩვენ მოვაწყობთ მზგავსად ტიბრისა, რონისა, სენისა, შპრეესი და ტემზასი, კალაპოტებში ჩასმას და შლუზების მეშვეობით ჩვენი მდინარეთა სტიქიონების დაოკებას, მრავალი ათეული ათასი ჰექტარი უნოყიერესი მიწები შეემატება ქართველი ხალხის სახნავსათესს ფონდს.

დღეს კი ჩვენდა სამწუხაროდ ეს მდინარეები ასტმით შეპყრობილ ადამიანსავით ბორგავენ თავიანთ სარეცელზე სტიქიურ მდინარებას მინდობილი წარა-მარა იცვლიან კალაპოტს,

ანადგურებენ ნათესებს და ხშირად მრავალი სოფელი და დაბა ხდება მათი დიდროისის მსხვერპლი.

მანქანის ფანჯრიდან გავცქერი ქუთაისს. ქუთაისი სულ ორიოდ ათეული წლის მანძილზე უნდა გახდეს დიდი ინდუსტრიული ქალაქი. ქუთაისი ეს ბაღებში ჩაფლული ჩვენი ფლორენცია, ეს ვიწრო შუკებიანი ძველი ქუთაისი, თავის საოცნებო არქიელის გორითა და ბაგრატი III-ის შესანიშნავი ტაძრით დამშვენებული.

\*  
\*  
\*

ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა ქალაქმა იტალიასა და საფრანგეთის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ქალაქთა წრეში წარმოშობილი დემოკრატია კმნიდა მუდამ პროგრესიულ აზრს ევროპის სახელმწიფოებში, იგი ახდენდა რევოლუციებს, როგორც პოლიტიკაში, ისე აზროვნებასა და მწერლობაში.

ამ დიდმა ფაქტორმა დააჩქარა ფეოდალიზმის დასუსტება ევროპაში და საწარმოო კაპიტალიზმის და ტექნიკური ცივილიზაციის განვითარება.

ფეოდალურ საქართველოს ბოლო მოეღო არა მარტო პოლიტიკის ხელმძღვანელთა სიბეცისაგან, არამედ იმ გარემოების წყალობით, რომ თვით უძველეს ეპოქებში მდიდარი ქალაქებით სახელგანთქმული ქვეყანა გასოფლდა, დაღარიბდა, როგორც გლეხი ისე აზნაური ომებს უნდებოდა, ქალაქები დაცალიერდნენ და ქვეყანა მატერიალურმა კრიზისმა ამოაზრჩო.

საქართველო ოდესღაც ქრისტიანული კულტურის ფორპოსტი იყო, თავისი კულტურით იგი ცივილიზებულ ევროპის ქვეყნების მოწინავე რიგებში უნდა დარჩენილიყო ახალი საუკუნეებშიაც.

მეხუთმეტე საუკუნეში თურქთა

გაბატონებამ ბოსფორის პირაძი, მას დაუქარგა ერთადერთი კულტურული მუზეუმი და ერთმეორე მუზეუმი სახელმწიფო, რომელიც ევროპაში უფრო განათლებული კერა იყო კაცობრიული კულტურისა. ჩვენი ქალაქების განადგურებას მოჰყვა საშუალო საუკუნეებში ის საშინელი გადატეხა უკულტურობისაკენ, რომელიც დაეტყო როგორც ჩვენს ხელოვნებას, ისე ხელონობას XV—XVI საუკუნეებიდან. როგორც კი განადგურდნენ ჩვენი ქალაქები, დაქვეითდა ჩვენი მწერლობის, ხუროთმოძღვრების, ხეზე ძერწვის, ოქროზე ქანდაკების, მხატვრობის ბრწყინვალე ტრადიციები.

კლასიკურ პერიოდშიაც ქალაქი იყო სახელმწიფოს ავანგარდი. „ურბს“ რომი და ქალაქი ათინა ესენი იყვნენ პირველადი უჯრედი საბერძნეთისა და რომის სახელმწიფოთა ორგანიზმებისა.

ბიზანტიას შემოაცალეს თურქებმა თითქმის ყველა პროვინცია როგორც ევროპაში, ისე აზიაში და ქალაქი კონსტანტინოპოლი, რომელსაც ძველად ბიზანტიონი ერქვა, რამდენიმე ათეული წლების მანძილზე იბრძოდა და სხმარტალებდა როგორც ურჩხულის წაჭრილი თავი.

უკანასკნელმა ომმა ყველას დაუმტკიცა, თუ რა ძლიერი ფაქტორია ქალაქი. ევროპისა და ამერიკის ქალაქურმა ცივილიზაციამ დასცა აზიის, ამერიკის და აფრიკის უინდუსტრიო, უქალაქო ქვეყნები და კოლონიებად აქცია ისინი.

გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით ორ დიდ კაცს ესმოდა ინდუსტრიისა და ქალაქის მნიშვნელობა. ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს. საქართველოს აღმოსავლეთში რაც კი რამ გაკეთდა სახელმწიფური და ნაციონალური მნიშვნელობისა, ეს ყოველივე ილიას დიდი გონების ნაყოფი იყო.

მის მიერ მონაგარი ფულოთ გაკეთდა ჩვენი თაობის თვალწინ კახეთის რკინიგზა. ხანში გადასული იგი უკვე აღარ ეტრფოდა მთვარიან ღამეებში მოჭირალე ურმების იდილიას და მხარ-თეძოზე წამოწოლილ მწყემსის საღამურს, არამედ ენერგიულად მოუწოდებდა ჩვენს გლეხობას: შეითვისეთო ტექნიკა.

მთელი ჩვენი მეურნეობის მექანიზირება ჩვენი ხალხისათვის საარსებო ამბავია. ბელგიასა და ჩეხოსლოვაკიას რომ თავის დროზე არ აეღოთ ინდუსტრიული გეზი, მათი ტერიტორია არასოდეს იკმარებდა ამ ორი შესანიშნავი ხალხის ნამატის სამშობლოში დასაბინაველად.

ისინი ამ მხრივ ისეთსავე დღეში ჩავარდებოდნენ, როგორც იტალია, საიდანაც ყოველწლიურად მრავალი ათეული ათასი მუშა ხელი მიდის ამერიკაში, რათა საბოლოოდ გაითქვიფოს ინგლის-საქსური ხალხების ზღვაში: უარეს შემთხვევაში იტალიელები ქვაფენილებს აგებენ საფრანგეთსა და ბელგიაში, ან სავსებით ორდინალურ მუშა-ხელის როლს ასრულებენ სხვა მეზობელ სახელმწიფოებში.

ხალხისთვის საარსებო საკითხია წარმოების გაძლიერება. არც ანტიურ პერიოდში, არც ადრიან საშუალო საუკუნეებში ყოფილა საქართველო მარტოოდენ აგრარული ქვეყანა. ჯერ კიდევ ანტიური ხალხები იცნობდნენ ძველ იბერიელებსა და კოლხებს, როგორც რვალით-ხურობებს. ჩვენი ხმალი და ჩვენი აბჯარი, ჩვენი სამეურნეო და საკალატოზო ხელსაწყოანი ცნობილობას და ჩვენს ხელოვნებას მსოფლიო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

ჩვენმა დიდმა ბელადმა, ვინც საბჭოთა კავშირის ხალხებს უდიდესი

ქარტია თავისუფლებისა მისცა სტალინური კონსტიტუციის სიბრძნით, იგიც განსკვრიტა ბრძნული, რომ თუ ამ ხალხებს ინდუსტრია არ ექნა, მათი თავისუფლება ყინულზე დაწერილი ამბავი იქნება. ინდუსტრია ეს ერთად ერთი იარაღია თავისუფლების დასაცავი.

გმპერიალისტური ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო სისტემებში „თავისუფალნი“ არიან მრავალი ხალხები.

ინგლისს უამრავი კოლონიები და კუნძულები აქვს, და ზოგან არც ერთი ჯარის რაზმეული არა ჰყავს. რომელიმე საზღვაო ქალაქის პორტში სავაჭრო გემი სდგას და რამდენიმე სავაჭრო კონტორაა. თავათ ქალაქში და ინგლისელ ვაჭართა „ბიზნესის“ კეთილად წასამართავად იღწვის და შრომობს მრავალი ასეული ათასი სული.

დღეს ის ხალხები ხუთივე კონტინენტისა, რომელნიც მხოლოდ ნედლეულს ქმნიან, უმძიმეს ეკონომიურსა და პოლიტიკურ მონობაში დაფავენ სულს. ამით აიხსნება კულტურული ჩამორჩენილობა მთელი მუსულმანური და ბუდისტური სამყაროებისა აზიაში.

ოდესღაც უძველეს კულტურათა კერა ჩინეთი, შინდუსტანი და არაბეთი დღეს რელიგიური ობსკურანტიზმის, სოფლური კრეტინიზმისა და ეპიგონობის ჭაობშია ჩაფლული. ნურას ვიტყვით ზანგთა ტომებსა და ხალხებზე, რომელნიც ამ ქამად გაცილებით ხაკლებ უფლებებით სარგებლობენ ამერიკასა და აფრიკაში, ვიდრე ზოოპარკის მკვიდრნი.

საქართველოს ინდუსტრირება ეს ჩვენი ქალაქებისა და ქალაქური ყოფის განვითარების უპირველესი საფუძველია.

## ი. ბ. სვალინის ენის თავისებურებანი და გაღმოსავლის ხერხები

(წერილი მხეშთაძე<sup>1</sup>)

★

მშანავი სტალინი არა მხოლოდ თვითონ არის საზოგადოებრივი თქმის შესანიშნავი ოსტატი, თავის რევოლუციური შეურთებლობით აღსავსე ბრძოლებსა და გამოსვლებში სტალინი დიდის ხელოვნებით და უხვად სარგებლობს მხატვრული ლიტერატურის ძლიერი მეტყვიდრობითაც. პროზისა და პოეზიის კლასიკოსები სტალინის შრომებში ოსტატურად ჩაყენებულია ბოლშევიკური იდეების გავრცელებისა და დანერგვის სამსახურში. მის ტექსტში შეხედებით დანტეს, შექსპირს, რუსთაველს, სერვანტესს, პუშკინს, ჰაინესს, გორკის, კრილოვის, ნეკრასოვის, უიტმანს, ედოშვილს, იქვე ნახავთ ჰეველიანს, გოგოლს, ჩეხოვის, შჩედრინს, შილერს, ოსტროვისკის, იბსენს, ალფონს დოდეს, ერენბურგს და ა. შ.

პოეზიისადმი სტალინის სიყვარულს მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მოწაფეობის ზანაში სოსო ჯულაშვილი სწერდა შესანიშნავ ლექსებს, რომლებიც გაზ. „ივერიასა“ და „კვალის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა „სოსელოს“ ფსევდონიმით. სტალინის კალამს ეკუთვნის ლექსი: „როდესაც ბადრად მნათობი მთვარე“ („ივერია“, № 203—1895 წ.), „მთვარეს“ (ივერია, № 218—

1895 წ.), „თ. რ. ერისთავს“ („ივერია“ № 234—1896 წ.), „ამ ქვეყნად იგი ვით ლანდი“ („ივერია“ № 234—1895 წ.). ამავე წელს ეურნალ „კვალში“ დაიბეჭდა სტალინის შესანიშნავი ლექსი „მოხუცი ნინია“.

აღსანიშნავია ის, რომ იმ დროს გაზ. „ივერიას“ რედაქტორობდა მწერლისადმი დიდი მთხოვნილების წარმდგენი და ლექსის შეფასებაში ძალზე მკაცრი ადამიანი—ილია ჰეველიანს, რომელიც ჰაბუკ „სოსელოს“ ლექსებს ისეთ მაღალ შეფასებას აძლევდა, რომ მათ თავისი გაზეთის პირველ გვერდზე ათავსებდა.

ჰაბუკ „სოსელოს“ კალამს ეკუთვნის აგრეთვე ფრიად პოპულარული ლექსი „ილია“, რომელიც ცნობილ პედაგოგს, იაკობ გოგებაშვილს, როგორც ლექსის საუკეთესო ნიმუში შეტანილი ჰქონდა „დედა-ენის“ სახელმძღვანელოში. ამ სახელმძღვანელოზე აღზრდილია ქართველთა მრავალი თაობა.

სტალინის მიერ დაწერილ რომანტიკული და ლირიკული ხასიათის ლექსებში იგრძნობა ერთგვარი გავლენა ლერმონტოვისა, ნეკრასოვისა და ვაჟისი. მის ლექსებში იშვიათი თავისებურებით ელერს მაღალი სამოქალაქო პოეზიის მოტივები. ჯერ კიდევ 15—16 წლის სტალინი გამოდის სამწერლო ასპარეზზე იმ დროს რწმენით, რომ ის,

<sup>1</sup> იბ. „მნათობი“ № 12, 1946 წ.



ენიც არ არა, დაცემული და დამაგრებულია, აღსდგება და გახდება ყველაფერი. „სოსელის“ ერთ-ერთ ლექსში გვხვდება ასეთი ადგილი:

„კარგად იცოდე, რომ ერთხელ,  
ძირს დაცემული, ჩაგრული  
ცლავ აღმართვის მთას წმინდას,  
იმედით ალტაცებული“.

თავის რევოლუციურ გამოსვლებში სტალინი სარგებლობს პოეტური ტექსტით ზოგჯერ იმისათვის, რომ მისცეს თავის სიტყვას აწეული, პათეთური ხასიათი. სტალინის პროკლამაციებში ჩართული მგზნებარე რევოლუციური ლექსები ანთებენ მუშებში ბრძოლის ცეცხლს და თავზარდამცემ რისხვად ევლინებიან კლასობრივ მტრებს.

1902 წლის 29 ივნისის ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ პროკლამაციაში ამხანაგი სტალინი, მოწოდებს რა ამიერ-კავკასიის მშრომელებს გამათავისუფლებელ ბრძოლისაკენ, მოწოდებას ამთავრებს რევოლუციური ლექსით:

„მაშ ძმებო, ჩვენი გამარჯვებით გამხნეებულბმა... შორეულ თანამოძმეთა ხმას ჩვენი ძლიერი ხმაც მივაწოდოთ:

„ბრძოლა და ბრძოლა მუდგარი  
ეს ჩვენი წმინდა ვალია,  
აწმყოს დაეცა თავზარი,  
ახლოს სჩანს მომავალი“.

თავის აღრინდელ შრომებში სტალინი არა მარტო იყენებს ლექსს პროკლამაციაში, არამედ მთელ პროკლამაციას თვითონ სწერს ლექსად. ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ჭიათურის ორგანიზაციის პროკლამაცია „ჩვენ და ტირილი?“, რომელიც მუშევიკების საწინააღმდეგოდ იქნა გამოშვებული. საქმის ვითარება ასეთი იყო: 1905 წლის 24 ი-

ნისს, შაბათს, ბოლშევიკების ანტიციკლით ჭიათურის სახლობო ცენტრში მოეწყო კონცერტი. ამის გამო მუშევიკებმა ასტეხეს განგაშის უწყვეტ ცილისწამება ბოლშევიკებზე: „ახლახან ყაზახებმა მუშები მოკლეს, ესენი კი კონცერტს აწყობენ და იცინიანო“. მუშევიკების საპასუხოდ ჭიათურის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გამოსცა პროკლამაცია „ჩვენ და ტირილი?“, რომელიც სტალინის მიერ თეთრ ლექსად არის დაწერილი. ამ რევოლუციური პათოსით გამთბარ პროკლამაციაში იშვიათი სიცხადით არის წარმოდგენილი, ერთის მხრით, მებრძოლი ბოლშევიკების სალი პროლეტარული ოპტიმიზმი, საბრძოლო განწყობილება, ბრძოლის ყიფინა და გამარჯვების ურყევი რწმენა, ზოლო, მეორეს მხრით, მუშევიკების ქალაჩუნობა, მათი დაცემა, სიღატაკე და ბრძოლის უუნარობა.

აი ამ პროკლამაციის ტექსტი, რომელსაც ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ:

„დღეს როცა ყველგან ბრძოლის ხმა ისმის, როცა ქვეყანა წამოიშალა, საიერიშოდ ამხედრებული მტერს შეშოერტყა და შეარყია; დღეს, როცა ხალხი იარაღს ძხაშს და აჯანყების ტალღებს ეძღევა, როდესაც ტახტი ბინძური მეფის სამარისაკენ მიექანება — გვეუბნებიან: „ნუ იცინითო, ცრემლი დაღვარეთ და იგლოკეთო“.

ჩვენ და ტირილი? განა მებრძოლი მგლოვიარებენ? განა სტირიან გამარჯვებულნი? რისთვის ვიტირით? ძირს რომ ეცემა თვითმპყრობელობა, იგი ვიტირით, იგი ვიგლოკეთ? განა მტერს თქვენში მგლოვიარობენ?

„სისხლი იღვრება მოძმეებისა და მათთვის უნდა ვღვაროთო ცრემლი“.

საცოდავები? მათ არ იციან, რომ ბრძოლა ჩვენი აღმზრდელი არი, რომ ბრძოლას მუდამ მოჰყვება სისხლი, რომ მხოლოდ ხალხის უმანკო სისხ-

ლით შენდება ზღუდვით თავისუფლების. მათ აფიქსებდათ, რომ სისხლის წვეთებს თან მოსდევს ტახტი გამარჯვებისა. ბრძვები ვერ ხედვენ ხალხისა სისხლში ბრწყინვალე სახეს თავისუფლების?! მათ ეშინიათ მამაცთა ბრძოლის, მათ ეშინიათ გამარჯვებისა!

„არა, არ შეგვეფერს ცრემლები ვღვაროთ! ეგ მხოლოდ ლაჩრებს შეეფერებათ. ჩვენ, გამარჯვებულთ, ყოვინა მოგვეწონს, კისკასი გვინდა, გესმით კისკასი!

მამ, დაე, სკექოს ჩვენმა სიმღერამ, გაისმა ქვეყნად ჩვენი სიცილი,—სიმხიარულე. აი რა გვინდა—კისკასი, ტაში, აი რა გვსურს ჩვენ! როდესაც მტერი ცრემლად იღვრება, ქვითინებს, კენესის და იხლაკნება, ჩვენი ვალია ტაში ტაშს დაეკრათ, ჩვენი ვალია ვიმხიარულოთ, გამარჯვებულნი არა სტირიან, მამაცნი ცრემლებს არ გადმოღვრიან!

თქვენ ყი, ბატონო ჩვილგრძნობიანო, იტირეთ, ღვაჩეთ ცრემლი ცრემლზედა—ლაჩრებს ტირილი უფრო შეგუფრით. თქვენ ვერა ხედაეთ მტრის დამარცხებას, თქვენ თავბრუს გასხამთ ბრძოლისა სისხლი, თქვენ დარდებს გიძრავთ მღვდარი ბრძოლა, თქვენ გეშინიანთ გამარჯვებისა.

მამ იტირეთ და, ქალაჩუნებო, ჩვენ გვსურს ვიცინოთ თქვენს ტირილზედა“.<sup>1</sup>

1917 წლის ივლისის დღეებში, როცა კონტრრევოლუცია ზეიმობდა თავის გამარჯვებას, ყუმბარასავით სკდებოდა სტალინის მიერ გასროლილი ამერიკელი პოეტის უ. უიტმანის სიტყვები, რომლითაც იგი ამსხვრევს კონტრრევოლუციის საბოლოო გამარჯვების იმედებს:

„არა, ბატონო კონტრრევოლუციო-

ნერებო, —სწერდა სტალინი რევოლუცია არ მომკვდარა, ეგი მხოლოდ მიუღწია იმისათვის, რომ შემოეყრიბოს ახალი მომზრებელ წყარო: წყაროები დალით ეკვეთოს მტერს: „ჩვენ ცოცხალნი ვართ, ჩვენი აღისფერი სისხლი სდულს დაუშრეტელი ძალების ცეცხლით!“

ამხანაგი სტალინი პოლიტიკურ ბრძოლაში დიდი მოქნილობით იყენებს პოეტური ტექსტის სატირიკულ შესაძლებლობებს.

პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ, როცა სტალინი ლენინთან ერთად დაუნდობლად ამხელდა მენშევიკების არაპროლეტარულ ბუნებას, მათ ოპორტუნისმსა და ინტელიგენტური რყევის მიდრეკილებებს, საქართველოს მენშევიკები, ნოე ჟორდანიას პირით გაიძახოდნენ: თუ ჩვენ მუშური პარტია არა ვართ, მამ ჩვენს მხარეზე რად არიან მუშები ზოგიერთ ქალაქშიო.

მენშევიკების მიმართ, რომელთაც თავი მოჰქონდათ იმით, რომ მათ ზოგიერთ ქალაქში კიდევ ჰყავდათ მუშები, ამხანაგი სტალინი მოხდენილად იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ სახეს და გამანადგურებელი ირონიით სწერს:

„დიახ, მართალია, „უმცირესობის“ მხარეზე არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებში, მარა ეს არაფერსაც არ ამტკიცებს. რევიზიონისტების (ოპორტუნისტებისა გერმანიაში) მხარეზეც არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებში, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია პროლეტარულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპორტუნისტები არ არიან.

ერთხელ ყვავამაც იშოვა ვარდი, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

<sup>1</sup> ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904 — 1906 წ. წ., გვ. 139.

„რა ყვევი ვარდა იშოვის  
თავი ბულბული ჰგონია“.<sup>1</sup>

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში ამხანაგი სტალინი ავტორის დაუსახელებლად აცტირებს კოლცოვის ცნობილ ლექსს „ტყეს“, რომელიც, როგორც ვიცით, პუშკინის გარდაცვალების გამო არის დაწერილი. მაგრამ სტალინის ტექსტში მოქცეული კოლცოვის ლექსის მაღალი ტრაგიკული პათოსი დრმა ირონიით არის გააზრებული და მიმართულია საბჭოთა ქვეყნის უბოროტესი მტრის კლემანსოსადმი, რომელიც ერთ დროს მზად იყო „ანარქიული“ რუსეთის გადასაყლაბად. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კლემანსო, ეს შეურიგებელი მტერი „მოღბა“ და იძულებული შეიქნა შეთანხმების ვზევი ეძებნა საბჭოთა კავშირთან თუნდაც რენეგატ კაუცკის დახმარებით. ამის გამო ამხანაგი სტალინი ირონიული გააზრებით იყენებს კოლცოვის ლექსის შემდეგ აღგილს კლემანსოს მიმართ:

„განა მართალი არ არის:

Где же девалася речь высокая,  
Сила гордая, доблесть царская?“

სიტყვაში „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“, (1931 წ. 4 თებერ.) ამხანაგი სტალინი ნეკრასოვის ცნობილი ლექსის — „რუსეთის“ (პოემიდან „ვის ეცხოვრება კარგად რუსეთში“) სტრიქონებით ახასიათებს ძველი ზურ-უშაიული მონარქიული რუსეთის ეკონომიურ და ტექნიკურ ჩამორჩენილობას. იმათ მიმართ, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ტემპების შენელების „თეორიას“ ავითარებდნენ, სტალინი გვაფრთხილებს, რომ ჩამორჩენა — ეს ნიშნავს ნიადაგი მოუმზადო კაპიტალიზმის რესტავრაციას. ამასთან

დაკავშირებით სტალინს მოჰყავს იმ დროის ფაქტები, როცა ინტერვენტები სარგებლობდნენ მეფის რუსეთის ჩამორჩენილობით და ამგვარად

„ტემპების შენელება — ეს ჩამორჩენას ნიშნავს. ჩამორჩენილებს კი სცემენ. ჩვენ კი არ გვინდა ნაცემი ეი-ყოთ: არა, არ გვინდა! ძველი რუსეთის ისტორია, სხვათა შორის, მდგომარეობს იმაში, რომ მას განუწყვეტლივ აცემდნენ ჩამორჩენილობისათვის, სცემდნენ მონღოლელი ხანები, სცემდნენ თურქი ბეგები, სცემდნენ შვედი ფეოდალები. სცემდნენ პოლონელი ბატონები. სცემდნენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები. სცემდნენ იაპონელი ბარონები. სცემდნენ ყველანი — ჩამორჩენილობისათვის. საშხედრო ჩამორჩენილობისათვის, კულტურული ჩამორჩენილობისათვის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისათვის, სამრეწველო ჩამორჩენილობისათვის, სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის. სცემდნენ იმიტომ, რომ ეს მათთვის სახეირო იყო და დაუსჯელად ჩაუვლიდათ ზოლმე. ზომ გახსოვთ რევოლუციის წინადროის პოეტის სიტყვები:

„Ты и убогая,  
Ты и обильная,  
Ты и могучая,  
Ты и бессильная,  
Матушка Русь!“

ძველი პოეტის ეს სიტყვები — კარგად დაისწავლეს ამ ვაებატონებმა, ისინი სცემდნენ და თან დასძენდნენ: „შენ უხვი ხარ“, — მაშასადამე, შეიძლება შენს ხარჯზე გავმდიდრდეთ. ისინი სცემდნენ და თან დასცილობდნენ: „შენ უბადრუკი და უძლური ხარ“ — მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და ძარცვა დაუსჯელად. ასეთია ექსპლოატატორების კანონი — ჩამორჩენილები — სა და სუსტების ცემა. კაპიტალიზმის მგლური კანონი. შენ ჩამორჩი, შენ

<sup>1</sup> სტალინი, „გაკვირთ პარტიულ უთანხმოებაზე“, გვ. 47.

სუსტი ხარ—მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და დამონება. შენ ძლიერი ხარ — მაშასადამე, შენ მართალი ხარ, მაშასადამე შენ უნდა გერიდონ.

აი რატომ არ შეიძლება ჩამოვრჩეთ.<sup>1</sup>

ნეკრასოვის ამ პატარა ლექსმა არა მარტო ჩამორჩენილი შეფის რუსეთის სიბეჭადე, მისი ძლიერება და უძლეურება გამოხატა, სტალინის ბავთავან ლექსის ეს ნაწყვეტი ელერს როგორც მოწოდება, არ ჩამორჩეთ, ეინაიდან ჩამორჩენილებს სცემენ. განავითარეთ სოციალისტური მშენებლობის ტემპები, თუ არ გინდათ, რომ მტრისგან გასრეილი იქნეთო.

სტალინის შრომებში შეხედებით მხატვრულ სახეს პუშკინის ცნობილი ლექსიდან „ზღვასთან“, როცა იგი ირონიული გააზრებით „ფიქრთა მკყრობელს“ უწოდებს გზათა სახალხო კომისარიატში მოკალათებულ ზოგიერთ კონსერვატიულ მუშაკებს, რომლებიც ზელს უშლიდნენ სტახანოვეური მოძრაობის განვითარებას.

სტალინის ტექსტში ნახავთ ევლო-შვილის სახეს „სიმღერადიდან“—„უკვე ამოვარდა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“; გორკის „ქარიშხალადან“—„დეე ძლიერად დასკეკოს მეხმა, დეე ძლიერად დასკეკოს ქარტეხილმა“

ღრმა პოლიტიკური გააზრებით იყენებს სტალინი დიდი რუსი ბატალისტის ვ. ვ. ვერეშნაგინის ცნობილ გაპოთქმას „შიკაზე სრული სიწყინარეა“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 411 — 412, მე-11 ქართ. გამოც.

<sup>2</sup> ამ გამოთქმის ისტორია ასეთია: 1877 — 1878 წ. წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოფელ შიკასთან გამაფრებელი ბრძოლები გაიმართა. იმ დროს, როცა შიკას უღელტეხილზე რუსი ჯარისკაცები საშინელ ვინებებსა და ტარბუქში სიმშლისაგან დასტრებით იხოცებოდნენ, მეფის მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა, რომ „შიკაზე სრული სიწყინარეა“.

სტალინი „ახალი ხანა“ (შეგზდა“ 1912 წ.) სტალინის აქვე ასეთი აუცილი: „ლენაზე თოფის გასროლა მხოლოდ სოხალი იყო.“

სწინან „შიკაზე სრული სიწყინარე არ არის“ (თხზ. ტ. II, გვ. 226).

ცნობილია, რომ სტალინი თავის შრომებსა და გამოსვლებში უფრო ხშირად აციტირებს სატირიკოსებს: ჩეხოვს, გოგოლს, შნედრინს კრილოვს, სერვანტესს, ჰანეს და ა. შ. კიდევ მეტი. როგორც დაეინახეთ, სტალინი ზოგჯერ ღრმა სატირიკული გააზრებით იყენებს ლიტერატურულ ფაქტს. რომელიც კონტექსტში მალალი ტრაგიკული პათოსით ელერს.

რატომ მიმართავს სტალინი უმთავრესად სატირიკოსებს?

„ისტორია საფუძვლიანია, — ამბობს მარქსი, — როცა იგი რომელიმე ძველ სახეს ასამარებს, მრავალ ფაზისს გაივლის. მსოფლიო ისტორიის ყოველგვარი სახის უკანასკნელი ფაზა — კომუნალია. საბერძნეთის სასიყვილოდ დაპერილი ღმერთები ერთხელ უკვე მოკედნენ ტრაგიკული სიყვილით ესქილეს „მოჯაჭულ ამირანში“. მაგრამ ამან ვერ იხსნა ისინი ზელმეორედ კომიკური სიყვილისაგან ლუკიანის დიალოგებში. რისთვის ჰირდება ეს ისტორიას? იმისათვის, რომ კაცობრიობა მზიარულად ეთხოვებოდეს თავის წარსულს“.

ამასთან დაკავშირებით ინტერეს-მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ გერცენის შესანიშნავი აზრიც, რომელიც მან 1858 წელს გამოსთქვა იმ კორესპონდენტის საპასუხოდ, რომელიც უსაყვედურებდა ეურნალ „კოლო-

ვერეშნაგინმა ერთ-ერთ თავის ესკიზში გადმოგვცა ის ჯოჯობთური ტანჯვა, რომელსაც რუსი ჯარისკაცები შიკაზე განიცდიდნენ და ზელ სიმბოლოურად მიუწერა: „На Шипке все покойно“.

კოლს“ მეფესა და წარჩინებულ პირებზე დაცივნას და წინადადებას აღევდა გერცენს, ხელი აეღო დაცივნებაჟირდებოდა, როგორც ისეთ რასმეზე, რომელიც თითქოს ამდებლებს „კოლოკოლის“ ღირსებას, ამცირებს მის რევოლუციურ მნიშვნელობას და უკარგავს მას სეროიზულობას. ამ კორესპონდენტს გერცენი „კოლოკოლის“ ფურცლებიდან უპასუხებდა:

„რაც შეეხება სიცილს, ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით ჩვენს კრიტიკოსს. სიცილი—ერთ-ერთი მძლავრი იარაღია ყველა იმის წინააღმდეგ, რაც დრომოკმულია და მაინც, ღმერთა იცის, რატომ, ძველი ნანგრევებით განაგრძობს ბოგინს და ხელს უშლავს ახალი ცხოვრების ზრდას, აშინება მხდალთ...“

სიცილი—ეს სასაცილო საქმე არაა და ჩვენ მას ვერ დავთმობთ... დასცივნო ღმერთ აბისს, ნიშნავს იმას, რომ ჩამოაცილო მას ღეთებრივი შარაენდელი და დაიყვანო უბრალო ხარამდე“<sup>1</sup>.

მარქსისა და გერცენის მიერ გამოთქმული აზრები სიცილის შესახებ განამტკიცებენ სატირის მნიშვნელობას და უფლებას რევოლუციურ პუბლიცისტიკაში. ამ აზრების სისწორე არა მარტო ანტიკურ ქვეყნის დიდი სატირიკოსების—არისტოფანეს და ლუკიანეს დიალოგებით დასტურდება. ჩვენ ვიცით, მე-18 საუკუნის ენციკლოპედისტები თავიანთ პაჰფლუტებსა და სტატიებში დაცივნის თუ როგორ განმანადგურებელ ცეცხლს უშენდნენ დრომოკმულ არისტოკრატიულ იდეოლოგიას, ქრისტიანობის წმინდა პრინციპებს, როგორ ქირდადენენ და სამარცხენო ბოძზე აკრადენენ ისინი ორ-

ლენის ქალწულს, თავდაპირველობის ღირსებებს, მათ ცისფერ სიწმინდეს, ხელისუფლებას, ღვთიურ სამართალს და სხვ. როგორ გესლიანაწილებენ სერვანტესი რაინდულ სათხოვბას. დიდროსა და ვოლტერის მიერ ძველი ფორმებისადმი დაცივნამ ქეშმარიტად, უდიდესი როლი შეასრულა ისტორიაში. „ვოლტერის მხიარულებამ,—გადმოგვეცემს პლენანოვი,—მისმა დიდებულმა ხა, ხა, ხა, ხა-მ, რომლითაც იგი ისე სასტიკად და დაუნდობლად დევნიდა და ამათრახებდა ცრუმორწმუნობასა და უშეცრებას—დიდი და სეროიზული საშახური გაუწია კაცობრიობას“.

მარქსის, გერცენისა და პლენანოვის აქ მოყვანილი სიტყვების ღრმა აზრი განსაკუთრებით იგრძნობა სტალინის ნაწერებში, სადაც დრომოკმული ფორმები და პრინციპები ლოგიკური და კომიკური სიკვდილით კვდებიან. სტალინი მიმართავს სატირიკოსებს გააკვეცილი მიზნით: მათი საშუალებით გააღრმავოს, დაახუსტოს და ცხადად წარმოგვიდგინოს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის, პოლიტიკური პიროვნების დახასიათება, უფრო ხშირად კი დასცივნოს და მოსპოს მოწინააღმდეგე.

„დაცივნა მუსრავს მტერს“. სწორედ ამიტომ ბელადის შრომებსა და გამოცემებში ვოგოლი, შედრინი, კრილოვი, ჰაინე, სერვანტესი ჩვენს მებრძოლ თანამედროვეებად არიან გადაქცეულნი. მათ მიერ მოცემული უკვდავი სახეები გვეხმარება ჩვენ ყოველგვარი ძველის, დაბავსებულის, უკარგისის, დამპალისა და რუაქციული ნაშთების დაძლევაში.

ლიტერატურული სახეებისა და პერსონაჟების გამოყენებით სტალინი კიდევ უფრო სახიერს და მკვეთრ გამოსახულებას აძლევს თავის ბრძნულ

<sup>1</sup> გერცენი. თხზ. კრებ., ტ. 9, გვ. 118—119. აბისი. ძველი ეგვიპტელების წმინდა ხარია, რომელსაც თავიანთ სტემდნენ ქ. მემფისში.

აზრებს, უფრო კონკრეტულს, ცოცხალს, თვალსაჩინოს და მტკიცედ დასამახსოვრებელს ზღის თავის მტკიცებებს.

მაგალითად, იმ უნიადაგო და სასაცილო ადამიანების მიმართ, რომლებიც მოკლებულნი არიან ცხოვრების ელემენტარულ ალღოს, თავიანთ საქმიანობაში ანგარიშს არ უწყევენ გარეშე პირობებს და მოქმედებენ ისე, როგორც მათ უკარნახებს საკუთარი ფანტაზია, სტალინი ხშირად მიმართავს ამავე თვისებათა გამოშხატველ ლიტერატურულ ტიპს—დონ-კიხოტს.

გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში, სტალინი ამომწურავბასუხს იძლევა იმაზე, თუ რა შემთხვევაში ვარდებიან ადამიანები დონ-კიხოტის მდგომარეობაში.

„დიდ ადამიანებს,—ამბობს სტალინი,—შხოლოდ იმდენად აქვთ ფასი, რამდენადაც მათ შეუძლიათ სწორად გაიგონ ეს პირობები და მიხვდნენ, როგორ უნდა შესცვალონ ისინი. თუ მათ ეს პირობები არ ესმით და სურთ ამ პირობების ისე შეცვლა, როგორც მათ უკარნახებს მათი ფანტაზია, მაშინ ისინი, ეს ადამიანები, ვარდებიან დონ-კიხოტის მდგომარეობაში“.<sup>1</sup> აქედან, ყველას იმათ, რომელთაც დაკარგული აქვთ სინამდვილის სწორად შეცნობის უნარი და მოქმედებენ ისე, „როგორც მათ უკარნახებს საკუთარი ფანტაზია“,—სტალინი აკერებს დონ-კიხოტის სახელს. ამ ეპითეტით სტალინი ფართო გზას უხსნის ლიტერატურულ ასოციაციებს და სერვანტესის გამიჯნუ მითითებით მოპირდაპირის სასაცილო მდგომარეობას აძლევს უფრო შვეთრსა და ცოცხალ გამოსახულებას. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არცერთი ლიტერატურული სახეს ისე

ხშირად არ ვხვდებით სტალინის შრომებში, როგორც დონ-კიხოტის სახეს.

დონ-კიხოტის სახე გამოყენებული აქვს სტალინს 1904 წელს წერილში ული ნაციონალისტების მიმართ. სტალიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნაციონალური საკითხი?“, ამხელს რა ბურჟუაზიული ნაციონალისტების ორგანოს „საქართველოს“ უნიადაგობას, სტალინი წერს: „ქართულმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა. ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა შარტო „ფერი იცვალეს“, და არა თავის შეხედულებათა დედააზრი, რომ „საქართველოს“ შარტო სახელი აქვს სოციალისტური,—დიდ მიხვდნენ ამას და სიცილი მიიყარეს საქართველოს „მხსნელებს“ გაუცრუვდათ იმედი „საქართველოს“ დონ-კიხოტებს“<sup>2</sup>

დონ-კიხოტის სახელით ნათლავს სტალინი რამუს-ჩერქეშიშვილის ანარქიზმსაც, ხოლო მათ გამოლაშქრებას მარქსიზმის წინააღმდეგ იგი უწოდებს „დონ-კიხოტურ გამოლაშქრებას“. მეორე ადგილზე იმავე ანარქისტებზე სტალინი წერდა, რომ ისინი „მარქსიზმის მაგიერ თავიანთ ფანტაზიას ებრძვიან, მარქს-ენგელსის მაგიერ ქარის წისკვილებს ეჯახებიან.

„ცხონებულმა დონ-კიხოტმაც ასე იცოდა...“<sup>3</sup>

თავის საბოლოო სიტყვაში რ.ს.დ.მ.პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე (1917 წ.) სტალინი აფასებს საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას და იმის შემდეგ, როცა მთელი ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა, მოითხოვს ლოზუნგის—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ დროებით მოხსნას.

„...ორ ძალაუფლებიანობა არ არსებობს, ვინაიდან მთელი ძალაუფლე-

<sup>1</sup> ი. სტალინი, „საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან“, გვ. 4.

<sup>2</sup> თხ. ტ. 1, გვ. 35.

<sup>3</sup> თხ. ტ. 1, გვ. 372.

მა გადასულია კაპიტალის ხელში და ძალა წამოყენება ლოზუნგისა, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ — ნიშნავს იმას, რომ ხელი მიეცოთ დონ-კიხოტობას“. <sup>1</sup>

1923 წელს პარტიის მე-12 ყრილობაზე ქართველ ნაციონალ-სოციალისტების ერთი ჯგუფის მიმართ, რომელიც თავს დამარცხებულად არ გრძნობდა და თავი ისე მოჰქონდა, თითქოს მას გაემარჯვოს, ამხანაგი სტალინი კვლავ აღადგენს სერვანტისის უკედევ გმირს:

„... მე აღარ ვიცი, — ამბობდა სტალინი, — რაღას უნდა ვუწოდოთ მამის დამარცხება. თუმცა ცნობილია, რომ ნეტარხსენებელი დონ-კიხოტიც გამარჯვებულად სთვლიდა თავს, როდესაც ქარის წისკვილში ცხვირი ჩაუშტვრია. მე ვფიქრობ, ზოგიერთ ამხანაგს, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა ტერიტორიის ერთ-ერთ ნაკვეთზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, იქ, ზემო სართულში, როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზე ვერა აქვთ“.

პარტიის მე-13 ყრილობაზე (1924 წელი, 2 იანვარი) სტალინი ამავე ეპიტეტით ამხელს „მომამარცხენე“ მოლაყებებსაც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა ვაჭრობა განელოლი სტალინი, რომ ფული სულ მალე გაუშვამდებდა და მის ადგილს პროდუქტების უშუალო გაცვლა-გამოცვლა დაიჭერსო, — სტალინი ამ მოლაყებების მისამართით ამბობდა:

„... დონ-კიხოტებს სწორედ მიტომ ჰქვია დონ-კიხოტები, რომ ისინი მოკლებულნი არიან ცხოვრების ელემენტარულ აღლოს“.

„მემარცხენე“ გადამხვევებისა და უთავგზურების მიმართ, რომლებიც

ბევრს გაჰყვიროდნენ შეტევებზე, მაგრამ არ ესმოდათ ის, თუ როგორ უნდა წარმოებულყო ეს შეტევები, რომელ კლასზე, რა ფორმისაა და რა კავშირში და მოთხოვნებში შეტევას საერთოდ თვით „ჩვენი მოკავშირის წინააღმდეგ, საშუალო გლეხის წინააღმდეგაც“, — სტალინი კვლავ აცოცხლებს დონ-კიხოტის სახეს:

„განა ჩვენ გვესაქირობა ყოველგვარი შეტევა, და არა შეტევა განსაზღვრულ კლასზე, განსაზღვრულ კლასთან კავშირში? დონ-კიხოტსაც ხომ წარმოდგენილი ჰქონდა, რომ იგი მტრებზე აწარმოებდა შეტევას, როდესაც წისკვილზე მიჰქონდა იერიში. მაგრამ ცნობილია, რომ მან შებლი გაიტეხა, ამ, უკაცრავად პასუხია, შეტევის დროს.“

როგორც სჩანს, დონ-კიხოტის დაფნის გვირგვინი ძილს უფრთხობს ჩვენს „მემარცხენე“ გადამხვევებს“.

სტალინის შრომებში შევხვდებით დონ-კიხოტის განუყრელ მეგობარს სანჩო-პანსასაც. ამ სახის საშუალებით სტალინი ამხელს მენშევიკ ი. წერეთელს, რომელსაც დროებითი მთავრობაში მინისტრის პოსტი ეჭირა.

სტატიკაში „ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა“ („რაბოჩი პუტ“ № 21. 1917 წ. 27 სექტემბერი) იძლევა რა უკანასკნელ დროის მომხდარ პოლიტიკური ვითარების ანალიზს იმასთან დაკავშირებით, რომ დროებითი მთავრობის ბელადები, კერძო-ტერეშჩენკო, ვერხოვსკი და სხვები გამგზავრენ მთავარ ბანაკში, სადაც ეწყობოდა უცხო სახელმწიფოთა სამხედრო აგენტების თათბირი, ამხანაგი სტალინი ირონიულად სწერდა:

„... ყოველივე ეს ხდება მოკავშირეთა კონფერენციის მოლოდინში, სადაც როგორც ბატონ ტერეშჩენკოს სანჩო-პანსა, მიჰყავთ საკმაოდ ცნობილი წერეთელი“.

<sup>1</sup> საბოლოო სიტყვა რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) 6 ყრილობაზე, 1917 წ.

სტალინის სტატიებსა და გამოსვლებში შევხვდებით გოგოლის იმ გმირს რომელსაც თავი ესპანეთის მეფედ ჰქონდა წარმოდგენილი. იქვე ნახავთ გოგოლის ლიპკინ-ტიპკინს, მანილოვს, სელიფანს და შინა-ყმა გოგოს პელაგიას, შხედრინის—პომპაძურებს, ფიცხ უფროსს და უბრძნეს პესკარებს, ჩეხოვის პრიშიბეევს და ბელიკოვს, შექსპირის ჰამლეტს და მენენიუს აგრძას, შილერის არამზალა მაფრს და ალფონს დოდეს ტრაბახა ტრასკონელს. სტალინის ტექსტიდან თავისებურად გამოიყურებინს მითოლოგიური გმირები: ჰეროსტატე, ჰერკულესი, აეგეოსი, ანთოსი და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ლიტერატურული და მითოლოგიური პორტრეტები სხვადასხვა დროისა და ეპოქის შემოქმედებას წარმოადგენენ, თვითეული მათგანი და ყველა ერთად სტალინის ტექსტში ასრულებენ ერთ ფუნქციას: ემსახურონ სტალინის მიზანდასახულობას, სტალინის იდეებს მისცენ მეტი სიმკვეთრე და ცოცხალი გამოსახულება, უფრო მიმზიდველი, ვასაგები და მტკიცედ დასამახსოვრებელი ფაქტორი ეს იდეები მშრომელთა მილიონებისათვის.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ლიტერატურული და მითოლოგიური ტიპები, ინახავენ რა თავის ძველ ნიშნებს, სტალინის შრომებში გამოდიან ახალ როლში, როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი. ახალ სოციალურ გარემოში გადმოტანილ სტალინი ამდიდრებს ძველ სახეს, აძლევს მას ახალ შინაარსს. შავალთისათვის ავიღოთ გოგოლის „მკედარი სულებიდან“ მემამულე მანილოვი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში მიყრუებულ პატრიარქალურ სოფელში ცხოვრობდა. ეს მემამულე წყნარი, რბილი და ტბილია. კაცთმოყვარე, თავაზიანი, მეოცნებე და უსაქმური. გოგოლის მანილოვი ჩაყენებულია ისეთ ისტორიულ ვითარებაში, რომ მის ზედამირზე მკლავდებიან სწორედ ეს თვისებები. კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, ახალ სოციალურ უწყობაში მანილოვის ეს მახასიათებლები მისი მეოცნებობა—საშიში მავნე და მიუღებელი ხდება. ოცნება არ ამობილიზებს ადამიანს, არ უბიძგებს მას მოქმედებისაკენ, არამედ განაშავნიტებს მას და უნებისყოფოდ აქცევს.

ცარიელი ოცნება თავის გამოსახულებას პოეზებს მანილოველობაში. ლენინი და სტალინი თანამედროვეობაშიც ხედავდნენ მანილოვეზიანით დაავადებულ ადამიანებს. ლენინი ამბობდა, რომ „მანილოვი ზის თვითეულ ნაროდნიკში“.

ჯერ კიდევ 1910 წელს სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან ლენინთან გაუზავნილ წერილში ამხანაგი სტალინი მანილოველობით ახასიათებდა ტროცკისტულ ბლოკს: „ტროცკისტული ბლოკი (ის იტყოდა—„სინთეზი“) — ეს აშორებელი უპრინციპობაა, სხვადასხვა პრინციპების მანილოვეური ამოღება, უპრინციპო ადამიანის უმწეო ნაღვლიანობა „კარგ“ პრინციპზე“.

(ი. სტალინი, თბ. ტ. II, გვ. 209—210).

რევოლუციური სიტუაციის პირობებში მანილოვეზიანს ამხანაგი სტალინის გაგებით ახასიათებს „რევოლუციური“ ფანტაზიორობა, ფანტასტიური გეგმათშეწებლობა და შემთხვევლობა, რომლის იქით სრული უმოქმედობა იმალება. შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, იძლევა რა ლენინის მუშაობის სტილის დახასიათებას, რომელიც რუსულ რევოლუციურ გაქანებასა და ამერიკულ საქმიანობის შეერთებაში მდგომარეობს, სტალინი გვაფრთხილებს მანილოვეზიანის საშიშროებისაგან.

„რუსული რევოლუციური გაქანება—ეს ის მაცოცხლებელი ძალაა, რომ



მელიც აღვიძებს აზრს, წინ მიჰყავს, ამხნევებს წარსულს, იძლევა პერსპექტივას. უამისოდ შეუძლებელია რაიმე წინსვლა. მაგრამ მას აქვს ყველა შანსი პრაქტიკაში გადაშენდეს უბრალო „რევოლუციურ“ მანილოვ-შინაინდ, თუ იგი შეერთებული არ იქნა ამერიკულ საქმიანობასთან მუშაობაში... ამერიკული საქმიანობა, პირიქით, წარმოადგენს „რევოლუციური“ მანილოვ-შინაინისა და ფანტასტიკური შემთხვევლობის საწინააღმდეგო წამალს.“<sup>1</sup> როგორც ხედავთ, ერთი სიტყვით—მანილოვ-შინაინთ ამხანაგი სტალინი გამოხატავს უნაყოფო და უნიადაგო მეოცნებობის მთელ ტენდენციას.

სტალინს აქვს ლიტერატურული სახის შერჩევისა და მისი ანალოგიური მოვლენასთან დაკავშირების გასაოცარი უნარი. განსაკუთრებით უხვად სარგებლობს სტალინი გოგოლის ლიტერატურული პერსონაჟებით.

აი როგორ აზრობრივ გარემოში იყენებს სტალინი გოგოლის იმ გმირს („შეშლილის წერილებიდან“), რომელსაც თავი ესპანეთის მეფედ ჰქონდა წარმოდგენილი.

1905 წელს III პარტყრილობის მიერ გამოტანილმა რევოლუციური ხასიათის დადგენილებებმა, განსაკუთრებით ყრილობის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ, დიდი შესწოდება გამოიწვია მენშევიკურ—„კაობში“. მენშევიკები შეუღდნენ ამ რეზოლუციის „კრიტიკას“, მაგრამ რადგან მასში ვერაფერი ნახეს ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდა სერიოზულად ხელის ჩაქიდება, მიმართეს მათთვის ჩვეულ იფფასიან დემაგოგიას. ასტეხეს განგაში: რეზოლუცია მუშების მოსატყუებლად და თვალის ასახვევად არის გამოტანილიო. მენშევიკების მი-

მართ, რომელთაც თავი მოქონდათ გამარჯვებულ კრიტიკოსებად, ხოლო მოწინააღმდეგენი დამარცხებულად და ქედმაღლურად გაიძახდნენ, თუკაცთ ადამიანებს (რეზოლუციის ავტორებს) უნდათ ბელმძვანელობა ვაუწიონ პროლეტარიატს!“ სტალინი წერდა:

«Смотришь на этих «критиков» и представляется твоему взору герой Гоголя, находившийся в состоянии невменяемости и воображавший себя королем Испании. Такова судьба страдающих манией величия!»<sup>2</sup>.

აი კიდევ, როგორ იყენებს ამხანაგი სტალინი გოგოლის შინაყმა გოგო პელაგიას სახეს. როგორც ვიცით, „მკედარი სულემის“ ლიტერატურულ პორტრეტებს შორის, შინაყმა გოგო—პელაგია, სრულიად უჩინარი სახეა. ეს პერსონაჟი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება სცენაზე თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ გზა უჩვენოს მეეტლე სელიფანს და... ჰქრება. მკითხველისათვის ეს თითქმის შეუძნეველია. მაგრამ აი, სტალინის გენია აღადგენს ამ უჩინარ სახეს და მას ფრად მნიშვნელოვან პუბლიცისტურ ფუნქციას აკისრებს.

მოხსენებაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ (საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობა 1936 წ. 25 ნოემბერს) სტალინი ეხება პოლონელ ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს, რომლებიც ჩვენი კონსტიტუციის პროექტს ახასიათებდნენ, როგორც „ძვრას მარჯვნივ“ და ამბობს:

„რა შეიძლება ითქვას ამ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?..“

თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებას, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას იხინი

<sup>1</sup> „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 92, მე-10 კართ. გამოცემა.

<sup>2</sup> „მნათობი“, № 3.

<sup>3</sup> ი. სტალინი, თხ. ტ. I, გვ. 149.

უწოდებენ „ძერას მარჯვენა“, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაებატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვენასაგან? (საერთო სიტყვი, ტაშე).

არ შეიძლება ეპვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაებატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი, დაიბნენ, — ერთმანეთში აურვის მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გაეხსენოთ შინაყმა „გოგო“ პელაგია — გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორღაც იკისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური ვაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილდებიან „მკვდარი სულების“ შინა-ყმა „გოგო“ პელაგიას გაგების დონეს (ტაშე). თუ გაიხსენებთ მეეტლე სელიფანმა საპიროდ ჩასთვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეპ, შე შეაფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. შე მგონია, მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი კუთამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: „ეპ, თქვე ვაი-კრიტიკოსებო... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა! (ხანგრძლივი ტაშე)“<sup>1</sup>

ამრიგად, შინა-ყმა „გოგო“ პელაგიაზე მითითებით სტალინმა სახობ-

რივად გვიჩვენა ბურჟუაზიული კრიტიკოსების უკუამოკლეობა, მათ გაგების დაბალი დონე და დეცინვის ქოქოლა დაყარა მათ.

სტალინში „რევოლუციის“ სტრუქტურებები“ (1917 წ.) ესერბის „დელლო ნაროდას“ მიმართ, რომელმაც „იზვესტიასთან“ ერთად უღალატა რევოლუციას და გამოვიდა საბჭოების წინააღმდეგ, ამხანაგი სტალინი აღადგენს გოგოლის ლიაპკინ-ტიპაკინის სახესაც („რევიზორი“) და გამანადგურებელი სარკაზმით წერს:

„ლიაპკინ-ტიპაკინები კი უნიათო „დელლო ნაროდა“-დან ბაჯბაჯით მისდევენ „იზვესტიას“ და თან ღრმავაროვნულად გაიძახიან: უნდა ჩავშალოთ საბჭოების ყრილობა, ვინაიდან ამ ჩაშლაშია — რევოლუციისა და დამფუძნებელი კრების „ხსნა“.<sup>1</sup>

ლიაპკინ-ტიპაკინის სახელის მიკერებით სტალინი მკვეთრად გამოსახავს „დელლო ნაროდას“ ჯგუფის უნიათობას, უპრინციპობას და მთელ მის კორიკანულ სულსკვეთებას.

ამხანაგი სტალინი სარგებლობს დიდი რუსი რევოლუციონერ დემოკრატის სალტიკოვ-შჩედრინის სატირიკული სახეებითაც.

შრომაში „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“ (სიტყვა სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე 1931 წ. 4 თებერვალს) სტალინი ეხება საბჭოთა მიუროკრატებს, რომლებიც წარმოებებსა და დაწესებულებებს მხოლოდ ქალაღზე ხელისმოწერით ხელმძღვანელობენ და მათ შჩედრინის პომპადურების სახით ამხელს:

„ჩვენში ხშირად ფიქრობენ, რომ ხელმძღვანელობა ნიშნავს ქალაღზე ხელისმოწერას. ეს სამეწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. ზოგჯერ უნებურად გაგონდება შჩედრინის პომპადურები.

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინის საკითხები“, გვ. 650 — 651.

ზომ გახსოვთ, პომპიდური ქალი როგორ ასწავლიდა ქუჩის ახალგაზრდა პომპიდურს: თავს ნუ იმტვრევ მეცნიერების შესწავლით, ნუ ჩაუყვირდები საქმეს, დაე, ეს სხვებმა აკეთონ, შენი საქმე არ არის ეს,—შენი საქმე ხელმძღვანელობაა, ქალაქებზე ხელისმომწერა. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვალიაოთ, რომ ჩვენს შორისაც, ბოლშევიკებს შორისაც, ცოტა არ არიან ისეთები, რომელნიც ხელმძღვანელობას ეწვეიან ქალაქებზე ხელისმომწერით. ზოლო რაც შეეხება საქმეში ჩახედვას, ტექნიკის ქაუფლებას, საქმის ბატონპატრონად ვახდომას,—ამაზე თავს არ იტკივებენ<sup>1</sup>.

სამეურნეო მუშაკთა თათბირზე (1931 წ. 23 ივნისს) წარმოთქმულ სიტყვაში, იმ ობიექტებს, რომელთაც ექვი შეპქონდათ სოციალისტური მშენებლობის გეგმის განხორციელების საქმეში ამხანაგი სტალინი აღარებს შეხდრინის „უბრძნეს პესკარებს“:

„არის პარტიასთან შორიახლოს მდგომი ზოგიერთი ობიექტი,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—რომელიც გარწმუნებს, რომ ჩვენი საწარმოო პროგრამა არარეალურია, განუხორციელებელია. ძინი მოგვაგონებენ შეხდრინის „უბრძნეს პესკარებს“, რომლებიც მუდამ მზად არიან გააფრცელონ თავის გარშემო „უსუსური აზროვნების სიცარიელე“<sup>2</sup> შეხდრინის „უბრძნესი პესკარები“ სტალინის ტექსტში გამოყენებულია, როგორც გონებრივი უსუსურობის, შეზღუდულობისა და უპერსპექტივობის სიმბოლო.

აი კიდევ, შეხდრინის ერთ-ერთი გონებაჩლუნგი ბიუროკრატის მავალითზე როგორ ნათლად გვიჩვენა ამხანაგმა სტალინმა ჩვენი კონსტიტუ-

ციის პროექტის ფაისტი კრიტიკოსები, რომლებიც ორგანო „დენტზე დიპლომატიმ პოლიტიმე კორესპონდენციდან“ გაპყვიროდნენ: „რომ უსუსურობის კონსტიტუციის პროექტი უბრალო ფარატიანა ქალაქია, ცარიელი დაპირებაა, ზოლო თვით სსრ კავშირის სახელმწიფო, სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნებაო.“

„რა შეიძლება ითქვას—ამბობდა ამხანაგი სტალინი,— ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

ერთ-ერთი თავის ზღაპარ-მოთხრობაში რუსი მწერალი შეხდრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისადმი „რწმუნებულ ოლქში“ „წესრიგი და სიწყნარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაყლიტა და ათობით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და პორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებად ცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ, და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი). რა თქმა უნდა, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი) და, სთქვა თუ არა ეს, დაადორეზოლუცია: კვლავ დაიხუროს ამერიკა. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

მე მგონია, რომ ვაჰბატონები „დენტზე დიპლომატიმ პოლიტიმე კორესპონდენციდან“, როგორც ორი წვეთი

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 409, მე-11 წიკთ. გამოცემა.

<sup>2</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 437, მე-11 წიკთ. გამოცემა.

წყალი, ისე ჰგვანან შხედრინის ბიუროკრატს (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი, მოწონების ტ ა შ ი). ამ ვაებატონებს სსრ კავშირი უკვე დიდი ხანია თვალში ეჩხირებათ... როგორ არ უნდა აღშფოთდნენ ამის შემდეგ ვაებატონები გერმანული ოფიციალიდან? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, ჰგოდებენ იბინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი, (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი) და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? და, სთქვებს რა ეს, დადგინეს: კვლავ დაიხუროს სსრ კავშირი, ყველას ვასაგონად გამოაცხადეს, რომ სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო არ არსებობს, რომ სსრ კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შხედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავის-თავში რეალურის გაგების ელემენტი, ჩაილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ მგონია, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებული“ (მ ხ ი ა რ უ ლ ი ს ი ც ი ლ ი ს გ რ ი ა ლ ი, მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). რე არ ვიცი, ეყოფა თუ არა ქუთა ვაებატონებს გერმანული ოფიციალიდან მიხვდნენ, რომ ამათუიმ სახელმწიფოს „დახურვა“ ქაღალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“ (მ ხ ი ა რ უ ლ ი ს ი ც ი ლ ი ს გ რ ი ა ლ ი, მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).<sup>1</sup>

ამ ამონაწერიდან მკითხველი დაინახავს თუ შხედრინის ბიუროკრატის ლიტერატურული სახე როგორ ოსტა-

ტურად დაიხმარა ამხანაგმა სტალინმა, რათა ნათლად ეჩვენებინა ფაშისტ-კრიტიკოსების გონებრივი სიჩლუნგე და რეალურის გაგების უუნარიანობა.

თავის გამოსვლებში ამხანაგი სტალინი არა ერთგზის მიმართავს მუხომის სატირიკულ სახეებს და პერსონაჟებს.

სტატიკაში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, იმ პარტიულ მუშაკების მიმართ, რომელთაც ვერ გაიგეს პარტიის პოლიტიკა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში და სამხედრო ძალით და დამუქრების გზით ცდილობდნენ კოლმეურნეობების დანერგვას სოფლად, სტალინი აღადგენს ჩეხოვის უ ნ ტ ე რ ა რ ი შ ი ბ ე ე ვ ი ს სახეს. იმ პრიშიბევევისა, რომელიც კანონის სახელით უკრძალავდა მცხოვრებლებს თავისუფალ მოქმედებას, თავის შეყრას, სიმღერას და სიცილსაც კი:

„რა შეიძლება იყოს საერთო უნტერ-პრიშიბევეის ამ „პოლიტიკასა“ და პარტიის პოლიტიკას შორის, რომელიც ემყარება ნებაყოფლობას და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებას საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში?—კითხვლობს ამხანაგი სტალინი და უპასუხებს,—ცხადია, რომ მათ შორის საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს.“

ვის სჭირდება ეს გამარუდებანი, საკოლმეურნეო მოძრაობის ეს ჩინოვნიკური დეკრეტირება, ეს არასაკადროსი მუქარა გლეხების მიმართ? არავის ჩვენი მტრების გარდა.<sup>1</sup>

დაუეიწყარია საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობაზე სტალინის მოხსენების ის ადგილი, სადაც იგი მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებს, რომელთაც აშინებდათ ყოველივე, რაც სცილდებოდა თვითღინების ფარგლებს, ადარებს

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 646 — 647.

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 379, მე-11 ქართ. გამოცემა.

ჩეხოვის ცნობილ გმირს, დამბეზღებელ და გამცემ ბელიკოვს:

„ისინი (მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები, ო. ხ.),—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—დაავადებულნი არიან იმავე ავადმყოფობით, რომლითაც ავად იყო ჩეხოვის ცნობილი გმირი ბელიკოვი, ბერძნული ენის მასწავლებელი, ფუტლარის კაცი. გახსოვთ ჩეხოვის მოთხრობა „კაცი ფუტლარში“? ეს გმირი, როგორც ცნობილია, ყოველთვის, სიცხესა თუ სიცივეში, დადიოდა კალოშებში, დაბამბულ პალტოში და ქოლგით. „რათ გესაჭიროება, გეთყუა კალოშები და დაბამბული პალტო ივლისში, ასეთ პაპანაქებაში?“ ეკითხებოდნენ ბელიკოვს. „ყოველ შემთხვევისათვის,—უპასუხებდა ბელიკოვი,—ვინ თუ რამე მოხდეს: ერთბაშად ყინვები რომ დაიჭიროს, მერე რაღა ექნა?“ (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი). შას შავი ჰირივით აშინებდა ყოველი ახალი, ყოველი ის, რაც გამოდის უფერული ობიექტურად ცხოვრების ჩვეულებრივი ფარგლებიდან. გახსნეს ახალი სასადილო,—ბელიკოვი უკვე ძრწის „ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება კარგიც იყოს სასადილოს გახსნა, მაგრამ ფრთხილად, ვინ თუ ცუდი რამე გამოვიდეს“. მოაწყვეს დრამატული წრე, გახსნეს სამკითხველო,—ბელიკოვი კვლავ ძრწის: „დრამატული წრე, ახალი სამკითხველო,—რა საჭიროა ეს? ფრთხილად, ვინ თუ ცუდი რამე გამოვიდეს“. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

ოგივე უნდა ითქვას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერების შესახებ. გახსოვთ სამეურნეო სახალხო კომისარიატებისათვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების გადაცემის ისტორია? ჩვენ გვსურდა სულ ორი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი გადაგვეცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის. საჭმე, თითქოს პატარაა, მაგრამ მემარჯვენე უკლო-

ნისტების მხრით ჩვენ თავსაწირულ წინააღმდეგობას წაგაწყდით. „ორი უმაღლესი სასწავლებლის გადაცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის? რისთვის არის ეს საჭირო? უკეთესი არ არის დაეცადოთ? ფრთხილად, ვინ თუ ცუდი რამე გამოვიდეს? ამ განზრახვიდან“. ახლა კი ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი ჩვენში გადაცემულია სამეურნეო სახალხო კომისარიატებზე. და არა უშავს რა, ეცოცხლობთ.

ან იღუთ, მაგალითად, კულაკების წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღების საკითხი. გახსოვთ, რა ისტერიკას გვიწყობდნენ ჩვენ ამის გამო მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები? „საგანგებო ზომები კულაკების წინააღმდეგ? რისთვის არის ეს საჭირო? უკეთესი არ არის კულაკების მიმართ ლიბერალური პოლიტიკა დაწარმოოთ? ფრთხილად, ვინ თუ ცუდი რამე გამოვიდეს ამ განზრახვიდან“. ახლა კი ჩვენ ვახორციელებთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას,—პოლიტიკას, რომელთან შედარებით კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღება სულ უშინაშენლო რამაა. და არა უშავს რა, ეცოცხლობთ. ან, მაგალითად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკითხი. „საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები? რისთვის არიან ისინი საჭირო? რა გეჭკარება? ფრთხილად, ვინ თუ ცუდი რამე გამოვიდეს ამ საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან“. და სხვა და სხვა.

აი ეს შიში ახლის წინაშე, ახალი საკითხებისადმი ახლებურად მიდგომის უუნარობა, ეს ძრწოლა—„ვინ თუ ცუდი რამე გამოვიდესო“—ფუტლარის აღამიანის ეს თვისებები უშლიან ხელს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს ნამდვილად შეუერთდნენ პარტიას.

ფუტლარის აღამიანის ეს თვისებები

განსაკუთრებით სასაცილო ფორმებს ლებულობენ მათში სიძნელეთა წამოკრის დროს, ჰორიზონტზე პაწაწინტელა ღრუბლის გამოჩენის დროს. ეთქვათ, ჩვენში სადმე შეიქმნა სიძნელე, დაძრკოლება, — ისინი უკვე ძრწინან: ვაი თუ ცუდი რამე გამოვიდეს. სადმე ზოკომ გაიჩუჩუნა, ჯერ ვერც კი მოასწრო ზეირიანად სოროდან გამოძრომა, — ისინი უკვე უკან იხევენ, სასოწარკვეთილებას ეძლევიან, იწყებენ მოთქმას კატასტროფაზე, საბჭოთა ძალაუფლების დაღუპვაზე. (ს ა ე რ თ ო ხ ა რ ხ ა რ ი). ჩვენ მათ ვამშვიდებთ, ვცდილობთ დაგარწმუნოთ, რომ აქ ჯერ კიდევ არაფერია საშიში, რომ ეს მხოლოდ ზოკოა, რომლის არ უნდა გეშინოდეს. მაგრამ რას გააწყობი ისინი განაგრძობენ თავიანთ მოთქმას: „როგორ თუ ზოკო? ეს ზოკო კი არა, ათასი გააფრთხილებული მხეცია! ეს ზოკო კი არა, უფსკრულია და საბჭოთა ძალაუფლების დაღუპვაა“. და იწყება ვაიუშველებელი...<sup>1</sup>

მორჩა. სურათი დასრულებულია. სახელი გამოჩნახული. ჩეხოვის ბელიკოვთან ასოცირებით ნათელი მოეფინა სახელგატეხილ მემარჯვენე ოპოზიციის მთელ საქმიანობას. „ფუტლარის კაცი!“ — აი ეპითეტი, რომელიც ღრმად ჩაერკო ბუხარინის ჯგუფის პოლიტიკურ დახასიათებას და ამ დამლით გაიკრა იგი სამარცხენო ბოძზე.

სტალინის შრომებში უხვად ვხვდებით კრილოვის იგავ-არაკებს. კრილოვის იგავ-არაკით „შეუღაბნოე და დათვი“ სტალინი ამხელს ბუხარინს და მის თანამოაზრეებს, რომლებიც კულაკობის სოციალიზმში შეზრდის „თეორიას“ ავითარებდნენ. ყბადაღებულ როზიტის მიმართ, რომელიც ცდილობდა გადაერჩინა ბუხარინი, რითაც მას „დათვეურ სამსახურს“ უწყევდა, —

სტალინი ამბობდა: „მოყვარე დათვე მტერზე უფრო საშიშიაო“.<sup>2</sup>

სტალინის ნაწერებში, გამოქვეყნებულია ოსტროვსკიც. შიხლიჩიშვილი ოლდა ტროცკი 1926 წელს თავის გამცემლურ სახეს ჯამბაზურად მალავდა და თავი ისე მოჰქონდა, თითქოს პარტიამ მას დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. ამხანაგი სტალინი ტროცკის ასეთ პროვოკაციულ გამოსვლას ოსტროვსკის ცნობილი კომედიის („В чужом пиру похмелье“) პერსონაჟის — ნასტასია პანკრატოვიენას პერეფრაზირებული გამოთქმით ამხელდა:

„მე ვფიქრობ, — ამბობდა სტალინი ამ შემთხვევის გამო, — რომ თუ საქმეში კარვად გავერკვევით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ცნობილი გამოთქმა ტიტ ტიტინზე უფრო ახლო მოუღდება ტროცკის: „Кто тебя Тит Титыч обидит? Ты сам всякого обидишь“ (ს ი ც ი ლ ი)<sup>3</sup>“.

თანამედროვე მხატვრული ლიტერატურიდან გარდა გორკისა, მაიაკოვსკისა, ირ. ვედოშვილისა და სხვა, ამხანაგი სტალინის ნაწერებში ნახვეთერენბურგსაც.

თავის კლასიკურ შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ იყენებს ერენბურგის ცნობილ ზღაპარს „უსკომჩელს“, რომლითაც იგი ამხელს და დასციინის ფანტაზიორებს და ყველა მათ, რომლებიც გატაცებული იყვნენ სწვადასხვა განუხორციელებელი პროექტების თხზვით.

„ვინ არ იცნობს „რევოლუციური“ შემთხვევლობისა და „რევოლუციური“ გეგმათშემოქმედების სენს, რომლის წარმოშობში წყარო არის რწმენა დეკრეტის ძლიერებისადმი, რომელსაც თითქოს შეუძლია ყველაფერი მოაწ-

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენ. საქ.“, გვ. 301-302-10 ქართ. გამოცემა.

<sup>2</sup> იხ. „Об оппозиции“, გვ. 53.

<sup>3</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 518 — 519, მე-10 ქართ. გამოცემა.

ყოს და ყველაფერი გარდაქმნას. რუსეთის ერთ-ერთმა მწერალმა, ი. ერენბურგმა თავის მოთხრობაში „უსკომჩელ“—(სრულყოფილი კომუნისტური ადამიანი) გამოსახა ტიპი ამ სენით შეპყრობილი „ბოლშევიკისა“, რომელმაც მიზნად დაისახა იდეალურად სრულყოფილი ადამიანის სქემის შედგენა და... „ჩაიძირა“ ამ „მუშაობაში“.

ამხანაგი სტალინი აქვე იძლევა ერენბურგის მოთხრობის შეფასებასაც:

„მოთხრობაში ბევრი რამ გადამეტებულია, მაგრამ უეჭველია ის, რომ იქ სწორად არის გადმოცემული ეს სენი“.<sup>1</sup>

სტალინის შრომებში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გარდა სერვანტესისა, გოეთესა და ჰაინესა შევხვდებით დასაუღეთ ევროპის ლიტერატურის სხვა კლასიკოსებსაც.

უღრმესი პოლიტიკური გააზრებით გამოყენებულია სტალინის ტექსტში უილიამ შექსპირის სახიერი გამოთქმები და ლიტერატურული პერსონაჟები. 1912 წელს, ლენაზე მომხდარ სროლის შემდეგ, მიუხედავად მეფის მთავრობის მკაცრი რებრესიებისა და „სისხლიან განკარგულებათა მუხრუჭებისა“, „მუშათა გამანთავისუფლებელი მოძრაობის მიწის ქვეშა ძალები“ (სტალინის გამოთქმა, ი. ხ.) მაინც არ სცბრებოდნენ. მოძრაობა ეკონომიური გაფიცვებიდან პოლიტიკურ გაფიცვებში გადადიოდა. პოლიტიკური გაფიცვები—მრავალრიცხოვან დემონსტრაციებში. ამის გამო სტალინი „ისინი კარგად მუშაობენ“ (გაზ. „ზეზდა“ 1912 წ.) სტალინი იყენებს შექსპირის ცნობილ გამოთქმას (ჰამლეტიდან) და აღტაცებით სწერს:

„ღიან, კარგად „სთხრის“ მუშათა

გამანთავისუფლებელი მოძრაობის „თხუნელა“.<sup>2</sup>

ამავე გამოთქმას „თხუნელა კარგად სთხრის“, სტალინი იყენებს 1912 წელს (იხ. გაზეთი „ახალი ცხოვრება“ № 20, 14 ივლისი).

სტალინის ტექსტში ნახავთ შექსპირის პერსონაჟებსაც. სტალინი „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“ იმათ წინამძღვე, რომლებიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის „თეორიას“ ავითარებდნენ, სტალინი წერდა, რომ „... ეს თეორია იძლევა სტიმულს კაპიტალზე არა აქტიური შეტევისათვის ცალკეული ქვეყნების მხრით, არამედ „საყოველთაო განკევანძვის მომენტის პასიური ლოდინისათვის; ვინაიდან ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს შორის ის ნერვაცია არა რევოლუციურ გაბედულობას, არამედ ჰამლეტურ ეპეებს: „ერთივე ვნახოთ; სხვებმა მხარი არ დავიჭიროთ“.<sup>3</sup>

როგორც ხედავთ, ორი სიტყვით „ჰამლეტური ეპეები“, სტალინი მკითხველში იწვევს ფართო ლიტერატურულ ასოციაციებს. ჩვენს თვალწინ დგება ჰამლეტი თავისი ცნობილი მონოლოგით („ყოფნა არყოფნა—საკითხავი აი ეს არის“). ჰამლეტის სახეზე მითითებით, სტალინი ნათლად გვიჩვენებს სექვტიკოსების მთელ მერყეობას და თავისი ძალებისადმი შეეჭვებას.

სტალინის ტექსტში გაცოცხლებულია ძველი ისტორიის რომელი სენატორის მენენიუს აგრიახის სახეც, რომელიც შექსპირს გამოყვანილი ჰყავს

<sup>1</sup> ამ სიტყვებით ჰამლეტი მიმართავს თავისი მამის აზრდობს: „მიწის ქვეშეთის თხუნელავ, შენ კარგად სთხრის“.

<sup>2</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 130, მე-11 კართ. გამოცემა.

<sup>3</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 92, მე-10 კართ. გამოცემა.

თავის „კორიოლანოსში“ როგორც რომელი ტრიბუნი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> რათა დაიცივას რომელ სენატორთა ინტერესები, მენენიუს აგრიპა, შექაპირის გადმოცემით, შემდეგ იგავს მოუთხოვს აჯანყებულ რომაელებს:

„ერთხელ სხეულის ნაწილები  
აჯანყდნენ თურმე  
ყველანი მუცლის წინააღმდეგ;  
დაუწყეს კიცხვა;  
ნებიერად, უქმად შუაგულში  
ვაწოლილხარო  
და ხარზად სიძველეთაგ საკმელ-სასმელს,  
არვის რას გეშველი;  
ჩვენ ვართ, რაცა ვართ! ვმზადდებლობთ,  
გვრძნობთ,

ვისმნეთ, ვმოძრაობთ,  
ვფიქრობთ, ვაზროვნობთ  
და ერთიერთის დახმარებითა  
განვაგებთ ტანის სულებს  
და ხორციელს საქმეს...“  
მუცელმა...

დარბაზილურად უყო პასუხი:  
„მართალი არის ჩემო თანამონაწილერო,  
— წარმოთქვა იმან, —

რომ პირველად საზრდოს მე ვიღებ,  
რომლითაც კოცხლობთ თქვენ ყველანი,  
მაგრამ ეს უნდა

ასეცე იყოს,  
რადგანაც მე საუკუნოა ვარ  
მთელის ტანისა და,  
თუ ხსოვნამ თქვენ არ ვიმტყუნათ,  
გეკოდიანებათ, რომ ამ საზრდოს  
სისხლის ძარღვებით,  
მზვეულ-მზვეულ მიღებით  
სხეულში ვფანტავ,

ვაწოდებ ველსა, ვაწოდებ ტვივს  
და ყოველივე —  
ძლიერი ნერვიც, მცირე ასოც  
— ჩემითა სიკოცხლობს.

... თუმცა ყველანი ვერა მხედავთ  
ერთბაშად იმას,  
რასაც ვიგზავნით სათითაოდ,  
მაგრამ ვარწმუნებთ...

... განმტკიცულ ფტვილს  
თქვენ ვინაწილებთ,  
ჩემთვის კი მარტო ვიტოვებ ქატოს“.

აჯანყებულ რომაელთა შეკითხვაზე, თუ რად დასპირდა მას ამ იგავის მოყვანა, მენენიუს აგრიპა უპასუხებს:

„რომის კეთილი სენატორნი  
უდრიან მუცელს  
და თქვენ სხეულის შფოთიან წვერითო...“

სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი“ ამხანაგი სტალინი საერთაშორისო, სოციალ-დემოკრატიისა — ვაჟა-ფშაველასტური ბურჟუაზიის პოლიტიკური ფილოსოფიის იმის შესახებ, რომ თითქმის პროლეტარიატს არ შეუძლია გაძლება ბურჟუაზიოდ, — ადარებს მენენიუს აგრიპას ზემოთმოყვანილ უმსგავს და გაცვეთილ „თეორიას“ და სწერს:

„ძველი თეორია“ იმის შესახებ, რომ ექსპლოატირებულთ არ შეუძლიათ გაძლება უექსპლოატატორებოდ, ისე როგორც თავსა და სხეულის სხვა ნაწილებს არ შეუძლიათ გაძლება უკუ-კოლ, — არ წარმოადგენს მარტო ძველი ისტორიის ცნობილ რომაელი სენატორის მენენიუს აგრიპას საკუთრებას. ეს „თეორია“ ამჟამად წარმოადგენს საერთოდ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური „ფილოსოფიის“ განსაკუთრებით — იმპერიალისტური ბურჟუაზიასთან კოალიციის — სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ქვა-კუთხედს. ეს „თეორია“, რომელმაც ცრუ-რწმენის ხასიათი მიიღო, წარმოადგენს ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გარევოლუციონერების გზაზე. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ „ყალბ“ თეორიას“.

ამგვარად დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ლიტერატურული სახეები და პერსონაჟები სტალინის შრომებში ახალი ძალით სდგებიან. ჰამლეტის სახის საშუალებით სტალინი დასციენის ხალხის მტრებს, რომელთაც ეჭვი შეჰქონდათ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. შექსპირის მეორე პერსონა-

<sup>1</sup> ი. ს. ტ. ა. ი. ნ. „ლენინის ხსენებები“, გვ. 245, მუ. 10 ქართ. გამოც.



ვის, — მენენიუს აგრიპას სახით სტალინი მკვეთრად გამოხატავს სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ფილოსოფიის მთელს სიბეჩავესა და უსუსურობას. შექსპირის სახიერი გამოთქმით „თხუნელა კარგად სთხრის“, სტალინი თვალნათლივ წარმოგვიდგენს მუშათა გამათავისუფლებელ მოძრაობის „მიწისქვეშა ძალეების“ მთელ მუშაობას. შექსპირის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი სტალინის მიერ ჩაყენებულია თანამედროვეობის დიადი მიზნების სამსახურში, პარტიის გენერალური ხაზის სამსახურში და სტალინის ტექსტში იგი ბოლშევიკური პუბლიცისტიკის გარკვეულ ფუნქციას ასრულებს...

სტალინის ნაწერებში შეხვდებით დიდ იტალიელ მწერალს დანტეს. სტატაში „ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი“, სტალინი ამხელს ზოგიერთ ამხანაგს, რომლებიც იმის მაგიერ, რომ ნიდაბი ჩამოგლიჯონ ოპოზიციის გაიძევრებს, თვითონ „ცეკვეენ ოპოზიციის დუდუკზე“ და მოუწოდებს მათ დანტეს სიტყვებით: „იარე შენი გზით და, დაე, ადამიანებმა რაც უნდათ, სთქვან“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 254, მე-11 რუსული გამოცემა. ცნობილია, რომ დანტეს ამ სიტყვებით ამთავრებს მარკია თავისი „კაპიტალის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ლენინიზმის საკითხებს“ ქართულ გამოცემებში ეს სიტყვები დამახინჯებულია და გაგმნილი. იქ ნათქვამია: „იარე შენი გზით და, დაე, ხალხმა რაც უნდა, ის სთქვას“ (ხაზი ჩემია, — ა. ხ.), რაც არ არის სწორი. იგი ძალზე ამახინჯებს სტალინურ აზრს. სტალინი, რომელიც თავის გამოსვლებში მუდამ გვასწავლის „ყური მიუღდეო მასებს, იარეთ ხალხთან ერთად და იბრძოლეთ მის რიგებში“, რა თქმა უნდა არ უნდოდა ამის თქმა. და სტალინი არც უთქვამს ეს სიტყვები. სტალინი სთქვა: „Следуй своей дорогой и пусть люди говорят что угодно“. როგორც ხედავთ, აქ ლაპარაკია ადამიანებზე და არა ხალხზე.

ბრწყინვალედ იყენებს სტალინი იბსენის გმირებსაც.

ცნობილია, რომ „გოგოლოვს“ ლენინურ გეგმას, „კაპიტულანტურა“ ლენინის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანებს ისახავდა, იუდა ტროცკი უარყოფითს შეფასებას აძლევდა და მის ნაცვლად თავის უბადრუკ „კაპიტულანტურ“ გეგმას აყენებდა.

როცა ქვეწარმავალი ტროცკი წინააღმდეგ „გოგოლოვს“ ლენინური გეგმისა, თავის უბადრუკ კაპიტულანტურ გეგმას აყენებდა, ამხანაგი სტალინი თავის წერილში ლენინისადმი დასცინის ტროცკის ამ საქციელს და იბსენის სახის მეშვეობით ამხელს მის მუასაუქუნეებისდროინდელ შინამრწველის მანებლურ გეგმებსა და მისწრაფებებს:

„... რა უბადრუკობაა, რა ჩამორჩენილობაა გოგოლოვს გეგმასთან შედარებით. საშუალო საუკუნის დროინდელი შინამრწველი მას იბსენის გმირად ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც მოწოდებულია „იხსნას“ რუსეთი ძველის-ძველი საგით...“

სტალინის გამოსვლებში გაცოცხლებულია ალფონს დოდეს ტარტარენ-ტარასკონელი.

1927 წელს ოქტომბრის ზეიმზე ჩამოსულმა უცხოელ მუშათა დელეგატებმა სთხოვეს სტალინს გამოეთქვი აზრი თავის დამოკიდებულებაზე „ოპოზიციისადმი და რუტ ფიშერ-მასლოვის მიმართულებისადმი გერმანიის“.

ამხანაგმა სტალინიმა ოპოზიციის ამ უბადრუკ ლიდერებთან თავისი დამოკიდებულების სახიერად გადმოცემისათვის დაიხმარა ალფონს დოდეს ცნობილი ლიტერატურული გმირის, ტარტარენ ტარასკონელის სახე:

„ჩემი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და მისი აგენტურისადმი

გერმანიაში ისეთივეა, როგორცაა ცნობილ ფრანგ რომანტიკოს ალფონს დოდეს დამოკიდებულება ტარტარენ ტრასკონელისადმი (მხიარული გაცხოველება დელეგატებში). თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ ალფონს დოდეს ეს შესანიშნავი რომანი ტარტარენ ტრასკონელზე.

ამ რომანის გმირი ტარტარენი იყო, არსებითად, ჩვეულებრივი „კეთილი“ წვრილი ბურჟუა. მაგრამ მას ჰქონდა ისეთი დიდი ფანტაზია და „კეთილსულოვან ცრუობის“ ნიჭი იმდენად განვითარებული იყო მასში, რომ ის ბოლოს და ბოლოს გახდა ამ მშვეთხე თვისებების მსხვერპლი. ტარტარენი ტრაბახობდა და არწმუნებდა ყველას, რომ ატლასის მთებში მან მოკლა აუარებელი ლომი და ვეფხვი. ამისათვის ტარტარენის გულუბრყვილო მეგობრებმა მას უწოდეს მსოფლიოში პირველი მონადირე. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც დანამდვილებით იცოდა თვით ტარტარენმა, რომ ტარტარენს თვალთაც არ უნახავს არც ლომები და არც ვეფხვები. ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ის ავიდა მონბლანზე. მისმა გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი ალბინისტი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, რომ ტარტარენს არავითარი მონბლანი არასოდეს არ უნახავს, ვინაიდან ის იყო მხოლოდ მონბლანის კალთებზე. ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ მან დააარსა უდიდესი კოლონია საფრანგეთიდან დაშორებულ ქვეყანაში. გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი კოლონიზატორი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა ისე, როგორც თვით ტარტარენს უნდა აღეარებინა, რომ

ტარტარენის ზრახვებიდან კონფუზის გარდა არაფერი გამომდინარეობდა.

თქვენ იცით, რა კონფუზში და სკანდალურ მდგომარეობებში მყოფი ტრასკონელები ტარტარენის ფანტასტიურმა ტრაბახმა.

მე ვფიქრობ, რომ ობოზიციისათვის ასეთივე კონფუზით და სკანდალით დამთავრდება ობოზიციის ლიდერების ტრაბახი და აურზაური, რომელიც მათ ასტეზეს მოსკოვსა და ბერლინში (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი)“<sup>1</sup>.

მხატვრული ლიტერატურის გარდა სტალინი სარგებლობს მითოლოგიურ მასალებითაც. სტალინის ტექსტში ნახვით მითოლოგიურ გმირს ჰეროსტატეს, რომელმაც თავის გამოჩენის მიზნით, სახელის მოპოვებისათვის, ეფესუსში გადასწევა დიანას ტაძარი. ჰეროსტატეს სახით სარგებლობს სტალინი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მოითხოვდნენ დაგვენგრია და დაგვენშალა ჩვენი სახალხო მეურნეობის ჯერ კიდევ არარენტაბელური საწარმონი, რომლებიც რენტაბელობას უყურებდნენ „ჩარჩულად“, „ახლანდელი წუთის თვალსაზრისით“ და არა „საერთო სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, რამდენიმე წლის ვარაუდით“. ასაბუთებდა რა ამ ადამიანების პარტიული გეზიდან გადახვევებსა და მავნებლურ მოთხოვნებს, ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„და აი, თურმე არიან ქვეყნად ისეთი ადამიანები, რომელნიც მოითხოვენ, რომ ეს საწარმონი ერთბაშად რენტაბელური გახდნენ, ხოლო თუ ისინი ერთბაშად ვერ გახდებიან რენტაბელური, დავანგრიოთ და დავშალოთ ისინი. განა ცხადია არ არის, რომ ჰეროსტატეს დაფნის გვირგვინი ძილის

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინის საკითხები“, გვ. 353 — 354, მეცხრე ქართული გამოცემა.

უფროსობას ამ ახირებულ ადამიანებსა.<sup>1</sup>

სტალინის ტექსტში შეხედებით ბერძენთა მითოლოგიური მეფეს ავეგოსს, რომლის თავლები არასოდეს არ იწმინდებოდა სიბინძურისაგან და რომლის გაწმენდა, ლეგენდარული გადმოცემით, ბერძენთა ცნობილ მითოლოგიურ გმირს—ჰერკულესს ხვდა წილად.

თავის ეპოქალურ შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ეხება რა მეორე ინტერნაციონალში გამეფებულ ძველს დაქანგულ და მოძველებულ ბრძოლის მეთოდებს, ცოცხალ რევოლუციურ ბრძოლას მოწყვეტილ დახვესებულ დოგმებს, რომლებიც „აშკარად უფარვისი და უძლური აღმოჩნდა ყოველის შემძლე ფინანსიური კაპიტალის წინაშე“, ამხანაგი სტალინი წერს:

„II ინტერნაციონალის ავეგოსის თავლების გენერალური შემოწმება, გენერალური წმენდის საპატიო საჭმე წილად ჰხვდა ლენინიზმს.“<sup>2</sup>

დაუეწყარია სტალინის მიერ ძველი ბერძენთა გმირის ანთოსის შედარება ბოლშევიკებთან.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სანამ ბოლშევიკები ინარჩუნებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან, ისინი უძლეველი იქნებიან. და, პირიქით, საკმარისია ბოლშევიკები მოსწყდნენ მასებს და დაჰკარგონ მათთან კავშირი, რომ მოედოს მათ ბიუროკრატიული ენაგი, დაჰკარგონ ყოველგვარი ძალა და არარაობად გადაიქცნენ. რომ ამ აზრისათვის მეტი სახიერება და კონკრეტობა მიეცა, ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ძველ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰყავდათ ერთი სახელგანთქმული გმირი—ანთოსი, რო-

მელიც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის—ზღვათა ღმერთისა და გეის—მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი ჰშობა, გამოკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებოდა მას, ამ ანთოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მღვდომარეობდა მისი ძალა. იგი მღვდომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც ჰშობა და გამოკვება იგი და ახალ ძალას ღებულობდა, მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი—ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტის საშეშროება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უღარაჯებდნენ მას. და აი, გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი. მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დააზარა იგი ჰაერში.

ეფექტობ, დაასვენის ამხანაგი სტალინი, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს ანთოსს, ისინიც ისევე, როგორც ანთოსი, ძლიერი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი ჰშობეს, გამოკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველნი დარჩნენ“.<sup>1</sup>

როგორც ხედავთ სტალინის ბაგეთაგან ძველი ბერძენთა მითოლოგიური გმირი ანთოსი, ახალი ძალით გა-

<sup>1</sup> ი. ს. ტ ა ლ ი ნ ი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 589, მე-10 კართ. გამოც.

<sup>2</sup> ი. ს. ტ ა ლ ი ნ ი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 16, მე-10 კართ. გამოც.

<sup>1</sup> ი. ს. ტ ა ლ ი ნ ი, „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალშიაქვთა ლევიდაციის ღონისძიებებზე“, გვ. 61 — 62.

ცოცხლდა. ძველი ფორმა ახალი შინა-  
არსით გამდიდრდა. ახალმა მაღალმა  
იდეამ აამღალა და გადაახალისა ძველი  
ფორმა. სტალინის მიერ ხე გენიალურად  
შერჩეულ და თავისებურად გააზრე-  
ბულ და გაშინაარსებულ მითოლო-  
გიურ გმირის, ანთეოსის მაგალითზე  
ისე თვალსაჩინოდ და სახობრევად  
არის წარმოდგენილი ხალხის მასებთან  
ბოლშევიკების მჭიდრო კავშირის აუ-  
ცილებლობის იდეა, თვით მითოლოგი-  
ური გმირის ანთეოსის სახე ისე ორ-  
განულად არის შერწყმული ამ იდეას-  
თან, რომ გეგონებათ მითიური გად-  
მოცემა გმირ ანთეოსზე თითქოს  
სტალინური იდეის სრულქმნილად გად-  
მოცემისათვის აყო შექმნილი ძველი  
ბერძნების მიერ.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რა დი-  
დი როლი აქვთ დაკისრებული მხატვ-  
რულ ელემენტებს სტალინის პუბლი-  
ცისტიკაში, როგორ ოსტატურად იყუ-  
ნებს ამხანაგი სტალინი მხატვრული  
ლიტერატურის შემკვიდრეობას კაცობ-  
რიობის პროგრესიულ იდეების სამსა-  
ხურში, ჩვენი რევოლუციური პრაქტი-  
კის სამსახურში, ლენინური პარტიის  
გენერალური ხაზის სამსახურში. რო-  
გორ მხილდებიან და გამანადგურებე-

ლი სატირის გესლით იმსჯელებიან  
სტალინის ტექსტში ლიტერატურული  
ციტატების საშუალებით მასშტაბის წყე-  
ული ხალხის მტრების, მუშათა კლასისა  
და რევოლუციის მოღალატენი, ყო-  
ველგვარი ჯურის ოპორტუნისტები,  
თანამედროვე „ღონ-კიხოტები“, „სან-  
ჩო-პანსები“, „უბრძნესი პესკარები“,  
„პომადურები“, „ფუტლარის კაცები“  
და სხვა დრომოკმული ფორმები.

დავინახეთ, რომ მხატვრული სახე,  
ლიტერატურული ციტატა სტალინის  
პიზულებებში წარმოდგენს ბოლშე-  
ვიკური აგიტაციის უმკვეთრეს იარაღს.  
ზოგჯერ ლიტერატურული ციტატა  
ჩართულია სტალინის ტექსტში, რო-  
გორც პოლიტიკური მოვლენის, პო-  
ლიტიკური მოწინააღმდეგის მკვეთრად  
გამიშვლების საშუალება, ზოგჯერ  
რაც—როგორც საკუთარი არგუმენტა-  
ციის ილუსტრაცია.

ყველა შემთხვევაში ამხანაგი  
სტალინი მხატვრულ ლიტერატურულ  
სახეებს უმორჩილებს ბოლშევიკურ  
პუბლიცისტიკას და ამ მისთვის ახალი  
ფუნქციით ეს სახეები წარმოდგენენ  
მასების პოლიტიკური აღზრდის უმ-  
ძლავრეს საბრძოლო იარაღს.

## ალექსანდრე აბაშელი



1944 წლის ოქტომბერში, როდესაც ჯერ კიდევ ომის ხანძარი მძვინვარებდა, ალექსანდრე აბაშელს დაბადების 60 წლისთავისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავის იუბილე გადაუხადეს. თავისი ცხოვრების ყველაზე მძაფრს, სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტს ვითარებაში მისცა ჩვენმა ხალხმა მაღალი შეფასება ალ. აბაშელის ღვაწლს. ეს ამიტომ, რომ სწორედ სამამულო ომის შრომის ხანა დღეებში მისმა პოეტიამ მტერი მგზნებარება და ცხოველყოფილობა მოიპოვა, ამდღა მისი ღვაწლის ზემოქმედებითი ძალა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, იგი განუყოფელად შეუსისხლბორცდა იარაღის ხმული საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებას.

სამამულო ომის წლებში ალ. აბაშელი შთაგონებულად ასახავდა და აღიღებდა ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობასა და თავდადებას, დაუცხრომლად მღეროდა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების წრფელ საგალობელს. მისი მომწოდებელი, საგმირო-საქმეებისათვის აღმაგზნებელი პოეტური სიტყვა ღრმად წვდებოდა ფრონტისა თუ ზურგის მებრძოლთა გულს, ცხოველ გამოცახილს პოულობდა ხალხში. ეს იყო პოეტის ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე ბრწყინვალე ეპიზო-

დი, რომელმაც ნათლად გვიჩვენა, რომ ხანდაზმულობას გავლენა ვერ მოუხდენია პოეტის შთაგონებაზე, ვერ შეუწინებია მისი გულისძგერა, პირიქით, რაც დრო გადის, მეტის სისივსით და ორგანიულობით ეუფლება ალ. აბაშელის პოეზიას ჩვენი გმირული ეპოქის სული.

ამიტომაც არავეისათვის ყოფილა მოულოდნელი და გასაკვირი, როდესაც თავის საიუბილეო საღამოზე ღვაწლად წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში ალ. აბაშელმა სთქვა:

„მეშინ მებრძოლი დღის მოწოდება:  
სჭრიდეს კალამი, როგორც ხანჯალი!  
კადვე მიწვეია გულში ზოდებად  
ღვაწლის ოქრო დაუხარჯავი“.

რაც დრო გადის, უფრო მეტის დაძაბულობით უსმენს და მეტის თანხმობაზე მოვიხდებით პასუხობს ალ. აბაშელი ჩვენი მებრძოლი თანამედროვეობის მოწოდებას. სწორედ ამ გზით მოიპოვა მისმა პოეტიამ ნამდვილი რეალისტური ძეგრა, ცოცხალი სინამდვილის წიაღიდან მოსული თემებისა და სახეების სამყაროთი გამდიდრდა იგი.

თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უკანასკნელ პერიოდში ჩაწვედა მთელი სიღრმით ალ. აბაშელი ჩვენი დროის დიად სიმართლეს, რამაც ახალი ნათელი მოპვინა და ახალი სიცოცხლე შთაბერა

მის პოეზიას. ამასთანავე ალ. აბაშელის პოეტური ინდივიდუალობისათვის უცხოა ისეთი ლირიკული აღზნება, რომელიც უეცრად იფეთქებს და დაცხრება ხოლმე, რომელიც ერთბაშად „დახარჯავს“ შემოქმედის გულში დაგროვილ „ლექსების ოქროს“ და შემდეგ ამ პირველი ელვარების გამოწამოშვებით ცხოვრობს.

ალ. აბაშელი, პირველ ყოვლისა, ფხიზელი შემოქმედი, რომელიც დაუსრულებელივ ამაღიდრებს თავის შთაგონებას ცოცხალი სინამდვილის გრძნობით. იგი უპირატესად აზრისა და რწმენის პოეტია, რომელიც „გონების თვალთ“ შეპყურებს სამყაროს. გრძნობად-ემოციური მის პოეზიაში ყოველთვის აზრის ასპექტით არის განათებული. აზრობრივისა და გრძნობადის მუდმივს შეთანაბრებაში მდგომარეობს ალ. აბაშელის პოეტური ბუნების ერთი ძირითადი თავისებურება. ამიტომაც მისი პოეტური სამყარო ღრმა შინაგანი კანონზომიერებით არის მოწყობილი. მის პოეზიაში ჩვენ ვერაფერს ვპოუვთ შემთხვევითსა და მოულოდნელს, ალოგიკურსა და აუხსნელს, ბუნდოვანსა და გაუგებარს. თავისი აზროვნებისა და შემოქმედების განვითარებაში მას აქვს გარდატეხათა პერიოდები, მაგრამ მისთვის უცხოა „გაორება“, სულიერი მთლიანობის რღვევა. მაშინაც კი, როცა პოეტი უმძაფრეს სულიერ ღრამას გამოხატავს, უკიდურესი უიმედობისა და სასოწარკვეთილების ტკივილებს გადმოგვცემს, იგი ახერხებს შეინარჩუნოს მკვრეტელი და მოაზროვნე შემოქმედის მდგომარეობა, შინაგანი მთლიანობა და წონასწორობა.

მისი სულიერი სამყაროს ეს თვისებანი გამოხატულებას პოულობენ პოეტური ფორმის სფეროშიაც. აქაც ყველაფერი ღრმად მოფიქრებულია. იგი

ფლობს ფერების ზუსტად განაწილებისა და შეზავების ხელოვნებას. მას უაღრესად გამახვილებული პოეტური სმენა ახასიათებს. ამიტომაც მასი ლექსი ყოველთვის კეთილშობილურად ქდერს მელოდიურობით არის გამსჭვალული. ალ. აბაშელის პოეტური ოსტატობა უტყუარ გემოვნებასა და ლექსის მაღალ კულტურას ემყარება. პოეტური გამოსახულების საშუალებათა სფეროში მას იშვიათად თუ უპოვნით დისპროპორციებს, „ჩაფრინილ სტრიქონებს“, ცარიელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს თუ სახეებს — ე. წ. „პოეტურ შპონებს“. სახეობრივი სისტემა მის ლექსებში ყოველთვის აზრობრივი შინაარსით არის ნაკარნახევი და განპირობებული.

ალ. აბაშელი მე-20 საუკუნის ქართული ლექსის უპირველეს ოსტატთა პლეადას ეკუთვნის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ფორმირებაში.

ჩვენთვის უცნობია ალ. აბაშელის ლიტერატურული მოწაფეობის, პოეტური ვარჯიშისა და წრეთნის პერიოდი. 25 წლის კაბუკი შემოვიდა იგი ქართულ პოეზიაში და თავის პირველსავე ლექსებში გამოჩნდა, როგორც უკვე დავაყვანილი პოეტური ხმის, საკუთარი მსოფლმხედრობის, თავისი ღრმა ინდივიდუალური აქცენტისა და თემატიკური სამყაროს მქონე ხელოვანი. უკვე მაშინვე მოიპოვა მან აღიარება და მოწონება, მტკიცედ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში.

მას შემდეგ პოეტმა ვრცელი და რთული, ღრმა წინააღმდეგობებით მოცული, მაგრამ თანმიმდევრულად აღმავალი შემოქმედებითი გზა განვლო. ამ გზის ღირსეულ დაგვირგვინებას მისი დღევანდელი პოეტური მოღვაწეობა წარმოადგენს.

ახლა ალ. აბაშელი ჩვენი აღორძინებული სამშობლოს, ჩვენი დიადი თანამედროვეობის დაუცხრომელი მხატვარი და მეხოტბეა. თავის ახლანდელ უმაღლეს ოცნებას პოეტი ამგვარად გამოხატავს:

„ქროდეს ნიავი, ბალი მღვროდეს,  
ჩემიც ისმოდეს მწყობრში ძაბილი,  
ჩვენს წმინდა კერას მზე დასცქეროდეს,  
სამარადისოდ ნისლედადყრილი,  
და შემოსილი მზითრი ალით,  
თოვლიან მთებით ცაღვე ასული,  
ბრწყინავდეს ქართლი—ფიჭუნის თვალი,  
კავკასიონის ბოლოში ჩასმული“.

შემოქმედებითი ცხოვრების ამ სიმალლიდან ახლა პოეტი გაბედულად თვალს უსწორებს საკუთარ წარსულს და სრული უფლებით ამბობს:

„სხივი და ჩრდილი ვარდასულ დღეთა  
მე ჩემს ლექსებში დავაბინავე,  
ახლა მომავალ დღეებსაც ვებუდე,  
არწივებზეთ რომ მოფრინავენ“.

მართლაც სხივისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის შეურიგებელი ჭიდილი დიდხანს შეადგენდა ალ. აბაშელის პოეტური მსოფლშეგრძნობის საფუძველს და განსაზღვრავდა მისი პოეზიის თემებისა და სახეების თავისებურებას. დიდხანს პოეტი ბოლმითა და გულისწყრომით აღსავსე ჰანგებში დასტიროდა ნათელის ჩაქრობას, წყვილიადის ზეიმს, მიილტვოდა მზის წიაღისაკენ. ქვეყნად დამკვიდრებული ბნელეთის უძლეველობის შიშით შეპყრობილ მას ხშირად უცდია გაქცეოდა მიწიერ სამყაროს და ზეციურ ლავარდებში ვადაბნინულიყო. უიმედობისა და სასოწარკვეთის ბურუსით მოცულმა, მან ერთბაშად როდი იგრძნო და განიცადა თავისი ქვეყნის ცხოვრებაში ნათელი და მზიური საწყისის საბოლოო და გარდაუვალი გამარჯვება, მაგრამ, როდესაც ახალი ცხოვრების შარავან-

დღემა ძლევაშოსილად შეანათა პოეტის სულიერ სამყაროში, ალ. აბაშელი/ღრმა ჩრქვნით და წრფელი პოეტური განწყობით ამეტყველდა ქვეყნად მსოფლიო მარადიული ვაზაფხულის სადიდებლად. სწორედ ამ სიმღერებში აღწევს პოეტი შემოქმედების უჩრდილო საზღვარს და ნამდვილ ზალხურობას.

საბჭოთა პოეზიის უპირველეს ოსტატებთან ერთად ალექსანდრე აბაშელი სთხზავს შთავგონებულ ჰიმნს ჩვენი დიადი აწყყოსადმი და ჩვენსკენ არწივებივით მფრინავი კიდევ უფრო საუღლოფილი და სხივმოსილი მომავლის დღეებისადმი.

\*  
\*  
\*

ალექსანდრე აბაშელის პირველი ლექსი „ზამთარი და ვაზაფხული“ 1909 წლით არის დათარიღებული. მასში დახატულია ალექსანდრე მნიშვნელობის სურათი, ნათელზე ბნელის გამარჯვებისა. ქვეყნად შავი წყვილიადის გაბატონებისა.

„მნათობთა მეფეს ცხოველმყოფელს,  
მზეს სხივიდადა,  
შავი ღრუბლების მძიმე გროვა  
ფეხარებოდა,  
ბნელი ზეწარი ვაგშალა  
ფართოდ წყვიდადა,  
სიციცხლეს ძალა შეუშინევილად  
ეპარებოდა“.

თავის ამ პირველ პოეტურ ნაწარმოებში ალ. აბაშელმა მკაფიოდ გამოხატა ის იდეურ-მხატვრული კონცეპცია, რომელიც საფუძვლად დაედო მისი ლექსების პირველ კრებულს „მზის სიცილი“.

„მზის სიცილის“ ლირიკული გმირი თავის სოციალური გარემოცვისადმი მღელვარე გულისწყრომით, შეურიგებელი უკმაყოფილებით არის მოცული. მას ვანუცდია ქვეყნის განახლება, ნა-

თელი რწმენით აღფრთოვანება, რომელიც ჩვენი საუკუნის დამლევმა მოიქცა. უნახავს ხალხის შიერ დიდი ხნის ნანატრი და ნაოცნებარი განთიადის ამობრწყინება, თითონაც უბრძოლია იმისათვის, რომ „შეგების დილა“ მოსულყო და დამკვიდრებულყო ხალხის ცხოვრებაში:

„შხსოვს დილა მოცემციმე,  
შეგების ცრემლით ანათოლო,  
ციურ მნათობს შესინოდა,  
უცუნეთიან შენაბრძოლი,  
წალკოტს გული მოგქარვა  
მივიდ წყობილ აღმას-ნამით,  
ირველივ არე მოხიბლული  
ნეტარება ღებნის წამით,  
მზის სხივებში ბანაობდა  
ვარდ-ზამზახი და ბილილა...  
შხსოვს დილა, შეგების დილა...“

მაგრამ „წამიერი“ გამომდგარა ეს ღებნა. „ქვესკნელთ სამყაროდან“ ამომტყდარა მძვინვარე ქარი, რომელსაც შეეღრუბელთა გროვა დაუჯახებია ახლად ამოსული მნათობისათვის:

„და დაბრძოლა შეგების დილა,  
წუთიერად ანათოლო,  
ციციდურზე გამოსახა  
შევი ღრუბლის შავი ზოლი...  
წალკოტს მკერდი დაუბნედა,  
ააილა ვერცხლის მივი  
და შესუღრა ირველივ არე,  
ჩაუფრფლა ზეცას სხივი,  
შავ-ბნელ ნისლში მოამწყველი  
ვარდ-ზამზახი და ბილილა,  
ჩაქრა დილა, შეგების დილა...“

ამ სიმბოლიური მნიშვნელობის სურათში გამოხატული აზრი საესეებით ნათელია, და გასაგები, ბუნების ნათელ და ბნელ, ბოროტ და კეთილსაწყისთა ამ დაპირისპირებაში პოეტი იმ დიდ სოციალურ მოვლენებს განასახიერებს, რომლებითაც ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წელი აღნიშნა.

1905-6 წლების რევოლუცია, ხალხის დიადი საბრძოლო აღფრთოვანება, აქ განცდილია და გამოხატული როგორც

„შეგების დილა“, როგორც რევოლუციის ცხოვრების განთიადი, სრულ რევოლუციის დამარცხება, რევოლუციის ძალთა დროებითი გამარჯვება, რევოლუციის ჩაქრობად, წყვედიადის ზეიმად არის დასახული.

ნათელისა და ბნელის სამკედრო-საციოცხლო ორთა ბრძოლის ეს მოტივი მრავალგვარი ვარიანტით არის განხორციელებული „მზის სიცილში“:

„ცას ვაეცინა, ეღვის ისარმა  
გაპო ღამე, პირქუში, ცივი,  
მაგრამ იმწამსვე ქვესკნელის ქარმა  
გაშალა ფრფები, გააჭრა სხივი.  
ღუმლით მოცულ ტბას ისევ სძინავს,  
ცა იცრემლება, ღამე ბნელი,  
ბოროტი სული დამარწის, დამფრინავს,  
არაიენ არის სიციცხლის მხნელი“.

სოციალური გარემო, საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე აქ ღუმლით მოცულ მძინარე ტბად, ბნელ ღამედ, ბოროტ სულთა სათარეშო ასპარეზად არის წარმოდგენილი.

სინამდვილის ამგვარი განცდა წარმოშობს იმ მძაფრ სულიერ დრამას, რომლის პოეტურ ანარეკლსაც „მზის სიცილი“ წარმოადგენს. სულის შემხუთეულ უბრაობად, მკედრულ სინამდვილედ, ღამის წყვედიად არის წარმოდგენილი ამ წიგნში სოციალური სინამდვილე, ქვეყნიური ცხოვრება:

„ღამის მნტიით შემოსუღრულს  
სძინავს სოფელსა,  
გლოვის სიმები მკედრულ სინამდვილეს  
დაუწყვეტია,  
შავ-ბნელით ქოვილი წამოქსამს  
უტყვე მინდორ-ველსა,  
რუც აღარ მოსთქვამს, მასაც სძინავს,  
ხმა გაქმენდია.  
ტყე არ შრიალებს უნიავო,  
შავად ფოთილი,  
თითქო სინამდვილთ მასაც გული  
დაოსებია,  
და თაქნაქნდრულ ტყეთა გროვა  
ნისლით მოსილი,



სალ-კლდეთ მონაბერ უძრავ აჩრდილო  
დამზავსებია“.

უძრაობით, იდუმალობით და შეუ-  
ვალ წყვილიადით მოცული ასეთი პეი-  
ზაჟი მკაფიოდ გვისურათებს ლირიკუ-  
ლი გმირის სულიერ განწყობილებას;  
პროტესტისა და უკმაყოფილების  
გრძნობას აქ ერთვის უიმედობისა და  
სასოწარკვეთილების განცდაც. ამ ლექ-  
სებით გმირი არა მარტო მტრისაგან  
ძლეულად, დამარცხებულად გრძნობს  
თავს, არამედ განიარაღებულადაც:

„მწუხრის ნისლი დამიჩრდილა  
გზა მზისაგან ვასაჯფო,  
მთის შავ ქედზე, შავ ღრუბლებში  
ჩახლართა სხივის ძაფი.  
ცის ენაშაპა დაატყვევა,  
სასოებით ვინც მიყვარდა  
და ხელიდან, მტრისგან ძლეულს,  
ბასრი ხმალი გამივიარა!“

აქედან ბუნებრივად იბადება სწრაფ-  
ვა აღამიანთა საზოგადოებისაგან გან-  
დგომისა და განმარტოებისა, წარმო-  
იშობა სულიერი ობლობის დრამა, ამ-  
ქვეყნიური, მიწიერი ცხოვრებისაგან,  
აღამიანური გარემოცვისაგან განკერ-  
ძოების ილუზია:

„იტალა თხემზე ანაფრენი  
მსუბუქ ნიავეთ,  
მსუბუქ ნიავეთ ცოდილ მიწას  
დაშორებული,  
ვიდექ ბედისა მომდურავი  
კაცთა სიავით,  
კაცთა სიავით ვულნატენი, დაღონებული“.

სასოწარკვეთილ, გულმოკლულ ამ  
აღამიანის სულიერ სამყაროს შავი აჩ-  
რდილი დაუფლებია, რომელიც ცასა და  
მიწას წალეკეთა და განადგურებით  
ემუქრება:

„და ცის წიაღში, ვარსკვლავთ შორის,  
შავი აჩრდილი,  
შავი აჩრდილი სიკვდილისა  
იხატებოდა,  
შავ სხივთ აფრქვევდა ცის კაბადონს  
ის ცელ-გაწვდილი  
და ცელ-გაწვდილი დედამიწას  
ემუქრებოდა“.

9. „მნათობი“, № 3,

ასე მძაფრად და ღრმად გამოიხატა  
„მზის სიცილში“ ის უიმედობისა და  
გულგატეხილობის განწყობილება, რომ-  
ელიც რეაქციის მძიმე ფაზის წლებში  
ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს  
დაეუფლა და რომელმაც ღრმა კვალი  
დააჩინა მეოცე საუკუნის პირველ ათე-  
ულ წლების ქართულ პოეზიას, სოცია-  
ლისტური რევოლუციის წინა პერიო-  
დის მთელ ქართულ ლიტერატურას.

„მზის სიცილის“ ავტორი ერთადერთ  
გამოსავალს იმაშიდა პოულობს, რომ  
„შავი აჩრდილის“ სამფლობელოდ ქვე-  
ულ ქვეყნიერებას გაექცეს და თავშე-  
საფარი სინათლისა და სითბოს დაუშ-  
რეტელი წყაროს — მზის წიაღში, ზე-  
ციერ სამყაროში დაიმკვიდროს. ასე  
იბადება მზის სადიდებლად აღვლენილი  
ჰიმნი, რომელიც ქვეყნიერი ცხოვრე-  
ბისადმი მიძღვნილი გლოვის ჰანგის  
პარალელურად გაისმის „მზის სიცილ-  
ში“. პოეტის უმღერის და აღიდებს  
მზეს:

„მზეე მშვენიერო, მნათობთ მეფე,  
ცხოველმყოფელო,  
სიციცხლის წყაროც, საკრთბეღლის  
ცეცხლო დიადო,  
ლაფვარდ სიერცეში ოქროს სხივთა  
ამირთოლებელო,  
სხივთან ზღვიო, ქვეყნის დილაე,  
ცის განთიადო!“  
„შენი მიღვივის გულში ცეცხლი  
აზვირთებული  
და შენს სხივებში ვაწნავ სულის  
სათოთ სიმებას,  
შენს სადიდებლად ვაქებ დილას,  
სულით შვებული  
და ღამის წყვილადს კენესით ვუმღერ  
გლოვის ჰიმნებსა“.

ასე დაუპირისპირა პოეტის ფანტაზი-  
ამ ქვეყნად გაიძვინვარებულ წყვილი-  
ადს — მზის წიაღი; მხოლოდ მზის სხივ-  
თა მანათობელ და მაციცხლებელ მო-  
რევში ეგულება ამ ლექსების გმირს  
მარადისობისა და უკვადავების საწინ-  
დარი. აღამიანი მიელტვის მზეს, თუმცა

ქვეყნიერი „შავი აირდილი“ განუყრელად სდევნის მას და საშუალებას არ აძლევს მთლიანად მზიურ სამყაროში გადასახლდეს:

„და რომ სხივთ ისარს მკერდს მივეშვერ  
ხელებ-გაშლილი,  
მზისკენ ავაფრენ სულს განწმენდილს  
ოქროს ფრინველად,  
იმ წამსვე გვერდით გამიჩნდება  
შავი აირდილი  
და ჩამოჩრჩილებს: „შენთანა ვარ  
მეც განუყრელად“.

ეს ჰიდილში, შავი აირდილისაგან თავდაღწევის, მზიურ ტალღათა მორეცში სამუდამოდ გადახიზვნის მღელვარე მისწრაფება ასაზრდოვებს იმ მძაფრ სულიერ დრამას, რომელიც ვადმოცემულია „მზის სიცილში“ — ამ თითქოს ერთიან ლირიკულ მონოლოგად დაწერილ წიგნში.

პოეტს ზოგჯერ ეჩვენება, რომ მიადრწია იდეალს:

„ტალღათ ლივლივში განვიცადე  
სულისა შვება,  
ციცხლის მორეცში შევსრიალდი  
ხელებ-გაშლილი,—  
მარადისობის ეგვიპტენ ძალა  
და უკვდავება...  
გასწყდა მიწისა შავი სიმი...  
ვაპტრა აირდილი“...

აქ მკაფიოდ არის გამოთქმული ის აზრი, რომ მარადისობა და უკვდავება, სულის შვება და ბედნიერება მხოლოდ მიწასთან, ქვეყანასთან, ადამიანთა საზოგადოებასთან დაშორებით მოიპოვება. პოეტი ისწრაფვის გაითქვიფოს ბუნების წიაღში, შორს გასცილდეს ქვეყნიურ ჩოჩქოლსა და ცხოვრების ორომტრიალს, სადმე მიუვალ კვარცხლბეკზე მიუჩინოს ნავთსაყუდარი საკუთარ განდგომილ სულს:

„მთის კლდოვან თებზე გამოვკვეთე  
საკუთხვევილი,  
შეგ დაებინავედი სოფლის ჩოჩქოლს  
დაშორებული;

დღე — ზედ დამცქერის-მნათობს მევრ  
ციცხლის მორეცველი,  
ღამე — მიშუტებს რწმენის ტანარს  
ვარსკვლავთ კრებულს...  
მისწრაფება  
მისწრაფება

ზეციურისაკენ მისწრაფების, ქვეყნიური ცხოვრების გადაღახვისა და მისგან დაშორების ეს იდეა არაერთხელ მეორდება „მზის სიცილში“:

„განვლო ეამმა, ცა გამოჩნდა  
დრომ შემხხო თვისი ფრთები,  
სულს მოწყვიტა მონის ჯაჭვი,  
გამაგონა სულ სხვა ხმები,  
ფრთა შემასხა ნიავე-ჭარბი,  
მალლა ცისკენ გამოტაცა,  
ღამავეწყა მიწის კენესა,  
ღამავეწყა თვით მიწეცა“.

პოეტი უმღერის და აღიდებს მზეს, როგორც კოსმიურ, ზექვეყნიურ საწყისს, რომელსაც ვერ წვდება ეამთა ბრუნვის უკუღმართობა, მზე მალლა სდგას სიკვდილ-სიცოცხლეზე, დროთა ცვალებადობაზე, მასში მარადიულობა და უკვდავებაა განხორციელებული. ამიტომაც მიელტვის მას ეამთაბრუნვის სუსხით დაწყულულებული, ქვეყნად გაბატონებული ბოროტებისა და უკუღმართობის გამო აღშფოთებული სული:

„მზეს არ ასოვს შობის წამი,  
მზეს სიკვდილი არა სჯერა,  
მან სიცოცხლე უკვდავების  
სიმათა ეღვრით ააძგერა!  
დროს წაართვა ძღვეის კვერთხი  
და დათრგუნა მით სიკვდილი! —  
ნეტავ იმას, ვისაც ეამის  
აღმიფრენი მზის სიცილი...“

შემთხვევით როდი წარუძმღვარა პოეტმა ეს სტრიქონები თავის ლექსთა პირველ წიგნს „მზის სიცილს“. ამ სიტყვებში ავტორის მთელი პოეტური მსოფლმხედველობა, მისი მსოფლშეგრძნობაა განსახიერებული.

„მზის სიცილში“ ვხვდებით ისეთ მოტივებსაც, რომლებიც პოეტს ზეციური წიალიდან ისევ „ცოდვილ დედამიწაზე“ ჩამოიყვანენ ხოლმე. კრებულის მთელ

რიგ ლექსებში პოეტი „რისთვის ღმერთს“ ეძახის და დაეძებს; ზოგჯერ პოეტი თვითონ გრძნობს და აღიარებს, რომ... „უძლურია გლოვის ჰანგი“, რომ ქვეყანას „ცეცხლის მგოსანი“ ესაქიროება თავისი მეზრძოლი, ბედისწინაშე ქედუხრელი სულისკვეთებით და ვეჯაცური ხმით:

„უძლურია გლოვის ჰანგი,  
— ცეცხლის მგოსანი დაუძახეთ,  
რომ ქვეყანას მოვეღონოს  
ბრძოლის სიტყვის მოკარნახედ,  
ის მოუხმობს წყევის გრიგალს  
კლდის საღტეთა დასამზებრედად,  
ცეცხლს ალაგზნებს, დედამიწის  
მფეთქავ აღში გასახვევიად“.

ზოგჯერ პოეტი ძალღონესაც იკრებს იმისათვის, რომ თავის ხვედრს შეერკიონოს, რომ უშიშრად წინ დასძრას თავისი ნავი, მომავალს მიაშუროს:

„ჰუ, ტილო ჩემო ხვედრო,  
ბედო წვეულო?  
ნეტავ შენს ბრჭყალებს, სისბლით ნაღებს,  
თუ გაგიღებოში?  
ნავო, წინ გასწი, ჩემო ნავო,  
ზღვაურს ჩვეულო!  
თეთრი ფრინველი წინ მიგვიძღვის,  
გზას ნუ ასცდები“...

კიდევ მეტი. „მზის სიცილის“ აეტორის ყურთასმენა წვდება ხალხის გულის სიღრმეში დაგროვილი მრისხანებისა და გულისწყრომის ფარულს, მაგრამ საიმედო გუგუნს. პოეტს სწამს, რომ ეს მრისხანება ოდენსე აზვირთდება და ცხოვრების გარდამქმნელ, განმაახლებელ ძალად იქუხებს:

„ჰა, ხომ გესმის?—გუთნის ენება  
შეუერთდა გრდემლის ზანზარს!—  
ეს ნორჩი ხმა გაიზრდება,  
სამშობლოს მტრებს დასცემს თავზარს!  
ჯერ თუ ჩუმად ვით ჩანსკერი,  
ხალხის გულში მოუხმობებს,  
ღრო დადგება, ზღვად იქცევა  
და ზვიროქავით დაიქუხებს“.

აქ უკვე ყოველგვარი პოეტური საბურველის გარეშე გამოხატულია წინაგრძნობა ხალხის აჯუჯე ქმნებლო ამოძრავებისა, გამოთქმულმა კარისშალის მოლოდინი.

მაგრამ ეს მოტივები მხოლოდ გამოწყლისის სახით ვაისმის „მზის სიცილის“ კავშით მოცულ საგალობელში. ამ წიგნის ლირიკული გმირის სულიერი ვითარებისათვის უფრო ტიპიური და დამახასიათებელი სწორედ საწინააღმდეგო განწყობილებაა, ის განწყობილება, რომელიც აეტორს ათქმევენებს:

„მჭრალ სმსხვერპლოს ცეცხლს ვერ ეუნთბ,  
წარკვეთა კანდელს სხივი,  
ჩაპჭრა გულში ჩირაღდანი,  
წუთიერად განაღვივი,  
გრძნობს ტურას, სხივ-ჩაფერფლილს,  
დაეფულა ფიჭვი ცივი,  
ცა არ მისმენს, როს ელოცულობ,  
მიწა მღვენის, როცა ვკვი“.

ვინ არის „მზის სიცილის“ გმირი? ვისი სულიერი ცხოვრებაა, ვისი ტკივილები და მისწრაფებანი ასახა პოეტმა თავის ამ ლირიკულ ციკლში? იგი ჩვენი საუკუნის დამდეგის ის ახალგაზრდა ადამიანია, რომელიც რწმენითა და აღფრთოვანებით შესცქეროდა საუკუნის გარიყრაეზე ამომტყდარ დიად გამათავისუფლებელ ქარტეხილს, იგი გაჰყვა ამ ქარტეხილის ქროლვას, განვლო რუსეთის პირველი რევოლუციის ქარცეცხლი. მაგრამ რევოლუციის საქმის დროებითმა დამარცხებამ გასტება მისი სულიერი მხნეობა და გამძლეობა, იგი დააფრთხო და სულიერად დააუძლურა რეაქციის მძევინვარებამ. მართალია, იგი განუზომელი მძულვარებით და ზიზლით შესცქერის ცხოვრებაში გაბატონებულ შავ-ბნელ ძალებს, თავდავიწყებით მიელტვის ნათელსა და მზიურს და ამ მხრივ საუკუნის მოწინავე ადამიანად გამოსჩანს, მაგრამ მეორეს მხრივ მას უიმედობისა

და სასოწარკვეთილების განდგომილებისა და ქვეყნიური ცხოვრებისაგან განკერძობების ის გრძნობა დაუფლებია, რომელიც მას გამოთიშავს რევოლუციის მებრძოლი და მამოძრავებელი ავანგარდისაგან.

ასეთი სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად საჭირო იყო შესაბამი პოეტური ფორმის გამომუშავებაც. სულიერი თბობის, განწირულების, ქვეყნიური ცხოვრებისაგან განკერძობისა და ზექვეყნიურისაკენ მისწრაფების განწყობილებანი ბუნებრივად უკარნახებენ პოეტს ქართული კლასიკური რეალისტური ლირიკის ტრადიციებისაგან გადახვევას, დასავლეთ ევროპიდან მომდინარე მოდერნისტული პოეზიის პოზიციებთან დაახლოებას.

„მზის სიცილში“ ჩვენ ვერ ვპოულობთ სოციალურ სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა გამოხატულებას. მასში სრულიად გამორიცხულია ყოფითი მასალა, ყოფაცხოვრებითი სურათები. პოეტური გამოსახულების უშუალო საგანს აქ უპირატესად ბუნების სამყარო წარმოადგენს, მაგრამ „მზის სიცილში“ პეიზაჟი ბუნების უშუალო განცდას როდი ემყარება. აქ ბუნების სურათი ყოველთვის სიმბოლიურ-ალეგორიული მნიშვნელობისაა. მასში პოეტი თავის სოციალურ თვალსაზრისს, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას განასახიერებს. პოეტის პალიტრა მელანქოლიური განწყობილებისათვის შესაფერი მუქი საღებავებით ზასიათდება, დრამატიზმით გამსჭვალული პათოსი უძეგს საფუძვლად ამ ლექსებში აღფრებულ პოლიფონიურ მუსიკას. რიტმი განზრახ შენელებულია და ხაზგასმულად სტატიური.

პოეტი ამძაფრებს ქუჩაღლებს ლექსის ვარგულში ფორმისადმი. ხშირად მიმართავს ექვემდებარეობის დიქციონარს. „ბგერწერის უხედავებს ასამ გზაზე იგი არაიშვიათად ლალატობს კიდევ რეალისტური ლირიკისათვის დამახასიათებელ ბუნებრივობას. ხელოვნურობა ხშირად თავს იჩენს ზოლმე პოეტურ სახეთა ოსტატობაშიც. ყოველივე ეს სავევებით დამახასიათებელი იყო მოდერნისტული პოეზიის პოზიციებისაკენ გადახრილი ახალგაზრდა პოეტისათვის.

„მზის სიცილი“, როგორც ვხედავთ, მრავალმხრივ სიმპტომატური და საყურადღებო მოვლენა იყო რევოლუციამდელ ქართულ პოეზიაში, — სწორედ ამიტომაც ამ წიგნის გამოსვლამ თავის დროზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.



ლექსების მომღვენო კრებულში „ანთებული ზეივანი“ აღ. აბაშელმა განაგრძო და განავეითარა „მზის სიცილში“ განხორციელებული იდეურ-ესთეტიკური კონცეპცია. პოეტი კიდევ უფრო მეტის მანძილით სცილდება რეალისტური ლირიკის პრინციპს. აქ იგი უკვე პოეტური შემოქმედების ესთეტიკური თვითმიზნურობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებისაგან მისი გამოთიშვის ნიადაგზე დგება:

„მე არ მინდა ვისიმე  
გაზარება, ან წყენა,  
ჩემ სიმღერის შედეგებს  
მე როდი ეანგარიშობ;  
მზით შემოსილ სივრცეში  
მე ფრენით დაეთარეშობ  
და ვიცი, რომ არ არის  
მარჯვენა და მარცხენა“.

ლექსში „სისხლის ლაქა“, რომელიც 1916 წელს არის დაწერილი, კიდევ მე-

ტის სიმკვეთრით არის დეკლარირებული „სპილოს ძელის კოშკში გაზიზნის“, ცოცხალი ცხოვრების მდინარეებისაგან პოეზიის განყენების აზრი. აქ პოეტი ისწრაფვის თავისი ჩანგი დაიკვას მძვინვარე ბრძოლის ხმაური-საგან, ააცილოს მას მიწიერი ცხოვრების ცრემლი და სისხლი:

„და ჰა, ჭიარი კვლავ ღაღადებს,  
 კვლავ ურს ფეხდებ ლოცვას ზევსურს.  
 მე არ ვიცი, სხვის რა უნდა,  
 მე ვას ვუბღერ, მე ასე მღერს.  
 მე რა ვუყო, რომ იქ ველად,  
 ბრძოლის ცეცხლი არ განვლდა?  
 მე რა ვუყო, რომ აქ ცრემლი  
 ასე მწველად ამტყვევდა?  
 იქ სისხლია მოღადადე,  
 აქ კი ცრემლი ღებავს სიმებს.  
 მე მომეზრდა სისხლიც, ცრემლიც,  
 მე ორივე სულს მიმიღებს.  
 დე, ნურავინ ნუ მომისმენს  
 ნურც იქა და ნულარც აქა,  
 ოღონდ ფრთებზე ჩემს სიმღერას  
 ჩამოვბანაო სისხლის ლაქა“.

ამ წლებში უფრო და უფრო ღრმავდება აგრეთვე პოეტის უიმედო, სევდიანი განწყობილება. თუ „მზის სიცილში“ ქვეყნიური სინამდვილით გულნატკეპნი, იგი მზის წიაღში, ზეციურ სამყაროში მაინც გულისხმობდა რაღაც თავშესაფარს, ახლა ეს იმედიც გაცამტვერებულია. ახლა უკვე მისთვის თანაბრად ცარიელია და უცხო მიწაც და ზეცაც:

„მიწას გავეჭტე, ცამ არ მიმილო  
 საწუთროს მსჯავრით წუნდადებული.  
 ჩემი მფარველი არავინ იყო,  
 მიწას გავეჭტე, ცამ არ მიმილო,  
 და შუალამის სევდამ მიმიხმო  
 გმირი, დილითვე დამარცხებული“.

ახლა ბუნების სამყარო პოეტს მხოლოდ თავისი გულგრილობით და უგრძობელობით ხიზლავს, უნარით, — უცერად იცვალოს სახე და ერთბაშად დაივიწყოს განცდილი უბედურება.

ლექსში „დილა“ (1915 წელი) პოეტი განცვიფრებით და აღტაცებით შეჰყურებს, თუ როგორ ერთბაშად წაიშალა ბუნებაში განვლილი დროის კვალი, როგორ უეცრად იქნა დავიწყებულ ღამის წყვილიაღი, ღუმლილი და უმოძრაობაც. პოეტი შენატრის ბუნების ამ უნარს და ცდილობს ისწავლოს ამ ბუნებისაგან „განვლილ ჭირთა“ დავიწყების საიდუმლო:

„იყო ეამი: ცა მეც მწამდა,  
 მზის საშოსიც დიდხანს მეცვა,  
 მაგრამ როცა დამიღამდა,  
 ვერ შევიძულ ჩრდილთ აკაცვა—  
 ჩემი სულის ნათესაენო,  
 ოქროს სხივო და ტბის ჭავლო,  
 განვლილ ჭირთა დავიწყება  
 თქვენგან მინდა შევისწავლო“.

„მზის სიცილისაგან“ განსხვავებით „ანთებული ხეივნის“ ლირიკული გმირისთვის დახშულია მზის წიაღიც, მზეც ჩამქალა და ფერფლად ქცეულა მისთვის. ასეთი განცდით არის გამსჭვალული ლექსი „სული ეული“, რომელშიაც უცილურესი სიმძაფრით არის გადმოცემული ადამიანის განწირულების, სულიერი ობლობის, მიზანმიუღწევლობის დრამა. ამ მხრივ ეს ლექსი ერთ-ერთი უძლიერესი პოეტური ნაწარმოებთაგანია რევოლუციის წინაპერიოდის ქართულ პოეზიაში. იგი ამ მხრივ შეიძლება მხოლოდ გალაქტიონ ტაბიძის „მე და ღამის“ და ნოე ჩხიკვაძის „N-ს“ შევედაროთ:

„სული ეული, უთვისტომო,  
 კრული, წყვეული,  
 ფრთადაშვებული ლანდად დაქრის  
 მოსაფარო,  
 მის მქუბარ გრძობას შავად ბურავს  
 შავ ფიჭვთ ფაფარი,  
 გულის სიმებზე შავ გველებად  
 შემოხვეული“.

და მის მკრალ თვალებს ესიზმრება  
 ნაღვი მსხვერული.  
 მზე არ უნათებს მის სავალ გზას,  
 ფერფლად ქცეული,  
 დიდი ხანია მან ჩააჭრა  
 თვისი ლამპარი,  
 ქვეყნის ბონდით დაჰქრის, დაჰქრის  
 ფრთაშერბეული  
 სული ეული“.

როგორც ვხედავთ პოეტის ადრინ-  
 დელ ლექსებში გამოხატული უიმედო-  
 ბის გრძნობა აქ უკვე სკეპსისის საზღ-  
 ვრამდეა მისული. „ანთებულ ხეივან-  
 ში“ აღარც „რისხვის ღმერთისადმი“  
 მოწოდება გაისმის და აღარც საძულ-  
 ველ ზვედრთან შერყინების წყურვი-  
 ლი იგრძნობა. პირიქით, პოეტი ბე-  
 დისადმი დამორჩილების, მუხლმოდ-  
 რეკის, ქედისმოხრის განწყობილებას  
 ნერგავს:

„მაგრამ როცა მწუხრის სუნთქვა  
 ცის მკერდიდან მზეს გააქცევს,  
 როცა მოვა ჩემი ღამე  
 და ღურჯ ფარდას ზევით ასწევს...“  
 „...ნურას იტყვი,—ღამის დუმლან  
 შენც დუმლით შეეყარე,  
 და უსაზღვრო უფსკრულის წინ  
 კრძალვით მუხლი მოიყარე“.

უღრტვინველად დასცქერის ამ წიგ-  
 ნის ლირიკული გმირი მიწაზე გართხ-  
 მულსა და სისხლის მორევში მცურავს  
 მის დროშას. იგი დარწმუნებულია,  
 რომ ბრძოლა საბოლოოდ წაგებულია,  
 რომ მზიანი დილა აღარასოდეს განმე-  
 ორდება, სიკაბუჯის ბედნიერი დღეები  
 აღარ დაბრუნდებიან:

„ახლა მაკვია შემოდგომის  
 ტანსაბურავი,  
 და ვუღბს მიღონებს სხვა ნაღველი,  
 სხვა სამღვრავი  
 და ჩემი დროშაც ძირს აგდია  
 სისხლში მცურავი.  
 სული შემეკმნა უიმედო  
 და ნაღველიანი.“

არ დაბრუნდება სიკაბუჯე  
 ხალისიანი,  
 არ აუყავდება მეორეჯერ  
 დილა მზიანი“.



პოეტური ფორმის სფეროში ამ პე-  
 რიოდში ალ. აბაშელი უფრო და უფ-  
 რო უახლოვდება ამ წლებში ჩვენს  
 ლიტერატურაში უკვე საკმაოდ მომძ-  
 ლავრებულსა და თითქმის გაბატონე-  
 ბულ დეკადენტურ-სიმბოლისტურ  
 მიმართულებას. ეს დაახლოვება გამო-  
 ხატულებას პოულობს ალ. აბაშელის  
 ლექსთა სახეობრივ სისტემაშიც, ლექს-  
 სიკაში, რიტმშიც; პოეტური მხატვ-  
 რობის იმპრესიონისტული მანერა  
 მკვიდრდება მის შემოქმედებაში. საი-  
 ლუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე  
 სტრიქონიც:

„და სინამ ცი კუბოს ჰფარავდა,  
 ქალწულმა შავები ჩაიყვა,  
 ჰაერში ვარდები გაშავდა  
 და ყველა ეინვლილი დაიწვა“.

ასეთი განწყობილებებით მოცული,  
 ასეთ იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე  
 მდგარი პოეტისათვის მოულოდნელი  
 უნდა ყოფილიყო რევოლუციის ახალი  
 გამარჯვება. მართლაც, თებერვლის  
 რევოლუცია პოეტმა განიცადა, რო-  
 გორც რაღაც უეცარი და მოულოდნე-  
 ლი ბედნიერება, როგორც შემთხვევი-  
 თი მონაპოვარი, ბედნიერი წამის სას-  
 წაული, ზეცის საჩუქარი:

„ენა როგორ არ დაბუნჯდეს?  
 თვალი როგორ არ გაგიღდეს —  
 მზეს დილითაც არ ელოდე  
 — შეუღამით ავიზიზდის?!  
 ათასი წლის შავი ღამე  
 ერთმა წამმა გააშუქოს! —  
 სასწაული უფრო დიდი  
 ზეცამ მიწას რა აჩუქოს?!“

პოეტი აღფრთოვანებულ ჰიმნს უძღ-  
 ვნის ხალხის ცხოვრებაში ხელ-ახლა  
 ამობრწყინებულ განთიადს. რევოლუ-

ციის გამარჯვებას პოეტი განიცდის, როგორც მის მიერ დიდი ხნით დატარებული შეების დილის ხელახლად ანთებას, ბუნების ძალთა გამოღვიძლებას, წყვილიდის დათრგუნვას, ნათელი-სა და მზიურის ზეიმს:

„კვლავ აენთო ჩემი დილა,  
შეების ცრემლით ანათროლი,  
და შესცინის ციურ მნათობს  
უკუნეთთან შენაბრძოლი.  
წალკატ გული მოუჭარგავს  
მივიღე წყობილ აღმს-ნამით,  
ირვლევ ასე მოხიბლულა  
და ნეტარებს ლხენის წამით,  
მზის პორფირი სხივ-ანჯარა  
ღრუბლის ბადემ ვერ დაჩრდილა,—  
კვლავ აენთო ჩემი დილა“.

აქ თითქმის უცვლელად შენარჩუნებულია და განმეორებული ლექსთა-წყობაც, რიტმიც, ლექსიკაც „მზის სიცილის“ ციკლის ცნობილი ლექსისა „ჩაქრა დილა“; ამ ხერხით პოეტს ის აზრი უნდოდა გამოეხატა, რომ რევოლუციის ახალი გამარჯვება სწორედ ამ განთიადის განმეორებაა, რომელსაც ოდესღაც იგი შეჰხაროდა და უმღეროდა.

პოეტი მიესალმება ქვეყნად მოვლენილ „აღისფერ გრიგალს“, რომელმაც კვლავ აღადგინა მზის ელვარება და „შავი აჩრდილი“, განდევნა ცის კაბადონიდან:

„იშვა გრიგალი აღისფერი  
და ფრთაშრავალი,  
კოშკი დაინგრა და გამოჩნდა  
დროშა სხვა სახის,  
ელვამ აქვეთა შავი ლანდი  
ჩრდილთა ცახცახის  
და წითელ მთაზე მზე აენთო  
ამომავალი“.

თითქმის საფუძვლიანიად იცვლება პოეტის სულიერი სამყარო. მის პოეზიაში მზის ნათელი შეკვიდრდება. კავშირიანი ჰანგის ნაცვლად იგი აღფრთოვანებულ ჰანგს მღერის „აღისფერი

გრიგალისა“ და ქვეყნის განხლებას სადიდებლად.

მაგრამ გამძლე და ხანგრძლივი არ გამოდგა პოეტის ეს უფლებიანი შეხვედრის კონტრრევოლუციური დიქტატურის რეჟიმი, რომელიც 3-4 წლის განმავლობაში ბატონობდა საქართველოში, ცხადია, ვერ მისცემდა პოეტს შთაგონებას განახლებული შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, ვერ გამოიყვანდა მას დაცემულობისა და უიმედობის განწყობილებათა ტყვეობიდან, ვერ გაუნათებდა გზას მაღალი სტილის რეალისტური შემოქმედებისაკენ.

ცნობილია, რომ ამ წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში უკიდურეს საზღვარს შიღწია ბურჟუაზიულ-დეკანდენტურ სამწერლო მიმართულებათა ბატონობამ.

სულ მალე ალ. აბაშელის პოეზიაში კვლავ ნაღვლიანი და უიმედო ჰანგი გაისმა:

„ყვავილს ვერ გაშლის მზე ზამთრისა  
სხივ-გამარჯული,  
ლოდქვეშ ნამყოფი სიყვარული  
ვერ გაიციუნებს...  
ახლა, ვით ჭალი მგლოვიარე,  
ჩემი ოცნება  
სადღავის ქვაზე თავდახრილი  
ჩუმად ქვითინებს“.

პოეტი გვაძლევს თავისებურ ახსნას იმ წუთიერი აღფრთოვანებისა, რომელიც მან განიცადა თებერვლის რევოლუციის დღეებში და რომელიც, როგორც დავინახავთ, მან მთელ რიგ ლექსებში გამოხატა:

მოულოდნელად მოვიდა იცეხლი დამქვა  
და მეც თვალები აღბათ მიტრამ  
ამითამაშდა;  
მას შემდეგ გული ეზიარა  
ბევრ სიამესა,  
მაგრამ ნაღვლი ღზინზე უფრო  
მეტრ დამანდა.  
ახლა, როდესაც იშვა კენესა  
სულის წვალებით

და ნათელ სიმმა გამოაჯიო  
ხმა შავ პანვისა,  
ნისკარტ-სისხლიანს ყორანსა მჭერტ  
შემკრთალ თვალებით,  
ნაცვლად სხივებით დროა-მოჭარვულ  
ფარშავანვისა".

ამრიგად ალ. აბაშელის შთაგონებას  
კვლავ განწირულებისა და სულიერი  
დებრესიის განწყობილებანი ეუფლებიან.  
იგი კვლავ ლამობს პირად ინტი-  
მურ, ღრმად ინდივიდუალურ განცდათა  
რკალში მოამწყვდიონს თავისი შემოქმე-  
დება, ხოლო თუ სოციალური სინამდ-  
ვილის თემას შეეხება, იგი ცხოვრე-  
ბას დახატავს, როგორც საპურობილუს,  
სადაც ყოველი არსი და მათ შორის  
ადამიანიც სამუდამოდ დაუტყვევებიათ  
და არც ღირს ამ ტყვეობიდან თავ-  
დაღწევასათვის მრძოლა:

„მოფლიო ციხეა საზარი  
და ტყვეა არსება ყოველი.  
არა აქვს სასჯელსაც საზღვარი.  
მოფლიო ციხეა საზარი.  
დარაჯად სიკვდილი მზად არი.  
მის ძახილს ყოველ წამს მოვიღი.  
მოფლიო ციხეა საზარი  
და ტყვეა არსება ყოველი“.  
(„ტრიოლეტები“, 1919 წ.).

პოეტის გულში კედება ყოველი  
რწმენა და მისწრაფება. ამოების, ყვე-  
ლაფრის წარმავლობისა და ეფემერუ-  
ლობის აზრი მოიცავს მის სულისკვე-  
თებას:

„გაევილი ჩემად წყნარ ხეივანებს  
და შეეჩრდები.  
ირგვლივ ნირვანად გაიშლება  
ცის მყუდროება,  
წაიშლებიან ჩემს ხსოვნაში  
ყველა ღმერთები,  
და იენთება ერთი აზრი:  
„ამოება“.

(„ალეგია“, 1920 წ.).

ასეთი იყო ალექსანდრე აბაშელის  
სულიერი ვითარება, მისი იდეური  
და ესთეტიკური მრწამსი.

იმ დროისათვის, როდესაც საქართვე-

ლოში სოციალისტურმა რევოლუციამ  
გაიმარჯვა, გასაგებია, რომ მისთვის  
ძნელი და მიუწვდომელი იქნებოდა  
ერთბაშად ეგრძნობა და განვლ-  
რევო-  
ლუციის იდეათა სიმართლე და ძლევა-  
მოსილება. პოეტის შემოქმედებითი  
ბიოგრაფია, მისი აზროვნებისა და სუ-  
ლიერი ცხოვრების ევოლუცია გამო-  
რიცხავდა ამგვარ შესაძლებლობას.

ალ. აბაშელის ლექსების კრებული  
„გაბზარული სარკე“ ნათლად გვიჩვენებს,  
თუ რამდენად რთული და ღრმა  
წინააღმდეგობებით აღნიშნული გზა  
განვლო პოეტმა, ვიდრე იგი, მართალია  
არა ერთბაშად, თანდათანობით და  
დაგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ სა-  
ბოლოოდ ურყევად ჩასწვდებოდა გა-  
ნახლებულ ცხოვრების სიღრმეს, გაი-  
ზიარებდა და შეისისხლბორცებდა მის  
იდეებს, იქცეოდა ახალი სინამდვილის  
მხატვრად და მეზობტედ.

თავდაპირველად პოეტი გვიით და  
უნდობლობით შესცქეროდა ჩვენი  
ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიად  
გარდატეხას:

„უიმედობა, მუდამ იქვი  
და სინანული  
ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიჭვის  
ყოველ ანთებას“ —

ამბობდა პოეტი და მართლაც მის-  
თვის ჯერ კიდევ ნათელი არ იყო, თუ  
რას მოუტანდა ქვეყანას ეს განახლე-  
ბა, რით დაბოლოვდებოდა ძველსადა  
ახალ სამყაროთა შორის გაჩაღებული  
შეურიგებელი მრძოლა:

„რას მოგვემს ეს დრო, სისხლითა და  
ძვლებით ნათესა:  
იჭროლებს რაში, შორის დარჩება  
ყორნის ჩხავილი  
და ავარდება მიუწვდომელ  
მზის სინათლესზე  
მოულოდნელად ამოვარდნილ  
ჭარიშხალივით,—  
თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს  
ვიღარ გააძღვებს,  
ვერ ვადიტიანს ამ ანთებას



მიწის სხეული,  
და სიმუდამოდ დაიმშვიდებს  
ცეცხლიან ძარღვებს  
სადმე მზის იქით, ცის უფსკრულში  
ვადამაზებრეული!...

ამრიგად ჯერ კიდევ პოეტისათვის მიუწვდომელია რწმენა რევოლუციის საქმის უძლეველობისა. სულიერ ობლობას, სიმარტოვესა და სევდას შეზრდილი მისი ბუნებისათვის უცხოა და ძნელად შესათვისებელი ის მძაფრი სოციალური ძვრები, რომელიც რევოლუციურ ეპოქას ახასიათებს. პოეტი ამკარად გამოხატავს თავის დაფრთხობას და უძლეურობას ამ დიად ბრძოლათა ქარტეზილის წინაშე:

„ბრძოლის სიშმაგემ გული მტკიანა  
და ჩამებინდა თვალეზში ნისლი,  
ფერ ავიტანე ტყვია და რკინა,  
ამდენი ცეცხლი, ამდენი სისხლი“.

პოეტი ხედავს, რომ რევოლუციის ვრიგალი უღმობელად ანგრევს მის განკერძოებულ „ბროლის კოშკს“. სინანული და შიში იპყრობს პოეტის ოცნებას. მას ეჩვენება, რომ განახლებული სინამდვილე შარაევანდეს აცლის პოეტის სახელს, ის ჩაჭრობით ემუქრება პოეზიის „წმინდა სანთელს“:

„უცებ მოვიარდა ქარიშხალი  
ზღაპრულ დევებით,  
და იტარტმანდა მწვანე სივრცე  
ცეცხლის რკალებში.  
იფხო ჩემი ბროლის კოშკი  
ცის ნანგრევებით  
და ქარმა სილა მომხაირო  
ლია თვალბში...  
გუფუნებს ქარი და ოცნება  
თვალს ვიღარ ახელს,  
გაბზარულ მიწას ხშირად უვლის  
ტანს ჟრუანტელი.  
შარაევანდები ეკარგება  
პოეტის სახელს.  
ვაიმე, შკრება პოეზიის  
წმინდა სანთელი!“

ამ სტრიქონების ავტორისათვის რევოლუცია ჯერ კიდევ მხოლოდ დამანგ-

რეველ სტიქიონს წარმოადგენს. აქ ჯერ კიდევ არ არის განსწვრვტრელი/და გაგებული რევოლუციის შემოქმედი, ამლორძინებელი ძალა-ღვივებულური პოეზიის ბურუსიდან ჯერ კიდევ გამოურკვეველი ავტორისათვის გაუგებარია ის ახალი იდეურ-შემოქმედებითი გზები, რომელიც გამსრუგებულმა რევოლუციამ გადაუშალა პოეტურ შემოქმედებას. ახალი ცხოვრების მოთხოვნა და კარნახი აქ პოეზიის „წმინდა სანთლის“ ჩაჭრობის საფრთხედ არის წარმოდგენილი. ეს აზრი, ნამდვილ და მალალ პოეტურ შემოქმედებისათვის რევოლუციური სინამდვილის მიერ შექმნილი საფრთხის შიში, კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვა, ცოტა უფრო გვიან, ალ. აბაშელმა ლექსში „ნოე ჩხიკვაძეს“, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს პოეტურ ნაწარმოებს წარმოადგენს ალექსანდრე აბაშელის მთელს შემოქმედებაში.

თუ რამდენად უსაფუძვლო იყო პოეტის ეს შიში და რამდენად მცდარი იყო მაშინდელი თვალსაზრისი პოეტისა რევოლუციის ბუნებაზე და, კერძოდ, პოეტის ბედზე რევოლუციურ ეპოქაში, ეს მეტყველი დამაჯერებლობით გვიჩვენათვით ალექსანდრე აბაშელის შემდგომმა პოეტურმა ცხოვრებამ.

1915 წელს დაწერილ ერთ ლექსში—„მე მზეს ვუგალობ“—ალ. აბაშელი გამოთქვამდა იმედს, რომ ოლქსმე შესაძლებელია „მკვდრეთით აღსდგეს“ მისი ჩანგი და საეხე ხმით, ლალად აწყრილდეს:

„შემდეგ, ვინ იცის? თუ ავლავ აღსდგა  
ცეცხლის თიამში,  
თუ მზე ახალი ცის სივრცეში

ავლავ იტრიალებს,  
ახალ ვარსკვლავთა ვანახლებულ  
სბიეთა გამაში  
მკვდრეთით ამდგარი ჩემი ჩანგიც  
დაიწყრიალდეს“.

მართალი აღმოჩნდა პოეტის ეს წი-

ნათვრძობა. თუმცა საკმაო დრო დასკვირდა მას იმისათვის, რომ ეგრძნო და გაეგო ჩვენი დროების ახალი მზის ძლევაწმისილი ელვარება, მაგრამ საბოლოო ანგარიში სწორედ ახალი ცხოვრების, ჩვენი სოციალისტური ეპოქის ნათელმა ააქვრა ალ. აბაშელის პოეზია ცხოვრების სიყვარულით, ცოცხალი სინამდვილის გრძნობით, ლაღი და უჩრდილო ჰანგით.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლები მკორე ნახევარში ალ. აბაშელის პოეზიაში უკვე თანმიმდევრულად შემოდის და მკვიდრდება განახლებული ცხოვრების, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, ჩვენი ქვეყნის აღორძინების თემატიკა. საგულისხმოა, რომ სოციალისტური აღმშენებლობის კონკრეტული ფაქტები ზღებიან მისი შთაგონების წყაროდ და ბადებენ პოეტის აღფრთოვანებულ გრძნობას, რწმენას ბნელის სამუდამოდ განადგურებისა, ნათელის საბოლოოდ დამკვიდრებისა.

ლექსში „თბილისის ღამე“ საქართველოს განახლებული დედაქალაქის — თბილისის ფონზე, ალ. აბაშელი ხატავს ღამის წყვილიადისა და დღის ნათელის იმ უკანასკნელ ურთიერთ შებრძოლების სურათს, რომელიც ბნელეთის სამყაროს, წარსულის კოშმარის საბოლოო გაკამტვრევებით ბოლოვდება. წყვილიადი ვეღარ უმკლავდება მომძლავრებული განთიადის იერიში:

„... ვერას ვახდება — ბერიც იბრძოლოს,  
და რის ინათებს დღლა სისხამი,  
წავა და სადმე ტალაქის ბოლის  
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე“.

ასე დამოლოვდა „მავი ანრდილისა“ და იზიური საწყისის ხანგრძლივი კიდილი ალ. აბაშელის პოეზიაში. ავიერიდან პოეტი ქვეყნის ახალი განთიადის შთაგონებულ მომღერლად იქცა. მაგრამ ახლა უკვე მის პოეზიაში მზე ზექვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებისადმი დაპი-

რისპირებულ ძალად ვი არ არის გამოსახული. იგი თვით ცხოვრებაშია შემოსული მთელი თავიქვეყნულმყოფელი სითბოთი დაქანდაკებული პოეტის წარმოდგენაში აღორძინებული ქვეყნის განახლებული ყოფის ორგანიზულ და განუყოფელ ნაწილად ისახება:

„თბილისის ღამეარდი შემოვლობა,  
და მზემ უღვევი ოქრო დაყარა;  
ასადღებლად მყინვარს ვყოფა,  
რაც ოქტომბერმა აქ მზე დღეარა.  
ალი სწავეს ქტებეს შემზადიადი,  
და მზე ბანაობს ყოველ მინაში,  
და ეჯობრება მწუხრი განთიადს  
ფერთა უცნაურ დოდის წინაშე“.  
(„ღვინობისთვეში“, 1926 წ.)

როგორც ვებდავთ, აქ უკვე ალ. აბაშელი მზეს უმღერის არა როგორც მისი ფანტაზიით შეთხზულს, სინამდვილის გარეშე და ცხოვრების ზემოთ მღვარ რაღაც განყენებულ აბსტრაქციას, (როგორც იგი „მზის სიცილში“ იყო წარმოდგენილი), არამედ — როგორც რეალური ცხოვრების სავსებით რეალურსა და ზელშესახებ მოვლენას. ეს ოქტომბრის მიერ ხალხის ცხოვრებაში შემოტანილი მზეა, რომელიც სხივთა სიუხვით ბანაობს ყოველი ბინის ფანჯარის მინაში და თანაბარის ძალით აფერადოვენებს მწუხრსაც და განთიადსაც.

ლექსების მთელს ციკლში („თბილისი“, „მტკვარი“ და სხვ.) ალ. აბაშელი ხატავს და უმღერის განახლებულ დედაქალაქის ზრდას, მის სახეცვლას, ხალხის შემოქმედებითი შრომის დიად შედეგს: აქ პირველად შეშოდის ალ. აბაშელის პოეზიაში რეალური თემატიკა, სინამდვილის კონკრეტული მასალა. ახლა უკვე არა ზეციური წილიდან, არამედ ხალხის შრომითი გენიისაგან მოელის პოეტი ქემარიტ სიხარულსა და ბედნიერებას:

„რკინის აკვანში ჩაკრულ მტკვარიდან  
მოვარდეს ეღვა ნიაღვარული“.

და შემოვიდეს ოთხი კარიდან  
შრომა, სინათლე და სიყვარული“.

შემოქმედების საერთო კოლორიტთან და განწყობილებასთან ერთად ძირფესვიანად შეიცვალა და განახლდა ალ. აბაშელის პოეტიკა, პოეტური გამოსახულების საშუალებათა მთელი სისტემა. პირველად ახლა ჩნდება მის პოეზიაში 1905 წლის რევოლუციის რეალისტურად აღწერილი სურათები („მოკონება“, 1927 წ.). პოეტიკმნის ყოფითი მასალაზე აგებულ შესანიშნავი ლექსების ციკლს: „მამის სიკვდილი“, „პაპა-ჩემი“ და სხვა. ამ ლექსებში არა მარტო ღრმა მხატვრული ძალით აღდგენილია და ცხოვლად წარმოსახული რევოლუციამდელი სოფლის ყოფა-ცხოვრებითი სურათები, ამასთანავე დახატულია სისხლხორციოთ სავსე ადამიანური პორტრეტები და ხასიათები. ეს უკვე სრულიად ახალი თვისებაა ალ. აბაშელის პოეტური შემოქმედებისა.

ამგვარად გადადის და მკვიდრდება ალ. აბაშელი რეალისტური პოეზიის ნიადაგზე. იწყება მისი შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ხანა, აღნიშნული ღრმა ინტენსივობით და ნაყოფიერებით, ჰანგთა და ნახატთა სიწირფელით და მხატვრული სიმართლით, შემოქმედებითი აზრის აქტუალობით, მაღალი იდეურობით.

ამ ახალი შემოქმედებითი ცხოვრების შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს ლექსების წიგნი „მზე და სამშობლო“. ამ წიგნმა ალექსანდრე აბაშელს საბოლოოდ მოუპოვა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატის უცილობელი რეპუტაცია.

კრებული იხსნება მრავალმხრივად საყურადღებო ლექსით „ფოლადაური“. ეს ერთი პირველი და საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ქართულ პოეზიაში, რომელიც დიდი სტალინის გენიას უმ-

ლერის. დამახასიათებელია, რომ თავისი იდეურ-შემოქმედებითი ცხოვრების განახლებისთანავე პოეტმა აბაშელმა მთავარონებელ თემას მიმართა და წარმატებით განახორციელა იგი. ხალხთა საყვარელი ბელადის სახე აქ გამოხატულია იმ დიად ძვრათა და განახლებათა ფონზე, რომლებითაც ჩვენი თანამედროვეობა ხასიათდება. პოეტი ხატავს საქართველოს შორეული მთიანი კუთხის პატრიარქალური ცხოვრების რღვევას, მასში ჩვენი ეპოქის განმახლებელი სულის მძლავრად შექრის სურათს:

„ახალი ძალა იგრძენით,  
გამოგაცვალათ გუნება,  
ალარ ინდომეთ წარსულით  
მოშავლის დაძაბუნება,  
გახარებთ რკინის არწივის  
მწვერვალზე შემობრუნება,  
ვეფხის ნატოტარ ბეჭობზე  
მანქანის აგულუნება“.

მთელი ეს ვრცელი ლირიკული ტირადა შეიცავს ამგვარ კონკრეტულ — სახეობრივ გამოხატულებას ჩვენი თანამედროვეობის გარდამქმნელი და ამალორქინებული ძალისა. ძველისა და ახალის კონტრასტული ასახვის პარალელურად პოეტი გვიჩვენებს, თუ როგორ იცავს, აგრძელებს და ახლებური ელვარებით მოსავს სტალინური ეპოქა ხალხის ისტორიულ ცხოვრების საუკეთესო ტრადიციებს:

„ახალ ბატრიონს იშენებთ,  
ახალი წესით იბრძვიათ,  
იმსჯელებით ჩვენი დროების  
შინდას უკვდავ სიბრძნითა,  
— დიდი ბელადის — სტალინის  
საკაცობრიო მიზნითა“.

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი დაწერილია ვაჟა-ფშაველასებური რიტმით. ეს იმას მოასწავებს, რომ ალექსანდრე აბაშელი ახლა უკვე შეგნებულად და პრინციპულად უკუაგდება დეკადენ-

ტური პოეტური სკოლების გზას და მიმართავს ქართული კლასიკური პოეზიის დიდ რეალისტურ ტრადიციას. ვაჟაფშაველას უკვდავ პოეტურ მემკვიდრეობასთან ერთად ალ. აბაშელის აწინდელი პოეტური ინდივიდუალობის ფორმირებაში უპირატესი როლი მიეკუთვნება აკაკი წერეთლის ლირიკას. აკაკის ნათელი, მსუბუქი, მომხიბლავი ლექსი, მაღალი ხალხურობით აღბეჭდილი მისი სიმღერა თავის ერთგულ მიმდევარსა და გამგრძელბელს პოულობს ალ. აბაშელის სახით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვით აკაკისადმი მიძღვნილი ლექსის რამდენიმე სტრიქონი გავიხსენოთ:

„ჩინჯურს რომ შენი ცრემლი დასცვივა,  
შუტი იფლავებს თვალებში წაშვე-  
სდგას საქართველო ოქროს თაბაგით,  
შენი ლექსების ნეტარით საესე“.

ასე აღადგენს პოეტი ჩვენი დიდი კლასიკური პოეზიის ტრადიციასთან ცოცხალ შემოქმედებითს ურთიერთობას, რომელიც ერთ დროს დაარღვია და პრინციპულად უკუთავდო დეკადენტურმა ლიტერატურულმა მოძრაობამ.

წრფელი შემოქმედებითი აღფრთოვანებით შედის პოეტი სოციალისტური სინამდვილის მოვლენათა უსაზღვროდ მდიდარსა და მრავალფეროვან სამყაროში:

„ათასი საბე მოაწყდა თვალებს  
და აწკრილდა ათასი რითმა.  
ხმათა გრიალი სმენას აწვილებს,  
თვალი მოღალა სხივთა ჯირითმა.  
აღარ მაქვს ღონე ვერძო სხივებს,  
ელვამ უცნობი სიტყვა მახარა,  
ცამ ვარსკვლავები გადმომაყარა  
და მიმცა დავლად ცეცხლის არწივებს“.

ლაღად და ფრთაასხმულად გაპყვა პოეტი ჩვენი დროების ამ „ცეცხლის არწივების“ ნაჯარდს. ალ. აბაშელის პოეზიაში უკვე მკვეთრ გამოხატულე-

ბას პოულობს საბჭოთა ადამიანის, ჩვე-  
ხი ხალხის უწმინდესი გრძნობანი და  
მისწრაფებანი. პოეტი აღწევს ხალხის  
გულისთქმის გამობრუნებას ხალხის სა-  
ხელით მეტყველების ძალას:

„პირი უცნის ზეცას, დარია,  
მზე გვიფენს გზაზე ვარდსა და შროშანს.  
მოვდივართ ერთად, მოგვიბარბან,  
მოვადრიალებთ სტალინის დროშას“.

იგი პოულობს ღრმა აზრით აღბეჭდილ პოეტურ სახეებსა და მომხიბვლელი საზეიმო ქდერის მელოდიებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გამოსახატავად:

„როგორც მნათობი სხივადრიალი,  
მთელ დედამიწას თავზე დასცქერის  
თავისუფლების ოქრო-წერილი,  
დიდი სტალინის ხელით ნაწერი“.

აქ უკვე ნასახივ აღარ არის იმ მელანქოლიური ჰანგისა, რომელიც პოეტს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის წინა პერიოდებში ახასიათებდა. აქ ნატამალიც აღარ არის შემორჩენილი იმ მუქი, დაბინდული საღებავებისა, რომლებიც წინათ მის პოეტურ პალიტრას განსაზღვრავდნენ.

საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა და ამაღლებელი გრძნობა ეუფლება პოეტის მთელს არსებას. განუზომელი ბედნიერების გრძნობით შეჰხარის და უმღერის პოეტი აღორძინებულ სამშობლოს:

„ცით ვარსკვლავები გადმომაყარს,  
გულში სინათლე აღარ მეტევა.  
შუქავსებოა შენი მახარებს  
და შენი დიდი შემოქმედება“.

პატრიოტიზმის იდეის დამკვიდრებასთან ერთად ალ. აბაშელის პოეზიაში თავს იჩენს ისტორიზმის გრძნობაც. მის შემოქმედებაში გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ადამიანის სიყვარული და ინტერესი თავისი სამშობლოს გმი-

რული და სახელოვანი წარსულის მიმართ. ლექსში „სამშობლოსადმი“, ამ შთაგონებულ პატრიოტულ ჰიმნში, სადაც პოეტი ჩვენი ქვეყნის უმაგალითო აღორძინებას უმღერის, აღდგენილია განზოგადოებითი ძალის სურათი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თავდადებული ბრძოლისა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის:

„რამდენი შტერი მოსულა წარღვნით და წენს კარიბჭეს შუბით სცემია, რამდენი გულის მფეთქავი ძარღვი წენს სტრანელ მიწას შეპხორცებია. კლდოვან მღვიმეთა მაღალ ჩუროდან ჭარი დღესაც კი იმაზე გალობს, შეტები როგორ გადსცქეროდა ვალეწილ ბავშვთა სისხლიან კაღოს. მომსკდარ ზედავიით წენს გზას ომიანს შეპხორცებთა ურდო ველურა, მაგრამ იმედად გულს ჩავდგომია ნათელი სიბრძნე რუსთაველური“.

მრავალი სამაყუო გმირული საქმით არის შარაგანდმოსილი ჩვენი სამშობლოს ისტორია, მაგრამ ყველაზე მაღალი და გმირული ხანა მისი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისა — ჩვენი თანამედროვეობაა, როდესაც საქართველოს ბედნიერი მიწიდან აფრენილი არწივი მხსნელად და ნუგეშად მოვლენია მთელს კაცობრიობას. მან, დიდი სტალინის გენიამ, დაუმკვიდრა ჩვენს სამშობლოს „მუღმივი ვახაფხული“, სამარადისოდ აყვავა და ააღორძინა იგი. ამ აზრს მღერის ახლა ალ. აბაშელის ლექსის ყოველი სტრიქონი:

„შენი შინდერების ელავს ხავერდი, მას ციდან ოქროს სივები აწვიმს, ლურჯმა პაერმა გაღუსნა შეიერი შენი ზუღიდან აფრენილ არწივს, ის წენს ცა-ფირუსს უელის ვარშემო, როგორც მნათობა ვაუჭრობელი, მან აყვავა, სამშობლოვ ჩემო, შენი ჭალაჭა, შენი სოფელი“.

ჩვენი პოეზიის სხვა პირველხარისხოვან ოსტატებთან ერთად ალექსანდრე

აბაშელი სთხზავს შთაგონებულ საგალობელს, რომელშიც აღმკვეთილია ხალხთა სწორუპოვარი ბელოდის საქმეთა სიდიადე, სტალინისა და ხალხის მადლიერებისა და განუზომელი სიყვარულის უწმინდესი გრძნობა.

რაც უფრო მეტად უახლოვდება და უკავშირდება პოეტი ცოცხალ სინამდვილეს, ხალხის სულიერ ცხოვრებას, მით უფრო ფართოვდება მისი თვალახედვის ჰორიზონტი, მდიდრდება და მრავალფეროვნდება მისი თემებისა და სახეების სამყარო.

ცხოველ პოეტურ სურათებში ზატავს და მგზნებარე სიმღერებით აღიღებს პოეტი კოლხეთის ველზე ვადაშლილ „ოქროს საწმისს“, განახლებულ თბილისს, ჩვენს უძლეველ საბჭოთა არმიას, ჩვენს დიდებულსა და საამაყო წინამორბეებს. ჩვენი გმირული სინამდვილის ყოველი ღირსშესანიშნავი მოვლენა პოულობს გამოძახილს და გამოხატულებას აბაშელის ლექსებში.

ახალი ყოფის სხივმოსილი სურათის ფონზე ხატავს ალ. აბაშელი ეპოქის გმირის, ჩვენი დროის ადამიანის სახეს. აი, დამახასიათებელი მაგალითი ლექსიდან „კოლხიდის კოლმეურნეს“.

„უახლოვდები ცისფერ კარიბჭეს, შეხვალ ეზოში, უკვე ბინდია. შენი ხელებით დარგულ ნარიჩეებს ესაუბრები, როგორც მინდია. ვესმის ფოთლების ჩემი შრაილი. ძალი მოზრბის და ჰყვფს მოხარული. მაღალი ოდა, ლურჯფანჯარიანი, დვას მოფიცრული და მოყავრული“.

ამ ლექსშიც პოეტი კიდევ და კიდევ იმეორებს თავის თითქოს თანდაყოლილ მოტივს ნათელისა და წყვილიადის იმ ხანგრძლივი ჭიდილისა, რომელიც ხალხის საბედნიეროდ სიკეთისა და სინათლის სამუდამო გამარჯვებით დაბოლოვდა:

„შინ ომავადხილ გმირივით მოხვალ, შენს დაბრუნებას შეპხარის ჩიტო.“

ხედავ, როგორი სიკეთე მოჰყვა  
სინათლისა და წყვედილის ჰიდელს!

საბჭოთა ადამიანის მაღალი ჰუმანი-  
ური გრძნობა, მისი სულიერი სამყა-  
როს სიმდიდრე, სისპეტაკე და კეთილ-  
შობილობა განასახიერა ალ. აბაშელმა  
ლექსში „უკვდავება“. საკუთარი ოც-  
ნებისა და ნატურის სახით აქ პოეტმა  
განზოგადოებულად გამოხატა ეპოქის  
გმირის მორალური იდეალი:

„ეცოცხლობდე—მჭონდეს ქვეყნის ზიარად  
სითბო, აღურსი, მზე და ყვავილი.  
არ ჩამჩნეს გულში სიტყვის იარა,  
სანამ ბოლომდე ჩემს გზას გავივლი.  
მუდამ აღმასვლის ვიყო მყივარი,  
ვმველოდე — მაღლა ვინც ვერ ავიდა,  
მჭონდეს საჭვეწი გულს სატყვიარი  
და სიხარულიც, რასაც ვეიტან“.

ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანის  
აზრსა და რწმენას გამოხატავს პოეტი,  
როდესაც ოცნებას საკუთარი საქმისა  
და სახელის უკვდავებაზე განუყოფე-  
ლად აკავშირებს სტალინის დროშის  
ღიდებამთან:

„იქნება შერჩეს ჩემს სიტყვას დროშის  
თუნდ ერთი სხივი სტალინის დროშის,  
რომ ჩემს სახელსაც უღებდნენ კარებს  
იმ თაობათა შორელ დროში“.

პირადისა და სახალხო განცდის, სა-  
კუთარი და საქვეყნო ბედის ერთიანო-  
ბა — ეს უპირველესი დამახასიათებე-  
ლი თავისებურება სოციალისტური  
ადამიანის სულიერი ცხოვრებისა მკა-  
ფიოდ არის ასახული ალ. აბაშელის  
პოეზიაში. მისი ლირიკული პოეზიის  
გმირი თავისი ქვეყნის ცხოვრების ორ-  
განიულ, განუყოფელ ნაწილად  
გრძნობს თავს. მას მხოლოდ სახალხო  
სიხარული ახარებს, მისი ბედნიერების  
წყაროს სამშობლოს ძლიერება და კე-  
თილდღეობა წარმოადგენს. ხატავს რა  
ჩვენი სამშობლოს განახლებულ ყოფა-

ცხოვრებას ერთიან აყვავებულ ბალ-  
ნარად, პოეტი ამბობს:

„მუდამ შრილა მწვეთის მკვნილნი  
მეც ხომ ამ ბაღის ფრთხილნი ვართ,  
ვგალობ სინათლის მარწყვებში,  
რადგან წყვედილთან შენაკიდი ვარ.  
და დღეს ჩემს გულსაც ეს უხარო,  
რომ ვგ სინათლე ასე დიდია,  
რომ არც თოვლია, რომ არც ქარია,  
და მზეც სამშობლოს ცაზე ჰკიდია!“

და, როდესაც ამ მზეს სასიკვდილო  
საფრთხე დაემუქრა, როცა ჩვენს ქვე-  
ყანას კაცობრიობის უბოროტეს მტერ-  
თა გაცოდებული ურდოები შემოესია,  
ალ. აბაშელის ლაღი და უჩრდილო სიმ-  
ღერა ერთბაშად იქცა უცხოელ დამპყ-  
რობელთადმი მომაკვდინებელი გულის-  
წყრომით გამსჭვალულ მრისხანე ყიფი-  
ნად. ახლა პოეტმა თავისი სიცოცხლი-  
სა და შემოქმედების უპირველეს იდეა-  
ლად ვერაგვი მტრის შემუსვრა დაისახა:  
„კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერ-  
თა,—გადაივიწყე სხვა ყველაფერი!“—  
მიმართა ომის პირველსავე დღეებში  
ალ. აბაშელმა საკუთარ კალამს და მარ-  
თლაც სამამულო ომის დღეებში პოე-  
ტის შთაგონების ერთადერთ საგანს  
მტრის განადგურებისათვის, ჩვენი სა-  
შართლიანი საქმის გამარჯვებისათვის  
წარმოებულნი თავდადებულნი და შეუ-  
დარებლად გამორული ბრძოლა შეად-  
გენდა.

ჩვენი გამარჯვების ურყევ რწმენას  
მღეროდა და ნერგავდა მისი ლექსი  
ომის ყველაზე დამაბულსა და საბედის-  
წერო მომენტებშიც. პიტლერულ დამ-  
პყრობელთა ავაზაკური თავდასხმის მე-  
ორე დღესვე დაწერილ ლექსში პოეტი  
მთელი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცურსა  
და უშიშარ ნებისყოფას გამოხატავდა:

„მიწა დაიწყებს ზანზარს  
ულმობელ ცეცხლას ფრშევით,  
მტერი დღეს ნახავს საზარს  
ჩვენი მიჯნეების ქვევით.  
ჩვენ-კი გადავივლით საზღვარს  
სტალინის დროშის რბევით“.

ამ რწმენის გაღვივებისა და განმტკიცებისათვის პოეტი აღადგენდა ხალხის მეხსიერებაში ღრმად დამაჯერებელ ისტორიულ ანალოგიებს:

„ჩვენს მიწა-წყალზე ოჭროს ახეტა  
მტაცებელთ ზროვას კვლავც უღდია,  
მაგრამ ჩვენს მიწას მტრის დასახვედრად  
ბევრი ვაჟაკი ამოუზრდია.  
შემოსდულ მტერს შეგებებია  
ხალხი, ქვეული ერთ დიდ სულად,  
ხალხს გამარჯვება მუდამ რგებია,  
მტერი ყოველთვის უაჟქვეულა“.

ძნელი არ არის გავითვალისწინოთ ამ სტრიქონების შთამაგონებელი და საბრძოლოდ აღმადრთოვანებელი ზემოქმედების ძალა იმ მრისხანე დღეებში, როდესაც ჩვენი ხალხის ყველა უწმინდეს მონაპოვარს, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლესა და თავისუფლებას საეხებით რეალური საფრთხე ემუქრებოდა სისხლიანი პიტლერის ჯოჯოხეთური საომარი მანქანის სახით.

პოეტი დაუცხრომლად და დაუღალავად იმეორებდა თავის ლექსებში იმ აზრს, რომ ჩვენი სამშობლოს გამარჯვება — აუცილებელი და გარდაუვალია:

„რადგან ხალხს გულში ფოლადი უჭყეს,  
ლენინის ცეცხლში გამოწრობილი,  
რადგან ლენინის საქმეთა ფუჭეს  
იყავს მასეთი გვირად შობილი“.

სამამულო ომის დღეებში ალექსანდრე აბაშელმა ახალი ბრწყინვალე ფურცლებით გაამდიდრა თავისი ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფია. მის პოეზიაში ცხოვლად აისახა სამამულო ომის ყველა უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი: სტალინგრადის ლეგენდარული ეპოპეა, ლენინის ქალაქის გამორუბ დაცვა, შოსკოვის კარიბჭესთან გამართული, შეუდარებელი თავგანწირულებით აღნიშნული, მარადუჭკნობი შარავანდელით მოსილი ბრძოლა. როდესაც მტერი კავკასიონის კალთებს მიეზღინა და უშუალოდ დაემუქრა საქართვე-

ლოს მიწა-წყალს, ალ. აბაშელმა გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, აღმავსებელი საბრძოლო მოწოდებით მიმართა ქართველ მეომრებს:

„შენი მიწის ორთქლი და  
კერის კვამლი აქა დგას,  
შენი შვილის იყვანი,  
შენი ფუჭე აქ არი.  
მტერი მოდის, კისტრზე  
რომ უღელი დაგადგას,  
ვაჟაკურად დაუბვი,  
არ მოუშვა, დააკარი!“

ისევ და ისევ პოეტი სამამულო ომის მონაწილე ქართველ მეომრებისათვის მისაბამ მაგალითად აცოცხლებდა ჩვენი გამირული ისტორიის უკვდავ პერსონაჟებს, მამულის სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის თავდადებულ წინაპარს, რომელიც:

„თავის მომავლის ეარსკვლავს იცავდა,  
წინაპართ გულთა სიმუბის ეღერას.  
ბევრი ვაება თუმც ვანიცადა,  
მტერს არ დაუთმო თავითი კერა.  
წაივდა გმირი ნამუსიანი,  
შრომით და ბრძოლით მოუქანცველი,  
შენ დაგიტოვა მიწა მზიანი  
და დღეს შენა ხარ მისი დამცველი“.

სამამულო ომის გამირისადმი მიმართულ ამ ცეცხლოვან სიტყვებს არ შეეძლოთ გამოძახილი არ ეპოვათ იდრესატის გულში. პოეტი ხატავდა სამამულო ომის სახელოვან გამირთა პორტრეტებს და ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ცხოვრების სურათებს.

ალ. აბაშელის ლექსებში ღრმა სიმართლით გამოიხატა დიდი სტალინის სიტყვის, მისი ყოველი გამოსვლის შთამავონებელი, საგმირო საქმეებისათვის დამრავმველი ძალა:

„სიტყვა კი არა — ბასრი ხმალია,  
მტრის გულფიცარზე დამგვრებელი;  
სიტყვა კი არა — ცეცხლის ბლია,  
გამარჯვებისთვის ამღვრებელი.  
სიტყვის ყოველი მარცვლი იბრძვის,  
ხმალივით ბრწყინავს, კაფავს და ელაჭს.  
ბელადის სიტყვა წყაროა სიბრძნის,  
ამიტომ მისწავა ეს სიტყვა ყველას“.

ომის უმძაფრეს ვითარებაში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარემოებაში ალექსანდრე აბაშელი განასახიერებდა მთელი ხალხის ოცნებას იმ დიდებულ დღეებზე, როდესაც ქვეყანას კვლავ მშვიდობიანი მშენებლობის, ამალორჩინებელი შრომის პათოსი მოიცავდა. პოეტი იარაღსხმული საბჭოთა ხალხის ცნობიერებაში განამტკიცებდა იმ აზრსა და რწმენას, რომ:

„მშვიდობიანი დღე გათენდება,  
მადლიან შრომის ოფლით ნაკურთ,  
და რაც დანერგა, კვლავ აშენდება,  
ისევე მონახავს აგურს აგური.  
კრემლი ანთებს ოქტომბრის ლაღებს,  
ამობრწყინდება სახე ზელადის.  
მსოფლიოც მაშინ გაახელს თვალებს,  
რომ მისი სიბრძნის შუქით ელაფდეს“.

სამამულო ომში გამოვლენილმა უმაგალითო გმირობამ საბჭოთა ადამიანისა, ჩვენი ხალხის უძლეველობამ და სიდიადემ კიდევ მეტად გააღრმავა ნაციონალური სიამაყის გრძნობა, პატრიოტული აღფრთოვანება. ხალხის ეს განწყობილება ღირსეულად გამოთქვა პოეტმა დიდი სტალინის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ლექსში:

„სულ სხვა სინათლე და სხვა იერი  
ახლავს ჩვენს ლაქვარს, წვიმას და ქარსაც.  
ჰყვარადეს მაწა სეზებდნიერი, —  
სხვა საქართველო არ არის არსად“.

განუზომელი აღფრთოვანებით უმდერა პოეტმა თავისი და მთელი საბჭოთა ხალხის ნანატრი და ნაოცნებარი დღის, 9 მაისის, გათენებას:

„სხივი მოვარდა, ცხრა მაისის  
დანაკვესარი,  
და თიფქოს ცხრა მზე შემოვიდა  
ჩვენს ცაში ერთად.  
ჩემო კალამო, გიხაროდეს,  
ხომ მოვესწარიო,  
ხომ დაეინახეთ სანატრელი  
შემუსერა მტერთო!“

აქაც, ამ ლექსშიც, როგორც მთელს თავის ახლანდელს შემოქმედებაში,

აღ. აბაშელმა მოიპოვა ძალიან გამოთქვა ხალხის უსაზღვრო მადლიერება და სიყვარული მისადმი.

„ვინც მტრის შეჭარბებას  
ელვა ისროლა,  
როცა ჩვენს ცაზე ღამის ჩრდილმა  
გადაიბრინა,  
ვინც წინ გაუძღვა ქვეყანას და  
ხალხთა ეს ბრძოლა  
უბრწყინვალესი გამარჯვებით  
დააგვირგვინა“.

ახლა, ომგადახდილი საბჭოთა ქვეყნის დიდი აღორჩინებისათვის გაშლილი თავდადებული შრომის დღეებში, პოეტი ასეთივე გაბატებით და მგზნებარებით აღიღებს ჩვენი ხალხის დაუშრეტელსა და სასწაულთმოქმედ შემოქმედითს ენერჯიას, უმღერის ახალ მწვერვალებს, რომლისკენაც ძლევამოსილად მიიბიჯებს ჩვენი სამშობლო სტალინის მიერ დასახული ახალი მარშრუტით.

საბჭოთა პოეზიის სხვა წამყვან და მოწინავე ოსტატებთან ერთად ალ. აბაშელი დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ დიადმა სტალინურმა ეპოქამ ღირსეული მაღალმხატვრული გამოხატულება პპოვის პოეტურ სიტყვაში.

ალ. აბაშელის უდიდეს ღირსებას მისი მუდმივად მაძიებელი, მიღწეულით და მოპოებულთ დაუქმყოფილებელი შემოქმედებითი ბუნება შეადგენს: აკი მან სრული უფლებით და რწმენით სთქვა თავისი დაბადების 60 წლისთავის საიუბილეო საღამოზე:

„აქამდე მხოლოდ ძალას ვიკრებდი  
და შებენაზე ახლა გადავალ.  
მე ჩემი გრძნობით, ჩემი ფიქრებით  
ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა ვარ“.

სრული საფუძველი გვაქვს გვეუროდეს და მოველოდეთ, რომ ღვაწლმოსილი პოეტის ეს ახალგაზრდული შემოქმედებითი აღფრთოვანება კვლავ მრავალ წარმატებას მოუტანს ჩვენს პოეზიას.



## მიხაილ ჟორჟის აკრძალული პიესა „უკანასკნელი“ ქუთაისის ქართული თეატრის 1910 წლის რეპერტუარში

★

1902 წელს მოსკოვში სწავლა დაეამთავრე და საქართველოში ჩამოვედი. მაშინ მოსკოვის სამხატვრო თეატრი (მხატ) ახლად-ფრთაგაშლილი იყო. სასცენო ხელოვნებისადმი ახალი მიდგომა, თეატრალური მუშაობის ახალი პრინციპები, ახალი ტექნიკა, სპექტაკლების შესანიშნავი ანსამბლი,—ყოველივე ეს იმდენად საღი, ჰუმანიტური და მომზიბველი იყო, რომ მისი დიდი და გულწრფელი მიმდევარი გავხდი. ჩამოსვლისთანავე მსახიობად შევედი ჯერ ქუთაისისა და შემდეგ თბილისის ქართულ დასში. იმედი მქონდა, რომ ჩვენს თეატრებში დავინახავდი ოდნავად მაინც, იმ ახალ გეზს, რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრში მეფობდა. მაგრამ, სულ ცოტა ხნის შემდეგ, ჩემს ახალგაზრდულ გულუბრყვილობას და აღფრთოვანებას სინამდვილემ ცივი წყალი გადაასხა: დავინახე, რომ ქართულ თეატრში არა თუ რაიმე სიახლე, წინსვლა იყო, არამედ კონსერვატიზმიც კი ძალიან ლობიობრივ სიტყვა იქნებოდა მაშინდელი მუშაობის დასახასიათებლად. უეცრდება, უსისტემობა მუშაობაში, რეჟისორის უყოლობა და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი და წერილობანი მიზეზები ქართულ თეატრს არა თუ წინსვლის გზაზე აყენებდნენ, არამედ აქვეითებდნენ კიდევც.

მაშინდელი პრესა თეატრის მიმართ საყვედურებით სავსე იყო და, თუ ზოგჯერ კმაყოფილება და ქება-დიდება გაერევოდა, ეს გამოწვეული იყო ცალკეულ დიდად ნიჭიერ არტისტების თამაშით, როგორც იყვნენ ლადო მესხი-შვილი, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, კოტე მესხი, ნინო ჩხეიძე. საზოგადოებამ თეატრს ზურგი შეაქცია, შემოსავლიანობა დაცემული იყო. საქმეს ფორმალურად დრამატიული საზოგადოების გამგეობა განაგებდა. ის დონკიხოტურად შეუღებოდა ხოლმე საქმეს, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა და ბოლოსდა-ბოლოს მხოლოდ ფულების ძებნას უნდებოდა დასის ჯამაგირის დასაარსებლად. სეზონის ჩატარება, სპექტაკლების მომზადება ფაქტიურად ძველი თაობის უფროსი მსახიობების, თეატრალური „გენერლების“ ხელში იყო.

ძველებში ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სისტემა მსახიობის შემოქმედებას ზღუდავს, ტიკინად აქცევსო. ზოგნი ამბობდნენ, რომ რუსი ხალხის ფსიქიკა და ტემპერამენტი ერთია, ქართველებისა კი სულ სხვაა, რუსეთს თავისი კულტურა დაგზა აქვს, ჩვენ კი ჩვენი გზა გვაქვსო.

მეორეს მხრით, ძველი თაობა სიახლეს არ იკარებდა, იმიტომ, რომ ეს

სიახლე წლობით შექნილ „გენერლობის“ პოზიციებს შეარყევდა და დამარცხებას უქადდა. „გენერლობა“ ზოგჯერ, და განსაკუთრებით ხელოვნებაში, სახიფათო პოზიციაა. ეს არის ხანგრძლივი წარმატებით და სტაჟით მოპოვებული სიმშვიდე, რომელიც ხშირად შემოქმედების გაყინვას უდრის და, რა თქმა უნდა, ამ სასიამოვნო სიმშვიდის დარღვევას და დაკარგვას ვინ მოინდომებდა!

სანამ რომელიმე თეატრალური ისტორიკოსი ჩვენი თეატრის ამ ეპოქას დაწვრილებით გააშუქებდეს და ჩემი ნათქვამი ლიტონ სიტყვად არ იქნეს მიღებული, მინდა ზოგი ძველი ბეჭდვითი მასალა მოვიხსენიო.

1908 წელს გამოვიდა „სეკდას“ ბროშურა: „ქართული თეატრი და მისი დღევანდელი მდგომარეობა“.

„სეკდა“ აკაკი ფაღვას ფსევდონიმია. მაშინ ის თეატრალური „თერგდალული“ ახალგაზრდა მოსკოველი სტუდენტი იყო და ქართული თეატრის მდგომარეობა აინტერესებდა.

ბროშურაში აღწერილია მაშინდელი თეატრის უარყოფითი მხარეები. ბევრი მაგალითია მოყვანილი და ზოგი იმდენად მწვავეა, რომ მკითხველს კურიოზები ეგონება. მაგალითად: პიესა „ნილვარში“ მსახიობი ტექსტ-გარეშე ჩუმად ეკითხება პარტნიორს: „ქაჯან, გათავდა ჩემი როლი თუ არა?“

„ერთი მსახიობი გაიძახოდა: „ვითამაშე, მაგრამ ღმერთი გამიწყრეს, თუ დღესაც ვიცოდე რა იყო!“

„სცენიდან თარის ხმა ისმოდა, დამკერვლს კი ჭიანჭური უჭირავს ხელში“.

შალვა დადიანის მიერ დაწერილ ერთ-ერთ დოკუმენტში (თეატრ. მუზეუმში ინახება) სწერია: „900-იან წლებამდე ქართული თეატრი ცოცხლობდა და სულდგმულობდა მხოლოდ თვითულ ბუმბერაზ არტიტთა ოსტატობით. მაყურებელი მხოლოდ მათი მაღალნიჭიერ ხელოვნებით კმაყოფილ-

დებოდა, თვით წარმოდგენებში კი საერთოდ იყო ხშირად უგუნველი, არათანაბარი და, თუ ერთ მხარეს ედგნენ სცენის გოლიათები, მეორე მხარეზე ხშირად პირდაპირ ქონდრის კაცები მსახიობობდნენ და თავიანთი შეუფერებელი სასცენო მოქმედებით (როლების არცოდნა, მიზანსცენების შემთხვევითობა, ხშირად არეუ-დარევა, გარეგნული მორთულობის, ტანსაცმელების, გრიმის მოუფიქრებლობა) იწვევდნენ აუდიტორიისა და კრიტიკის მწვავე დაცინვას. წარმოდგენებისათვის არ იყო მოფიქრებული არც დეკორაციის, არც ხელსაწყოს შესაბამისობა. მართალია, ეს მაშინდელი თეატრის ხელმოკლეობითაც აიხსნებოდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არავინ თავს არ იწუხებდა ის, მაინც გაეკეთებინა, რასაც მაშინდელი სცენიური შესაძლებლობა იძლეოდა“.

1911 წლის იანვრის „სახალხო გაზეთის“ ნომრებში ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ მოათავსა ფელეტონები, სადაც, სხვათა შორის, ქართული თეატრის დაქვეითების გამო აეტორი ამბობს:

„ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი ღრმა ფიქრებს მოგვრის ყველას, ვისაც კი ქართველობა სამარცხვინო მეგვიდრეობად არ მიიჩნია და რომლისთვისაც ქართველი ერის კულტურული ზრდა და განვითარება ცხოვრების საგნად გამხდარა.“

„ერთ ღროს ჩვენი თეატრი მართლა სამწუხარო სანახაობას წარმოადგენდა. არა იმიტომ, რომ ქონებრივად დასუსტებული იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი სასცენო ხელოვნება ესტეტურის მხრით მძიმე კრიზისს განიცდიდა, ვინაიდან დაკნინებისა და დაქვეითების გზას აღვა.“

„... რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს თეატრში შესილა სწორედ მწე-ლი იყო“.

ამ ამონაწერს უნდა დაეუმატო, რომ

ხსენებულ პერიოდში ქართულ სცენას რეჟისორი არ ყავდა, განსაკუთრებით კი რეჟისორ-პედაგოგი.

„... ეს იყო ის დრო, როდესაც რეჟისორი ნაკლებად ინტერესებდა ხალხს, იშვიათად ახსენებდნენ მის სახელს, ოდნავ სჩანდა სეზონის მიმდინარეობაში, იყო რაღაც „სასხვათაშორისო ამბავი“.

ასე სწერდა ერთ-ერთ რეცენზიაში დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი.

რეჟისორად იყო უფროსი მსახიობი, რომელიც ყურადღებას აქცევდა მხოლოდ თავის მთავარ როლს, დანარჩენი ამბავი კი ევალდებოდა მის თანაშემწეს, ეგრეთწოდებულ „სცენარიუსს“. მას არც სათანადო ცოდნა, არც ავტორიტეტი ჰქონდა. ის იყო მხოლოდ ტექნიკური მუშაკი, რომელიც თვალყურს აღევნებდა რეპეტიციებისა და წარმოდგენების წესიერებას. ხშირად მოკარნახე რეჟისორობდა და ეს რეჟისორობა იმით გამოიხატებოდა, რომ ის მსახიობს მოაგონებდა ზოლმე როლის ტექსტს და ავტორის მიერ მოცემულ რემარკებს—მითითებებს. ხშირი იყო ასეთი შემთხვევა: ისმის მოკარნახის მიყრუებული ხმა, „გაბუმდი, ახლა პაუზა! ხმას ნუ ამოიღებ, სანამ არ გეტყვი!“

„აღღებებული დაღიხარ“.

„პეტრეს თვალს ნუ ამორებ“.

„დაჯექი“...

„გაიარ-გამოიარე“.

„ფანჯარაში გაიხედე“.

და სხვა ამგვარი.

მაგრამ, ვაი იმ მდგომარეობას, როდესაც წარმოდგენის დროს მსახიობი კარგად ვერ გაიგონებდა რემარკას და სულ საწინააღმდეგოს ჩაიდენდა.

უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრს, ჩემს ხსოვნაში, ორი შესანიშნავი რეჟისორ-პედაგოგი ყავდა—ლადო მესხიშვილი და კოტე მესხი. მათი რეჟისორობა—სწავლება მინახავს და გამოვიცდია. ისინი ახალგაზრდა მსახიობს

სასცენო ხელოვნების ძირითად ელემენტალურ კანონებს (ხმის მონმარება, სცენაზე თავის-დაპერტე, მარჯვენა-მარჯვნივ და მარცხენა-მარცხნივ და უნერგავდნენ. მაგრამ მთავარი, რასაც ლადო და კოტე მსახიობს აძლევდნენ, ეს იყო მათი სულიერი განწყობილება რეპეტიციების დროს. მაშინ ისინი ხშირად პედაგოგიურ-შემოქმედებითი ცეცხლით აენთებოდნენ, და მოწაფეც, მათ რეჟისორულ განცდების კორიანტელში ჩათრეული, თეატრალურ შემოქმედებას ეზიარებოდა, მზრდებოდა და თეატრისადმი სიყვარულით და პატივისცემით იმსკვალებოდა.

სამწუხაროდ მათი რეჟისორული მუშაობა ხდებოდა იშვიათად, ხანმოკლე პერიოდების განმავლობაში. ზოლო მაშინ, როდესაც თითონ ისინი მთავარ როლებს ასრულებდნენ, მათი ყურადღებისა და ენერჯის მეტი ნაწილი თავის საკუთარს როლს უნდებოდა. ხან დაღლილობა ან ავადმყოფობა უშლიდათ ხელს და მაშინ ამ დაღლილი ადამიანების მუშაობა ფერმკრთალი ხდებოდა.

საერთოდ კი მათი რეჟისორული მუშაობა, მიუხედავად მისი პერიოდული ხასიათისა, ძალიან ნაყოფიერი იყო: მათ არა-ერთი თეატრისა და მსახიობი გაზარდეს: ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, ი. ზარდალიშვილი, მარო მდივანი, ნიკო გვარამია და სხვები—მათი მოწაფეები არიან. ზოლო იმ წლებში, რომელსაც ჩემი წერილი ეხება, ეს ორი ოსტატი რეჟისორობას იშვიათად ეწეოდნენ, ასე რომ იმდროის თეატრალური ახალგაზრდობა ამ ორ ოსტატსაც მოკლებული იყო.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ამბავი ქართულმა თეატრმა კარგად იცოდა ეურნალებიდან, გაზეთებიდან და მოსკოვიდან ჩამოსული ხალხისაგანაც. ორი მოსკოველი სტუდენტი, აკ. ფაღალა და ილ. ხირსელი, მოსკოვის სამხა-

ტვრო თეატრის დიდი მოტრფილენი და ქართული თეატრის გულშემატკივარნი, ზაფხულობით ჩამოდირდნენ და სასცენო ხელოვნების სიახლისა და წინსვლის პროპაგანდას ეწეოდნენ. მეც ამ საკითხის მუდმივი „პროპაგანდისტი“ ვიყავი. ასე რომ ბოლოს-და-ბოლოს ინტრიგანებად დაგვსახეს და იუ-მორისტულ ჟურნალ „ნიშადურში“ ჩვენი კარიკატურაც მოათავსეს.

ახალი თაობა დიდი ინტერესითა და სიხარბით ისმენდა ჩვენს ნაამბობს და ხშირად ნატრობდა: „ნეტავი ჩვენს თეატრში ერთხელ მაინც გვენახა წესიერი სპექტაკლი! სამხატვრო თეატრი ჩვენთვის მიუწვდომელი იდეალია. ისეთი სპექტაკლი გვენატრება, სადაც თავ-თავისი როლი ყველამ კარგად იცოდეს, სადაც სცენაზე არეგ-დარევენ ასდგილი არ ჰქონდეს, სადაც მხატვრული ანსამბლი დაცული იყოს. სწორედ ასეთი სპექტაკლი გვენატრება და ისიც გვენატრება, რომ ასეთ სპექტაკლის მონაწილენი ჩვენც ვიყოთ!“

მაგრამ, ეს ნატერა ნატერადვე რჩებოდა.

ქუთაისში თეატრის მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც თბილისში: იგივე დაქვეითება, საღი მუშაობის იგივე მონატვრული ახალგაზრდობა.

• • •

1910 წელს, ჩემთვის სრულდება მოულოდნელად, ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ რეჟისორად მიმიწვია და სრული „კარტლანში“ მომცა: დასში—ვინც გინდათ, მოიწვიეთ, რა პიესებიც გინდათ, აირჩიეთ, რა წესითაც გსურდეთ, ისე იმუშავეთ, ხოლო ჩვენ, რითაც შეგვიძლია—რჩევითაც და ფულითაც—ხელს შეგიწყობთ, ოღონდ წესიერი სეზონი აწარმოეთ. ამ პირობებმა ფრთები შემასხეს და მომავალი მუშაობისათვის გაორკეცებული ენერგია მომცეს. მაშინვე დავ-

თანხმდი და დასის შედგენას და რეპერტუარის არჩევას შევედრე. დასი მენტაწილად შევადგინე უმჯობესი პიესებიდან, რომელთაც მთელი ქუთაისის ახალი წესით მუშაობა უნდოდათ. მათ შორის იყო მაშინ ახალგაზრდა მსახიობი შალვა დადიანი. ჩვენი საერთო მუშაობა ყოველთვის შეხმატკიბილებული იყო. დასში არცერთი „გენერალი“ არ გვეყავდა, ასე რომ სიმშვიდე ჩვენი მომავალი მუშაობისათვის უზრუნველყოფილი იყო. რეპერტუარის შერჩევა გავკვიძნელდა: საკირო იყო ისეთი პიესები, რომლითაც მსახიობიც კმაყოფილი იქნებოდა და თეატრის აუდიტორიაც.

ქართული თეატრის მაშინდელი რეპერტუარი, გარდა თითო-ორი თვალსაჩინო, თანამედროვე პიესისა და შექსპირისა და შილერის ტრაგედიებისა, საკმაოდ სამწუხარო სურათს წარმოადგენდა. ერთის მხრით—ყალბ ჩონჩხზე აგებული ისტორიული დრამა, სადაც დამბახის სროლა, ხმლის ტრიალი და აუცილებელი სიკვდილი მთავარ როლს ასრულებდნენ; მეორეს მხრით—ფრანგული მელოდრამა სადაც სიბოროტე კბილების ღრჭენით ებრძვის სიკეთეს და სათნოებას, სიკეთე კი ბოლოს, შემთხვევითი, ყურითმოთრეული მიზეზებით მმარჯვებს და გულუბრყვილო მსმენელში აღფრთოვანებას იწვევს; ან თანამედროვე, მსუბუქი ფსიქოლოგიური დრამა, სადაც გმირი იტანჯება, იცრემლება და მსმენელსაც ტანჯავს და აცრემლებს; — ასეთი რეპერტუარი ჩვენ არ გამოგვადგებოდა.

ამიტომ შევჩერდი მაქსიმ გორკის პიესაზე „უკანასკნელი“, რომელიც დაბეჭდილი იყო 1908 წლის კრებულ „ზნანიეში“. მანამდე ამ პიესას არ ვიცნობდი, ახალი დაწერილი იყო და მეც შემთხვევით წავაწყდი მას. ეს შემთხვევითობა მაშინდელი თეატრის მუდმივი სენი იყო. არ მახსოვს, რომ თეატრს

რეპერტუარი თავის დროზე შეედგინა. ეს ყოველთვის თვითდენადობას მიყვებოდა. მაშინაც ჩვენი რეპერტუარი საკმაოდ კრელი იყო—„ტაიფუნი“ (მაშინდელი მოდის პიესა), „მარუჩა“ (ქართული ისტორიული დრამა), „მეფე პენრიხ ნაფარიელი“ (ისიც მოდისა და ეფექტის პიესა) და სხვა. „უკანასკნელი“ არც მოდის პიესა იყო (იმ დროს არსად არ დადგმულა) არც ეფექტური. ეს იყო თანამედროვე ცხოვრებიდან ამოღებული სცენები. მისი მოკლე შინაარსი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ჩონჩხი შემდეგია:

1905 — 6 რევოლუციის შემდგომ წლებში, რეაქციის თარეშის დროს, ტერორისტებმა პოლიციის უფროსს ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. მსროლელი გაიქცა და პოლიციამ სრულებით უდანაშაულო ადამიანი დაიჭირა. მას ასამართლებენ, რომ როგორმე პოლიციის საქმიანობა გაამართლონ. პოლიციის უფროსის ოჯახის თითქმის ყველა წევრი რეაქციონერია და ყველანი აღულებით უცდიან ბრალდებულის დასჯას, რომ ამით თავისი პირადი, ბინძური საქმეები მოაგვარონ.

პიესაში არაა არავითარი ეფექტები, არავითარი მწუავე კონფლიქტები, არავითარი მელოდრამა, არც ძველებური, სტანდარტული გმირი თავისი მონოლოგებით.

ვიცოდი, რომ მაყურებელზე, განსაკუთრებით ჩვენებურ, ქართველ მაყურებელზე ეს პიესა გარეგნულ ეფექტს არ მოახდენდა, მაგრამ მასზე შეეჩერდი, რადგანაც, ერთის მხრით, შიგ დიდი სამუშაო მასალა მეგულებოდა, მეორეს მხრით—თანამედროვე რევოლუციური განწყობილებით იყო გამსჭვალული. ამ განწყობილებას ატორი ასე ვთქვათ, უკუშეკვეთით ხერხით გვაძლევს, ისე, როგორც მათემატიკურ თეორემას შებრუნებული წესით ამტკიცებენ: მოქმედი პირების რეაქციური, საზიზლარი აზროვნება და

მოქმედება მაყურებელში, განინაღმდეგო, რევოლუციურ განწყობილებას უნდა იწვევდეს.

ესაზიზლარებდა პიესის ავტორს კომიკანად ჰქონდათ თავისი განსახიერებით მაყურებელში ეს სულისკვეთება შეექმნათ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი ახალგაზრდა შემადგენლობა ამ ამოცანას ადვილად დასძლევდა. თვით ავტორი საამისო მასალას გვაძლევდა.

ამ საერთო ამოცანის შესრულებით თავის დასს, უფრო დასის უმეტესობას, ტექნიკური ცოდნა, თამაშის ხერხები, ზოგჯერ სცენიური ანბანიც აკლდა: ზმის მოხმარება, სცენაზე თავის დაქერა, მიზანშეწონილი მოძრაობა, ლოგიკური მახვილები, დიალოგები, პარტნიორის მოსმენა და შესაფერად პასუხის გაცემა, თამაშის რიტმი და ტემპი—ყოველივე ეს შესათვისებელი იყო.

პიესაში მოცემულ სახეებს, ხასიათით და მოქმედებით უაღრესად მეშინანებს, რუსეთშიაც და საქართველოშიც ადვილად შეხვდებოდი და ამათი განსახიერება ქართველი მსახიობისთვის ადვილი იყო.

პიესის ყველა როლი „სახასიათო“ და მხატვრულად სრულია: მათი სიტყვების, აზრების და მოქმედების ერთობლივობა სრულ სცენიურ სახეს ქმნის.

და კიდევ ერთი რამ: ყველა როლი დიდი და პატარაც, სამუშაოდ საინტერესო იყო, ასე რომ განაწილების დროს უკმაყოფილებას და წყენას ადგილი არ ექნებოდა.

ყველა ამ მოსაზრების გამო ვფიქრობდი, რომ ჩემი ამოცანა—ახალგაზრდა მსახიობის რეალურ მასალაზე გაწრთვნა და მხატვრული ანსამბლის დასახვა გამიადვილდებოდა. ერთი რამე კი მაფიქრებდა: როგორ მიიღებს დასი ამ პიესას პირველი წაკითხვის დროს?

პიესა ძალიან მალე, დაახლოებით 4—5 დღეში გადაითარგმნა და შესწორდა.

პიესის წაკითხვა რუსული დედანით გადაეწყვიტე თარგმანის დასრულებამდე. უნდა ვაღიარო, რომ მოუთმენლობა მაჩქარებდა—მინდოდა პიესის შინაარსი დასითვის ადრე გამეცნო და დამენახა ის საერთო შთაბეჭდილება, რომელიც მსმენელს პირველივე კითხვის დროს ეტყობა ზოლზე. აღფრთოვანებას არ ველოდი, ზოლო მეტყველი სიჩუმეც ბევრს რასმეს მეტყუოდა.

კითხვის დაწყებამდე მსახიობმა ანდრო მურუსიძემ შეწუხებული სახით მკითხა:

— შეკითხვისათვის ბოდიში, ბ-ნო მიხეილ, მაგრამ წინდაწინვე მითხარით—ამ პიესაში დამბაჩის სროლა ან ხმლის ტრიალი არის თუ არა?

მურუსიძე, ახლაგაზრდა, ტანადი, ხალისიანი ყმაწვილი იყო, ზოგჯერ—ოხუნჯიც.

— საიდანაა ასეთი კითხვა?

— იქიდან, რომ ჩვენს პიესებში უმეტეს შემთხვევებში ხმალსა და დამბაჩას დიდი მნიშვნელობა აქვს, თითქმის მთავარ როლს ასრულებენ, პო და... თუ ამ პიესაშიც ასეა... მაწუხებს...

— არა, ამ პიესაში არც დამბაჩა, არც ხმალია.

— გიშველოთ ღმერთმა, კარგი მწერალი ყოფილა!

გამეცინა გუნებაში: ვიცოდი, რომ მას, მისი ტანადობის წყალობით, ყოველთვის ისტორიულ პიესებში ათამაშებდნენ ზოლზე, და ამ ამბავმა თავი მთაბეზრა.

დაესხედით და კითხვა დავიწყე. დასში 20 მსახიობი იყო და რამდენიმე თანამშრომელი. პიესაში კი 12 მოქმედი პირია, ასე რომ სამუშაო ექნებოდა დასის მხოლოდ ნახევარს. მიუხედავად ამისა, უსმენდა მთელი დასი და ორი ტექნიკური მუშაკიც. ერთი მათ-

განი იყო ელსინათლის მრეწველი\* სერგო ჭელიძე, რომელსაც ყოველთვის აინტერესებდა ეჭვად უბედის შინაარსი, მით უფრო მეტად ვაჭირვარს, რომლის სახელი გაეგონა და მისი „მე-ვარდნის სიმღერა“ წაკითხული ჰქონდა. მეორე იყო—სცენის შემანქანე ონისიშე დადიანი. ის უბრალო, გაუნათლებელი ადამიანი იყო. მიუხედავად ამისა ყოველთვის აინტერესებდა პიესის შინაარსი. ახლაც წინასწარი კითხვის დროს, მითხრა:

— რუსულზე ცოტა ნაკლებად ვარ, მაგრამ ნახევარს ხომ გავიგებ... კარგ მწერალს ამბობენ და...

კითხვის დროს გაკვირით ვაკვირდებოდი მსმენელებს. მახსოვს დამაბული ყურადღება შარო მდიენისა, რომელიც პიესის მარტივი ამბის მსვლელობას და განვითარებას ვულისყურით მისდევდა; მურუსიძის სახე,—კმაყოფილი, რომ პიესაში ხმალი და დამბაჩა არ არის; ელო ანდრონიკაშვილი, საერთოდ აღფრთოვანებული ადამიანი, პიესას უკვე იცნობდა და ეხედავდი, რომ ისიც კმაყოფილია, რაღაცის თქმა უნდა და თავს იკავებს. ზოლო ვასო არაბიძის მომღიმარე და კმაყოფილი სახე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ეს პიესა თითონ მან დასწერა. პიესა წაკითხული ჰქონდა და თვით მაქსიმ გორკის პირადად კარგად იცნობდა 1905—6 წლებში მოსკოვში ყოფნის დროს.

ყალაბეგიშვილი და იმედაშვილი დიდი ყურადღებით უსმენდნენ კითხვას, მაგრამ მათი წარბშეკრული შუბლი და პირქუში ფამოხედვამ მაფიქრებდა: ვატყობდი, რაღაც არ მოსწონდათ ან პიესის ფორმა, ან შინაარსი.

როცა კითხვა გაეთავი, საკმაოდ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა: აზრის გამოთქმა პირველი წაკითხვის შემდეგ

\* იმ დროს ქუთაისის თეატრს არც სინათლის ეჭვბეჭები ჰქონდა, არც საამისო აპარატურა გააჩნდა.

ძალიან უძნელდებოდათ. ეს კარგად მესმოდა და ამიტომ დასს შევეყიოთხე:

— მოსმენა ზომ არ გიძნელდებათ? გინდათ—ხვალ მეორედ წავიკითხოთო?  
— რა თქმა უნდა, გვიხდა,—ძიბასუხეს.

— არ გვიძნელდება. მიუხედავად ჩვენი ნაკლები რუსულისა, საერთოდ გასაგებია. იმ დალოცვილს ისე უბრალოდ და მარტივად დაუწერია, რომ ბავშვიც კი გაიგებს.

— თარგმანი ზევ იქნება მზად, მანამდე კი ხვალ ისევ რუსულად წავიკითხავთ.

მეორე დღეს მეორედ წაკითხვა შესდგა. პიესა მსახიობებს უფრო დაუახლოვდა. ცალ-ცალკე მოკლე რეპლიკებისა და შენიშვნების წყალობით ვატყობდი, რომ ავტორი იმარჯვებს. მხოლოდ ყალბეგისვილმა, რამდენიმე წლის სტაჟის მქონე თბილისელმა არტისტმა, მორიდებით მითხრა.

— რაკი აზრისა და სიტყვის თავისუფლებაა, უნდა მოგახსენოთ: იმ ტერორისტს რომ პოლიციის უფროსი მოეკლა, აჯობებდა, მაგრამ მაშინ ეს პიესაც არ დაიწერებოდა. ისე მოსაწყენია.

იმედაშვილმა დაუმატა:

— მართალია—მოსაწყენია, მდაბიოთა. ჩვენს მათურებლებს მკვეთრი და ცაშკაშა პიესა უნდა. ეს არ მოეწონება.

— მაშ კარგი, ქართულად რომ მოვისმენთ, მაშინ ვიმსჯელოთ.

მეორე დღეს თარგმანი და მისი რედაქციაც მზად იყო. უბრალო, გასაგები ენა, წინადადებების მარტივი სტრუქტურა, მოკლე პერიოდები—ყოველივე ეს ძალიან მისაღები იყო: მსახიობიც ტექსტს ადვილად შეითვისებდა, აუდიტორიაც ძალდაუტანებლად მოისმენდა.

პიესის ქართულად წაკითხვა ძალიან ნაყოფიერი გამოვიდა. პიესაში მოცემული სახეები მკაფიოდ გამოჩნდა. პიესის რეჟოლუციური სული ხმამაღ-

ლა მეტყველებდა, საერთო შინაარსი და ცალცალკე სცენებიც გასაგებ შეიქნა, ასე რომ დასს მსჯელობა გაუადვილდა.

წარმენული

წაკითხვის შემდეგ მსახიობებს:

— აბა, რას იტყვით? მოგწონთ?

— დიად, მოგეწონს. მისაღებიც არის და საკიროც.

— როლებიც სამუშაოდ და სათამაშოდ ძალიან საინტერესოა.

— როლებს როდის გაგვინაწილებთ? მონაწილეობას, მგონი, ყველა მოინდომებს.

— არა, როლებს საბოლოო მსჯელობის შემდეგ გაენაწილებ, მანამდე კი უფრო დაწვრილებით, უფრო კონკრეტულად ვიმსჯელოთ. თქვენი აზრები მეტად ზოგადია.

თუმცა ქართველი მსახიობი პიესის მომზადების ასეთ წესს სრულებით არ იყო ჩვეული, დასი დიდი ინტერესით და გულმოდგინედ შეუდგა მსჯელობას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოსმენილ პიესაზე საუბარს.

ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი, მაშინ გამოთქმული აზრების ზუსტად აღდგენა. მახსოვს მხოლოდ ზოგიერთი გამოთქმა. მგონი მსახიობმა თამარაშვილმა აღნიშნა.

— ჩვენშიაც ბევრია პოლიციის ისეთი მოხელეები, როგორიც ამ პიესაშია გამოყვანილი. თბილისში ჩემს მეზობლად პოლიციის უბნის ზედამხედველი ცხოვრობდა, მეტსახელად „ტკიპა“. უდანაშაულო ყმაწვილი საპრობილეში ჩააგდო იმ ანგარიშით, რომ შეძლებული მშობლებისაგან შვილის განთავისუფლებისათვის ქრთამი აედო. აიღო კიდევ. დღესაც კარგად ცხოვრობს, დათარგმობს, და, ალბათ, ახალ მსხვერპლს ეძებს. ავტორის მიერ მოცემული ტიპი პირდაპირ ცხოვრებიდანაა ამოღებული.

ამგვარი მაგალითები საუბრის დროს არაერთი იყო მოყვანილი. გამოითქვა აზრი, რომ თუმცა პიესის ყველა მოკ-

მედი პირი რუსია, ავტორს შეეძლო ქართული გვარები მოეცა და პიესა ისევე მნიშვნელოვანი და საინტერესო დარჩებოდაო. ერთმა ღიმილით აღნიშნა, რომ გორკიმ ისეთი გასაგები აზრები გამოთქვა, ისეთი უბრალო სიტყვები იხმარა, რომ როლის შესწავლის დროს ტექსტი თვითონ მოვა ტენიში და იქ ადვილად დაიხეპირებო.

— შენ სწორედ ეს გიხარია და გვირდება, ძმაო, თორემ პიესების ტექსტის მიმართ ყოველთვის მტრულად ხარ განწყობილი, — სიცილით უთხრეს ამხანაგებმა.

მე შევაჩერე საუბარი.

— აქ გამოთქმული მოსაზრებები პიესის გარეგნულ მომენტებს ეხება. ამაზე შემდეგ, ბოლოს ვიმსჯელოთ. მანამდე კი სასურველია დედა-აზრზე ვიფიქროთ. ასეთ დიდ და რევოლუციონერ მწერალს, ალბათ რაიმე აზრი და მიზანი ექნებოდა, როცა ამ პიესას სწერდა. მოვძებნოთ ეს მიზანი, ეს დედა-აზრი. მაშინ პიესა სულ სხვა ელფერს მიიღებს. თქვენ რომ გამოთქვით აზრი, რომ ეს პიესა მისაღებიც არის და საკვიროც, განა მხოლოდ იმისათვის, რომ როლებს დაამუშავებთ და შეასრულებთ? იფიქრეთ.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. მინდოდა თითონ დასს გამოერკვია ავტორის მიზანი და ამიტომ ეს სიჩუმე არ დამირდევია. და, მართლაც, ერთმა ახალგაზრდა მსახიობმა, იანგო აბტალიდომ წარმოსთქვა:

— ეს პიესა, როგორც ამბობენ, რევოლუციურია, ცენზურისაგან აკრძალულიც, მაგრამ შიგ მხოლოდ საზიზღარი ხალხია გამოყვანილი. სადღაა რევოლუციონერი გმირი? ვეძებ და ვერ მოვხაზე. უგმიროდ როგორ შეიძლება!

ჩემს პირდაპირ იჯდა ახალგაზრდა მსახიობი ქალი, ეველინა წუწუნავა. ფიცხი, თითქმის ცხარე ხასიათისა იყო, ყველა საინტერესო საკითხი გულთან

ახლოს მიჰქონდა, და, ამ შემთხვევაშიაც გაბრწყინებული, ოდნავ-ღამცინავი თვალებით შეხედა და უთხრა:

— იანგო, შენ რომააში მკაცრად რევოლუციონერ გმირად წყნ, როგორ მოიქცეოდი?

აბტალიდი წუთით დაფიქრდა და უპასუხა:

— ყველა ამ არამზადას ცხვირპირს ჩაეამტრევი!

— მერე?

— მერე და... მაყურებელიც ამ ამბავს მოიწონებს და...

აბტალიდი შეჩერდა და დაიბნა.

— ასე გამოდის, რომ მაყურებელიც არტისტებს, შენი არ იყოს, ცხვირპირს ჩაამტრევეს. ეს რა გმირობაა?

— არა, იანგო, — ჩაერია ელო ანდრონიკაშვილი, — მაყურებელი პიესაში მოცემულ საზიზღრობას მოქმედებით არ უპასუხებს. რეაქციის წინააღმდეგ მოქმედებით ბრძოლას რევოლუციური ორგანიზაციები კისრულობენ. ხოლო მაყურებელი, ჩვენი თამაშის დახმარებით, რეაქციურ ფენებს შეიძულეს.

— გმირს პიესაში მაინც ვერ ვხედავ... — თითქოს ნაღვლიანად გაიმეორა აბტალიდი.

— ვერც დაინახავ და არც უნდა ეძებო, — უთხრა ანეტა ქიქოძემ.

— ჩვენი შეგნებული და ხაზგასმული თამაში მაყურებლის გონებაში რეაქციის საწინააღმდეგო განწყობილებას დათესავს და ამითი ჩვენც ხალხის რევოლუციურ განწყობილებას ზელს შევუწყობთ...

ეველინა წუწუნავამ ვერ მოითმინა და აღელვებით შეაწყვეტინა.

— ჰო და... შენ რომ გმირს ეძებ, ძამია, ძველებურს, ცხარე მონოლოგებით და მყვირალა ხმით, ან ხელჩართული ჭიდაობით... ასეთი გმირი ამ პიესაში ავტორს განგებ არ გამოუყვანია... არ გვინდა ავტორი გვაძლევს პიესის ახალ ფორმას... ჰო და, ჩვენც, მსახიობებმა ისე უნდა შევასრულოთ



ჩვენი როლები, რომ, ანტას და ელოს თქმის არ იყოს, მაყურებელს ეს რეაქციონერები ძალიან შეძულდეს. მაშინ ეს მაყურებელი რევოლუციური ფენების მომხრე გახდება და, ვინ იცის, ახლო მომავალში რეაქციას ბრძოლასაც გამოუცხადებს... გმირიც მაშინ გაჩნდება! ჩვენ ამ ბრძოლას ნიადაგს მოუწვამდებით... სხვა რა უნდა ეთქვა, — მქერმეტყველი არა ვარ... და...—ლეღებუღი და ლოყებგაწითლებული გაჩუმდა.

ვასო არაბიძე, ჩვენი დასის წევრი, აქამდე ჩუმად იყო, მაგრამ თვალები უცინოდა, თითქოს რაღაც საიდუმლოებას ინახავდა. ახლა სიტყვა ითხოვა. ბევრმა იცოდა, რომ არაბიძე 1905-1906 წლებში, მოსკოვში კარგად იცნობდა მაქსიმ გორაკის, და ყველა დიდი ყურადღებით უსმენდა მას.

— როდესაც მოსკოვში ვიყავი, მ. გორაკის ძალიან კარგად ვიცნობდი. მაშინ ის ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, დიდი ხალისით საუბრობდა თეატრისა და მსახიობის შემოქმედებისა და ოსტატობის შესახებ. მან იცოდა, რომ მე ქართული თეატრის პატარა მსახიობი ვიყავი. ვუამბობდი ჩვენი თეატრის ყოფაცხოვრებას და ჩვენი დრამატურგიის ამბავს. დიდი ინტერესით მისმენდა და თითქმის ყოველთვის გადადიოდა თეატრის საკითხებზე. დრამატიული ნაწარმოებები თანამედროვე ცხოვრებასთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული და სადღეისო საკითხებს უნდა ეხებოდესო. მე არ შემიძლია სიტყვა-სიტყვით აღვადგინო ის გამოთქმები, რომელიც მისგან მომისმენია, მაგრამ მისი დებულებები კარგად მახსოვს. ჩვენი ცხოვრება სისაძაგლით არის გაყენებული, ამბობდა ის, და ამ სისაძაგლის გამტარებელი მეშხანინია. ის შხამავს ჩვენს ცხოვრებას, მას სძულს თავისუფალი აზროვნება. ის ყველგან არის, ყველა ფენაში და ყველგან არის ფეხმოკიდე-

ბული. ის ნამდვილი მაჯღოტურია. პატიოსანმა დრამატურგმა ამ მაჯღოჯუნას ნილაბი უნდა ეხადოს, და მისი არსი გამოაშკარაოს. ჩვენსაქვე დრამატურგს თეატრმა ხელი უნდა შეუწყოს. მან ამ მეშხანინის ბუნება უნდა გამოამკლავნოს, მაყურებელში ზიზღი უნდა ჩაენერგოს და აღძრას. სცენაზე პიესის სახეებმა არტისტების განსახიერებაში მხატვრული ღირებულება და სოციალური დამაჯერებლობა უნდა შიიღონ. აუცილებელია, რომ თვითუღი არტისტის თვითუღი თქმა, სიტყვა, ქესტი, განცდა—მეტყველი იყოს. მაშინ თეატრი და არტისტიც თავის სოციალურ დანიშნულებას შესრულებსო. როცა გორაკი მეშხანინზე ლაპარაკობდა, ღელავდა და მისი თვალები ნემსებივით ჩხვლეტდნენ მოსაუბრეს; სჩანდა, რომ მეშხანინი ყველაზე უფრო ძლიერ მტრად შიიანდა გორაკის. იმ დროს პიესა „უკანასკნელნი“ არ იყო დაწერილი და როდესაც ახლა გავეცანით, ვხედავ, რომ მისი დადგმა ან შესრულება ჩვენთვის სადღღეისო ამოცანაა. შე მგონია, რომ დასის წევრებმა ავტორის მიერ დასახულ მიზანს შიიანეს.

დასმა დიდი კმაყოფილებით მოისმინა ე. არაბიძის ნაამბობი და დააწმუნდა, რომ მსჯელობამ სწორი გზა შიიანა.

მეც შევატყვე, რომ ყველანი სიამოვნებით და სიხარულით შეუდგებოდნენ ამ პიესის განსახიერებას.

შთოლოდ ყალბებეღიშვილმა წინანდელი აზრი განიშეორა: „მოსაწყენიაო“, მაგრამ მის კილოში აღარ იყო ის სიმტკიცე, რომლითაც პირველი წაყითხვის დროს ლაპარაკობდა. ეტყობოდა რაღაც ყოყმანი, აზრის შერყვობა: მოსაწყენი იქნება ქუთაისის მაყურებლისთვის, მაგრამ ამ საუბრის შემდეგ პირადად მე უფრო მომშონს შინაარსით და შიივნებით ეს პიესა ჩემი სულის შონათესავეაო.

იმედავილი ისევ ჯიუტად იმეორებდა. „მდაბიო პიესაა, მოსაწონი არ არის“.

„უკანასკნელის“ მომზადების დასაწყისში ეს პიესა გამგებობის წევრმა—ხაზინადარმა კრინიციმ წაიკითხა, მოვარდა და აღელვებული მიიხრა:

— რატომ მღუპავ, ძმაო? ასეთ პიესას რა შემოსავალი ექნება? ჯამაგირი როგორ უნდა დაგირიგოთ? პოლიცია პასუხს მოგვთხოვს—ნებადართული არ ყოფილა. ამ ექსპერიმენტებს თავი დაიხრებ, თუ ძმა ხარ!

— ნუ გეშინია, ცენზურას როგორც შეგე შეგეშინებდა, — ეტუპასუხე შე, — რაც შეეხება შემოსავალს, ერთი წაგება ჩვენს საერთო საქმეს ხელს არ შეუშლის. განა ჩვენი მიზანი მხოლოდ შემოსავლიანობაა?

ამაზე ხელი ჩაიქნია და წავიდა.

\*\*\*

პიესის გარშემო შჯელობის შემდეგ როლები გაეანაწილე. მონაწილეობდნენ: ალ. ყალაბეგიშვილი, ან. მურუსიძე, ვ. არაბიძე, ი. აბტალიდი, ელო ანდრონიკაშვილი, ან. ქიქოძე, მ. მდივანი, თ. თამარაშვილი, ო. ლოლობერიძე, დ. ივანიძე და სხვ.

პირველ რიგში შემადგენლობა პიესის ცალკე ტიპების გარჩევასა და მათი სახეების ძირითად დამუშავებას შეუდგა. ეს დამუშავება კოლექტიურად ხდებოდა. ერთიმეორეს რჩევას აძლევდნენ, ხან ერთიმეორეს ეთანხმებოდნენ, ხან ეწინააღმდეგებოდნენ. მე ერთი რჩევა მიეცია: ერთის მხრით—თვით ავტორს დაემყარეთ, თქვენი რეჟისორი ჯერჯერობით გორკია, მეორეთი—მოცემული როლის სცენიური სახის დამუშავების დასაწყისშივე დაიხრეთ ამ როლის ლეიტ-მოტივი, რომელიც უნდა მონახოთ მოცემული ტიპის ბუნებისა, განცდებისა და მოქმედების მიხედვით და რომელიც უნდა

მიყვებოდეს ამ ტიპს თავიდან ბოლომდე-მეთქი. ეს რჩევა მოცემულ როლად და ორიგინალურად შეასრულეს. მაგალითად, მურუსიძემ <sup>მურუსიძე</sup> <sup>მურუსიძე</sup> <sup>მურუსიძე</sup>

— იმ დალოცვლილ ავტორს ისე უბრალოდ დაუწერია ეს პიესა, თვითველი ტიპი ისევ ჩამოუყალიბებია და დაუსურათებია, რომ ჩემთვის ჩემს როლში ყველაფერი არა თუ გასაგებია, ნათლად წარმოდგენილიც კი მაქვს როგორი უნდა ვიყო—რა ხმით უნდა ვილაპარაკო, რა სახის გამომეტყველება უნდა მექნეს, რა ღვარძლიანი და ბოროტი ვარ. ჩემი ძმა (პიესით) ჩემზე ლაპარაკობს—„შებლგარეცხილი, მყვირალა, არამზადა ხარ, შორს წახვალ!“—ამ დახასიათებით უნდა ვიხელმძღვანელო ამ როლის გაკეთების დროს.

ყალაბეგიშვილმა იხელმძღვანელა მისი ქალიშვილის ლუბას სიტყვებით: „ძამა ლოთობს, ქალაღს თამაშობს... გარყვნილებას ეწევა“... „მე არ მოშწონს ქალი ვიყო ისეთი ადამიანისა, რომელიც ხალხის ზოცვას უბრძანებს და, როდესაც მას ესვრიან, ლაჩარით ვარბის“.

თვითონ პოლიციის უფროსი (ყალაბეგიშვილი) ყოველთვის ყვირის: „მე აზნაური ვარ, ნებას არ მოგცემთ!..“

საპურობილის ექიმ ლეშჩუე (არაბიძე) ლაპარაკობენ:

„მარტო ლეშჩი-ლა გვეყოფა, რომ ამ სახლში ყველაფერი შეგვზიზღდეს“...

ამგვარი წესით, თითქმის ყველა ამსრულებელი დაემყარა თვით გორკის მიერ მოცემულ, პიესაში მიმოხვეულ, მოქმედ პირთა თქმებს და ეს მასალა სცენიურ განსახიერების ძირითად ხაზად გაიხადა. დაწვრილებითი დამუშავება შემდგომ რეპეტიციების დროს ხდებოდა.

„უკანასკნელის“ მომზადებისათვის 20 რეპეტიცია გეჭონდა. ეს რაოდენობა იმ-დროისათვის არაჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ჩემი მიზნებისა-

თვის, ახალგაზრდა, გამოუცდელი მსახიობების მიერ სცენიურ ძირითად კანონების შესწავლისათვის ბევრად უფრო ხანგრძლივი ვადა იყო საჭირო. მიუხედავად ამისა, რეპეტიციებმა დიდი ნაყოფი გამოიღო: პიესის საერთოდ მომზადების გზა-და-გზა ვჩერდებოდით, რომელიმე სცენიურ დებულების გასაცნობად და შესათვისებლად. ამ ამბავს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს შემთხვევითობაც შინაარსს მოკლებული არ იყო.

საჭირო იყო სცენიური მეტყველების ნორმალურ დონეზე დაყენება: ტექსტის მკაფიოდ გამოთქმა; ხან მონოტონური, ხან ცრუკლასიკური კილოს (ფრანგული თეატრის თვისება) ნაცვლად მოდულაციებით გაფერადებული უბრალო სასაუბრო კილოს შემუშავება; ცალკე სიტყვებზე უბრალო და მთელ წინადადებებზე ლოგიკური მახვილების შეტანა; სასვენი ნიშნების—წერტილისა და შიშვეს—ხმარება და გამოყენება; დიალოგების რითმის შეთვისება, სცენაზე თავის-დაპერა, სიარული, ეესტი, პარტნიორის ყურადღებით მოსმენა და შესაფერი პასუხის გაცემა, მეტყველი პაუზების შესრულება, წრფელი განცდების დამუშავება და ბოლოს ამ მასალით მხატვრული ანსამბლის შექმნა.

ამ დიდ და რთულ ამოცანებს, რა თქმა უნდა, ძალიან ხანგრძლივი და საფუძვლიანი სკოლა სჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ამის მთლიანად დაძლევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ერთ პიესაზე ჩატარებული უთეორიო პრაქტიკაც ბევრ რასმე მოგვცემდა.

თვითეული როლისა და მთელი პიესის ტექსტის ზედმიწევნით შეთვისება ახალგაზრდა მსახიობისათვის არც ისე ძნელი საქმე აღმოჩნდა. ასე რომ, როდესაც დასმა იგემა, რას ნიშნავს ტექსტის კარგად ცოდნა მსახიობისათვის და მაყურებლისათვისაც, რას

ნიშნავს როლის ცოდნა სასცენო განცდებისათვის და საერთო მხატვრული ანსამბლისთვის, ეს ეკლექტიკური სასცენო დებულება შეიქმნა ჩვენი დასის მუშაობაში როგორც აუცილებელი და ჩვეულებრივი კანონი. საბოლოო რეპეტიციების დროს დასმა მთხოვა მოკარნახე მომეხსნა, მაგრამ არ დავთანხმდი—სიფრთხილეს თავი არა სტკივა — სცენიურ შემთხვევითობას თავი ავარიდე.

ტექსტის „მამო ჩვენოსაით“ ბრმად და ყრუდ დაზეპირება არაფერს არ მოგვცემდა, თუ ეს ტექსტი შეგნებულად არ იქნებოდა შეთვისებული და შეგნებულადვე გამოთქმული. მაშასადამე, საჭირო იყო სასვენი ნიშნებისა და მახვილების სათანადო მოხმარება და ამასთან დაკავშირებით, პარტნიორის მთელი ტექსტის დიდი ყურადღებით მოსმენა. ჩვენი მსახიობი ჩვეულებრივად იმხსოვრებდა პარტნიორის ბოლო სიტყვებს, რეპლიკას, ზოგჯერ მხოლოდ ბოლო სიტყვას, და მაშინ იწყებდა თავისი ტექსტის თქმას. მისი მეხსიერება მექანიკურად იყო გამახვილებული და მისი სიტყვა-პასუხი შესაფერ შინაარსს, ლოგიკურ მახვილებს და მუსიკალურ გაფერადებას, ე. ი. მოდულაციებს მოკლებული იყო. მ. გორკის უბრალო და ამავე დროს შინაარსით საძვე აზრები, მოკლე პერიოდები, უმონოლოგო სცენები, სადა სიტყვები—ყოველივე ეს ისეთი მასალა იყო, სადაც ლოგიკური მახვილებიც, სასვენი ნიშნებიც, მუსიკალურად გაფერადებული სასაუბრო კილოც თვისთავად ლაგდებოდა და ყალიბდებოდა მუშაობის დროს. და ამის შედეგად სულ პატარა სულ მოკლე სასცენო ცოდნის დებულებაც კი, მოკლე პრაქტიკით დავარჯიშებული და მსახიობის მიერ განცილებილი, უკვე ერთნაირი სასცენო ცოდნა იყო.

პიესაში მიმობნეული იყო მრავალი ადგილი, სადაც საჭირო იყო სცენიური

პაუზების გამოყენება და სათანადოდ მოხმარება. პაუზები ორნამენტი სახისა იყო: ინდივიდუალური და კოლექტიური. ამ საკითხის მოვლა და გამოყენება გაპირდა, რადგან ძველი ტრადიცია გადაგველობა წინ: ზოგი ფიქრობდა, რომ პაუზა სცენაზე მსახიობს, მაყურებელს და პიესასაც ადუნებს, ზოგს კი ეშინოდათ, რომ პაუზა როლის უცოდინარობას მიეწერებაო. ამ თემაზე დასთან ზშირი საუბარი მქონდა. ვუმტიციებდი, რომ თუ სცენაზე რეალური ცხოვრების ასახვა გვინდა, ამ ცხოვრების თვისებებზეც უნდა ვიფიქროს: ჩვენს ჩვეულებრივს ყოველდღიურ საუბარში ზშირი პაუზები არის ჩაქსოვილი. სცენიური პაუზა ზოგჯერ იგივე მონოლოგია, სადაც სიტყვების ნაცვლად თვალები, მიმიკა და გესტი მეტყველებენ. დღეს სერიოზულ თეატრებში პაუზა ფიქსირებული ტექნიკური და მხატვრული ხერხი გახდა. ვუამბობდი და ზოგს ვაგონებდი ჩვენი ბუმბერაზების მეტყველ და შინაარსით სავსე პაუზებს: ლადო მესხიშვილის პაუზა პიესა „გულის თქმაში“ და „ავადმყოფ ხალხში“, ნატო გაბუნია-ცაგარლისა—„ორ ობოლში“, ვასო აბაშიძისა „ტუნწში“.

იპინი ბუმბერაზები არიან, ჩვენ კი პატარა ხალხი ვართო, მივასუხებდნენ.

მაგრამ, როდესაც პაუზების შემუშავებას პრაქტიკულად შევუდებოქით, როდესაც პაუზა სათანადო შინაარსი და განცდით გაეაჯერათ, ეს ხერხი არა თუ მიიღეს და მოიწონეს, არამედ შეუყვარდათ კიდევ.

სპექტაკლის დროს ინდივიდუალური პაუზა ყალბეგიშვილს ჰქონდა. ის არასასიამოვნო სტუმარს, ბრალდებულის დედას ელოდება, ნერვიულობს, ყოყმანობს—მიიღოს, თუ არ მიიღოს. ეს ადგილი იმდენად დამაჯერებელი ხერხით ჩაატარა, რომ ქანდარიდან ვაისმა:

— რას აწვალებ? მიიღე რაღა, მოუსმინე, შე ოჯახქორი!

ეს რეპლიკა განსაკუთრებული სიამოვნებით მოვისმინე. დამეხმარე, რომ მაყურებელი პიესის შინაარსს ეზიარა.

კოლექტიური პაუზა უფრო რთული გამოდგამ: პიესის ერთ-ერთ სცენაში რამდენიმე მოქმედი პირი ერთდროულად მონაწილეობს. პოლიციის უფროსის ოჯახის რამდენიმე წევრი დაინტერესებულია, რომ სასამართლომ ბრალდებულს საბრალდებლო განაჩენი გამოუტანოს. ამ ამბავს ზოგისთვის წინსვლა და მატერიალური წარმატება უნდა მოჰყვეს. ვიღაც უნდა მოვიდეს და განაჩენი მოიტანოს. ყველა ადულებულია, ყველა ჩუმად ნერვიულობს, ყველა თავისებურად, მისი ხასიათისა და ზრახვების თანახმად განიცდის ამ მნიშვნელოვან მომენტს.

ძნელი იყო ავტორის მიერ მოცემული ფსიქოლოგიური ამოცანის შესრულება, ძნელი იყო სხვადასხვა განცდების ერთ ფსიქოლოგიურ წერტილში, სიმბოროტის სავსე მოლოდინში შეჯამება. და თუ ეს შეჯამება წარმატებით შესრულდა, ეს არტისტების წრფელი მუშაობისა და მათი ალღოს შეთხებით მოხდა.

მთელი თეატრი სულგანაბელი უყურებდა ამ უსიტყვო სცენას და ეტყობოდა, თითქოს მაყურებელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს პიესის მსვლელობაშიო.

სპექტაკლის შემდეგ, ყალბეგიშვილმა, რომელიც წინასწარი მსჯელობის დროს „ურწმუნო თომა“ იყო, მითხრა:

— ვცდებოდი. ეს მიესა მოსაწყენი კი არა, პირიქით, ძალიან საინტერესოა. ვგრძნობ, რომ მაყურებელიც მოქმედებას აყვამ და ეს კარგი ნიშანია.

ამ პაუზის შესრულების დროს მოხდა ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ინციდენტი“.

ოჯახის უფროსი ქალიშვილის ნა-

დედვას როლს ნაკლებამოცდილი მსახიობი თამარ ბაქრაძე-თამარაშვილი ასრულებდა. ის პატარაობიდანვე რუსულად იყო გაზრდილი და ცხოვრებაში უფრო რუსული ეხერხებოდა, რუსულადვე აზროვნობდა. როდესაც სასამართლოს, მისთვის სასარგებლო და სასიხარულო, განაჩენი გაიგო, ნადედა ბაქრაძე აღფრთოვანებით შეეგება ამ ამბავს და დიდი ღრმა ამოსუნთქვით წამოისროლა: Слава богу!

ქართველი მსახიობი ქართულ სპექტაკლში რუსულად აღაპარაკდა!

თითონ მან ეს შეცდომა მხოლოდ მოკმეღების გათავების შემდეგ გაიგო კულისებში, როდესაც ამხანაგებმა უსაყვედურეს:

— რა მოგივიდა, თამარ! ქართულ თეატრში მუშაობ, თუ რუსულში?”

ძალიან აღელდა, ცრემლები მოადგა და სპექტაკლის გათავების შემდეგ გამოიციხა:

— ჩემისთანა უხეირო მსახიობი რად გინდათ. დასიდან გამათავისუფლეთ!

ძლიესძლიეობით დაეპყვიდე, ვუთხარი, რომ შეცდომა ყველას მოუვა, რომ მის მიერ შექმნილი სახე სწორი და დამაჯერებელია. ნუ დელავთ და მუშაობა დამშვიდებით განაგრძეთ — მეთქი. ჩემთვის კი, პედაგოგისთვის ეს შეცდომა წრფელი განცდის უტყუარი მაჩვენებელი იყო.

ასე და ამგვარად მუშაობდა ახალგაზრდა დასი, მუშაობდა თითქმის ბავშვური გულწრფელობით, ენერჯის დაუზოგავად. ხშირი იყო მძიმე მომენტები, როდესაც მსახიობი ვერ სძლედა ამოცანას, ხშირივე იყო სასიხარულო მომენტები, როდესაც ამოცანა დაძლეული ხდებოდა. ყველა ხედავდა და გრძნობდა, რომ პატარ-პატარა ცოდნა გროვდებოდა მის პრაქტიკაში, იცოდა რომ ეს მარაგი შემდგომ დადგმებში გამოყენებული იქნებოდა, როგორც ნა-

ცადი მასალა, როგორც უკვე განვლილი და შეთვისებული კონცეპტი.

პირველივე რეჟისორი იყო დროს, როდესაც უკვე გაცხოველებული მუშაობა დაიწყო და ყველამ ამ მუშაობის გემო ნახა, მომაგონდა, რომ პიესა რუსეთში აკრძალული იყო და ჩვენში მისი ოფიციალურად გატარება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ოღნაეი იმედი მქონდა, რომ ერთის მხრით—აკრძალვის ბრძანებები თბილისში ძალიან გვიან მოდიოდა და, მეორეს მხრით,—ამიერკავკასიის საცენზურო კომიტეტს უფლება მქონდა ლიტერატურული ნაწარმოებების, ორიგინალურისა და ნათარგმნის, განხილვის დროს „ადგილობრივი პირობებით“ ეხელმძღვანელნა. არაერთი შემთხვევა იყო, რომ სახიფათო პიესა ამ „ადგილობრივი პირობების“ დახმარებით იდგმებოდა ქართულ თეატრში, განსაკუთრებით კი რაიონებში (სამტრედიას, აბაშას, ზონი და სხვა), სადაც სიშორის წყალობით საცენზურო თვალი ბეცი აღმოჩნდებოდა. მაგრამ ქუთაისში პოლიცია თვალმახილი იყო და მისი თვალის ახვევა ძალიან ძნელსა და სახიფათო ამბავს წარმოადგენდა. ამ საქმეს ბრწყინვალედ მოუარა ადმინისტრაციული საქმელო საკითხების „გაპირვების ტალკვესმა“ ვასო ურუშაძემ.

მაქსიმ გორკის „უკანასკნელის“ საცენზურო მონათვლა მან იკისრა.

მაშინვე თბილისში წავიდა საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ი. პოლუმორდენინოვთან, რომელიც ქართული თეატრის დიდი მოყვარული და ხელისშემწყობი იყო საცენზურო საკითხებში. მეფის დროის ადმინისტრაციისათვის მაქსიმ გორკი დიდი საფრთხილელი იყო, ხოლო საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარისათვის ამ პიესის ნებართვა სახიფათო ნაბიჯს წარმოადგენდა. არ ვიცი, რა მანქანებით მოეწყო ეს საქმე—პოლუმორდენინოვის გამბედაობით, თუ ვასო ურუშაძის და-

მაკერებელი მეტყველებით, მხოლოდ ორიოდ დღის შემდეგ ვასო დაბრუნდა და პირდაპირ სადგურიდან თეატრში მოვიდა. დაჯდა, გაჩუმდა და დრამატიული იერი მიიღო. ნებართვის მოგვარების საკითხს საიდუმლოდ ვინახავდით და იმ წუთში სხვა არავინ არ დაგვესწრებია.

— რა მოგივიდა, კაცო? ცხვირპირი ჩამოგტირის. ვერ მოახერხე?

— აკრძალეს მეც კინალამ დამიპირეს. პიესა უნდა მოგხსნათ, თორემ...

მაგრამ ველარ მოითმინა, დრამატიული ნილაბი მოიხსნა, გაიღიმა და უბიდან რვეული ამოიღო: ხელში ნებადართული ეგზემპლარი ეჭირა.

— მზად არის მხოლოდ ჯერ-ჯერობით ნუ გავახშურებთ. ახლა აფიშას ან პოლიციის უფროსმა, ან მისმა მოადგილემ უნდა მოაწეროს ხელი. უფროსი დიდი გამოქნილი ძაღლია, როცა ქალაქარედ წავა, აფიშას თანაშემწეს მივაჩეჩებ, მან სრულიად არ იცის, გორკი ვინ არის, ან რა არის. მას ნებადართულ ეგზემპლარზე მხოლოდ კანონიერი ბეჭედი აინტერესებს, სხვა არაფერი. სპექტაკლის დროსაც მორიგ უბნის ზედამხედველსაც მოვუვლით. აბა, ახლა რეპეტიციები დამშვიდებით განაგრძეთ.

ჩვენც დამშვიდებული ვუღლით განაგრძეთ ჩვენი მუშაობა.

\*\*\*

იმ ხანებში მ. გორკი, უკვე დიდად ცნობილი მწერალი, რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის „ფიქრთა მეფე“ იყო. ქართველი ინტელიგენციაც და მოწაფეობაც მის ნაწარმოებებს რუსულად და ქართული თარგმანებითაც იცნობდა. ზოლო ქუთაისის თეატრი ამ დარგში მნიშვნელოვანად ჩამორჩენილი იყო. „უკანასკნელის“ დადგმის დროს არტისტების თითქმის უმეტესობა მ. გორ-

კის ნაწარმოებებს სულ არ იცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი პიესა „ნადირალნი“ ბეგლარის, ანტიკონსტანტინოპოლის თარგმანით წინა სენსონებში უკვე დადგმული იყო თბილისისა და ქუთაისის სცენებზე. ამიტომ განვიზრახე წამკითხნა ქართული დასისათვის გორკის ზოგიერთი მოთხრობა და ლექსი-ლექგენდები. წაკითხვის დროს მოკლედ ვუთხრებ, რომ მან ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში დაიწყო.

მოკლე მოთხრობები დასს ძალიან მოეწონა, ხოლო ლექსი-ლექგენდები — „შევარდნის სიმღერა“, „ქარიშხლის სიმღერა“, „ელახური ლექგენდა“ — თავისი რომანტიული შინაარსითა და ფორმით განსაკუთრებული სიამოვნებით მოისმინეს. რამდენიმეჯერ წამკითხეს.

ამ ნაწარმოებთა რომანტიული განწყობილება სავსებით შეეფერებოდა ქართველი მსახიობის ბუნებას და ერთმა კითხვის შემდეგ წამოიძახა:

— ეს ლექსები სწორედ საჩვენოა: შიგ გვირობაც არის ჩაქსოვილი, ბრძოლის უნარიც. ისე მგონია, თითქმის ავტორს მაღალ მთაზე აყვავარა.

„უკანასკნელის“ სამზადისი უკვე მიწურულში იყო. ყველა, მთელი დასი, რეჟისურა, გამგეობაც, ლელავდა და ნერვიულობდა. შეიძლება ითქვას, რომ მომავალი სპექტაკლი საბედისწერო მომენტს წარმოადგენდა.

„ან გამარჯვება, ან სიკვდილი“, — იძახოდა მურუსიძე. მართლაც, მუშაობის ახალი სისტემა, ახალი უბრალო პიესა, სწორედ ამ უბრალოებით საბიფათო, მაყურებლისა და პრესის მომავალი რეაქცია, და მრავალი სხვა გარემოება, ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ზანდაზან წონასწორობის დაკარგვის შიში მქონდა.

გენერალური რეპეტიცია არ მოგვიწყვია. ეს ჩვენთვის არაჩვეულებრივი ფულუნება იქნებოდა: ზედმეტი ხარ-

ჯის გაღება გამგეობას არ შეეძლო, ხაზინდარიც თითქოს განგებ საღლაც გაჰქრა, და როდესაც ბოლოს და ბოლოს დაევიტირე, მითხრა: „აჰ, ძმაო, მოსკოვის მხატი ხომ არ გგონია, როგორც წინათ გეწიარავს, ისე ეწიროთო“. პიესას განსაკუთრებული დეკორატიული გაფორმება არ სჭირდებოდა, ასე რომ თეატრში არსებული დეკორაცია და ავეჯი გამოვიყენე. რაც შეეხება სამხედრო და სამოქალაქო ტანსაცმელის ტარების დაჩვევას და გრიმების წინასწარ შემუშავებას — ეს, ხდებოდა, ასე ვთქვათ, „ზეზირად“.

აფიშა სპექტაკლამდე ორი-სამი დღით ადრე გამოვიდა. ვ. ურუშაძემ განზრახვა შეასრულა. ბეჟედლანსული ეგზეგზლარი თანაშემწეს გასაცნობად „მოაჩინა“ და აფიშის გამოშვების ნებართვა იღო. რჩებოდა მხოლოდ სპექტაკლის დროს პოლიციის მორიგე ბოქაულის მოთაფლეა. ეს ამბავიც ვასომ მოაგვარა: წინდაწინვე გაიგო მორიგე ვინ იქნებოდა და ამისდამხედვეთ მიუჩინა მას სიიმედო ადამიანი, რომელმაც, კარგი სმა იცოდა. წარმოდგენის წინ დაპატია მეზობელ რესტორანში ახლადმიღებულ „დიმის“ ღვინოს გასასინჯად. ეს გასინჯვა კარგა ხანს გაგრძელდა, ასე რომ, უკვე ბოლო მოქმედება მზდიოდა, როდესაც ბოქაული თანამდებობის შესასრულებლად თეატრში მოვიდა. შუა სპექტაკლის დროს ვასო კულისებში მოვიდა კმაყოფილი და მხიარული, მხედრული საღამო მომცა: „პატივი მაქვს გაცნობოთ ყოველივე წესრიგზეა—ქანდარაზე აკადემიური სიმშვიდეა, რესტორანში სრული კმაყოფილებაა. როცა მორიგე მოვა, სცენაზე არტისტები „კამჩეზი“ ეგონება!“

სპექტაკლის დღეს დილიდანვე და განსაკუთრებით საღამოს ფარდის ახლის წინ მსახიობებში აღელვება და ზერვიულობაც იყო, ის სპეციფიური აღელვება, რომელიც, უმეტეს შემთხ-

ვევებში, წარმატების მაჩვენებელია და რომელიც ხშირად მრეწველი მაჯის-ცემით, ცივი ხელეჭებით, ფერის დაკარგვით, ოფლდრის მუხსიერების მწვევე მოღუნებით და მრავალი სხვა ნიშნებით გამოიხატება: ეს აღელვება გადამდები სენიით მთელ თეატრს მოედება ხოლმე და ფარდის ახლამდე მსახიობს ძლიერ აწუხებს და ხელს უშლის, ხოლო ფარდის ახლის შემდეგ, სცენაზე, პირიქით—ეს ნიშნები იკარგება და ამის ნაცვლად მსახიობებში ამეტყველდება წინდაწინვე შემუშავებული და დავარჯიშებული სცენიური სახის შეჯამებული, შეხმატკბილებული ფერადები: შესაფერი ხმა, კილო, ქესტი, განცდა. და, თუ ეს განცდა წრფელია, მაყურებელი მსახიობისა და ავტორის შემოქმედებას ადვილად ეზიარება. თუმცა ვიცნობდი ამ სცენიური შემოქმედებითი აღელვების ფსიქიკას, მაინც რაიმე მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ამბავის მეშინოდა, მეშინოდა ეს ახალგაზრდა, ჯგუფი ნამდვილი სცენიური უნარის პატრონი იყო თუ არა. სერგო ჭელიძისა და ონი სიმე დადიანის (ტექნიკური მუშაები) ჩაქუჩის ნერვიული ხმაჲ კი მაღელვებდა. ეს ზომ საჯარო გამოცდა იყო, გამოცდა იმ ახალი მუშაობისა, რომელიც ჩვენ განვიზრახეთ იმ სეზონში.

საბედნიეროდ სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. თვითიული მსახიობი თავთავის სცენიურ ამოცანას შინაგანი რწმენით და სცენიური დამაჯერებლობით ასრულებდა. ცალკე ცალკე სცენები, დიალოგები, მოქმედებების ტემპი, სახეების ფსიქოლოგიური ფერები ურთიერთმორის შეხმატკბილებული იყო.

ზის თანამოზიარე იყო. მისი მარჯვე და ფრთხილი მუშაობა საერთო წარმატებას ხელს უწყობდა.

ასე რომ ამ ახალგაზრდა ჯგუფის წრეულმა, ხალისიანმა მუშაობამ და დიდი ავტორის მხატვრულმა პიესამ შედეგად მხატვრული ანსამბლი მოგვეცეს, რაც პრესამაც ერთსულოვნად აღნიშნა.

მაგრამ ვიდრე რეცენზიები დაიწერებოდა, ჩვენ ჩვენი უშუალო რეცენზია გექონდა ხოლმე: ეს იყო ზემოდაღნიშნული, მოქმედების მსვლელობის დროს წამოსროლილი რეპლიკები. არა წინდაწინვე ნაფიქრი და გამოზომილი აზრი, არამედ უშუალოდ განცდილი და უშუალოდვე გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გრძობა-დაფასება.

ახლობლებისა და მეგობრებისაგან თანაგრძობით ხელის ჩამორთმევა და შექება, მართალია, სასიამოვნო იყო, მაგრამ ამ „რეცენზიებსაც“ ხშირად თავაზიანი ქათინაურის ელფერი ჰქონდა. ჩვენ უფრო ვაფასებდით დამსწრე საზოგადოების უშუალო რეაქციას. ჯერ სულგანაბული, ყურადღებით სავსე სიჩუმე მოქმედების დროს, შემდეგ ერთსულოვანი, ხანგრძლივი ტაში და ბოლოს თავისდასაკერელად რამდენიმეჯერ გამოძახება. მართალია, წარმოდგენის ბოლოს ხან ხანგრძლივი ხან ხანმოკლე ტაში ყოველთვის არის ხოლმე, მაგრამ თეატრის მუშაეს ამ შემთხვევაში ყური გამახვილებული აქვს და კარგად იცის, თუ რა ხარისხისაა ესა-თუ-ის ტაში. ჩვენც კარგად ვიგრძენით და სიხარულით ვუსმენდით მაშინდელ ტაშს და განსაკუთრებული კმაყოფილება ვიგრძენი, როდესაც ტაშისა და თავისდასაკერელად გამოძახების დროს რამდენიმეჯერ გავიგონეთ: „ყველა! ყველა!“

როდესაც სცენის დიდ ოსტატს მისი ნიჭის თავიანთსმეველები პერსონალურად უძაბიან, გასაგებიც არის და სასიამოვნოც: დიდ ოსტატს დიდი ჯილ-

დო ეკუთვნის. მაგრამ იმ სიტუაციაში პერსონალური ოსტატი არ ყოფილა და ეს გამოძახება — „ყველა! ყველა!“ — მთელ ანსამბლს ექცხენოდა. „ყველა! ამსრულებული კარგი იყო, არ იყო პირველი, არ იყო მეორე და მესამე. ამიტომ წრეული და უშუალო გამოძახება „ყველა“ სწორად ასახავდა შესრულებასაც და აუდიტორიის აზრსაც.

იყო კიდევ ერთი პატარა ამბავი, რომელიც რეცენზიას ჰგავდა: წარმოდგენის მეორე დღეს ერთმა ახალგაზრდა მსახიობმა (მგონი აპტალიდი იყო, საზიზღარი ტიპის ამსრულებული) მიიღო პატარა ხელმოუწერელი ბარათი:

„არ ვიცოდი, თუ ასეთი უსინდისო ხარ. გთხოვთ, აწი თავი არ დამიკრა!“

ბევრი ვიცინეთ, მაგრამ ეს გულუბრყვილო ბარათიც მსახიობის კარგი მხატვრული თამაშით იყო გამოწვეული.

მეორე ბარათი ჩემს სახელზე იყო: „რევისორს. ყველანი საზიზღრები იყვნენ უაღრესად, მაგრამ მიხარია, რომ ყველანივე ძალიან კარგი მსახიობები (არტიტები) ყოფილხართ. მაღლობა მასწავლებელ ქალისაგან“.

ამ ბარათების ავტორებს აზრის გამოთქმას არაფერ არ აძალებდა და ჩვენც მივიღეთ როგორც წრეული რეცენზია.

მიუხედავად იმისა, რომ ბარათები, წარმოდგენის მსვლელობის დროს მაცურებლის მიერ გამოჩენილი რეაქცია, ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი რეცენზია უნდა ყოფილიყო, ჩვენ მაინც ვუცდიდით ოფიციალურს პრესაში მოთავსებულს „ნაფიც“ რეცენზენტების აზრს. ვიცოდით, რომ ეს რეცენზენტები, უმეტეს შემთხვევაში, სასცენო ხელოვნების მცოდნენი არ იყვნენ. მიუხედავად ამისა, მოუთმენლად ველოდებოდით მათ დაფასებას. მსახიობისა და საერთოდ ხელოვნების მუშაეის ფსიქიკა უცნაურია: მას ყო-



ველთვის მისი განსახიერების შექება სურს. თუ რეცენზენტი გადაჭარბებით აქვს მსახიობს, ეს გადაჭარბება მას კანონიერად მიიჩნია, თუმცა მაშინდელ რეცენზიებში შექება თითქმის ყოველთვის ზოგადი ხასიათის, არადასაბუთებული იყო. ამა-და-ამ არტისტმა თავისი როლი „შესანიშნავად“, ან „არაჩვეულებრივად შეასრულა“. „დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა“ ესა-და-ეს არტისტიო.

მეორეს მხრით—უარყოფითი რეცენზიებში ყრუდ იყო ხოლმე ნათქვამი: „სუსტი იყო ბ-ნი პეტრიძე“ და სხვა არაფერი. რითი იყო სუსტი, რეცენზენტი არ ამბობდა. რეცენზიაში ხშირად წაიკითხავდით: „დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ“. რანაირად? რითი?—ეს არ ეწერა. განსაკუთრებულ წყენას იწვევდა მსახიობში ისეთი რეცენზია, სადაც სპექტაკლში მონაწილე მსახიობს სულ არ ახსენებდნენ.

— რაო, მკვლარი ვიყავი? ხსენების ღირსი არ ვიყავი?—ბუზღუნებდა მსახიობი:—სულ არხსენებას, ლანძღვა მერჩია.

ასეთი იყო მაშინდელი რეცენზიები, სწორედ „რეცენზიები“, რადგანაც ნამდვილი კრიტიკა, კრიტიკული გარჩევა პიესისა და მსახიობების თამაშისა, ძალიან იშვიათი ამბავი იყო, განსაკუთრებით კი—ჭუთაისის თეატრის შესახებ.

„უკანასკნელნი“ დადგმის რამდენიმე დღის შემდეგ აღინიშნა ეს სპექტაკლი ადგილობრივ პრესაში და აგრეთვე თბილისის ჟართულსა და რუსულ გაზეთებში.

ყველა გაზეთმა ერთხმად აღიარა, რომ ჭუთაისის თეატრის ახალგაზრდა დასმა, მიუხედავად საზოგადოებისა და პრესის წინასწარი უნდობლობისა, გაიმარჯვა. ყველა რეცენზია აღნიშნავდა, რომ თუმცა პიესა თითქოს მოსაწყენია, არა-სცენიურია, მაგრამ დასის მუშაობამ და მსახიობის თამაშმა

პიესა მეტად საინტერესო გახადაო. ერთმა რეცენზენტმა ნაზი გაყვსა პიესის დიდს საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამ ქებითს რეცენზიებში ჩაერია, როგორც დიდი დინონანსი, ერთი—რეცენზია, სადაც ავტორი შეეხო მუშაობის ახალ ხილს, მეტყველ პაუზებს, რომლებიც არტისტებმა დიდი ყურადღებითა და სიყვარულით შეიმუშავეს, რომლითაც დასი ამაცობდა. რეცენზიაში ეწერა: „არტისტები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ სამწუხაროდ როლები არ იცოდნენ“. ასე გაიგო ავტორმა ის მხატვრული მიღწევა, რომლითაც დასმა შეამკო სპექტაკლის მხატვრული ანსამბლი. დასი ძალიან კარგ გუნებაზე იყო, უხაროდა, რომ მისი მუშაობა კარგად დაფასდა, ასე რომ ეს რეცენზია არავის არ ეწყინა. პირიქით დიდი სიცილი და ოხუნჯობა გამოიწვია.

\*\*\*

„უკანასკნელნი“ დადგმის შემდეგ დასი, ასეთი წარმატებით გამხნეებულნი, გაორკეცებული სიმხნევით და ენერგიით შეუდგა შემდგომ მუშაობას. 2—3 თვის განმავლობაში დასმა დინჯად და საფუძვლიანად მხოლოდ ორი პიესის მომზადება მოასწრო. ეს იყო ნიკო შიუკაშვილის „სიმამინჯე“ და ლეონიდ ანდრეევის „გაუდეაუს“. დანარჩენი სპექტაკლები ნახევრად იყო გაკეთებული. ამ აჩქარებას გამგეობის საფინანსო გეგმა გვაიძულებდა. მაგრამ აი ნაჩქარევად მომზადებულ სპექტაკლებში, უკვე სჩანდა მუშაობის ახალი წესის კვალი. როლების აბუჩად აღებას, ტექსტის უცოდინარობას ადგილი თითქმის აღარ ჰქონდა. მ. გორკის პიესაზე საინტერესო მუშაობამ აღმოფხვრა ჩვენი დასის ძველი უარყოფითი ჩვევები.

იანვრის დამლევს „სახალხო გაზეთის“ ნომრებში (№ 218, 219, 220,

221) დაიბეჭდა კიტა აბაშიძის 4 ფელეტონი სათაურად: „ქართული თეატრის განახლება“.

ეს ფელეტონები ჩვენთვის სრულებით მოულოდნელი იყო. რამდენადაც ეციც, კიტა აბაშიძე თეატრის შესახებ არ სწერდა, და ახლა განსაკუთრებული ინტერესით წაგიკითხეთ მისი წერილი.

მთავარი თემა ამ წერილისა მ. გორკის „უქანასკნელებზე“ ქუთაისის ახალგაზრდა დასის ახალი წესით მუშაობის გარჩევა იყო.

ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არტიისტებზე და დიდი სიხარული გამოიწვია. მთელმა დასმა დაინახა, რომ ეს კრიტიკული წერილი ასე გულისხმობდა არჩევს და იწონებს თეატრის მთელ მუშაობას, ამ მუშაობის ახალ წესს, რომელიც თეატრმა დაისახა, საფუძვლიანად ასაბუთებს ქართული თეატრის მუშაობის ახალ მანერას. სიხარული გამოიწვია არამხოლოდ იმ შექტებამ, რომელიც არტიისტების თამაშს წილად ზედა, არამედ იმ გარემოებამ, რომ პატარა და დიდი მსახიობის თამაში კრიტიკულ გარჩევის საგანი გახდა.

ყველა არტიისტმა „სახალხო გაზეთის“ ნახსენები ნომრები შეიძინა და ყველა კარგად გრძნობდა, რომ ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯეში“ და ლ. ანდრეევის „გაუდგამუსში“ მონაწილე არტიისტების თამაშის ქებას სათავე და წყარო მ. გორკის „უქანასკნელებზე“ მუშაობა და შესრულება იყო.

ახლა, როდესაც მაშინდელ მუშაობას ვაჯამებ, ვხედავ, რა მნიშვნელოვანი წინსვლა მოგვცა მ. გორკიმ, როგორც მხატვარმა, მასწავლებელმა და მოქალაქემ.

მ. გორკის ამ აკრძალული პიესის პირველად დადგამა ქართულ სცენაზე დიდი ინტერესი გამოიწვია მ. გორკის შემოქმედებისადმი სცენის მუშაკებში. მანამდე ძალიან იშვიათი ამბავი იყო,

რომ ჩვენს თეატრში პიესაზე მუშაობის დროს ავტორის ვინაობა და მისი შემოქმედება ყოველმხრივ გაცნობის საგანი ყოფილიყო. ახლა მსახიობთა ხალხით ეცნობოდა მის დახარჩუნს ნაწარმოებს და ეზიარებოდა მის მოწინავე აზრებს.

ამის შემდეგ იყო, რომ შემდგომი მუშაობის დროს, მაგალითად ჰაუბტმანის, იბსენის, სოფოკლესა და სხვათა პიესების დადგმის დროს, მსახიობი ეცნობოდა ამ ავტორების ვინაობასაც და მნიშვნელობასაც.

მსახიობი ყოველთვის, ჩვენშიაც და რუსეთშიაც, ცენტრალურ ეფექტურ და მომგებიან როლს ეტანებოდა. „ქარგი“ და „მომგებიანი“ როლები სტაჟიან და დამსახურებულ არტიისტებს ხელებოდა, ახალგაზრდებს კი — „პატარა“, უმნიშვნელო როლები. ამ ნიადაგზე დასში ყოველთვის ჩუმი უკმაყოფილება, შური და უსიამოვნება იქმნებოდა.

„უქანასკნელებში“ არამნიშვნელოვანი როლი არ იყო. ყველა როლი მთლიანი, შინაარსიანი და პიესის დედა-აზრთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო. განაწილების, მუშაობის და შესრულების დროს მსახიობები კმაყოფილნი იყვნენ და ამის გამო დიდი ხალხით და სიყვარულით მუშაობდნენ. ეს კი მხატვრული ანსამბლის საწინდარია იყო.

გარდა ამისა მ. გორკიმ ახალგაზრდა დასს ჩაუნერგა რწმენა, რომ ახალგაზრდებსაც შეუძლია ნაყოფიერი მუშაობა, შეუძლია წინსვლა, შეუძლია კარგი მომავლის იმედი იქონიოს და ამითი ხელი შეუწყოს საერთოდ ქართული თეატრის წარმატებას.

„უქანასკნელის“ დადგმაზე ახალი წესით მუშაობამ ქუთაისის თეატრში მოგვცა, ასე ვთქვათ „მშვიდობიანი პლაცდარმი“, საიდანაც ჩვენ შემდგომ დადგმებზე კულტურული იერიშის მიტანა შეეძელით.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა



ქართული აგოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი.  
კომენი ტომი II.

გამოსცა კორნ. კეკელიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემია. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი, 1946 წ.

ძველ ქართულ მწერლობას შემოუნახავს  
ძველი ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნე-  
ლოვანესი ძეგლები. მნიშვნელობა ამგვარი  
ძეგლებისა კიდევ უფრო გაზრდილია იმ გარე-  
შობების გამო, რომ ნათარგმნ თხზულებათა  
შორის ცოტა როდია ისეთი ნაწარმოებნი, რო-  
მელთა დედანი დროთა ეითარებაში დაკარგუ-  
ლა და მეცნიერებისათვის ამჟამად მხოლოდ  
ქართული თარგმანი არსებობს, როგორც უნი-  
კალური ტექსტები ძველი საქრისტიანო მწერ-  
ლობისა.

1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადე-  
მიამ წინადადება მისცა კორნელი კეკელიძეს,  
რათა ეყარა მას გამოცემა ქართული აგოგრა-  
ფიული ლიტერატურის ძეგლებისა, რომელთა  
მსოფლიო მეცნიერული ღირებულება და  
მნიშვნელობა მაშინაც კარგად იგრძნობოდა.  
როდესაც აკადემიის წარდგინა სათანადო გა-  
მოცემის ფრცხელი გეგმა, აკადემიკოსი ნიკო  
პარი სწერდა მეცნიერებათა აკადემიის  
ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას:  
план имеет за собой всю глубину моего  
сочувствия, я поддерживаю это новое  
предприятие, как более чем своевре-  
менное, давно уже назревшее и в области  
грузиноведения (Протоколы ИФ. Отдел.  
1915 г. VII, § 120 — 123, стр. 61 — 63).

უნდა გამოცემულიყო პირველ რიგში ისეთი  
თხზულებანი, რომლებიც სრულიად არ არიან  
ცნობილი უცხო ენებზე, ანდა არსებობენ  
განსხვავებულ რედაქციით. გამოცემა ნაწარაუ-  
დვეი იყო რვა ტომად. 1918 წელს დაიბეჭდა  
ამ გამოცემის პირველი ტომი. აკადემიაში მო-  
მხდარ ცვლილებათა გამო ამ სერიის გამოცემა  
შესწყდა, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერ-

ებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა განა-  
ახლა კომენი რედაქციის ძეგლების გამო-  
კვეთება. ჯერჯერობით გამოსულია ეს მეო-  
რე ტომი.

სიტყვა „კომენი“ ბერძნული ენიდან მომ-  
დინარეობს და ნიშნავს „მდებარეს“. ედრემ  
მცირეს მოწმობით, ძველ პერიოდში ნათარგმნ  
რედაქციის წმიდათა ცხოვრებისას ჩვეულებ-  
რივ კომენი ეწოდებოდა. ერთი აგოგრაფიული  
ტექსტის ბოლოში ედრემი შენიშნავს: „კომენი  
ეწოდების პირველ ლიტონად აღწერილსა  
წიგნისა მოწმეთასა“. ამგვარად კომენი ერჭვა  
ძველ მარტილობა-ცხოვრებათა ხელშეწყობე-  
ლად მდებარეს, შეესწორებულსა და განუმარ-  
ტებელ ტექსტს, რომელიც „შემოკლებით და  
ლიტონად აღწერილი იყო“.

სარეკენზიო წიგნში წარმოდგენილია 14  
ძველი მარტილობანი: ლუკანოზისი, პავლე-  
სი, ელიანოსისი, ბაასი, არესი, პრომისი და  
სხვ. საკითხავი დღესასწაულთათვის, ეცესები  
ქესარიელის ფრაგმენტები ქებაა წმიდათა მო-  
წამეთა, ცხოვრება საბა პალესტინელისა და  
სხვ.). სათითაოდ ტექსტს წამმღერებელი აქვს  
ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა  
თხზულებისა, მასალები აგოგრაფიისათვის,  
მოკლე შინაარსი თხზულებისა, ტექსტის ფი-  
ლოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის თეო-  
საზრობით განსაკუთრებით საინტერესოა კირი-  
ლე სკვითაპოლელის ცხოვრება საბა პალეს-  
ტინელისა (ძეგლს უპირავს წიგნის უდიდესი  
ნაწილი). საბა ერთ-ერთი საყურადღებო პიროვ-  
ნებაა ბიზანტიის ისტორიისა მეზოლეო სულენის  
მეორე ნახევარსა და მეექვსეს პირველ ნახე-

ვარში (იხ. სარკე. წიგნის გვ. 117). იგი თავგან-  
მოდებით იბრძოდა როგორც საკლესიო-კამო-  
ნასტრო, ისე პოლიტიკურ ამაზრუნველ, როგორც  
კ. კეკელიძე აღნიშნავს, საბას პიროვნება და  
საქმიანობა ბიზანტიის იმპერატორებისათვის  
წარმოადგენდა „აღმოსავლეთის დიოცეზის“  
პოლიტიკის საიმედო საყრდენს, განსაკუთრებით  
იმ შემთხვევაში, როდესაც მონოფიზიტურ  
მობრძობა საგრძნობლად აწყვედა და ემუქ-  
რებოდა იმპერიის მთლიანობას. ამიტომ გასა-  
გებია, რომ ეს თხზულება მიზნულია პირველ-  
წყაროდ აღნიშნული ეპოქის შესასწავლად.  
ერცული, დაწვრილებითი, ზუსტი ჭრილობო-  
ვითი თარიღებით შემკული, თან შექმნილი-  
დაგვიარდ ობიექტური ვადმოცემა იმდროინ-  
დელი საკლესიო და პოლიტიკური მოძრაო-  
ბის ამბებისა, ნამდვილ მატერიალურ ხედს ამ ნა-  
წარმოებს (გვ. 118). გამომეცემელი ხაზს უსვამს  
იმ გარემოებას, რომ ამ ტექსტის გამოცემას  
აქვს უდიდესი მნიშვნელობა ძველი ქართული  
კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, კერ-  
ძოდ ქართული ლიტერატურის ისტორიისათ-  
ვის, რამდენადაც მას ჩვენს წყურბოში ვა-  
კვეთელი გამოხატულება უპოვია. საბას ღარი  
იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძვე-  
ლესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული  
კულტურისა და მწერლობისა.

რედაქტორი ვრცლად აღწერს თხზულების  
ნუსხას. არკვევს საკითხს, თუ როდის ითარგმნა  
თხზულება და რომელი ენიდან. კ. კეკელიძის  
შტაკეცებით, იგი ნათარგმანი ბერძნულიდან. ეს  
აწკვეთა გამართლებულია თინდართული ლექ-  
სიკონიდანაც, რომელშიაც ეპოქალობით უა-  
რავ წმინდა ბერძნულ სიტყვებს; ეს სიტყვები  
უმეტეს შემთხვევაში სპეციალურად ამ თხზუ-  
ლების თარგმნის დროს გამოუყენებია მთარგმ-  
ნელ სხვადასხვა მიზეზის გამო (გვ. 121). არ  
არსებობს პირდაპირი ცნობა თარგმნის თარი-  
ღის შესახებ. მთელ რივ გარემოებათა გათვა-  
ლისწინების შემდეგ რედაქტორი მიდის იმ  
დასკვნამდე, რომ თარგმანი შესრულებულია  
არაუგვიანეს შერეე საუკუნის პირველი ნახევ-  
რისა.

თარგმანის ღირებება-ნაკლოვანებათა შესა-  
ხებ რედაქტორს ვაკვეთელი დასკვნები აქვს  
მიღებული. ირკვევა, რომ თარგმანი არ არის  
ზუსტი და გამართული. განსაკუთრებით მოი-  
კოკლებს მთარგმნელი განკუთვნილი, დიდი-  
ტიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ცნებებისა და  
ტერმინების ვადმოცემაში (გვ. 124). კ. კეკ-  
ლიძე ამ გარემოებას ხსნის იმ ფაქტით, რომ

მასინ მთარგმნელობითი ტექნიკის განსაკუთ-  
რებით დიდი-ტიკური ტერმინოლოგია, საბო-  
ლოდ ჩამოვალბებული იყო. ვინაიდან მეორე  
მხრით, მთარგმნელი ეუბრალოდ დაუფ-  
ლებული ბერძნულ ენას (გვ. 124). არის შე-  
თხვევები, როცა ბერძნული ტექსტი ერთს გუ-  
ლისხმობს, თარგმანში კი სულ სხვა რამეა  
მოცემული. რედაქტორი დაწვრილებით ჩერ-  
დება ამ შეუსაბამოებებზე და იძლევა სათა-  
ნადო ადგილების ტექსტურალურ ანალიზს  
(გვ. 124 — 126).

ვრცლად ჩერდება რედაქტორი კითხვაზე,  
როგორი გამოძიხილი პოვა ქართულ მწერლო-  
ბაში საბა პალესტინელის ცხოვრების ძველმა.  
დასახელებულია, უწინარეს ყოვლისა ი. ბ. ო-  
თბილელი ს მარტილობა. აქ პარაღელი  
შეინიშნება იმ ნაწილში, სადაც ლაბარეია  
სარწმუნოებრივ დამცირებასა და დამდაბლე-  
ბაზე... როგორც აღნიშნულია, საბას „ცხო-  
რება“ განკუთვნილია ე. წ. „ეტიკურული“ ენა-  
რის აგიოგრაფიას, და ამიტომ უფრო მოსა-  
ლოდნელია მისი გავლენა აგიოგრაფიის სწო-  
რედ და ენარის თხზულებებში. კ. კეკელიძე  
საბას „ცხოვრებას“ ანთისავენს ვ რ ი გ ო ლ  
ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს „ცხოვრებასთან“. მკვლევარა  
შებვედრებს ვარაუდობს როგორც ნაწარმოე-  
ბის არქიტექტონიკაში, ისე მოტივთა ერთობ-  
ლივობაში.

საბას „ცხოვრების“ გამოძიხილს რედაქტორი  
ხედავს შ ი ო მ ღ ღ ი მ ე ლ ი ს „ცხოვრება-  
შიც“. ზოგ-ზოგი ემიზიონი თავის ანალოგის  
პოვლობს ქართულ ფოლკლორშიც.

მოცემულია ვრცელი ენობრივი დახასიათე-  
ბა ძველის ქართული თარგმანისა ფონეტიკუ-  
რი, მორფოლოგიური და ლექსიკური თვალ-  
საზრისით. დეტალური ანალიზის საფუძველზე  
რედაქტორი ასკენის, რომ ის ვულგარობები  
და დამახინჯებანი, რომელთაც ადგილი აქვთ  
ხელნაწერში, შედეგია გრძელი ისტორიული  
გზისა, რომელიც ტექსტს მეთორთმევე საუკუ-  
ნემდე გავლელია; ყველაფერი ეს დართვია და  
შეხორცილება მას მრავალგზისი ვადწერის პრო-  
ცესში.

ე. წ. კიმენური რედაქციის აგიოგრაფიული  
ძველების გამოკვეთება სარკეცნობი წიგნის  
სახით საყურადღებო მოვლენაა ძველი ქართუ-  
ლი მტვევლებისა და ლიტერატურის შესწავ-  
ლის თვალსაზრისით.

წიგნის დართული აქვს გამოკვლევის რეზუმე  
რუსულ ენაზე, საძიებლები და Addenda.

დენა შენგელაია — „სამი რომანი“



დენა შენგელაია თანამედროვე პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლირსმწასანიშნავი ნაწარმოები. დ. შენგელაია მწერალია იმ კატეგორიის ეკუთვნის, რომელიც მხატვრულად აზროვნებს, აგვირდობა ცხოვრებას, მისი მახვილი თვალი საზოგადოებრივი მოვლენებს ძირში წვდება. მკითხველს შეუძლია ენდოს მწერლის მხატვრულ აღლოს მან კარგად იცის ობიექტი, რომელიც მის შემოქმედების წყაროს წარმოადგენს.

დენა შენგელაია მძაფრი და ინტერესით სავსეა მწერალია, მის მიერ ზორქვესბმული გვირგვინი ძირითადად გამოირჩევიან ბუნებრივობით.

აღსანიშნავია მწერლის მდიდარი ენა, სიტყვის ძალის გრძობა, ფრაზის თავისებური გაშლის ხერხი; შესანიშნავად იცის მწერალმა დიალექტები, იმ სოციალური ფენების მტკიცელება, რომელთაც მისი შთავგონება ემყარება და მოსაწონი ოსტატობითაც იყენებს მათ. ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას დენა შენგელაიას ნაწარმოებთა კომპოზიციური აღნაგობის სირთულეს, იმ გარემოებას, რომ ავტორი ანულებს ფაბულის გაშლას ცალკე გვირგვინის ფსკოლოგიური სურათის გაძლიერების, ხშირი გადაბეჭვებისა და სიტყვის სამკაულად გამოყენების ხარჯზე.

დენა შენგელაიას შემოქმედების შეფასებისას აუცილებელია იმ ლიტერატურული პოზიციებისა და მრწამსის გათვალისწინება, რომლითაც იგი ლიტერატურაში შემოვიდა.

დენა შენგელაიას განვლილი აქვს შემოქმედებითი განვითარების გარკვეული საფეხურები. პირველ საფეხურს ახასიათებს დეკადენტური ლიტერატურით გატაცება, რაც მის მიერ თანდათან იქნა დაძლეული შემდგომ შემოქმედებითს პროცესში.

სარეცენზიო წიგნში დენა შენგელაია წარმოდგენილია სამი რომანით. ესენი არიან „შთავგონება“, „სანავარდო“, და „ცისკარი“. აღნიშნულ ნაწარმოებთა გარჩევისას უნდა დავუყარდნოთ იმ მოთხოვნებებს, რასაც უყენებს მხატვრულ ლიტერატურას მარქსისტული კრიტიკა, საკავშირო კ. პ. (3) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს ისტორიული დადგენილება.

გაუგებრობას იწვევს წიგნში „სანავარ-

დოს“ მოთავსება, რომელსაც შეიძლება მხოლოდ ერთი მიმართებით ჰქონდეს მნიშვნელობა: იგი გვაეცობს იმ საფეხურს, რომელიც ავტორმა თავის შემოქმედების გზაზე განვლო. ეს ნაწარმოების წარმოდგენილი სახით, ყოველგვარი კომენტაჟებისა და მითითებებისა გარეშე გამოქვეყნებამ ჩვენს ახალგაზრდა მკითხველთა შორის დეზორიენტაცია შექმლია გამოიწვიოს. საქმე ისაა, რომ „სანავარდო“ აღბეჭდილია იმ უპრყოფითი თვისებებით, რომლებიც დეკადენტური დაცემულობის ხანის ლიტერატურას ახასიათებდა. ეს არის სუბექტური ხაზის განვითარების უგულვებელყოფა რომანში, წერის მანერის განზრახ გართულება, შემოქმედებითი მეთოდის აღრევა, — სინამდვილის რეალისტურ აღქმასთან ერთად ამ სინამდვილის მისტიკურ ბურუსში გახვევა, ფორმალისტური გატაცება ნაცულად ნაწარმოების იდეური წონის გაძლიერების, მოკონიდ ფანტაზმაგორიულ სურათებში ყოფის ნატურალისტური დეტალების შეტანა და სხვა.

„სანავარდო“ დაიწერა იმ წლებში, როცა დენა შენგელაია გატაცებული იყო ლიტერატურული მიმართულებით, რომელიც „ლენინის“ (მემარტხენე ფრონტის) სახელწოდებითა ცნობილი ჩვენში. ამ გატაცების კვალი დენაშიც არის აღბეჭდილი აღნიშნულ ნაწარმოებში.

რომანი აგვიწერს დამაივებელი, გადაგვირებული თავადის ნაშვირის ბონდოს გამოფიტულ ცხოვრებას, ბონდოს მამას, ყარამანს, ფეოდალური არისტოკრატის ერთ-ერთ უკანასკნელ წარმომადგენელს, სიბატუის წლები თბილისის ე. წ. მღალა წრეების სალონებში გატარებები. შემდეგ იგი უბრუნდება მშულს თავის საგვარეულო საფეხში და იჯახს მოეკიდება. შეეჩინება შვილი ბონდო. უკანასკნელს ბავშვობიდანვე ეტყობა დეგენერაციის მოვლენები. სწავლის მისაღებად მშობლები მას ჯერ თბილისში გზავნიან კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ პეტერბურგს. სწავლის ნაცულად იგი აქ გარყვნილების წმკამში გადაეშვება, სულიერად დაცემული, დაკალიერებული უბრუნდება იჯახს, აღმოჩნდება, რომ იგი დაავადებულია უკურნებელი სენით — ავიზით; საბოლოოდ კარგავს სულიერ წონასწორობას,

გედება ისე, როგორც მისი უკანონოდმოპოვებული ქა—ვილაც გუჯუ ლაბახუა.

თავადუნაწრობის გადაწყვეტის ეს სურათი გაშლილია ფონზე, რომელიც შესატყვისს სულიერ განწყობილებას იწვევს. ამბავი ხდება სოფელ სანავარდოში, რომელიც ცივბის კერას წარმოადგენს. მის პეიზაჟს ქმნის ხავსმოკიდებული კაობები.

რომანში უხვად მოიპოვება იდეოლები, რომლებიც ძველი სოფლის კოლორიტულ სურათს ვადმოგვეცემენ. ავტორი ხედავს სოფლის ყოფის ცოცხალ დეტალებს; მან კარგად იცის ხალხური თქმულებები, რომლებიც მოხერხებულად აქვს გამოყენებული. მთელი სოფელი გამოფხვალ სევდასა და მწუხარებაში იხრჩობა. დიდ ძალას აქვს ავტორის ფანტაზია ბუნების აღწერისას. მან შესანიშნავად იცის ეს ბუნება გამოკლებული ყოველ წერილში; უშუალო შთაგონებითა და რეალისტური ხილვით ხედავს ავტორი კოლხების ტაბანაქება სიცხეს, მაგრამ ზვირად ვერ იცავს იგი პირობებისა და ადამიანთა შინაგანი სამყაროს გახსნის ნაკლებად მდიდარ ფურცებს აღებული სოფლის ლპობის სურათების ხატვაზე ხარჯავს.

სიტყვა მჭარგავს თავის პირდაპირ ფუნქციას და ფრაზის ორნამენტაციის საშუალებად იქცევა.

„წადერძილი საფლავის ჯერებზე გვაგებში ყაყანებდნენ და სენაკიდან გამოსული შაკრინე მონაზონის მწუხარე ლანდი თუ დაფთხოვდა, აფრინდებოდნენ დაშფეარ კლალდის ფერფლივით, აიშლებოდნენ ნაქრისფერი ცაზე და ხავსმოკიდებულ სამრეტალოზე შემოკიდებოდნენ“, შთავსი მხატვრული სახეები, რაც შესანიშნავად ეხერხება ავტორს, მთელი სურათის აღდგენას აღწევს. მისი სიტყვა უმეტეს შემთხვევაში ნედლია, ცოცხალი, ძარღვიანი და ეპითეტის მნიშვნელობას ღებულობს. ზედმიწევნით იცნობს ავტორი ძველ სოფელს და მის ფერადივან სურათის რეალისტური ხაზებით ხატავს. მაგრამ რომანში უხვად არის წარმოდგენილი ფანტასტიური სახეები, რაც მას გარკვეულ დეკადენტურ იერს აძლევს. შედეგობაში მაქვს ის კოსმოლოგიური გომეგო, ტალბა და ბონდოს ავადყოფიერი ფანტაზიის მიერ წარმოდგენილი ქვეყანა, მისი ბოდეა, რომელსაც რომანის რეალისტურ დინებაში დისონანსი შეაქვს და მკითხველი მისტიციზმის სამყაროში გადაჰყავს. რომანის დიდ ნაკლს წარმოადგენს, თუ შეიძლება ითქვას, სექსუალური მისტიციზმი.

ყარამანის შამა ეროტომანით იყო დაივა-

დებული. ყარამანს სექსობრივი ლერიაზონობის შედეგად შეეძინა უკანონო შვილი ვიცი ლაბახუა. ბონდო იმ ნივთზე ვიციდებოდა.

### ეპიტეზი

რომანი საშინელი სექსუალური უიმედობის მდგომარეობიდან გამოვიდომის სურათს ხატავს. მასში არ არის მოცემული არც ერთი ნათელი პერსონაჟი. მთელი ეს სამყარო გადავარების, გადაშენების, გზაზე დგას. ძლბათ ამით აიხსნება ის სექსუალური ქაოსი, რომელიც რომანშია გაშლილი.

რომანს აქვს მეორე, უფრო არსებითი მნიშვნელობის ნაკლოვანება, რომელსაც ხაზი უნდა გავესავს.

საქმე ის არის, რომ ფეოდალური არისტოკრატის დეგენერაციის ავტორი ხსნის არა სოციალური პირობებით, არა წარსული სინამდვილის სარბიელზე გამოსულ ძალების გათვალისწინებით, არამედ წმინდა ბოლოვითი ხასიათის მოვლენებით. რომანით ისე გამოდის, თითქმის ბონდო გადავარების, დალუქვის გზაზე დგას არა იმიტომ, რომ მისმა წოდებამ დაკარგა სოციალური ფუნქცია, რომ მას აღარ შეუძლია პოზიტიური საქმიანობა ახალ ვითარებაში, რაცა სოფლად სება ძალები შეიკრა, არამედ იმიტომ, რომ იგი ბიოლოგიურად მოიდალა. მისი სისხლი გაშრა. რომანში პირველ პლანზე დაყენებული არა სოციალური ვარემო, არა ცხოვრების სინამდვილე, არამედ სება ხასიათის კატეგორიები, რომელთა შორის სისხლის ძალის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული. ეს მცდარი და სახიფათო გზა მწერლისათვისაა. გზა, რომელსაც სრულიად მოულოდნელ და მიუღებელ დასკვნამდე მიჰყავს იგი.

სისხლის გადაშენების თეორია აძლევს იერს რომანს და მას იმ მისტიციზმის ბურუსში ხვევს, რომელიც დეკადენტურ ლიტერატურას ახასიათებს.

უკეთესი იყო ავტორის თავი შეეკავებინა რომანის წარმოდგენილი სახით გამოკვეთებისაგან, ანდა მასში შეეტანა შესაძლებელი და საკურო ცვლილებები. „სანავარდოს“ დღეს ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი მწერლის საკმაოდ შორეულ წარსულს ეკუთვნის და დღევანდელი მკითხველს იგი სარგებლობას ვერ მოუტანს.

სება საზოგადოებრივ-ესთეტიკური მნიშვნელობისაა რომანი „შთაგონება“. უკანასკნელი მრავალმხრივად საუბრადღებო. საინტერესოადაა მოაქვს რომანის კომპოზიცია. ორი ოჯახის ცხოვრების ფონზე გაშლილია ისეთი სოციალური ძვრები, რომლებშიც ღრმა კვალი

დამწინეს ჩვენი ცხოვრების განვითარებას. რომანში მხატვრული სახეების მეშვეობით ნარევენება თაობათა შენაცვლება, რევოლუციური იდეათა ზრდა.

რომანის მთავარ გმირებად იღებულა, ერთის მხრით—1905 წლის რევოლუციის უშუალო მონაწილენი, ნაძალადევის მეშვეობით—ასლან დემურია და ესტატე თაბაგარი და რადიკალური ინტელიგენციის წარმომადგენელი—პეტრე ლარაძე, ხოლო მეორეს მხრით—მათი შემკულებელი თაობა. ორი დიდი რევოლუციის შორის ავტორი უწყვეტ, ბუნებრივ კავშირს ამყარებს. ახალი თაობის წარმომადგენლებად გამოყვანილი არიან: ასლან დემურია ქალიშვილი — დარიაკო, ესტატე თაბაგარის ქალიშვილი ხეარაშხე და პეტრე ლარაძის შვილი — მიჩაინი.

ავტორი არ იშურებს არც ცოდნას, არც გულის სითბოს იმისათვის, რომ ეს ადამიანები ღრმა გრძნობებით დაეკიდლოდნენ, მათი მორალური სახე მიწოდდეს ვახალოს მკითხველისთვის და ამრიგად გააძლიეროს მხატვრული სახეების ზეგავლენის ძალა. ავტორს უყვარს ეს კეთილი, პატიოსანი, შებამილი სულით აღჭურვილი ადამიანები და მათ მკითხველსაც აყვარებს. რომანში რომანტიკული გატაცებით არის აღწერილი 1905 წლის ამბები, ახალგაზრდა სტალინის შევარდნები, ცხრა მთა წითელგვარდულები, რომლებმაც თავი დასდევს ხალხისათვის, გმირულად დაიღუპნენ ლოტკინის გორაზე.

1905 წელს სუსხიანი რეაქცია მოჰყვა. შემდეგ თებერლის რევოლუცია და მენშევიკური ხელისუფლების სამი წლის ფარფაში. ასლან დემურია იძულებული ხდება ჰიათურას შეფაროს თავი. მისი ქალიშვილი დარაშან კი ესტატესთან ცხოვრობს, სწავლობს, ინჟინერი ხდება. ჩვენში საბჭოთა წყაობილება მყარდება.

ავტორი მოხერხებულად ავითარებს სუვეტს ასლანს საშუალება ეძლევა დაუბრუნდეს ობილისს. მის წინ სრულიად ახალი ქალაქი იშლება. იგი თვალნათლივ ხედავს იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც ქალაქის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლებას შეუტანია. მის წინაშე იშლება პანორამა იმ მდლნარე მუშაობისა, რომელიც თბილისის ახალ ცხოვრებას ქნის. ამ მუშაობის მთავარი გმირი ახალი თაობაა, რომლის წარმომადგენელია პეტრეს შვილი მიჩაინი, ნიჭიერი არქიტექტორი და ასლანის ქალიშვილი დარიაკო—ინჟინერი. ავტორი არ ზოგავს საღებავს, რომ ახალი ცხოვრების სიღრმე, სიციხვედრე და სილამაზე დახატოს.

რომანში ისტატურად არის შეტანილი სატრ-

ფილო ამბავი ხეარასა და დარიაკოს შორის, მირიან ლარაძესა და დარიაკოს შორის. ყოველი სახე ცოცხალი და ბუნებრივი, დასამსახურებელი, ესენი მეშვეობის მეშვეობით მსაქმობის საც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მსაქმობის ფართო ვაზ გაუხსნა. შეიქმნა ახალი ინტელიგენცია, ხალხის ხორცი—ხორცთაგანი და სისხლი—სისხლთაგანი. ესენი აძლევენ ტონს და მიმართებას ახალ ცხოვრებას.

ავტორი მშვენივრად იცნობს იმ სამყაროს, რომელსაც აღწერს, იცნობს თავისი გმირის შინაგან ცხოვრებას, მისი ინტერესების არეს, მის ადამიანურ თვისებებს, სითბოთი და გრძნობით, ადამიანური გულისმხიერებით არის აღჭურვილი ესტატე თაბაგარი, რომელსაც საყვარელი შეილისშვილი გარდატეხილია.

რომანტიკული გზებით არის დაწერილი ძველი მეგობრების—ასლანისა და ესტატეს პირველი შეხვედრა დიდიხნის დაშორების შემდეგ, მათი მოგონებანი და ოცნებანი მოკავალზე, ღრმა იტიმით გამოთხარა მათი მეგობრული საუბარი. ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნით არის გაყოცხლებული ხეარას სატეაკი სახე, მისი ღრმა გრძნობა, სიყვარული დათასადმი რწმუნის დაკარგვა, იმედის შტეკი და ისევ ბურუსის ცივი ქრალივა.

ფართო სოციალური ფონის გაშლის გარდა რომანში დაყენებულია შემოქმედებითი ხასიათის საკითხიც.

ავტორი მხატვრული სახეებით აყენებს საკითხს: როდის შეიძლება მხატვრული შემოქმედება იყოს დამაჯერებელი, მართალი და სრულყოფილი? იმ შემთხვევაში, თუ იგი ობიექტურად ასახავს სინამდვილეს, უშუალოდ არის განცდილი შემოქმედის მიერ. ღრმა ღრმამართების გამოსახატავად აუცილებელია ღრმა შთაგონება. კემშარტი ბელოვებმა ისაა, რომელიც ცხოვრებასთან ერთ მთლიანობაშია მოქცეული. მთლიანობის ეს შეგრძნობა დღაატობს ზანდაან რომანის გმირს რეისორ პეტრე ლარაძეს, არს გამოც მისი შემოქმედება კემშარტებსა მოკლებული რაქება. უფრო მკაფიოდ ეს უტყუარი აზრი ვატარებულია დარიაკოს სახით.

დარიაკო მოწოდებით ხელოვანია. იგი ბავშვობიდანვე სასცენო ხელოვნებით იყო გატაცებული. როცა წარმოდგენას უყურებდა, გრძნობდა, რომ სცენაზე ხალხი მართლა იტანჯებოდა, მართლა ცხოვრობდა. იგი იმედინდ განიცდიდა თეატრის ზეგავლენას, რომ არ იცოდა, სად თავდებოდა მისი პირობითობა და სად იწყებოდა ნამდვილი ცხოვრება. დარიაკოში სძლია შემოქმედებამ. იგი პეტრე ლარაძის დასში შედის და ერთბაშად მიიპყრობს

ეჭრადღებას ნიჭით, ვრწმობით და წარმოსახვის უნარით.

პეტრე ლარაძე ამხადებს დათა კახაბერის პიესას, რომლის მიხედვითაც „ქმრისადმი სიყვარულით გათავებული ახალგაზრდა დედინაცვალს თავის მძინარე კერის უწყველად დუპაჟს“. სარემპრტურაო კომიტეტი, მირიანი და ხვარა წინააღმდეგნი არიან ამ პიესის დადგმისა. რატომ? უთუოდ იმიტომ, რომ იგი ვერ გამოხატავს სიმათლეს, რომ საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა იმის შესაღას, რომ პირადი პატივმოყვარეობა საერთო საქმეზე მალა დაყვინო, რომ განაზოგადო ისეთი მოვლენა, როგორც პიესაშია მოცემული, რომ პიესის შინაარსი, აზრი არ არის ცხოვრებასთან ერთ მთლიანობაში გაშლილი. ხელოვნება კი შიგონილს, ტყელს ვერ ურიგდება, დარკომ უნდა შეასრულოს დედინაცვლის როლი, იგი მალა ტრაგიკულ განცდამდე იყვინოს, რომლის მიხედვით მან დედინაცვლის „მტრული განცდები თავისად უნდა მიიწიოს“.

„დადგა ეს წუთიც, წუთი, როდესაც დარიკომ ფანჯარა უნდა გაღოს... დარიკომ შიშოდ ახლა გაიანაზრა, რომ მას ხელი იმთავითვე არ უნდა მოეციდნა ამ საშინელ როლისათვის, თვლი დახუტა და ისე, თითქმის ცვონა განზრახული არ გადაეფიქროვო, საკმელს მიაშურა, მაგრამ ხელი ნებას არ დაჰყვა, ძირს დაბო. პერე ფებრე წელმოწყვეტილად წაათრია და ბავშვის ლოგინში უსმოდ ჩიემო“. უნდა აღინიშნოს, რომ როლის მიხედვით დარიკოს უნდა გაეღო ფანჯარა და ვერც სისიყვილოდ გატყვიებია.

ამგვარად დარიკომ, რომელმაც იგზნო პიესის სიყალბე, ვერ განიცადა იგი უშუალოდ, ვერ დეკავშირა ახალი ცხოვრების მდინარებას, გმირის მოქმედება გახარა და საკუთარ შინაგან განცდასთან შესაბამისად შეატრიალა იგი. ავტორი დასკვნის: „დარბაზში შევბით ამოისუნთქეს, ყველა მიხედა რომ ბავშვი გადარჩა“. როლის ასეთს გადმოცემაში სიმათლედ დაინახა პეტრე ლარაძემაც.

— მართალი ხარ! ცამედ მართალი, ჩემო დარბაზ — ეტბნება იგი რასღა. რომანის ავტორი სწორად სწყვეტს საკითხს ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის შესახებ.

რომანში სწორად არის დაყენებული ახალი ოჯახის საკითხი, ხვარასა და დათას ურთიერთობის მუშეობით. ნაწარმოები შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ერთგვარ სინანულს იწვევს ის ვარემოება, რომ არ ახდენს დამთავრებულის შთაბეჭდილებას ჩვენ მივადეკით საკითხს, რომელსაც აუცილებლად უნდა

გაკსენა ხაზი აღინიშნული რომანის შეფასებისას.

რომანი არ არის დასრულებული, მკითხველის თანაშემოქმედებითვე უნდა დასრულებად, რომელიც მართებულად უნდა წყვეტოს გამოწვევით, დატყმაყოფილებელი რჩება. მას უნდა იცოდეს ორი ახალგაზრდა ოჯახის შემდეგი ბედი. ხვარამ ბუნებრივად დასკვნა, რომ „უხნობაა, საზიზღარი ეგვიზმია ისეთ ადამიანთან ცხოვრება, რომელსაც არ უყვარხარ; უცებ დასკვნა, რომ დათა არ არის მისი ქვარი...“ მაგრამ შესძლო თუ არა მან ამ გადაწყვეტილების განხორციელება? დაიშხვრა მისი ცხოვრება, თუ ნახა ახალი დასაყრდენი მორალური ძალა? თუ დათამ იგზნო თავის მდგომარეობის სიყალბე, ვარდიქმნა და მონახა საერთო ენა ხვარასთან? რომანის ბოლო ნაწილში ხაზგასმულია დათას სინდისის ქვეყნა; დარიკოს მართალი თამშის ზეგაყენებით მან იგზნო საკუთარი შეცდომა და „ხვარას ნახვის სურვილმა კვლავ ისევ ისე აიტანა, როგორც მაშინ, სანამ ავად გახდებოდა“.

ოჯახის, ახალი ყოფის საკითხი დაყენებულია, მაგრამ იმ სახით როგორცაც იგი რომანშია წარმოდგენილი, არ არის ბოლომდე გადაჭრილი, დასრულებული.

ჩვენს ლიტერატურაში ნაკლებადაა გაშუქებული თემა, რომელზედაც იგებულება მესამე რომანი „ცისკარი“. უკანასკნელი ასახავს სოციალური განვითარების იმ საფეხურს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამაც, კერძოდ თბილისმა, განვლო. ესაა ფაბრიკული წარმოების დამკვიდრება ჩვენში და ის საწარმოო ურთიერთობა, რომელიც მას მოჰყვა შედეგად. უფრო ორგანიზებულმა, იაფმა მასობრივმა მანქანურმა წარმოებამ განდევნა კერძო, ხელოსნური, ძვირადღირებული საქონელი. კაპიტალიზმის შემოქმედს მოჰყვა წერილი ხელოსნების გალატეობა, გაჩანაგება, წყრილი სახელმწიფოს ვაჭმება და იმ ინსტიტუტის მოსაბოძა, რომელიც ამჭრობის სახელწოდებით იყო ჩვენში ცნობილი.

დ. შენგელაია თავის რომანში გვიხატავს გარდამავალ ხანის, იმ ბრძოლას, რომელიც წერილ სახელმწიფოსა და ფაბრიკა-ჭარხნებს შორის გაიშალა, იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ცხოვრების წიაღში წარმოიშვა. ავტორს გათვალისწინებული აქვს კაპიტალისტური წარმოების განვითარების კანონები: ცხოვრების სარბიელზე ახალი კლასის—მუშათა კლასის გამოსვლა, მუშათა მასების სტიქიური მოძრაობა, რასაც თანდათან ორგანიზებული საკუთარ კლასობრივ ინტერესებს შეგნებაზე დამყარებული მოძრაობა ხელის, ხელოსნების



დაჭევიანება, მათი ფაბრიკებში წასვლა, გადატაცებული, მიწა-წყალს მოკლებული გლეხობა, რომელიც სამუშაო ძალის მთავარ წყაროს წარმოადგენს და სტვა.

რომანში მთავარი ყურადღება დაიშობილი აქვს ძველი თბილისის, ხელოსანთა ცხოვრების ასახვას. შიო დარუაშვილი, მინასა კრუაშვილი, ბერარა ფეტქიანი, დნკრა კრუაშვილი, ვინო ხანდამაშვილი—ძველი თბილისის კოლორიტული წარმომადგენლებია. ისენი კარგად გრძობენ, რომ მიწა ფეხიდან ეცლებათ, რომ ცხოვრების ახალმა სიომ დაჰკრა. იბრძვიან თავიანთი პოზიციების შენარჩუნებისათვის, მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდის, მათ არსებობას ნიადავს აკლის, ჩნდება ადელბანოვის, ბოზარჯიანცის და სხვა ქაზხნები, რომელთა კონკურენციას მათი წერილი სახელოსნოები ვერ უმკლავდებიან და უთანასწორო ბრძოლაში იღუპებიან.

— აფსუს, ძველი ხელოსანო! აი, გოგიკან, მეტეჰმე ხარ და თუნდაც შენი ხელობა იღუბომ გახსოვს, ძველთა შეკერილს, მამა რომ ვერა სცევითა, შეილი აირეცდა? მაშინდა უნდათ, რანტიანი, ბანტიანი!—უბნებება ერთერთი ოსტატი გიგოს. ამ „რანტიანმა“ და „ბანტიანმა“ მასობრივი წარმოების პროდუქტმა დაიკავა ბაზარი და იძულებული გახადა იგივე გიგო ადელბანოვის ფესასემელის ქაზხანაში შესულიყო დაჭირაებულ მუშად. ეს ის გიგოა, რომელიც მუშათა წრეში გათავითონობიერებული, შემდეგ ამბობს:

— ქვეყანა გადაბრუნდა, ქვეყანა... რით ვერ გაიგეთ, რომ ქვეყანა გადაბრუნდა... ის ქვეყანა მოკცდა, ერთ დროს რომ ხელოსანი ამწენებდა. ახლა მუშა, აშენებს ამ ქვეყანას და თქვენ კი გძინავთ, არასა ზედავთ. თვალი გაახილეთ, ხალხნო, თავლი?

ახალმა ცხოვრებამ უთანასობა ჩამოაგდო მამას და შვილს შორის, განთქმულ ოსტატის შიო დარუაშვილსა და მის შვილს ოთარს შორის. ოთარი გამოსვლებში მონაწილეობისათვის ციმბირში ვიდასახლეს. იქიდან სრულიად გამოცდილი დაბრუნდა. ცხოვრებაზე დაკვირვებამ მის შეგნებაში გარდატეხა მოახდინა. ჩამოშორდა ძველ წრეს, რომელიც ქაზხნებით, შევირდებით და უსტახაშებით შემოიფარგლებოდა. თვალი გაუსწორა ცხოვრების სინამდვილეს, მუშებს დაუახლოვდა, მათთან გააბა კავშირი, მათს ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში, მათში დიანას ახალი ქვეყნის, პროგრესული, სიმართლზე აგებული ქვეყნის დასაყრ-

დენი ძალა. ცვლილებებს კარგად ვერცხვს მამა და ამიტომ მიმართავს მკითხველს: — როდის უღალატე-მეთქი პაპს? იმ შენ ამხანაგებსა?..

— მე არავისთვის არ ვმუშაობ... მამა... რა სიტყვა ოთარმა შეცხედ და აედულს აკრულმა, შეცხედვე გმარგძო:—მე შოლოდ თვალები ამებოლა, მაშინცო, თვალები, მე ბევრ რამეს სტვანაირად ვხედავ...

— მაშე ვგრე, ვიღუბებით, რადა? გვედებით, რადა? ფრთა გვაქვს და ვერა გფრინავთ, ხელები გვაქვს და სამუშაო არა...

როგორც აღენიშნეთ ავტორის ყურადღების ცენტრში ძველი თბილისი დგას. იგი ცხოველი ფერებით ხატავს იმ ხალხის პორტრეტებს, რომლებიც წარსულს ჩასკიდებიან, განსაკუთრებით ფერადოვანია დარდიმანდი, ყარაზოხელი დნკრა კრუაშვილი, თითქოს ავტორის სიმ. პატიი ამ დარდიმანდის მხარეზეა, თუმცა დნკრას სულიერი ცხოვრება, ისე როგორც დანარჩენ მის მეგობართა, ღირბია, შეზღუდული, მაგრამ გულწრფელი, რანდული, ცოცხლად და მასალის მშვენიერი ცოდნით არის გაცოცხლებული რომანში ძველი თბილისის ჩვევანი, ადითები, ყოფა, კრავი, ყენობა, ორთაქალას ბაღები, მეზადურები, ტივები და მათზე ქეიდი, ყოჩების ქიდილი ყოველივე ის რაც იერს აძლევდა ძველ თბილისს ადგო-ადგილ ავტორი ჰკარავს წარმოსწორობას და თითქოს ყარაზოხელი რომანტიკის გავლენის ქვეშ ექცევა.

ავტორს კარგად აქვს შეწყვილილი იმ სოციალური ფენის ენა, რომლის ცხოვრებასაც იგი აღწერს. ეს ენა ცოცხალია, ინდივიდუალურად. ცოცხლად არის წარმოსახული უსტახაში ბერარა და მისი ქალიშვილი „არზრუმის ვარსკვლავი“, გულნარა.

მოხერხებულად არის ჩატკოვილი რომანში გულნარასა და ვანოს სატრფილო თავგადასავალი. უნდა აღინიშნოს, შოლოდ, რომ ეს ხანა არ არის მიტანილი ზოლომდე. მკითხველმა არაფერი იცის ამ მშვენიერი სიყვარულის ბედის შესახებ. ეს რომანიც დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას სტოვებს. ასეთ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ოთარი, ცისკრის ერთ-ერთი წინამორბედი, შედარებით დანაჩენ სისხლ-და ზორცასეგ პერსონაჟებთან მჭათლად გამოიყურება, მის სახეს სიც, ზოველე აკლია. ავტორს ამ რომანშიც ნაადრევად აქვს წერტილი დასმული.

შინაარსი

	30
ბიორაზი კაბახიძე — გუთნები მინდვრად, ლექსი . . . . .	3
შალვა ღაღინი — მენჯი-რობუ, რომანი, გაგრძელება . . . . .	4
მაზიში — ლექსები საქართველოზე, თარგმ. კონსტ. ქიქინაძისა . . . . .	21
ალექსანდრი ჭყუთაძე — ჭორწილი, მოთხრობა, დასასრული . . . . .	28
გრიგოლ ციცილაძე — პორტრეტები, სამი ლექსი . . . . .	57
აკაკი ხელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა, რომანი, გაგრძელება . . . . .	59
კონსტანტინე პაშტოვსკი — ანუშკა, მოთხრობა, თარგმ. მ. ლორთქიფანიძისა . . . . .	80
—	
კონსტანტინე ბაშახშვრდია — კოლხეთში, ნარკვევი . . . . .	91
—	
იროდონე ხანთაძე — ი. ბ. სტალინის ენის თავისებურებანი და გადმოცემის ზერბები (წერილი მე-5) . . . . .	101
ბისარიონ ძღინტი — ალექსანდრე აბაშელი, წერილი . . . . .	125
—	
მიხეილ შორაღლი — მაქსიმ გორკის აკრძალული პიესა „უკანასკნელი“ ქუთაისის ქართული თეატრის 1910 წლის რეპერტუარში, მოგონება . . . . .	145
—	
მიმომხილველი — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიშენი, ტ. II, ბიბლიოგრაფია . . . . .	163
მკითხველი — დემნა შენგელაია — სამი რომანი, ბიბლიოგრაფია . . . . .	165

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი  
მდივანი), იოსებ ბრიშაშვილი, გავლე ინგოროშვილი, სერგო კლდია-  
შვილი, ალიო შირცხულაგა (მედიკოსი), ბესარიონ ქადაგი,  
გალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიანა შინგალია.

---

ხელმოწერილია დასაბუთად 19/V-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11. შპ 00967.  
შეფ. № 1038. ტარაფი 5.300.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა  
სამმართველოს ზეპულით სიტყვის კომბინატი. თბილისი, ურბნის ქ. № 5.